

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

4

ტომი ✧ Volume ✧ Том

VIII

№4, 2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** (*მთავარი რედაქტორი*), **თამაზ ზუბიაშვილი** (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მალრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** (*Editor-in-Chief*), **Tamaz Zubiashvili** (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaiashvili.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** (*главный редактор*), **Тамаз Зубиашвили** (*ответственный секретарь*), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Елгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимир Папава (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Автандил Силагадзе (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; გრაჟინა კარმოვსკა – დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი); იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ვიტალი ტამბოვცევი - ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng - Berlin University, Professor; Oleg Karasev - Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor; Grazyna Karmowska, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland); Jan Mikhalek - University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Vitaly Tambovtsev - head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor; Toomas Haldma - Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг - профессор Берлинского Университета; Олег Карасев - зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор; Гражина Кармовска, д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша); Ян Михалек - декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор; Дмитрий Сорокин - член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор; Виталий Тамбовцев -Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;Томас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.

ს ა რ ჩ მ შ ი

აკონომიკური თეორია და აკონომიკური პოლიტიკა

<i>ნუგზარ პაიჭაძე. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე „უმაღლესი განათლების შესახებ“</i>	9
<i>გედევან ხელაია. იაკობ გოგებაშვილის ეკონომიკური მოსაზრებები</i>	28
<i>რეემ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები.</i>	34

მიკროაკონომიკა ✦ მაკროაკონომიკა ✦ აკონომიკური პოლიტიკა

<i>პაატა კოლუაშვილი, ნიკოლოზ ჩიხლაძე. მინა უფლის მიერ მოხარებული ფასდაუდებელი ღირებულისმიმდირეა</i>	46
<i>გიორგი დომონტევიძე. მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის შეფასება ქართულ კომპანიებში</i>	56
<i>აკაკი ვაბელია. ეკონომიკური ზრდის სამუელსონის მოდელის რეალიზაციის პრობლემა საქართველოს მაგალითზე</i>	72
<i>ავნეშა რეშევა, იოსებ მასურაშვილი. უცხოური ინვესტიციები და სპეციალური (თავისუფალი) ეკონომიკური ზონების კროსსექციური ანალიზი (პოლონეთის გამოცდილება) (ინგლისურ ენაზე).</i>	82
<i>ნინო ბერაია, მარინე ნაცვალაძე. უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი (თბილისის მაგალითზე)</i>	100

მენეჯმენტი ✦ მარკეტინგი ✦ ტურიზმი

<i>გიორგი ლალანიძე. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია ევროკავშირის ბაზარზე</i>	113
<i>ინეზა ვაკნიძე. სამენარმეო უნივერსიტეტი – განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი</i>	121
<i>ქრისტინა ჯღანჯღავა. აუთოსრსინგი - ბიზნესპროცესების ხელშეწყობი ფაქტორი</i>	134
<i>გიორგი მონჩილაძე. ემპათიის გამოყენების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები</i>	141

ფინანსური აკონომიკა

<i>ციური ოქრუაშვილი, ქეთევან ლუდუშაური. ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში</i>	152
<i>ნინო ლომიძე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი პრაქტიკა და მისი სრულყოფის საკითხები ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში.</i>	162

ანალიტიკური ინფორმაცია

ნინო ხახუბია. მოტივაციის მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა 171
დავით ასლანიშვილი. ეკონომიკური ზრდა და ენერგოუსაფრთხოება. 178

საიუბილეო სხდომა

აკადემიკოსების - შაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაბადების
110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 184

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, ელგუჯა მექვაბიშვილი,
ავთანდილ სილაგაძე. პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოს
ეკონომიკა რეფორმებისა და ფსევდორეფორმების სარკეში 189
ვალერიან ითონიშვილი, რევაზ გოგობია. საქართველოს
ისტორიის ქრონოლოგიისადმი მიძღვნილი საინტერესო წიგნი 194

ხსოვნა

გედევან ხელაია. პროფესორ ლეო ჩიქავას გახსენება 196

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

<i>Nugzar Paichadze</i> . Some Views about the „Georgian Law on Higher Education“	9
<i>Gedevan Khelaia</i> . Iakob Gogebashvili's Economic Views.....	28
<i>Revaz Gvelesiani, Irina Gogorishvili</i> . Economic and Political Decision-Making Problems and Possibilities for Their Overcoming	34

MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

<i>Paata Koguashvili, Niko Chikhladze</i> . Land - the Invaluable Asset Granted by the Lord	46
<i>Giorgi Doborjginidze</i> . Supply Chain Performance Measurement in Georgian Companies	56
<i>Akaki Gabelaia</i> . Realization Problem of Samuelson's Economic Growth Model in the Case of Georgia	72
<i>Agnieszka Rzepka, Ioseb Masurashvili</i> . Foreign Direct Investments and the Cross-sectional Analysis of the Special (Free) Economic Zones (in English)	82
<i>Nino Beraia, Marine Natsvaladze</i> . Analysis of the Real Estate Market Cycle	100

MANAGEMENT ✧ MARKETING ✧ TOURISM

<i>Giorgi Gaganidze</i> . Realization of the Georgian Export Potential on the EU Market	113
<i>Ineza Gagnidze</i> . Entrepreneurial University – the Most Important Element of Education and Science Efficient Policy	121
<i>Kristine Jganjgava</i> . Outsourcing – Contributory Factor in Business Processes	134
<i>Giorgi Morchiladze</i> . Problems and Their Solutions in Feeling Empathy	141

FINANCIAL ECONOMICS

<i>Tsiuri Oqruashvili, Qetevan Gudushauri</i> . Originality of the Realization of Finances Control Function in Modern Georgia	152
<i>Nino Lomidze</i> . Local Practice for Financial Accounting Preparation and Presentation and Its Improvement Issues in Housing Development Business	162

ANALYTICAL INFORMATION

<i>Nino Khakhubia</i> . Balanced Scorecard of Motivation	171
<i>David Aslanishvili</i> . Economic Growth and Energy Security	178

THE MEETING

At the Georgian National Academy of Sciences devoted to the 110th anniversary of the birth of Academicians Paata Gugushvili and Vasil Chantladze	184
--	-----

CRITICS AND BIBLIOGRAPHY

<i>Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, Elguja Meqvabishvili, Avtandil Silagadze</i> . Georgian economy in the mirror of reforms and pseudoreforms in the post-communist period	189
<i>Valerian Itonishvili, Revaz Gogokhia</i> . An interesting book dedicated to the historiography of Georgia	194

<i>Gedevan Khelaia</i> . Remembrance of Prof. Leo Chikava.....	196
--	-----

СО Д Е Р Ж А Н И Е

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<i>Нугзар Пайчадзе.</i> Некоторые соображения „О законе Грузии о высшем образовании“	9
<i>Гедеван Хелая.</i> Экономические взгляды Якоба Гогешвили	28
<i>Реваз Гвелесиани, Ирина Гогришвили.</i> Проблемы принятия экономических и политических решений и возможности их преодоления	34

МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

<i>Паата Козуашвили, Нико Чихладзе.</i> Земля – неопценное богатство доверенное Господом Богом	46
<i>Георгий Доборджинидзе.</i> Оценка эффективности цепи поставок в грузинских компаниях	56
<i>Акакий Габелая.</i> Проблема реализации модели экономического роста Самуэльсона на примере Грузии	72
<i>Агнешка Рзепка, Иосиф Масурашвили.</i> Прямые иностранные инвестиции и кросссекционный анализ специальных (свободных) экономических зон (опыт Польши) (на англ. языке)	82
<i>Нино Берая, Марина Нацваладзе.</i> Анализ цикла рынка недвижимости (на примере Тбилиси)	100

МЕНЕДЖМЕНТ ✧ МАРКЕТИНГ ✧ ТУРИЗМ

<i>Георгий Гаганидзе.</i> Реализация экспортного потенциала Грузии на рынке ЕС	113
<i>Инеза Гагнидзе.</i> Предпринимательский университет - важнейшее звено эффективной политики образования и науки	121
<i>Кристина Джганджгава.</i> Аутсорсинг - способствующий фактор в бизнес-процессах	134
<i>Георгий Морчиладзе.</i> Проблемы использования эмпатии и пути их решения	141

ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА

<i>Циури Окруашвили, Кетеван Гудушаури.</i> Особенности реализации функции контроля финансов в современной Грузии	152
<i>Нино Ломидзе.</i> Местная практика подготовки и представления финансового учета и вопросы ее совершенствования в в девелоперском бизнесе жилищного строительства	162

АНАЛИТИЧЕСКАЯ ИНФОРМАЦИЯ

<i>Нино Хахубиа.</i> Сбалансированная система показателей мотивации	171
<i>Давид Асланишвили.</i> Экономический рост и энергетическая безопасность	178

ЮБИЛЕЙНОЕ ЗАСЕДАНИЕ

В Грузинской национальной академии наук, посвященная 110-летию со дня рождения академиков Паата Гугушвили и Василия Чантладзе	184
---	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

<i>Юрий Ананишвили, Теймураз Беридзе, Элгуджа Меквабишвил, Автандил Силагадзе.</i> Грузинская экономика в зеркале реформ и псевдореформ в посткоммунистическом периоде	189
<i>Валериан Итонишвили, Реваз Гогохия.</i> Интересная книга, посвященная хронологии истории Грузии	194

* * *

<i>Гедеван Хелая.</i> Памяти профессора Лео Чикава	196
--	-----

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე „უმაღლესი განათლების შესახებ“

ნუგზარ პაიჭაძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
nugzarpaichadze@il.ru*

სტატიაში მოცემულია საქართველოში ამჟამად მოქმედი უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ზოგიერთი დებულების კრიტიკული ანალიზი და დასახულია, ავტორის აზრით, მასში (კანონში) არსებული ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება; მეცნიერება; აკადემიური საბჭო; წარმომადგენლობითი საბჭო; აკადემიური პერსონალი; დოქტორის აკადემიური ხარისხი; დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; პროფესორის სამეცნიერო წოდება

ზოგიერთი წამ საქართველოში განათლებასა და მეცნიერებაზე XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე

ნებისმიერი ქვეყნის წინსვლის, განსაკუთრებით კი ეკონომიკური აღმავლობის საფუძველთა საფუძველია მოსახლეობის განათლებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე. განათლება და მეცნიერება დიალექტიკურ კავშირში მყოფი ფენომენებია, რომელთაგან ერთი რომელიმეს დაჩქარებული განვითარება განაპირობებს მეორის დაჩქარებულ განვითარებას და, პირიქით, ერთი რომელიმეს ჩამორჩენა ან შენელებული განვითარება იწვევს მეორის ჩამორჩენას ან შენელებულ განვითარებას.

* იბეჭდება საკითხის განხილვის წესით.

საქართველოში XX საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისამდე, ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე განათლება და მეცნიერება ვითარდებოდა ე. წ. საბჭოური სისტემის პირობებში. მიუხედავად საბჭოთა წყობილების რიგი სერიოზული ნაკლოვანებისა, განათლებისა და მეცნიერების განვითარების საბჭოური სისტემა, თავის დროზე, ითვლებოდა ერთ-ერთ მონინავედ მსოფლიოში, რამაც გამოიწვია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში სერიოზული მიღწევები (კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენა და სხვ.), რასაც, თავის დროზე, დასაველეთიც აღიარებდნენ. განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიმართულებით გარკვეული მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული საქართველოშიც. მოსახლეობის 1000 სულზე უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზე იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის და მას ამ მხრივ მსოფლიოშიაც მონინავე პოზიცია ეკავა. საკმაოდ მაღალი იყო განათლების ხარისხის დონეც, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში საქართველოში განათლებამიღებული და მეცნიერებას ზიარებული მრავალი ადამიანი დღეს, ისე როგორც წინა წლებში, მუშაობს მსოფლიოს მონინავე ქვეყნების საყოველთაოდ ცნობილ და პრესტიჟულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში და საკმაოდ წარმატებულებიც არიან.

მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული ქვეყანაში მეცნიერების განვითარების მიმართულებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემა მოიცავდა მრავალ მძლავრ სამეცნიერო ინსტიტუტს მეცნიერების ძირითადი დარგების მიხედვით. ამასთან ერთად, ქვეყნის ცალკეულ სამინისტროსა და უწყებასთან ფუნქციონირებდა დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. სწორედ მოცემულ წლებში მოღვაწეობდნენ (ნაწილი დღესაც მოღვაწეობს) მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები და ამ წლებშივე იქნა მიღწეული საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული წარმატებები მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა: მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, სხვადასხვა ტექნიკური მეცნიერება და ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ განათლებისა და მეცნიერების მართვის საბჭოური სისტემა იყო სრულიად უნაკლო. მისი ნაკლი, უპირველეს ყოვლისა, იყო მისი იდეოლოგიზირება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა მის განვითარებას.

საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში „ახალი ერა“ იწყება ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან. როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე იყო. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მწვავე სამოქალაქო დაპირისპირებას, მკვეთრად დაეცა ქვეყნის ეკონომიკა, მისი ზოგიერთი დარგი მთლიანად განადგურდა. ამას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე, რამდენადაც ზემოაღნიშნული მოვლენების გამო შემცირებული სახელმწიფო ბიუჯეტი აღნიშნული

დარგების (განათლებისა და მეცნიერების) სათანადოდ დაფინანსების საშუალებას არ იძლეოდა. აღნიშნულ წლებში უმაღლესმა სასწავლებლებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემცირების ნაწილობრივი კომპენსაცია მოახერხეს ე. წ. „ფასიანი“ სწავლების შემოღებით, რომელიც შემდგომ დამკვიდრდა, როგორც სწავლების არასაბიუჯეტო სექტორი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდანვე, დაიწყო რეფორმა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა მისი იდეოლოგიური მარწმუნებიდან გათავისუფლებასა და სწავლების ახალ, უფრო პროგრესულ, ფორმებზე გადასვლას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბოლონის პროცესის დანერგვას. ამავე პერიოდში დაიწყო აქტიური მუშაობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გადასასვლელად.

2003 წლის ნოემბერში ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც სათავე დაუდო მეტად მძიმე „ახალ ერას“ განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში. მათ მიერ უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონის მიღებით, ერთი ხელის მოსმით, გაუქმდა თითქმის ყველა წესი და ნორმა, რომლითაც რეგულირდებოდა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-სამეცნიერო კადრებით დაკომპლექტება, სტუდენტთა სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფაკულტეტების მართვა და ა. შ. ამავე კანონით გაუქმდა სამეცნიერო ხარისხები და სამეცნიერო წოდებები. საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუქმდა აკადემიური პერსონალის თანამდებობათა ძველი ჩამონათვალი (პროფესორი, დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, ასისტენტი) და შემოღებულ იქნა ახალი (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი). ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი მასწავლებელთა პერსონალი (უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი) და იგი, რატომღაც მიკუთვნებულია არა აკადემიურ პერსონალს, არამედ ე. წ. სხვა პერსონალს. აღნიშნული კანონის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაკანონდა სწავლების მესამე საფეხური – დოქტორანტურა, რომლის კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური დოქტორის ხარისხი. სწორედ ამ უკანასკნელთან იქნა გატოლებული იმ პერიოდში მოქმედ მეცნიერთა მიერ მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო (და არა აკადემიური) ხარისხი. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი კი, „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, იგი ახლად შემოღებულ დოქტორის აკადემიურ ხარისხს გაუტოლდა. ამდენად, მოხდა დიდი შრომისა და ნებისყოფის შედეგად მიღებული მეცნიერული აღიარების დაკნინება და მისი გატოლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის აკადემიურ ხარისხთან, რაც უთუოდ მცდარია და დიდი უსამართლობაა.

ზემოაღნიშნული კანონის მიღებას თან მოჰყვა სამთავრობო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს მომუშავე პროფესორები გადაყვანილ უნდა ყოფილიყვნენ სრულ პროფესორებად, ხოლო

დოცენტები – ასოცირებულ პროფესორებად. ამ დადგენილების მიღებიდან მალე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაშინდელმა მინისტრმა ლომაიამ დანაშაულებრივად, როგორც ჩანს, ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, დაარღვია მისი ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს დაავალა გამოეცხადებინათ აკადემიური პერსონალის. „საყოველთაო“ კონკურსი. ამასთან, საკონკურსო ადგილების რაოდენობა, ფაქტობრივად, განსაზღვრა არა თვით უმაღლესმა სასწავლებლებმა, არამედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. ყოველივე ამის მიზანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მაქსიმალურად ჩამოეცილებინათ ის მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და მაღალი ავტორიტეტის მქონე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც, მათი გაგებით, არ იზიარებდნენ მაშინდელ მათ შეხედულებებს და არ იყვნენ ადვილად მართვადი ხელისუფლების მხრიდან. მთავარი დარტყმა განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რამდენადაც მიაჩნდათ, რომ ქვეყნის მთავარი უმაღლესი სასწავლებლის-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისმიერი დაჩოქებით, დააშინებდნენ საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და მათს დაუკარგავდნენ ამ უკანასკნელთ წინააღმდეგობა გაენიათ ხელისუფლებისათვის უმაღლესი განათლების სისტემაში მათ დამანგრეველ ქმედებებზე. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბევრი წამყვანი და ცნობილი მეცნიერ-პედაგოგის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელსაც აქტიურად მხარი არ დაუჭირა არა თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლების, არამედ საკუთრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა (რომელთა უმრავლესობა შინაგანად მხარს უჭერდა ე. წ. მეამბოხე პროფესორებს, მაგრამ აქტიურობის ემინოდათ, ხელი რომ არ შეშლოდათ მომავალ საკონკურსო არჩევნებში), ხელისუფლებამ თავისი გაიტანა, რომლითაც გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ამ წამყვანი უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პოტენციალს. ახალი არჩევნების შედეგად, პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა რიგ ფაკულტეტზე შემცირდა 4-5 ჯერ და მეტად. უნივერსიტეტის მიღმა დარჩა ბევრი ცნობილი სასიქადულო მეცნიერი და პედაგოგი, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები.¹ განადგურდა ფაკულტეტებ-

1 ჩვენ ამ ფაქტის მოტანით, სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ აკადემიური პერსონალის ზემოაღნიშულ კონკურსებში აკადემიურ თანამდებობებზე აირჩიეს არაერთი ღირსეული პიროვნება. აქ მხოლოდ ხაზს ვუსმავთ იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან აკადემიური პერსონალის გამიზნულმა მეტისმეტმა შემცირებამ და საკონკურსო კომისიების მუშაობაში „კუდის“ უკანონო ჩარევებმა გამოიწვია იმ განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური და ღირსეული მეცნიერ-პედაგოგების უნივერსიტეტიდან განთესვა, რომლებიც, მაგანთა აზრით, ხელისუფლების მხრიდან არამართვადი იყვნენ.

ზე არსებული მდიდარი წიგნადი ფონდები და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, დაიხურა ცნობილი სამეცნიერო ცენტრები, გაუქმდა ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და აღმზრდელობითი ობიექტები, როგორცაა: რუსთაველის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა კაბინეტები და ა. შ.

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად დამთავრდა ნაციონალების ავადსახსენებელი ბატონობა საქართველოში. ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი ქართული ოცნების კოალიცია. ახალმა ხელისუფლებამ მათ მიერ ქართველი ხალხისთვის მიცემული დაპირებებიდან ბევრი რამ სასიკეთო გააკეთა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის, რაც გაკეთდა ჯერ კიდევ შორსაა იმისგან, რასაც საზოგადოება მოელოდა და რისი ვაკეთების პირობასაც იძლეოდა ხელისუფლებაში მოსვლამდე კოალიცია „ქართული ოცნება“. ამას მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, რომლებზედაც ჩვენ აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, ნებისთ თუ უნებლიედ, ვერ მოახერხა ნაციონალების მიერ შემოღებული ქვეყნის მართვის მანკიერი სისტემის შეცვლა. ყოველივე ეს მთლიანად ეხება საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების სისტემასაც. მართალია, დღევანდელმა ხელისუფლებამ ბოლო წლებში განახორციელა უმაღლესი განათლების მართვის მიმართულებით რამდენიმე პროგრესული ცვლილება, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, იგი ჯერ კიდევ შორსაა იმ დაპირებებისაგან, რომელსაც იგი იძლეოდა ხელისუფლებაში მოსვლამდე. სამწუხაროდ, საქართველოში უმაღლესი განათლება ჯერ კიდევ ძირითადად იმართება ნაციონალების მიერ მიღებული იმ კანონით, რომელმაც ძლიერ დააზარალა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი დარგები, როგორცაა განათლება და მეცნიერება და, რომელსაც ახლო წარსულში მწვავედ აკრიტიკებდა დღევანდელ კანონის ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა.

უმაღლესი განათლების შესახებ კრიტიკული ანალიზი და მასში ცვლილების ძირითადი მიმართულებები

უმაღლესი განათლების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია გაუქმდეს საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონი უმაღლესი განათლების შესახებ და მიღებულ იქნეს ახალი, რომელიც იქნება სამართლიანი და დემოკრატიული და უკეთ გაითვალისწინებს სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას უმაღლესი განათლების განვითარებისა და მართვის სფეროში.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რატომაა აუცილებელი საქართველოში ამჟამად მოქმედი უმაღლესი განათლების შესახებ კანონის გაუქმება და

ახლის მიღება, საჭიროდ ჩავთვალოთ გავაანალიზოთ მისი (ამ კანონის) ზოგერთი ნაწილი და, რამდენადაც მოვახერხებთ, ვაჩვენოთ მისი კონკრეტული ნაკლოვანებანი და მათი გამოსწორების გზები. ცხადია, ჩვენ ამ კანონის სრულ ანალიზსა და და მისი ყველა დებულების აკკარგიანობის დადგენაზე პრეტენზია არ გვაქვს.

ზემოაღნიშნულ კანონზე ჩვენ მიერ გამოთქმული შენიშვნები და შესაბამისი წინადადებები ძირითადად დალაგებულია იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაცაა აგებული მოცემული კანონი. ესენია:

1) კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია (სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური [1]. იქვე, კანონის ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მოცემული მუხლის მიმართ გვაქვს შემდეგი სახის შენიშვნები:

ა) ჩვენი აზრით, ზედმეტად გართულებულია საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სქემა. თუ ამ სქემას კარგად დავეკვირდებით, შევამჩნევთ, რომ იგი დაახლოებით მიმსგავსებულია სახელმწიფოს მართვის სქემასთან. უხეში შედარებით რომ ვთქვათ, აქ მთავრობის ფუნქციას ასრულებს აკადემიური საბჭო, ხოლო პარლამენტის ფუნქციას-წარმომადგენლობითი საბჭო. ამასთან, ვფიქრობთ, რომ ამ საბჭოების არსისა და ფუნქციების განმარტებაში გარკვეული უზუსტობებია. მაგალითად, კანონის მე-20 მუხლის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო. ამავე კანონის მე-17 მუხლის 1-ლ პუნქტში კი ვკითხულობთ, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭო“ [1]. გამოდის, რომ დასახელებული საბჭოები ორივე წარმომადგენლობითია, რომელთაგან ერთი (აკადემიური საბჭო) უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, ხოლო მეორე (წარმომადგენლობითი საბჭო) – რიგითი. თუ ეს ასეა, მაშინ რა საჭიროა და რა ლოგიკითაა გამართლებული, რომ აკადემიური საბჭოს უმეტეს გადაწყვეტილებებს ამტკიცებს მასზე ქვემდგომი წარმომადგენლობითი საბჭო. გარდა ზემოაღნიშნულისა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ორი წარმომადგენლობითი საბჭოს არსებობა და ფუნქციონირება დაკავშირებულია ისეთ უარყოფით შედეგებთან, როგორიცაა: მართვის ფუნქციების გაუმართლებელი დანაწევრება და, აქედან გამომდინარე, მართვის უნარის მქონე ინტელექტუალური რესურსების დაქსასვა; მატერიალური და ფინანსური რესურსების ზედმეტი დანახარჯები, რაც დაკავშირებულია ორი საბჭოს ფუნქციონირების გამო შტატების ზრდასთან, გაზრდი-

ლი შტატისათვის ოფისების მონყობასა და მათ შენახვასთან, საბჭოების შემადგენლობის არჩევნებთან დაკავშირებულ დანახარჯებთან და ა.შ.

ვფიქრობთ, საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანი მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო მართებული იქნება ამჟამად არსებული ორი საბჭოს მაგიერ ფუნქციონირებდეს ერთი წარმომადგენლობითი საბჭო და მას ეწოდოს არა აკადემიური, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭო, როგორც ამას, სავსებით სამართლიანად, ადგილი აქვს ფაკულტეტის შემთხვევაში. მისი თავმჯდომარე იქნება დაწესებულების რექტორი. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში ახლებურად უნდა განისაზღვროს დაწესებულების საბჭოს ფუნქციები და მისი დაკომპლექტების წესი. ეს უკანასკნელი უნდა იყოს ისეთი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დაკომპლექტებას აკადემიური პერსონალის ყველაზე ღირსეული და აქტიური წარმომადგენლებით. სასურველია, საბჭოს წევრთა რაოდენობა იყოს რაც შეიძლება ოპტიმალური (არც ძალიან პატარა, როგორც ახლათ და არც ძალიან დიდი), ჩვენი შეხედულებით, 50 წევრის ფარგლებში. თითოეული ფაკულტეტიდან ამ საბჭოში შემავალ წევრთა რაოდენობა, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს ფაკულტეტის სიდიდიდან (სტუდენტობა და აკადემიური პერსონალი) გამომდინარე. ასეთი საბჭოს ხელში თავმოყრილი იქნება დაწესებულების მართვის ყველა საკითხი. მას ეყოლება ერთი ხელმძღვანელი. ექნება მართვის ერთი სტრატეგია და შეეძლება კომპეტენტური გადანყვეტილებების მიღება. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულება განთავისუფლდება იმ ზედმეტი დანახარჯებისაგან, რაც დაკავშირებულია ორი საბჭოს არსებობასთან;

ბ) ზედმეტად მიგვაჩნია, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ცალკე ორგანოდ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გამოყოფა. უმაღლესი განათლების შესახებ მოქმედი კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროებში და წარმომადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ერთიერთობებში. ვფიქრობთ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი, როგორიცაა: ფინანსური, მატერიალური და ადამიანური, უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ რექტორი. რაც შეეხება ზემოაღნიშნული სფეროების ყოველდღიურ ოპერატიულ მართვას, მას უნდა ახორციელებდეს შესაბამისი სამსახურები, რაც, ფაქტობრივად, ასეც ხდება;

გ) ვფიქრობთ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე ფაკულტეტების მართვის ორგანოებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეყვანა არაა გამართლებული. ამით სრულიადაც არ დაკნინდება ამ სამსახურის მნიშვნელობა. მართალია, უმაღლეს სასწავლებლებში იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამსახურია, მაგრამ ის თავისი თავისა და, საგან-

მანათლებლო დანასებულების შემთხვევაში, ნაწილობრივ ფაკულტეტების შესაბამისი სამსახურების გარდა, არავის მართავს. ფაკულტეტის შემთხვევაში კი იგი მართავს მხოლოდ თავის მცირერიცხოვან, 2-3 ადამიანისაგან შემდგარ კოლექტივს. მიგვაჩნია, რომ ამა თუ იმ სამსახურის მართვის ორგანოებში ჩართვა უნდა ხდებოდეს არა მისი მნიშვნელობიდან, არამედ მხოლოდ მისი ფუნქციიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი დარჩება რატომ არაა ჩართული ამ (მართვის) ორგანოებში სხვა ისეთი მნიშვნელოვანი სამსახურები, როგორცაა: პერსონალის (ადამიანური რესურსების) მართვის, საფინანსოს და სხვ.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გათვალისწინების შემთხვევაში, უმაღლესი განათლების შესახებ ამჟამად მოქმედი კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): დაწესებულების საბჭო, რექტორი. ანალოგიური ცვლილება უნდა მოხდეს ფაკულტეტის მიმართაც.

ცხადია, ზემოაღნიშნული შემოთავაზებების მიღების შემთხვევაში, საჭირო გახდება საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არსისა და ფუნქციების ახლებური განსაზღვრა.;

2) უმაღლესი განათლების შესახებ მოქმედი კანონის მე-16 მუხლის სათაურია – „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები“. სინამდვილეში ამ მუხლში 5 პუნქტად ჩამოყალიბებულია, თუ რას უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ვფიქრობ, უმჯობესია ამ მუხლის განსხვავებული რედაქციით ჩამოყალიბება. მაგალითად, მოცემული მუხლის „ე“ პუნქტში ჩამოყალიბებული ფრაზა, რომ იგი უზრუნველყოფს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას“ [1] შეიცვალოს ფრაზით: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსების საჯაროობა“;

3) მოცემული კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია, რომ ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) სტრუქტურული ერთეულები. მოცემულ მუხლში და არც შემდგომ არაა განსაზღვრული დასახელებული სტრუქტურული ერთეულების სტატუსი და არც რაიმე ჩანაწერია, რომ იგი განსაზღვროს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ან ფაკულტეტმა. ყოველივე აღნიშნული იწვევს ერთგვარ გაუგებრობას. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ხშირად ერთ და იგივემთავს კი, არაა ერთიანი მიდგომა ფაკულტეტის დასახელებული სტრუქტურებისადმი. მაგალითად, ზოგიერთ ფაკულტეტზე ძირითად სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულად მიჩნეულია კათედრა, ზოგი-

ერთზე კი – დეპოოროტოემენტი, აროო ერთიონი მიდგომო მის არსსო დო ფუნქციებზე დო ა. შ. ვფიქრობ, კოორგი იქნებო, თუ კანონით გონისოზღვრებო ფოკულოტეტიშ ძირითოდი სტრუქტურული ერთეულებიშ, კოთედრის მიონც, სტოტუსი. აუცილებლოდ მიგვოჩნოო კოთედრის გოდაქცევა ფოკულოტეტიშ ერთ-ერთ მოთოვოო სტრუქტურულ ერთეულოდ, როგოოოც ეს იყო არც ისე შოოოეულ წოოოსულში. თუ ეს ასე მოხდებო, სოსურველიო კოთედოოო აქტიუროდ მონონილოებდეს იმ აკოდემიური შერსონოლის შერჩევოში, რომლოებიც სურვილს გომოთქვომენ იმუშოონ მოცემულ კონკრეტულ კოთედოოოზე;

4) კანონიშ 29-ე მუხლიშ მე-2 პუნქტიშ თოვდოპირველი ვოოიონტიშ მიხედვით, ფოკულოტეტიშ დეკონიშ თონომდებობოზე შეიძლებოოოო არჩეულიყო ასოციოირებული ან სრული შოოოფესოოოი, მიუხედოვოდ იმისო, დეკონოდ ასოოჩევი კონდიდოტი მუშოობდო თუ არო მოცემულ ფოკულოტეტიზე ან, თუნდოც, იმ სოგონონოთლებლო დონესებულებოში, რომელშიოც შედის მოცემული ფოკულოტეტი. მოგვიონებოთ, ეს ხოოოვებო ნონილოობრივ გომოსწოოოდო დო ამუომოდ იგი მიწოდობილი აქვს უმოდლეს სოგონონოთლებლო დონესებულებოს. მოგოლითოდ, ივ. ჯოვოიშვილიშ სოხელობიშ თბილისიშ სოხელმწიფო უნივერსიტეტიშ წესდებოში მოთითებულიო, რომ დეკონიშ თონომდებობოზე შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტიშ ფოკულოტეტიშ შოოოფესოოოი, ხოლო დეკონიშ მოოდგილედ უნივერსიტეტიშ კონკრეტული ფოკულოტეტიშ შოოოფესოოოი. ვფიქრობ, სოსურველიო დეკონობიშ კონდიდოტისოთვის მისი ამ თონომდებობოზე არჩევისოთვის აუცილებელ შიოოობოდ დოფიქსირდეს კონკრეტული ფოკულოტეტიშ წევოობო, ისე როგოოოც ეს, სოვსებოთ სომოოოოლიონოდ, დეკონიშ მოოდგილიშ თონომდებობიშ დოკოვებიშ მიმოოოთოო დოდგენილი. ჩვენი გოგებოთ, ისეთი ფოკულოტეტი, რომელიც თოვის რიგებოდან ვერ შეოოჩევს დეკონს, არ უნდო არსებობდეს, იგი უნდო გოქმდეს;

5) კანონიშ 30-ე მუხლიშ დოსოხელებოო – „სოდისტეროტოციო სობჭო“. ამ მუხლიშ 1-ლი პუნქტიშ მიხედვით, სოდისტეროტოციო სობჭო არის დოქტოოიშ აკოდემიური ხოოისხიშ მიმნიჭებელი ოოოგონო, რომელიც იქმნებო ფოკულოტეტიზე. მოცემული კანონიშ მიხედვით, უქმდება მის (ამ კანონიშ) მიღებომდე ქვეყონში არსებული სომეცნიერო ხოოისხები დო წოდებები. როგოოოც უკვე აღნიშნული იყო, მონომდე არსებული მეცნიერებოთო კონდიდოტის ხოოისხი გოუოოლოდო დოქტოოიშ აკოდემიურ ხოოისხს, რომელსოც ანიჭებენ სტუდენტს სწოვლებიშ მესომე სოფეხურის დომოთოვრებისო დო შესობომისი დისეროტოციის დოცვის შემთხვევოში. მეცნიერებოთო დოქტოოიშ ხოოისხიშ ცნებო კი – აკოდემიური დო სომეცნიერო არენიდან გოქოოო. დოდგინდო, რომ მომოვოოლში მეცნიერებოში მიღწეული შედეგებისოთვის სომეცნიერო ხოოიხების მინიჭებო არ მოხდებო. ამდენოდ, ცნებები: „მეცნიერებოთო ხოოისხი“ დო „მეცნიერებოთო წოდებო“, ისტოოიოს ჩობოოდო. ჩვენი მოსოზრებოთ, ასეთი ქმედებო, როგოოოც უკვე აღინიშნო, სრულიოდ გოუმოოოთლებელიო. აროვის არ უნდო შქონდეს უფლებო, მოთ შოოოიშ კანონიშ მიმღებ შოოოომენტსოც, სომეცნიერო ხოოისხი გოუოოოლოს აკოდემიურ ხოოისხს. მოთ შო-

რის ხომ არსებითი შინაარსობრივი განსხვავებაა. აკადემიურ ხარისხს იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო სწავლების მესამე საფეხურის სტუდენტები მისი წარმატებით დამთავრების შედეგად, ხოლო სამეცნიერო ხარისხს იღებდნენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც თავიანთ ერთ-ერთ ძირითად პროფესიად აქცევდნენ მეცნიერულ მუშაობას, შექმნიდნენ სოლიდური ფასელობის მეცნიერულ პროდუქციას და წარმატებით დაიცავდნენ მათ მიერ შესრულებულ სამეცნიერო დისერტაციას, რომელიც აკმაყოფილებდა მისდამი წაყენებულ მაღალ მეცნიერულ სტანდარტებს. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებას, როგორც წესი, სჭირდებოდა მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომა და, რაც მთავარია, მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო განსაკუთრებული ნიჭის ფლობა. ცხადია, ისე როგორც ნებისმიერი ვერ გახდება კარგი მომღერალი, თუ მას არ აქვს ამის ბუნებრივი მონაცემი, ისე ყველა, ვისაც ამის სურვილი აქვს, ვერ გახდება მეცნიერი, თუ მას არ გააჩნია ამისათვის საჭირო ბუნებრივი მონაცემები.

მეცნიერებისადმი ასეთმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ თავისი უარყოფითი დალი დაასვა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას. აშკარად შემცირდა ადამიანების მოტივაცია – გახდნენ მეცნიერები. ბევრს ჰგონია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მესამე საფეხურის დამთავრების შედეგად აკადემიური დოქტორის ხარისხის მოპოვებით ისინი უკვე მეცნიერების უმაღლეს საფეხურზე არიან. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ილუზია გამოიწვია უმაღლესი განათლების ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით, დოქტორის აკადემიურ ხარისხთან მანამდე მოპოვებული სამეცნიერო ხარისხების ფაქტობრივმა გათანაბრებამ და შემდგომში ამ ცნებების (მეცნიერებათა ხარისხების) გაქრობამ. ეს კი, სამწუხაროდ, მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი მოვლენაა. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სამეცნიერო ხარისხების მინიჭების მანამდე არსებული სისტემა ხელს უწყობდა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას, რამდენადაც იგი უზრუნველყოფდა თითოეული დაინტერესებული პიროვნების მაღალ მოტივაციას თავისი მეცნიერული დონის ამაღლებაში.

მეცნიერების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდეს სათანადო ცვლილება, რომელიც დაგვიანებით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს ზემოაღნიშნულ ხარვეზს. სახელდობრ: დამატებით შემოღებულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რომლის მოპოვება შეეძლება პირებს, რომლებიც ფლობენ აკადემიური დოქტორის ან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დაცვის შემთხვევაში. კომპეტენტური ორგანოებისა და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავდეს დებულება (ინსტრუქცია) სამეცნიერო ხარისხების მინიჭების, შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და მისი მუშაობის წესის შესახებ. იმის გამო, რომ აღნიშნული ცვლილების გატარების შემთხვევაში გვექნება ში-

ნაარსობრივად განსხვავებული ორი სადისერტაციო საბჭო, მიზანშეწონილია ერთს ეწოდოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი (როგორც ახლაა), ხოლო მეორეს – დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭო. პირველი იფუნქციონირებს სწავლების მესამე საფეხურის მქონე ყველა ფაკულტეტზე, როგორც ამას ახლაც აქვს ადგილი, ხოლო მეორე შეიქმნება სათანადო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, მეცნიერების შესაბამის დარგებში მათში მომუშავე მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების რაოდენობის გათვალისწინებით. ცხადია, ყველა ფაკულტეტზე დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს ფორმირება ვერ მოხდება;

6) დოქტორის სამეცნიერო ხარისხის შემოღებასთან ერთად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესორის სამეცნიერო წოდების¹ შემოღება, რომლის მიღების უფლება ექნება პიროვნებას, რომელსაც დაცული აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ წინადადების გაზიარების შემთხვევაში საჭიროა შემუშავდეს და სათანადოდ დამტკიცდეს სპეციალური დებულება (ინსტრუქცია) სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ. ჩვენი აზრით, პროფესორის სამეცნიერო წოდების მინიჭება უნდა ხდებოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხოლო მისი დამტკიცება – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროფესორის სამეცნიერო წოდების შემოღება მნიშვნელოვნად აამაღლებს მოტივაციას – მოიპოვონ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამეცნიერო მუშაობის გაღრმავება-გათვართობასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას;

7) შენიშვნა გვაქვს საგანმანათლებლო სწავლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის დაკომპლექტების ამჟამად დამკვიდრებული პრაქტიკის მიმართ. ჩვენი აზრით, დასახვეწია დოქტორანტურაში მიღების არსებული წესი. ამჟამად დოქტორანტურაში შემსვლელები მისაღებ გამოცდას აბარებენ მხოლოდ უცხო ენაში, ხოლო სპეციალობაში ტარდება გასაუბრება, ამ მიზნით გამოყოფილ სპეციალურ კომისიასთან. ვფიქრობ, დოქტორანტურის ღირსეული კონტინგენტით დაკომპლექტების მიზნით, აუცილებელია მათთვის (დოქტორანტურაში შემსვლელთათვის) სპეციალობაში მისაღები გამოცდის დაწესება. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ დოქტორანტთა კონტინგენტის რაოდენობის დადგენას. იგი დღეს მეტისმეტად გაბერილია, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს დოქტორანტების შერჩევისა და მათი მომზადების ხარისხზე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მომავალი დოქტორების რაციონალური დასაქმების შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა ვერ აიცილებს დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადების სიჭარბესა და ამ (დოქტორის აკადემიური

1 პროფესორის სამეცნიერო წოდების მფლობელი პიროვნება პროფესორის ტიტულის მატარებელია მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი პროფესორად რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ხარისხის) ტიტულის პრესტიჟის დაცემას. ამასთან ერთად, ვფიქრობ, აკადემიური დოქტორების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ და იგი უფრო აქტიურად ჩაერთოს დოქტორანტურის მისაღები კონტინგენტის განსაზღვრაში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული უმაღლესი სასწავლებლის როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ისე მეცნიერების კონკრეტულ დარგში მომუშავე პროფესორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა, აგრეთვე, ქვეყნის შრომის ბაზრის მოთხოვნილება.

აკადემიური დოქტორების მომზადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია ყოველივე ზემოაღნიშნული ცალკე პუნქტად აისახოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამის მუხლში;

8) გარკვეული შენიშვნები გვაქვს ფაკულტეტებზე ამჟამად მოქმედი დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოების ფორმირებისა და მუშაობის წესის მიმართ. ახლა მოქმედი წესის მიხედვით, სადისერტაციო საბჭოს წევრებია აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრთა რაოდენობა ზოგიერთ ფაკულტეტზე 100-საც კი აჭარბებს. ცხადია, ასეთი მოცულობის საბჭო ნაკლებობერატიულია. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი დისერტაციის უშუალო დაცვა ამჟამად ხდება არა საბჭოს მთელი შემადგენლობის წინაშე, არამედ საბჭოს მიერ თავისი შემადგენლობიდან გამოყოფილი მცირე ჯგუფის წინაშე. წარმოდგენილი დისერტაციის უშუალო დაცვის შემდეგ საბჭოს წევრები კენჭს უყრიან აკადემიური ხარისხის მიანიჭებაზე ისე, რომ მათ უმეტესობას წარმოდგენა არ აქვთ სადისერტაციო ნაშრომის არც ღირსებაზე და არც იმაზე, თუ როგორი წარმატებით დაიცვა დისერტანტმა მის მიერ წარმოდგენილი დისერტაცია. ისინი ეყრდნობიან მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარის მოკლე ინფორმაციას ამის შესახებ. ფაქტობრივად, აღნიშნული პროცედურა წმინდა ფორმალური ხასიათისაა. მოცემულ შემთხვევაში საბჭოს წევრთა უმრავლესობა წლების განმავლობაში, ზოგიერთი კი საერთოდაც, არ მონაწილეობს დისერტაციის უშუალო დაცვის პროცედურაში, რამდენადაც არც ერთხელ არ ხვდება ამ მიზნით საბჭოს მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიაში. დასახელებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება შესაძლებელია სხვადასხვა გზით. ერთერთ ასეთ გზად გვესახება შემდეგი: ფაკულტეტზე წამყვანი პროფესორებისაგან შეიქმნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საკორდინაციო საბჭო დაახლოებით 10-15 კაცის შემადგელობით,¹ რომელშიაც შევლენ დოქტორის

1 აღნიშნული შემოთავაზება არაა სიახლე. ამ პრინციპით მუშაობდა საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოები XX საუკუნის ბოლო წლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული მოდულების წარმომადგენლები და რომლებიც თავისი შემადგელობიდან აირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს. საბჭოსთან შეიქმნას 5-7-კაციანი ჯგუფები დოქტორის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების მიხედვით. კონკრეტული დისერტაციის დასაცავად საკოორდინაციო საბჭო შექმნის ერთჯერად სადისერტაციო საბჭოს, რომელშიაც შევლენ საკოორდინაციო საბჭოში შემავალი შესაბამისი მოდულის ჯგუფის წევრები და მონათესავე პროფილიდან საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სპეციალისტები. ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მისი (საბჭოს) წესდებით (სავარაუდოდ 10-15 კაცის შემადგენლობით). ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს გადანყვეტილების საბოლოო დამტკიცება მოხდეს ფაკულტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საკოორდინაციო საბჭოს მიერ. ასეთი პრინციპით შექმნილი სადისერტაციო საბჭოები განიტვირთება დღეს არსებული ზედმეტი ფორმალიზმისაგან და იქნება უფრო კომპეტენტური, ოპერატიული და მოქნილი წარმონაქმნი;

9) შენიშვნები გვაქვს კანონის მე-5 თავის მიმართ, რომელიც ეხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს. მოკლედ ზოგიერთი მათგანის შესახებ:

ა) კანონის 33-ე მუხლში მითითებულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი). მე-40 მუხლის მე-3 პუნქტში კი ვკითხულობთ, რომ მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. საკითხავია – რატომ არ უნდა შედიოდეს მასწავლებლები აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში? მათი ფუნქცია იმავე მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სტუდენტობასთან ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა, როგორცაა: სასემინარო, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების გაძღოლა. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება ამ კანონის შესაბამის მუხლში ჩაინეროს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და მასწავლებლებისაგან, ან, იქედან გამომდინარე, რომ სიტყვა „პროფესორი“ (professor) ლათინური წარმოშობისაა და ქართულად ნიშნავს მასწავლებელს, ზემოხსენებულ 33-ე მუხლში ჩაინეროს, რომ პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი. ერთ-ერთი ვარიანტია ისიცა, რომ დავუბრუნდეთ აკადემიური პერსონალის შემადგენლობის ძველ ჩამონათვალს: „პროფესორი, დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, ასისტენტი“. შეიძლება ზოგიერთს სიტყვა „დოცენტი“ ეხამუშება და ჰგონია, რომ იგი კომუნისტური ეპოქის გადმონაშთია. ეს ასე არაა. სიტყვა „დოცენტი“, უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს უმაღლესი სკოლის თანამდებობას ან ნოდებას (პროფესორზე დაბალი და ასისტენტზე მაღალი). იგივე ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „asistentic“ ლათინუ-

რი წარმოშობისაა და ნიშნავს დამხმარეს, პროფესორის თანამშემწეს ლექციის კითხვისას, უმაღლეს სასწავლებლებში უმცროს თანამშრომელს, რომელიც მუშაობს პროფესორის ან დოცენტის ხელმძღვანელობით [4, გვ. 41];

ბ) კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი. მოგვიანებით, უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ უფლება თვითონ გადაწყვიტონ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დართონ თუ არა უფლება 65 წელს მიღწეულ პიროვნებებს მონაწილეობა მიიღონ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში ასაკობრივი ცენზის დანესება არაა გამართლებული, მითუმეტეს, დღეს, ფაქტობრივად, იგი არ მუშაობს. რატომ არაა გამართლებული მოცემულ შემთხვევაში ასაკობრივი ცენზის დანესება – ამის მტკიცებას ჩვენ აქ არ შევუდგებით;

გ) 2011 წლამდე უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, ემერიტუსის წოდების მქონე პირის ემერიტუსის წოდების მინიჭებამდე არსებული ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ოდენობებს შორის განსხვავებას ფარავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თავდაპირველად ამ კანონის ზემოაღნიშნული დებულებები ვრცელდებოდა ყველა რანგის პროფესორზე. შემდგომ, კანონის მიღებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, შეიცვალა იგი და მიიღო ის სახე, რომლის შესახებაც ზემოთაა მსჯელობა.

2011 წელს მოცემული კანონის აღნიშნულ მუხლში შევიდა ცვლილება და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა უფლება მეცნიერს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს ემერიტუსის წოდება. ნიშანდობლივია, რომ ამ ცვლილების მიხედვით, ემერიტუსის წოდების მინიჭებისათვის აუცილებელი პირობაა არა ის, რომ ემერიტუსის მინიჭების მომენტში პიროვნებას ეკავოს პროფესორის თანამდებობა, არამედ მას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული დამსახურება უმაღლესი სასწავლებლის წინაშე. ამავე მუხლის მიხედვით, ემერიტუსის მინიჭების წესი და პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. კანონში აღნიშნული ცვლილება სამართლიანობისაკენ წინგადადგმული ერთგვარი ნაბიჯია, თუ მას გონივრულად გამოიყენებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არაა. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წელს მიღებული წესდების შესაბამისად, ემერიტუსის წოდება მიენიჭება პირს, რომელიც შესაბამისი განცხადების გაკეთების მომენტისათვის: ა) არის 65 ან მეტი ასაკის; ბ) უკავია პროფესორის თანამდებობა; გ) ორჯერ მაინც იყო არჩეული უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე; დ) აქვს თსუ-ში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშა-

ობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება [2, მუხლი 32, მე-3 პუნქტი]. როგორც ვხედავთ, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. თსუ-ში ემერიტუსის მინიჭების იგივე წესი დარჩა, როგორც იყო ხუბუას რექტორობისას. აღნიშნული წესდება საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია 2013 წლის 11 სექტემბერს. როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული წესდების პროექტი შემუშავებულია და თსუ-დან სამინისტროში წარგენილია ნაციონალების ერთგული ძველი რექტორის მოღვაწეობისას და მან გაიმეორა ის, რაც კანონის ძველ ვარიანტში იყო (ახალი ხელმძღვანელობა, ჩვენი ღრმა რწმენით, სხვაგვარად მოიქცეოდა). იბადება კითხვა – რა დააშავა პიროვნებამ, რომელსაც 65 წლის ასაკის მიღწევამდე რამდენიმეჯერ, ვთქვათ 4-5 ჯერ იყო არჩეული მოცემული უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე, აქვს მნიშვნელოვანი დამსახურება უნივერსიტეტის წინაშე და 65 წლის ასაკის მიღწევისას იგივე უნივერსიტეტში მუშაობს ასოცირებულ პროფესორად ან სხვა თანამდებობაზე. ასეთები შეიძლება ერთეულებია, მაგრამ, საბედნიეროდ, ისინი არსებობენ და მათდამი უყურადღებობა, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად უსამართლოა. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ თსუ-ის დღევანდელი წესდების მიერ ფორმულირებული ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი წინააღმდეგობაშია უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან შემდეგ გარემოებათა გამო: ა) ამ კანონში არსად არაა მითითებული, რომ პირს, რომელსაც ენიჭება ემერიტუსის წოდება, პენსიაზე გასვლის მომენტში აუცილებლად უნდა ეკავოს პროფესორის თანამდებობა; ბ) კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ ემერიტუსის წოდება ენიჭება მეცნიერს გასაკუთრებული დამსახურებისათვის. მეექვსეა, რომ პროფესორად 2-ჯერ არჩევა ავტომატურად ნიშნავდეს, რომ ყველა ასეთ პიროვნებას განსაკუთრებული დამსახურება აქვს უნივერსიტეტის წინაშე. სხვათაშორის, ემერიტუსის წოდების მინიჭების წესის თაობაზე უფრო გამართული და სამართლიანი ფორმულირებაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში. აქ ეს წესი ფორმულირებულია ასე: „ემერიტუსის წოდება შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირს, რომელიც უნივერსიტეტში ეწევა ნაყოფიერ სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას [3, მუხლი 33, მე-5 პუნქტი]. ემერიტუსის წოდების მინიჭების წესის ასეთი სახით ფორმულირება უფრო შესაბამეა ამ საკითხის მიმართ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამის მუხლს. იგი უფრო სამართლიანი და მოქნილია და საშუალებას იძლევა ემერიტუსის წოდება მიენიჭოს მას, ვინც ეს უფრო დაიმსახურა უნივერსიტეტში თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ემერიტუსის წოდების მინიჭებისა და პროფესორთა მატერიალური უზრუნველყოფის არსებული სისტემა მოითხოვს გადახედვას, რათა იგი გახდეს უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი;

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიმართ გვაქვს სხვა შენიშვნებიც, რომლებსაც ამჯერად არ შევხებით.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების სრულყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს და ქვეყნის პარლამენტმა მიიღოს უმაღლესი განათლების შესახებ ახალი კანონი. ცხადია, მას წინ უნდა უძღოდეს მისაღები კანონის პროექტის საჯარო განხილვა, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, [http: matsne. Gov.ge](http://matsne.Gov.ge);
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება;
4. ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973.
5. Some Views about the Georgian Law on Higher Education

Some Views about the Georgian Law on Higher Education

Nugzar Paichadze

*Associate Professor, Doctor of Economic Sciences,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
nugzarpaichadze@mail. ru*

As a result of the Parliamentary elections held on October 1st, 2012 the „Georgian Dream” Coalition supported by the majority of population came to power of the country. The new authorities did many good things out of the promises given to society, but unfortunately, what was done is still far from those expectations the society waited for and the promises made by the coalition of „Georgian Dream” before coming to power. Today’s government voluntarily or involuntarily didn’t manage to change the vicious system of country’s governing introduced by the United National Movement. All of this entirely touched the higher education system in Georgia. Unfortunately, higher education in Georgia is still administered by the law passed by the „Nationals” that immensely damaged

education and science and, which in the near past was blasted by the political forces being today in power.

Proceeding from the higher education interests we consider it necessary to abolish the current law on higher education in Georgia and adopt a new, which will be fair and democratic and will better take into account national and international experience in higher education development and management sphere. Briefly about some of them:

1) According to the article 15, paragraph 2, the governing bodies of higher educational institutions are: the Academic Council, Senate, Rector, Head of Administration and Quality Assurance Service. According to the same article, paragraph 3, the governing bodies of faculty are: the Council of Faculty, Dean, and Faculty Quality Assurance Service. We have the following remarks on the given article:

a) It seems that educational institution's management scheme is too complicated. According to this law, the management body includes 2 Senates, one of which (academic council) is the highest representative body, while the other (representative body) - ordinary. If this is so, then why it is needed and by what logic it is justified that most of the decisions made by the Academic Council are approved by the Senate which is a subordinate body. In addition to the above noted, the existence and operation of two senates are related to such negative consequences, as: unjustified division of management functions and, therefore, scattering of intellectual resources having management capability; extra costs of material and financial resources that is associated with the increase of staff due to two senates functioning, increased staff offices and their maintenance, expenses related to the election of the councils' makeup, etc.

Coming out from the interests of educational institution's effective management it is recommended that instead of the current two senates function one senate and be called not academic, but the senate of educational institution;

b) We consider it also unnecessary that the chief of administration is presented as a separate organ of the management of educational institution. In our view, the chief administrative manager of human, material and financial resources should be only the Rector and not someone else;

c) I think that inclusion of Quality Assurance Service in higher educational institutions as well as faculty management organs is not justified. It administers nobody, excepting the relevant service of faculty in case of educational institution. At faculty it administers only 2-3 employees of its staff;

2) The title of Article 16 of the current Law on Higher Education is "Higher Educational Institution's Management Principles." In fact, 5 paragraphs formulated in this Article discuss what is provided by higher educational institution. I think, it is better for this article to be formulated in different wording;

3) The name of the 30th article of the law is „Dissertation Council.” According to the first paragraph of this article, the dissertation council is the organ conferring doctoral academic degree which is set by the faculty. According to the given law, scientific

degrees and titles existing in the country were abolished before adopting this law that is completely unjustified. Such nihilistic attitude towards science has negatively impacted on the development of science in the country. The motivation of people to become scientists – decreased significantly. Many people think that after completion of the third cycle of educational program and gaining academic doctoral degree they are at the highest level in science. We firmly believe that this illusion is caused by the current law on higher education, according to which scientific degrees existing previously actually equated to the doctor's academic degrees.

Proceeding from the interests of science development, it is appropriate to make relevant amendments to the law of higher education which belatedly, but at least partially will rectify the above mentioned flaw. Namely: additionally it should be introduced doctoral scientific degree, which can be obtained by persons holding an academic doctoral degree or a candidate degree of sciences in case of successful defense of dissertation thesis. Since after making the noted changes there will be essentially two different dissertation defence boards, it is appropriate to call one of them doctoral academic degree conferring board (as it is at present), while the other – doctoral scientific degree conferring board. The first will function at all faculties having a third level of teaching and the other will be set up relevant higher educational and scientific institutions, in relevant fields of science considering the number of highly qualified scientific personnel employed in them;

4) Along with the introduction of the scientific degree, it is appropriate to introduce the rank of professor, which can be held by the person having defended a doctoral scientific degree;

5) We have a remark about the third level of teaching – currently established practice of students' recruitment for doctoral program. In our opinion, the existing rules of recruitment need to be improved in doctoral program. I think, it is necessary to introduce an entrance exam in specialty for doctoral program students with the aim of recruiting a decent contingent of them. In addition, I believe that we should be cautious with the setting of the number of contingent for doctoral program. I believe that it is now too inflated, which can negatively affect the selection of doctoral students and their training quality.

It should also be noted their future employment possibilities. At the same time, I think, the state should pay all the costs related to the training of doctoral students and take more active part in determining the number of doctoral students.

It is desirable that all the above noted be reflected as a separate paragraph in the relevant article of the law on higher education;

6) We have certain remarks on the rule of formation and working of dissertation defence board currently operating at the faculty and conferring academic doctoral degrees. Now, according to the current rules, members of the dissertation defence board are all professors and associate professors. Therefore, the number of members of the board exceeds 100 persons at some faculties. It is clear, that such expanded board is less operational. In our view, it is appropriate to establish a coordination council consisting of 10-15 leading

professors for conferring doctoral academic degree; the board will involve representatives of separate modules of doctoral program. There will be formed groups of 5-7 people according to the modules of doctoral program. The coordination council will set up one-time dissertation board (presumably of 10-15 persons) for concrete dissertation defence; the board will consist of the members of the relevant module of the coordination council and other specialists from similar profile. A single decision of the dissertation defence board must be approved by the noted coordination council. Dissertation defence boards which are formed by such a principle will be disburdened from extra formalism existing today and will be more competent, efficient and flexible.

7) We have remarks on Article 5 of the law regarding personnel. Briefly about some of them:

a) According to Article 33 of the law, the higher educational institution's academic staff members are professors (professors, associate professors, assistant professors). The question is – why are not teachers included in the composition of the academic personnel? According to the same law their function is an important activity with student, such as: conduction of seminars, practical and laboratory works. Perhaps, it will be better if in the relevant article of the law there is written that the higher educational academic staff consists of professors and teachers, or coming out from the fact that the word “professor” is of Latin origin and in Georgian it means “teacher,” in the above mentioned article there should be written that professors composition includes professors, associate professors, assistant professors, senior teachers and teachers;

b) I think that introduction of the age limit provided for in Paragraph 2, Article 6 of the academic staff should be abolished.

Keywords: Georgia, education, reforms, higher educational institutions, management.

JEL Codes: I20, I21, I28, I29

იაკობ გოგებაშვილის ეკონომიკური მოსაზრებები

გედევან ხელაია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლი იაკობ გოგებაშვილი ცნობილია მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობით. დიდი ქართველი პედაგოგის მოღვაწეობის ძირითადი ღერძი, მთავარი მიმართულება – მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პრობლემატიკაა, მაგრამ იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებს არც ერთ საკითხს, რომელთანაც კი რაიმე მნიშვნელოვანი შეხება აქვს ამ მიმართულებას.

საკვანძო სიტყვები: განათლება; განათლება და ეკონომიკა; ვაჭრობა; საბაზრო ეკონომიკა.

განათლებისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ

ცნობილია, რომ სახალხო განათლება, მთელი თავისი არსენალით, პირველ რიგში, ორგანულად და განუყრელადაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკასთან, მისი სისუსტის თუ სიძლიერის ცალკეულ მხარეებთან. ძლიერი და სრულყოფილი სახალხო განათლება წარმოდგენელია მძლავრი და მდიდარი ეკონომიკური საფუძვლის გარეშე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სახალხო განათლების ბრწყინვალე ორგანიზატორსა და ბრძენ წინამძღოლს იაკობ გოგებაშვილს სათანადო მეცნიერული დონით და სიცხადით აქვს განხილული

ეკონომიკური მნიშვნელობის რიგი საკითხები და მისი ცალკეული მხარეები. საკითხის განხილვას, ილიას მსგავსად, იაკობი იწყებს იმით, რომ ჩვენი ბუნება მდიდარია – ჩვენ კი ღარიბები ვართ. „საქართველოს ბუნება, – წერდა იგი „ბუნების, კარის“ შესავალში 1868 წელს, – ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა, მაგრამ ჩვენ ამ მდიდარი ბუნებისა არაფერი გავცევა, ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელ ქონებას, ჩვენ კი ხახამშრალეები ვრჩებით“ [1, გვ. 1].

დიდი მოაზროვნის მიერ თითქმის საუკუნენახევრის წინ ნათქვამი ეს სიტყვები ახლაც სამართლიანად ჟღერს და ანგარიშგასანევიც არის, ვინაიდან არც საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლას და მოვლა-პატრონობას ვაქცევთ საჭირო ყურადღებას და არც მის გვემაზომიერ გამოყენებას.

„ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება, იაკობის სიტყვებით რომ, ვთქვათ, შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას“ [1, გვ. 1].

იაკობ გოგებაშვილი დიდი დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ ჩვენს საქართველოს მხოლოდ მაშინ ეღირსება ბედნიერი ცხოვრება, როდესაც ქართველებში განათლება გავრცელდება. უსწავლელი ხალხი, ვერასდროს მოიპოვებს მტკიცე ბედნიერებას [1, გვ. 425]. ცხადია, რომ აქ იგი პირდაპირ მიუთითებს ეკონომიკური ცოდნისა და განათლების შეთვისების აუცილებლობაზე.

რას გულისხმობს ამ უკანასკნელში?

პირველ რიგში, ზომიერების დაცვას, ქონების გონივრულ განაწილებას, მომჭირნეობას. „ჩვენი სამშობლო ქვეყანა, – წერს იაკობი, – უფრო შეძლებული იქნებოდა, ქართველებმა, რომ თავისი ქონების დაზოგვა იცოდნენ... ხშირად ქართველი კაცი ორი-სამი წლის სარჩოს ერთ წელიწადში ხარჯავს, მაგალითად, ღვინოს, თუნდაც ბლომად მოუვიდეს, შემოდგომაზე და ზამთარშივე დაღვეს, ზაფხულში კი მუშაობის, დროს ჰყიდულობს“ [1, გვ. 430].

დიდი პედაგოგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ასეთ მდგომარეობას ხელს უწყობს ჩვენთან ფესვგადგმული ზოგიერთი უკულმართი წეს-ჩვეულება:

„მოუკვდებათ ვინმე, თავისი სარჩო თან უნდა გაატანონ, დააქორწინებენ ვისმეს – ოჯახი უნდა დააცალიერონ“ [1, გვ. 430], ზომიერებას და გონიერებას კი ვერსად ვერ იცავენ.

„დაუდევრობისა“ და „დაუზოგველობის“ ძირითადი მიზეზი, იაკობის სამართლიანი აზრით, არის სამეურნეო-ეკონომიკური ცოდნის პრიმიტიული დონე, რის გამოც არც შრომის იარაღების გაუმჯობესებას ექცევა ჯეროვანი ყურადღება და არც საარსებო საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას. „ქართლსა და კახეთში, აღნიშნავს იაკობი, მამა-პაპური გუთანი ვერ მოუშორებიათ თავიდან“ და ერთი ბენო მიწის მოხვნას „მთელი დღე უნდება ხუთი კაცი და რვა უღელი ხარი“ [1, გვ. 430]. ამათ, რომ „მეტე ცოდნა და უნარი ჰქონდეთ,

ისეთ გუთანს შემოიღებდნენ, რომელიც ერთი-ორად მაინც შეუმოკლებდათ შრომას; ე.ი. ნახევარს ვერ იყენებენ“ [1, გვ. 430]. ინგლისელები კი, მიუთითებს იაკობი, გვეგზამომიერი „თესლბრუნვით“ მიწიდან მაქსიმალურ მოსავალს ღებულობენო. ამ ფაქტიდან იაკობს ლოგიკურად გამოჰყავს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის დაუფლების დიდი მნიშვნელობა როგორც ქვეყნისათვის, ასევე, თითოეული ქართველისათვის. ამით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ იგი აღფრთოვანებით შეხვდა და მხურვალედ მიესალმა ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობით, 1883 წელს სოფელ წინამძღვრიანთ კარში სამეურნეო სკოლის გახსნას და ყოველმხრივ ეხმარებოდა მას მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე.

აღებ-მიცემობის, ანუ საბაზრო ურთიერთობათა საწყისების შესახებ

ქართველთა სიღარიბისა და სიღატაკის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია „აღებ-მიცემობის, ვაჭრობა-სამრეწველოსადმი ყურადღების ჩამოშორება, ისიც ძლიერ ხელს უშლის ქართველების გამდიდრებასა“, წერდა იგი „ბუნების კარში“, „რომ ესენი არ მისდევენ ვაჭრობასა და მრეწველობასა“, არ მართავენ ქარხნებსა და ფაბრიკებსა, სხვადასხვა ნივთების გასაკეთებლად, რომელსაც ისინი ყიდულობენ უცხოელებისაგან დიდ ფასად“. ისინი არც იმაზე ზრუნავენ, რომ სარჩო-საბადებელი იმაზე მეტი მოიყვანონ, რაც თვითონ ესაჭიროებათ, რომ ზედმეტი სხვაგან გაიტანონ და გაყიდონ.

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, იაკობ გოგებაშვილი ჯერ კიდევ ამ ერთი საუკუნის წინ მხურვალე მომხრე იყო საბაზრო ეკონომიკისა, მართალია, იგი ამ ტერმინს არც ხმარობს, მაგრამ ზოგიერთ იმ საკითხს, რაც საბაზრო ეკონომიკის შინაარსს შეადგენს, საკმაოდ საფუძვლიანად და კვალიფიციურად განიხილავს. იაკობი იცავს იმ სამართლიან აზრს, რომ ყველაფერს თავისი ნამდვილი პატრონი უნდა ჰყავდეს. ჯერ კიდევ 1881 წლის აპრილის თვეში გაზეთ „დროებაში“ იგი აღნიშნავდა: „ვიდრე მიწა სავსებით არ გადავა მხვნელ-მთესველთ ხელში, ბაოდები და ფაბრიკები მუშათა ხელში, კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილ დღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლება და დარჩება ახლანდელი აუტანელი მდგომარეობა, როდესაც მცირე ნაწილი. ჰყარს სიმდიდრისაგან და უმრავლესობას სული ძვრება სიღატაკისაგან“.

იაკობ გოგებაშვილი მრავალჯერ აღნიშნავს, რომ „საქართველოს ბუნება ბალოსნობისა და საქარხნო მცენარეებისათვის ძალიან ხელსაყრელია“. „ჩვენი გლეხობა კი ვერც ერთს იყენებს და ვერც მეორეს, როგორც გულარხეინობით, ისე უცოდინარობის გამო“ [1, გვ. 131]. იაკობი ურჩევს მათ, რომ მეტი ყურადღება მიაქციონ როგორც კარგი ჯიშის ხეხილის, ისე თამბაქოს, ენდროს,

კანაფის, სელის და სხვა დიდი შემოსავლის მქონე მცენარეულობის მოშენებას და მოვლა-პატრონობას. შესაბამისად, ქარხნების მონყობას, რომლებიც სულ მალე იქცევა ჩვენი „სილატაკის უებარ წამლად“. ასეთი გზით შეიძლება ჩვენი მადლიანი მიწის გონივრულად გამოყენება. იაკობი ასახელებს პრუსიას, სადაც მწირი მიწებია, მაგრამ „პრუსიელები გონებაგახსნილი, მცოდნე და ბეჭითი ხალხია და თავისი უღონო მიწას ისე ოსტატურად უწყობენ ხელს, რომ არამც თუ თვითონ მოსდით საკმაო ჭირნახული, არამედ სხვა სახელმწიფოშიც ჰყიდონ პურსა“ [1, გვ. 437]. შეძლებული და კარგი ცხოვრება, ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობა თავის მხრივ ხდება საიმედო საფუძველი მაღალი ზნეობრივი სულისკვეთების ვითარებისა.

ხალხის შეძლებული ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საიმედო საშუალებად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია აღებ-მიცემობის ფართო მასშტაბით წარმოება, იგი ქართლელებს და კახელებს უსაყვედურებს იმას, რომ ისინი არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ვაჭრობას. ცუდად ერკვევიან მის სარგებლიანობაში. ამას ხელს უწყობს უგზობაც, რომელიც აუცილებელია გასაყიდი თუ ნაყიდი საქონლის გადასატანად.

იაკობი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ამით სარგებლობენ ქალაქელი ჩარჩები და ჩალის ფასად ყიდულობენ ჭირნახულსა“ [2, გვ. 270]. შემდეგ 4-ჯერ და 5-ჯერ მეტად ყიდიან და ბევრ ფულსაც შოულობენ. ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია იალია ჭავჭავაძეს და მის გაზეთ „ივერისას“. მაგალითად, 1887 წლის #275 „ივერია“ წერდა: „გორში ჩარჩები იკლებენ და ისაკუთრებენ სასწორზე (ბაზარზე) ყოველნაირ სანოვაგესა შუაღლემდის, „პარპაშობენ“, „გზებში უხვდებიან გლეხებსა და ხელიდან ძალის-ძალით ართმევენ ყველაფერსა“. მაშასადამე, იაკობი მხურვალე მომხრეა ვაჭრობის განვითარებისა და არა აღვირახსნილი უსინდისო სპეკულაციისა. იაკობი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ასე ხალხს ჩვეულებად გადაექცევათ სიცრუე და ორპირობა, მოყვასის დაუნდობლობა, ღალატი და გაუტანლობა“.

იაკობი მოხიბლულია მეგრელებით, რომლებიც სამაგალითოდ წარმართავენ აღებ-მიცემობის რთულ საქმეს.

„სოფლის ხალხს სამეგრელოში, წერდა იაკობი, „ერთი მნიშვნელოვანი ჩვეულება აქვს, რომელიც, თუმცა გურიაშიც და იმერეთშიც მოიპოვება. მე ვამბობ სასოფლო ბაზრობაზედ. აქ ყოველ დიდ სოფელში კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ან კვირაობით ბაზარი იმართება, დაბებში, კვირის ბაზრობის გარდა, წელიწადში რამდენჯერმე იარმუკობა მოჰხდება ხოლმე, მეგრელს თავისი სარჩო მიაქვს ბაზარში ან იარმუკაზედ და იქ ან ღირებულ ფასად ჰყიდის, ან სცვლის თავისთვის საჭირო ნაწარმოებზედ“ [1, გვ. 503-504; 2, გვ. 270]. მყიდველიც და გამყიდველიც აქ ერთი საზოგადოების მეგრელები არიან. ამიტომ ვაჭრებს არ შეუძლიათ, როგორც ქართლ-კახეთში, აღებ-მიცემობაში ფასი თავიანთი ნებით დანიშნონ. მეგრელები ამ საქმეში დაოსტატებულნი არიან და

დარწმუნებულები ბაზრის ფასის სისწორეში. ამიტომ „კარზე არაფერს არ ჰყიდიან“. იაკობს ეს აღებ-მიცემობის ნიჭის ძვირფას თვისებად მიაჩნია, რომლის საფუძველიც სწავლისადმი დიდი მისწრაფება და მცდელობა წარმოადგენს. „ძნელად იქნება იმისთანა ნიჭიერი, სწავლის მოსურნე, გამბედავი, გამჭრიახი ხალხი, მიუთითებს იაკობი, როგორც მეგრელები არიანო“.

ინფრასტრუქტურისა და მრავალდარიგანობის შესახებ

აღნიშნულთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იაკობი გზების კეთილმოწყობას, რომელიც აუცილებელია ქვეყნების და მისი ცალკეული მხარეების ნორმალური ეკონომიკური კავშირებისათვის, ძირითადად გასასყიდი ტვირთის გასატარებლად. სამაგალითოდ იგი განიხილავს აჭარას, თავისი ლამაზი და მდიდარი ბუნებრივი მდგომარეობით. „ეს ნაყოფიერი და ლამაზი კუთხე, აღნიშნავს იგი, უფრო ადვილად შეიძენდა სიმდიდრეს, რომ მისვლამოსვლა ძნელი არ იყო. მთელს აჭარაში ერთს საურმე გზას ვერ იპოვით, მხოლოდ ბილიკები მისდევს ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდინ და ბილიკებზე მარტო ცხენით შეიძლება სიარული“ [1, გვ. 521].

თავის მხრივ, ჭირნახულის მიმოქცევაში შეფერხება ლოგიკურად იწვევს მის წარმოების შეფერხებასა და აღებ-მიცემობის შესუსტებას.

„უგზობის გამო, წერს იაკობი, ყოველგვარი ჭირნახულის გამოტანა აჭარიდან და შეტანა მეტად ძნელია და ეს გარემოება წარმოებსა ძლიერ აბრკოლებს“ [1, გვ. 521]. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს იგი კახეთისა და ქართლის მიმართაც.

კიდევ ერთ საკითხს მიაქცევს იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას – მეურნეობის მრავალფეროვნებას, ე.ი. მრავალდარიგობრივ განვითარებას. ქიზიყელები, წერს იაკობი, ბევრგვარ საქმეს მისდევენ და მარტო მოყვანას არ სჯერდებიან. აქ ხვნა-თესვაც გავრცელებულია, მეცხოველეობაც, „აბრეშუმის ჭიასაც ბლომად ინახავენ და ამის გამო, დაასკვნის იაკობი, ქიზიყი კახეთზედ ბევრად უფრო შეძლებულიაო!“ [1, გვ. 446].

ეკონომიკურ მოსაზრებათა ამოსავალი დებულებები

დიდი პედაგოგისა და ღირსებული მამულიშვილის ეკონომიკური მოსაზრებების ამოსავალი დებულებაა ის, რომ ქართველებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ სოფლის მეურნეობა, სრულყოფილად დაეუფლონ რეალურ ცოდნას, ევროპულ განათლებას და ამ გზით შესძლონ ჩვენი მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრეების კეთილი და ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად გამოყენება.

იაკობი იმ აზრისაა, რომ სახელმწიფომ თავისი თანხები მაქსიმალურად უნდა დააბანდოს განათლების სისტემაში, რომელიც სულ მალე „ერთი ათად“ ანაზღაურებს დახარჯულს და ხალხთა შეძლებული ცხოვრების საფუძველი გახდება. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოთქმული ამ აზრის ჭეშმარიტება მთლიანად დაადასტურა ისრაელისა და იაპონიის მაგალითებმა, რომლებმაც სწორედ განათლებაში უზარმაზარი ფინანსური რესურსების დაბანდებით, მწიკრი ბუნების მიუხედავად, ორივე ქვეყანა დღეს ცივილიზაციის დონითა და ეკონომიკური სიძლიერით გამორჩეულია.

როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრებები და შეხედულებები აქტიურად ეხმარება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთელი პერიოდს და იაკობ გოგებაშვილის მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერო-პუბლიცისტური მოძღვრების მნიშვნელობა, გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობაც ამაში მდგომარეობს.

ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, თბ. „განათლება“, 1976.
2. ი. გოგებაშვილი, საგანძური, წიგნი I, II, თბ., „განათლება“, 1982.
3. გაზ. „ივერია“, 1887, №275.
4. გაზ. „დროება“, 1881, №83.

Ikob Gogebashvili's Economic Views

Gedevan Khelaia

Professor, Doctor of Economic Sciences

Iakob Gogebashvili, one of the leaders of the national liberation movement in the 60s of the XIX century, is known for his multilateral and diverse public, political, scientific and educational activities. The main axis and basic direction of the great Georgian teacher's activity was young generation's training and rearing issues. He paid a great attention to all the important issues related to this direction.

Keywords: Education, education and economics, trade, market economy.

JEL Codes: A2, P30, P36

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები

რეზაზ გველესიანი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი*

ირინა გომორიშვილი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის წევრი*

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილება შესაძლებელია ორგვარად იყოს თეორიული ძალისხმევის საგანი. ერთია, როცა ვცდილობთ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებების მომზადებას და მიღებას დასახული მიზნის საფუძველზე კვაზიკანონების მიხედვით (გადაწყვეტილების პოზიტიური თეორია), ხოლო მეორე მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების ლოგიკური სტრუქტურის შესწავლას, რათა დაზუსტდეს რაციონალურობის პოსტულატის მნიშვნელობა და შევიმუშავოთ რეკომენდაციები პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებით (გადაწყვეტილების ნორმატიული თეორია).

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები; ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები; ინტერესთა ჯგუფები; გადაწყვეტილებების მომზადება; გადაწყვეტილებების მიღების წინააღმდეგობები.

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების თეორიული საფუძველი

რაციონალური არჩევანის ყველა თეორიას (გადაწყვეტილების მიღების თეორიები), რომელიც ნორმატიულ მიზნებს შეესაბამება, ერთნაირი სტრუქტურა აქვს. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პრობლემა მოიცავს: ა) გადაწყვეტილების გამტარებელს, ანდა გადაწყვეტილების კოლექტიურ ორგანოს, როგორც აქტიორს; ბ) გადაწყვეტილების გამტარებლის მიზნებს; გ) გადაწყვეტილების მიმღებთა ინსტრუმენტებსა და მოქმედების შესაძლებლობებს; დ) მოქმედების შედეგებს, რომლებიც მოქმედების შესაძლებლობებს მოსდევს; ე) გადაწყვეტილების წესებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, რომ მოქმედების შედეგების შეფასების საფუძველზე შევარჩიოთ შესაბამისი აქტივობა.

გადაწყვეტილების თეორიების ძირითადი სტრუქტურა დგინდება არა გამოცდილების მეცნიერულ საფუძველზე, არამედ ვარაუდებს ემყარება. დებულებათა ასეთი სისტემიდან მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რაც ლოგიკური სიკვანძით ხასიათდება. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა „კეთილდღეობის ეკონომიკაშიო წარმოების ოპტიმალური სტრუქტურა განაწილების გაანალიზებისა და გაანგარიშების საფუძველზე მიიღება. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების პრობლემის იდენტიფიცირება უკეთ იქნება შესაძლებელი თუ ცენტრალურ ინსტანციასაც მოვიზრებთ (როგორც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს). ეს მაგალითი ლოგიკური ოპერაციების შინაარსსაც გამოხატავს და რაციონალური მოქმედების ძნელად დასანახ შედეგს გვიჩვენებს. როდესაც გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების პროცესი ცდების შედეგების გაცნობიერებით (ემპირიულად) არის სრულყოფილი, გადაწყვეტილების მიღების წესის დახმარებით შესაძლებელია იმის წარმოდგენა თუ როგორი იქნება რაციონალური მოქმედება. ამისათვის არ არის აუცილებელი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ფაქტობრივადაც ასე იქცეოდეს. მთავარი არის ისეთი ნორმატიული დებულებების მიღება, რომლებიც ემპირიულად მნიშვნელოვან სხვადასხვა სიტუაციას მიესადაგება. ამ შემთხვევაში ჩვენ გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის საზღვრებში ვმოქმედებთ.

გადაწყვეტილების ნორმატიული თეორიის ფარგლებში სწორედ რაციონალური მოქმედების ჩართვა განიხილება. ეს ხდება რეკომენდაციული დებულებების მისაღებად. ხოლო პოზიტიურ თეორიებში მთავარია იმ კანონზომიერებების გამოამკვარავება და ის ქმედებები, რომლებსაც რეალური გადაწყვეტილებები მოჰყვება. ამ ასპექტით გასათვალისწინებელია ორი დონე:

- მიკროთეორიული დონე, სადაც განხილვის საგანს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა გამომწვევი ინდივიდუალური ფაქტორების ქცევა;

- მაკროთეორიული დონე, სადაც განიხილება კოლექტიური ფაქტორების ის ქმედებები, რომლებსაც გადანწყვეტილებები მოსდევს.

მიკროთეორიული ანალიზის მიზანია გადანწყვეტილების მიღებაში ინდივიდუალური ფაქტორის როლი. იგი ადგენს: ა)თუ რამდენად არის გაცნობიერებული მოქმედების პრობლემა და რამდენად არის იგი განმარტებული; ბ) რამდენად არის გააზრებული და ჩამოყალიბებული მოქმედების შესაძლებლობები; გ)მიღებულია გადანწყვეტილებები თუ გადავადებულია მათი მიღება; დ)არჩეული მოქმედებები რამდენად არის განხორციელებული, მოქმედების პროცესში მოდიფიცირებული და მოგვიანებით გამართლებული.

ამ ფსიქოლოგიურად ორიენტირებული თეორიების პოზიციიდან (მაგ., Boulding, 1956; Festinger, 1957; Simon, 1957/87,1959; Streit, 2005) ეკონომიკური გადანწყვეტილებები მხოლოდ კონკრეტული გამოყენების შემთხვევებს (მაგ., Cyert, March 1963/2001 მენარმეობის თეორიაში) წარმოადგენს. არსებითად, იგივე უნდა ვთქვათ მიკროთეორიული ანალიზის მეორე ნაირსახეობაზეც. იგი იკვლევს ინდივიდუალურ ქცევებს, კოლექტიური ქცევებისაგან მათი განსხვავების გათვალისწინებით. ამავე დროს, ეს არსებითად მიკროსოციოლოგიური პრობლემა ეკონომიკაზე ორიენტირებული პრინციპების დახმარებით ჩამოყალიბდა (Buchanan, 1965/98; Olson, 1965). მიკროთეორიული კვლევის შედეგებს მაშინ იყენებენ, როდესაც სურთ გადანწყვეტილების ნორმატიულ მოდელებში აბსტრაქციის ელემენტებზე მიუთითონ. ეს იმდენად არის მიზანშეწონილი, რამდენადაც მიკროდონეზე ორიენტირებული თეორიები გარკვეული პრობლემების თეორიულსა და ემპირიულ ასპექტზე ახდენენ აქცენტირებას (რომლებიც ობიექტური მიზნის რაციონალურობას ეწინააღმდეგება და, თავის მხრივ, გადანწყვეტილების ლოგიკის მნიშვნელოვან პოსტულატს აყალიბებს).

ეკონომიკური პოლიტიკის გადანწყვეტილებათა კიდევ ერთი დონე მაკროთეორიული ხასიათისაა. ეკონომიკური პოლიტიკის კოლექტიურ გამტარებელთა მოქმედების განსაზღვრისას წინა პლანზე მაკროეკონომიკური მიზანდასახულობა გამოდის. ასეთ სიტუაციაში მაკროეკონომიკური მოდელი განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის გადანწყვეტილებათა ველს. როგორც ცნობილია, Klein-ის (1947), Frisch-ის(1950), Tinbergen-ისა(1952/70,1964) და Theil-ის (1954) ნაშრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკა, საიდანაც აშკარად ჩანს თუ რაოდენ ვინროა ის საზღვრები, რომლებშიც გადანწყვეტილებათა მომზადება ხდება.

ზოგადად რომ ვთქვათ, გადანწყვეტილებათა მომზადება სამ დიდ სფეროდ იყოფა:

- გადანწყვეტილების ტექნოლოგია (მართვის შესახებ მოძღვრება), როგორც გადანწყვეტილების სფეროს შემადგენელი ელემენტი. იგი მოიცავს გადანწყვეტილების მიმღების მიზნებსა და ინსტრუმენტებს ემპირიული მოდელის სახით;

- საკუთრივ გადაწყვეტილების მომზადება, რომლის დროსაც გადაწყვეტილების ტექნოლოგიის დახმარებით მიღებული პროგნოზის შედეგები შეფასებისა და პრეფერენციების მიხედვითაა დალაგებული და მოქმედების შესაძლებლობის არჩევა გადაწყვეტილების წესის მიხედვით ხდება;
- გადაწყვეტილების განხორციელება, შედეგის კონტროლი და იმ ელემენტების ცდისეული (ემპირიული) შემოწმება, რომლებმაც სხვა პირობებთან ერთად განსაზღვრეს გადაწყვეტილება.

ემპირიული შემოწმების შედეგად უნდა დადგინდეს თუ რომელი ინსტრუმენტი რომელ მიზანთან არის შესაბამისობაში. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა მიზნის რეალიზებისათვის ის ინსტრუმენტი გამოიყენოს, რომელიც მოცემულ მიზანს ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება. მაგრამ შესაძლებელია, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინსტრუმენტის ზემოქმედება პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არ აღმოჩნდეს. ეს ამკარად ჩანს სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის მიზნებს შორის არსებული კონფლიქტის მაგალითზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციები არ არის ერთადერთი, ვინც მათი გადაწყვეტილების ველზე გავლენას ახდენს. მნიშვნელოვანი ძალაუფლება გააჩნიათ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს (პროფკავშირები, მენარმეები და მათი გაერთიანებები), რომლებიც დასახული მიზნების განხორციელებით თავიანთ სარგებელს მოელოებიან. ასე, რომ გადაწყვეტილების მომზადების პროცესი სხვადასხვა აქტიორებს შორის არსებული სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულებაა. გადაწყვეტილების ფორმირების პრობლემა იცვლება საშემოსავლო პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის გაფართოებასთან ერთად. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანციებსა და ეკონომიკური პოლიტიკის ძალაუფლების მქონე ინტერესთა ჯგუფებს შორის ერთობლივი „თამაში“. იმ შემთხვევაში თუ პირველადი ინსტრუმენტების რაოდენობა შეზღუდულია, აუცილებელი ხდება, რომ ისინი აჭარბებდეს მიზნების რიცხვს. ამავე დროს, საჭირო ხდება თანმდევი პირობების დადგენა.

განუსაზღვრელობის ზოგადი მიზეზები ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში

აქამდე გადაწყვეტილების მიღების პრობლემა არსებითად შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: ა) გადაწყვეტილების ველის შესახებ ინფორმაცია სრული იქნება თუ გვეცოდინება ყველა ის ურთიერთკავშირი, რაც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მისაღებად; ბ) თუ გარკვეულია მოქმედების შედეგები; გ) თუ ანგარიშს არ გავუწევდით გადაწყვეტილების ველზე ეკონომიკურ-პოლიტიკურ ზემოქმედებას ანდა შესაძლებელი იქნებოდა მისი წინასწარგანჭვრეტა.

ამით გამოირიყხებოდა იმ განუსაზღვრელობის ზოგადი მიზეზები, რომელიც ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს (Gäfgen, 1968/1975, გვ.36; Streit, 2005, გვ.383). თან ახლავს. ეს მიზეზებია:

- ინფორმაციის შეზღუდულობა: გადაწყვეტილების ველის შესახებ ცოდნა შეზღუდულია. ამიტომაც საჭიროა რაციონალური ძალისხმევა, გლობალურთან შედარებით, უფრო ადგილობრივი ინფორმაციის მოსაპოვებლად მივმართოთ;
- სტატისტიკურად შეზღუდული განუსაზღვრელობა: კონკრეტული მოქმედებების შესახებ მხოლოდ აპოსტერიორული ვარაუდები არსებობს;
- სტრატეგიული განუსაზღვრელობა: მოქმედების შედეგები ჩამოყალიბებულია არა მარტო იმ პირის მიერ, ვინც უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ მასში მონაწილეობენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილების სხვა მიმღებნიც.

ხელსაყრელ შემთხვევაში ანგარიშს უწევენ გადაწყვეტილების სხვა მიმღებებს (იგულისხმება კერძო ეკონომიკური სუბიექტების რაციონალური მოლოდინის ტენდენციები). საქმე ის არის, რომ ინდივიდები თავიანთ კერძო გეგმებში ცდილობენ წინასწარ განჭვრიტონ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ქცევები და მათი ეკონომიკური ზემოქმედებები. სწორედ ამიტომ კერძო ინდივიდებსა და მოცემულ სახელისუფლებო ინსტანციას შორის იქმნება გარკვეული წინააღმდეგობა, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობით ხასიათდება.

თუ განვაზოგადებთ ინსტრუმენტის გამოყენების პროცესში გაურკვევლობის გათვალისწინების საფუძველზე წარმოდგენილ განსაკუთრებულ შემთხვევას, მაშინ განუსაზღვრელი სიტუაციის უმნიშვნელო გართულებაც კი შედეგიდან მნიშვნელოვანი გადახვევების მიზეზი ხდება. ამგვარ გადახვევებს კი ანგარიში უნდა გავუწიოთ, როგორც კი აღმოჩნდება, რომ: ა) ინსტრუმენტის ზემოქმედებები შემთხვევით ცვლილებებს ექვემდებარება და ბ) ინსტრუმენტის ზემოქმედებათა ვარიანტები არ არის წინასწარ განსაზღვრული ცვლადებისაგან დამოუკიდებელი.

მნიშვნელოვანია კიდევ ორ ანალიტიკურ სიძნელეზე მივუთითოთ. ერთი მათგანი სწორედ იქედან მომდინარეობს, რომ ეკონომიკის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს უპირატესად ერთჯერადი ხასიათი აქვს (ვინაიდან მუდმივ ცვალებადობას განიცდის ის პირობები, რომლებშიც გადაწყვეტილების მიღება ხდება). მეორე სიძნელე კი უკავშირდება არა საზოგადოდ განუსაზღვრელობას, არამედ მოქმედებათა ნაწილობრივ შედეგებს და მათ ასევე ნაწილობრივ განუსაზღვრელობას (თანმიმდევრული გადაწყვეტილებები განუსაზღვრელობის პირობებში).

გადაწყვეტილების მიმღების სუბიექტური პოზიცია გადაწყვეტილების წესთან დაკავშირებულ რისკს უკავშირდება. მოვლენის მოსალოდნელ შედეგებზე ორიენტაცია მხოლოდ მაშინ არის რაციონალური, როცა გადაწყვეტილების მიმღები სრულიად ინდიფერენტულია ასეთი რისკის მიმართ. ამიტომაც შეფასების ფუნქციები განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღებისას ანგარიშს უწევს არა მარტო რისკისადმი ზიზღს, არამედ რისკით მოგვრილ სიხარულსაც (მაგ., Streit, 2005, გვ. 386; Menges, 1969, გვ. 163). არსებობს რამდენიმე რაციონალური პრინციპი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს განუსაზღვრელობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება (Schneeweiss, 1967, გვ. 32). თუმცა შეუძლებელია ასეთი პრინციპებიდან, განუსაზღვრელობასთან დამოკიდებულებაში, ქცევის საყოველთაო წესი გამოვიყვანოთ. პირიქით, ერთმანეთის საპირისპირო უამრავი წესი არსებობს. მათი დანიშნულება ისაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, სადაც მას შეეძლება შედეგებს შორის არჩევანის გაკეთების თანმიმდევრულობა სათანადო ღირებულებას დაუქვემდებაროს. მეორე სიძნელე იმ ვითარებიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს არ მოსდევს დროისა და რეალობისაგან განყენებული შედეგები. მაგ., საფინანსო პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საპარლამენტო ვადის პირველ წელს ეხება და სანყის პირობებს აღგენს – შემდგომ წლებზეც ვრცელდება. ეს ხდება ისე, რომ სრულებით არ არის გათვალისწინებული გრძელვადიანი ზემოქმედებები, როლებსაც ასეთი გადაწყვეტილებები შემდგომ პერიოდებზე მოახდენს. გადაწყვეტილება, რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ შეთანხმებას ითვალისწინებს, სავაჭრო სტრუქტურის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ახალ სანყის პირობებს აყალიბებს. რაციონალურობის პრინციპი მოითხოვს, რომ ეკონომიკურდპოლიტიკური გადაწყვეტილებები რაც შეიძლება გლობალურად (საყოველთაოდ) იყოს ფორმულირებული. მაგრამ, ამავე დროს, ანგარიში უნდა გავუწიოთ გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, მით უმეტეს, როდესაც საქმე განუსაზღვრელობასთან გვაქვს.

როგორც კი დავუშვებთ, რომ განუსაზღვრელია თუ რა მდგომარეობა ექნება გადაწყვეტილების ველს სხვადასხვა პერიოდებში, შესაძლო თანმიმდევრულ მოქმედებათა ხასიათიც იცვლება. გადაწყვეტილების პრობლემაც მასთან ერთად განიცდის ცვალებადობას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ განპირობებული მოქმედების შედეგთა (სტრატეგიების) ფორმულირება. ამ ვითარებაში ნებისმიერი მოქმედება მომდევნო პერიოდებისათვის მხოლოდ ბუნდოვან სანყის მდგომარეობას ქმნის. ამიტომაც, ნებისმიერი ასეთი მოქმედება ორმხრივ არის განპირობებული: ერთი მხრივ, გადაწყვეტილების ველის იმ მდგომარეობით, რომელიც პირველ პერიოდს ახასიათებს; მეორე მხრივ კი, იმ მდგომარეობით, რომელიც მეორე პერიოდისათვისაა ნიშანდობლივი. აქედან გამომდინარე, სტრატეგიების რაოდენობა იზრდება.

ამიტომაც, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას განსაზღვრული სტრატეგიის სასარგებლოდ აზრი არ აქვს. მოქმედებათა თანმიმდევრობის ყოველ ფაზაში განუსაზღვრელია თუ როგორი იქნება საწყისი მდგომარეობა მომდევნო ფაზაში. თუ არ დადგა ის მდგომარეობა, რომელიც არჩეული სტრატეგიით წინასწარ არის განსაზღვრული, მაშინ ამ ფაზისათვის დაგეგმილი მოქმედების განხორციელება არარეკომენდირებულია. სხვაგვარად რაციონალური არ იქნება იმ მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა, როდესაც საბოლოო შედეგთან დაკავშირებული ბუნდოვანება პერიოდიდან პერიოდამდე იკლებს. მოქმედებათა თანმიმდევრობაში აშკარავდება ცალკეული მოქმედების შეფასებაში დაშვებული ცდომილებები, რომლებიც მომდევნო გადაწყვეტილებებში უნდა გამოხსნორდეს (გადაწყვეტილებები, როგორც სასწავლო პროცესი). ამიტომ გარკვეული სტრატეგიის სასარგებლოდ წინასწარი გადაწყვეტილების მიღება სათანადო ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს. გადაწყვეტილების წესის გარეშე წინასწარ არჩეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული სიძნელეები მხოლოდ ორი თანმიმდევრული პერიოდის შემდეგ გახდება ცხადი. პირველი პერიოდის დასაწყისში შუალედური შედეგის ღირებულება დამოკიდებულია, როგორც მეორე პერიოდის საწყის მდგომარეობაზე, ისე სიძნელეების ხარისხზე. ამგვარ ხარისხს კი ის უცნობი შედეგები განსაზღვრავს, რომლებიც მიღებული იქნება მეორე პერიოდში გადაწყვეტილების ველზე განხორციელებული მოქმედებებით.

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების სტრატეგიის შემუშავება და შეფასება

გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ველზე შესაძლო მდგომარეობათა დიდი რაოდენობის გამო ძნელია სტრატეგიის შემუშავება და შეფასება, თუ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული მომზადება წინასწარ არ იქნა განხორციელებული. სტრატეგიის პრობლემა კიდევ უფრო რთულდება, როცა რეალისტურად გათვლილი პერიოდი მომავალში ხანგრძლივდება. პრობლემის გამარტივების თვალსაზრისით აგრეთვე მნიშვნელოვანია სასურველი დონის ოპტიმალურობის განსაზღვრა (მიზნის არეალის შეფასება).

რაც შეეხება გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ნაკლებ ეფექტიანობას, მას შემდეგი მიზეზები განაპირობებს: ა) ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლადების ოპერაციონალიზება; ბ) ზოგ შემთხვევაში ეკონომიკური თეორიები მოკლებულია ემპირიულ შინაარსს, ხოლო ზოგიერთი შინაარსი საკამათოა; გ) სტატისტიკური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები შეზღუდულია; ე) იშვიათობას წარმოადგენს გადაწყვეტილების ისეთი მომზადება, რომელიც პრობლემას სრულად შეესაბამება და პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის იმ ზომამდე ოპერაციონალიზებადი, რომ გადაწყვეტილებათა მომზადება ისეთ დონეზე განხორციელდეს, რომელიც მოქმედების პრობლემის გლობალური შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა. სტაბილიზაციის პოლიტიკაში კი (რომელიც შედარებით ადვილად ახსნადი ქვესისტემაა) შეუძლებელია დავადგინოთ ანალიზისა და შესაძლო დასკვნათა საზღვრები. საზოგადოდ, ინსტრუმენტთა კატეგორიებიდან საინფორმაციო პოლიტიკა ისეთ სფეროდ ითვლება, რომელიც ოპერაციონალიზებას ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება. ნებაყოფლობითი კომპრომისების შესახებაც იგივე უნდა ითქვას. აუცილებელია შეზღუდვების დაწესება იმ ინსტიტუციურ წესებთან დაკავშირებით, რომლებიც საბაზრო პირობების ცვლილებას განსაზღვრავს. ამ მხრივ უფრო ხელმისაწვდომია ფისკალური პოლიტიკის (კერძოდ, ხარჯების პოლიტიკის) და ნაწილობრივ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები.

ეკონომიკური თეორიები გვზღუდავს იმ შემთხვევებში, როდესაც ის გადაწყვეტილების ველის შესახებ სასურველ ცოდნას არ გვაწვდის, მოკლებულია ემპირიულ შინაარსს, ანდა მათი ემპირიული შინაარსი არაა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ზრდისა და განაწილების თეორიების ფართო სფეროებს, ისინი ფალსიფიცირების მცდელობათა მიმართ შეუვალობით ხასიათდებიან, თუმცა მხოლოდ მათი დებულებების საფუძველზე გადაწყვეტილებათა ემპირიული „დამკვიდრება“ შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში ემპირიულად დასაბუთებული თეორიებიც კამათს იწვევს. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში მოქცეული კეინზიანური მაკროეკონომიკა (იხ. Streit, 2005, გვ. 389; Dean, 1981; Meltzer, 1981; Wiles, 1981).

შეფასების ფუნქცია გადაწყვეტილების წესთან ერთად განსაზღვრავს იმას თუ ინსტრუმენტების რომელ ვარიანტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი ფუნქციები და წესები, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობაზეა ორიენტირებული. ისინი გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკული სიტუაციებისაგან განსხვავებით გადაწყვეტილების ერთადერთ მიმღებს ითვალისწინებენ. გადაწყვეტილების მომზადების წესის ცოდნა უკიდურესად ფრაგმენტულია. იგი დროში არასტაბილურია. ეს ნიშნავს, რომ ინსტრუმენტების მნიშვნელობის (ღირებულების) შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, არასრულია. რაც შეეხება საშუალებათა გამოყენებას, ისიც არასრულადაა შეფასებული.

ზოგადად მოკლებული ვართ გადაწყვეტილების მომზადების პრაქტიკულ მეთოდებს, რომელიც აუცილებელია განუსაზღვრელობის პირობებში ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოქმედებათა დასაგეგმად. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ისაა, რომ გადაწყვეტილების ველზე არსებული ურთიერთკავშირების შესახებ საკმარისი ცოდნა არ გავაჩნია. მეორე მხრივ, არ ვიცით მოსალოდნელ შეფასე-

ბულ შედეგთა არც რაოდენობა და არც სახეობა. ასე, რომ გადაწყვეტილების მომზადების პრობლემის კომპლექსურობასა და მისი ანალიტიკური და სიღრმისეული წვდომის რეალურ შესაძლებლობებს შორის გარკვეული შეუსაბამობა არსებობს.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ის შესაძლებლობები, რომლებიც ჩვენს წინაშე გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების თეორიის საშუალებით იშლება (მაგ., Streit, 2005, გვ. 390; Menges, 1969, გვ. 270; Pütz, 1979, გვ. 211):

- გადაწყვეტილების ველი წარმოგვიდგება, როგორც მიზნის, ინსტრუმენტისა და სხვა წინასწარ განსაზღვრულ ცვლადთა ძალზე რთული ურთიერთკავშირი. მართალია არ ხერხდება ყველა დამოკიდებულების კვანტიფიცირება, მაგრამ შესაძლებელია მათი სისტემის სტრუქტურის გახსნა სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით, რომლებსაც შეფასების მოდელების მიმართ ვიყენებთ;
- გადაწყვეტილების ველის უფრო გლობალური მაშტაბით წარმოდგენის მცდელობები ინფორმაციის რაოდენობრივ კრიტერიუმს გვანჯღის. იგი საშუალებას არ გვაძლევს, რომ შესაძლო მოქმედებების გვერდითი და გრძელვადიანი შედეგები უგულებელვყოთ;
- გადაწყვეტილების მოდელებზე დაფუძნებული არგუმენტაციები აზროვნების წესრიგს განაპირობებს. ამის შედეგად გადაწყვეტილების მიღების პროცესები კონტროლირებადი ხდება;
- შედეგების თეორიული ანალიზი ეკონომეტრულ მონაცემებს ემყარება, რაც საშუალებას გვაძლევს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში ხშირად დაშვებული შეცდომები თავიდან ავიცილოთ. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება დროში არაპროდუქტიული და ინტენსიური დოზირება, რომელიც უარყოფილი ანდა მცდარად განსაზღვრული დაყოვნებების შედეგად წარმოიშობა;
- კვანტიფიცირების მცდელობა შესაძლებელია მაშინაც იყოს სასარგებლო, როცა იგი პრობლემის მხოლოდ ზოგიერთი ასექტის გაანალიზებას უწყობს ხელს. თუმცა ასეთი ნაწილობრივი შეცნობისას პრობლემის შეუმცნებელი ასპექტები მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს.

ლიტერატურა:

1. BOULDING, K.E. (1956), *The Image – Knowledge in Life and Society*, 12th printing, Ann Arbor 1987.
2. FESTINGER, L. (1957), *A Theory of Cognitive Dissonance*, Neudruck, Stanford 1997.
3. SIMON, H. A. (1957), *Models of Man – Social and Rational*, New York, 1987
4. SIMON, H. A. (1959), *Theories of Decision-Making in Economics and Behavioral Science*. *American Economic Review*. 49, S. 253-283.
5. STREIT, M. E. (2005), *Theorie der Wirtschaftspolitik*, 6. Auflage, Stuttgart.
6. BUCHANAN, J.M. (1965), *An Economic Theory of Clubs*. *Economica* 32, S.1-14. Wiederabdruck in: OATES, W.E. (ed.), *The economics of fiscal federalism and local finance*, Cheltenham 1998, S.456-469.
7. OLSON, M. (1965), *The Logic of Collective Action – Public Goods and the Theory of Groups*, 20. Aufl., Cambridge, Mass., 2002.
8. KLEIN, L.R. (1947), *The Use of Economic Models as a Guide to Economic Policy*. *Econometrica* 15, S.111-151.
9. FRISCH, R. (1950), *L'EMPLOI des Modeles pour l'Elaboration d'une Politique Economique Rationelle*. *Revue d'Economie Politique* 60, S.474-498 und S.601-634.
10. TINBERGEN, J. (1952), *On the Theory of Economic Policy*, 5th print, Amsterdam, 1970.
11. THEIL, H. (1954), *Econometric Models and Welfare Maximization*. *Weltwirtschaftliches Archiv* 72, S. 60-83.
12. GAEFGEN, G. (1968), *Theorie der Wirtschaftspolitik*; wiederabgedruckt in W. EHRLICHER u.a. (Hrsg.): *Kompodium der Volkswirtschaftslehre Bd. 2*, 4. Aufl., Goettingen 1975, S.1-94.
13. MENGES, G. (1969), *Grundmodelle wirtschaftlicher Entscheidungen*, 2. Aufl., Duesseldorf 1974.
14. SCHNEEWEISS, H. (1967), *Entscheidungskriterien bei Risiko*, Berlin u. a.
15. DEAN, J.W. (1981), *The Dissolution of the Keynesian Consensus*; in D. BELL und I. KRISTOL. (Hrsg.): *The Crisis in Economic Theory*, New York, S. 19-34.
16. MELTZER, A.H. (1981), *Monetarism and the Crisis in Economics*; in D. BELL und I. KRISTOL (Hrsg.): *The Crisis in Economic Theory*, New York, S.35-45.
17. WILES, M. H. (1981), „Rational Expectations” as a Counterrevolution; in D. BELL und I. KRISTOL (Hrsg.): *The Crisis in Economic Theory*, New York, S. 81-96.
18. PUETZ, T. (1979). *Gruendlagen der theoretischen Wirtschaftspolitik (Wirtschaftspolitik, Bd. 1)*, 4., neubearb.u.erw.Aufl., Stuttgart.

Economic and Political Decision-Making Problems and Possibilities for Their Overcoming

Revaz Gvelesiani

*Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Chair of the Department of Economic Policy,
Director of the **Georgian-German Institute** of Economic Policy*

Irina Gogorishvili

*Associate Professor, Department of Economic Policy,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, member of
The **Georgian-German Institute** of Economic Policy*

In empirically complete process of preparation and making of decision, through the decision-making rule, it is possible to imagine what would be rational action. The inclusion of rational action is considered within the framework of the decision-making normative theory. This is done for passing the recommendation ordinance. In positive theories the main thing is to reveal those regularities and actions which are followed by real decisions. By this aspect two levels should be taken into account:

- Micro-theoretical level, where the subject of discussion is the individual factors behavior leading to decision-making, and
- Macro-theoretical level, where those action of collective factors are considered which are followed by solutions.

There are several rational principles, which should be met by the decision made in the conditions of uncertainty. However, it is impossible to get a universal rule of behavior out of such principles. On the contrary, there are numerous opposing rules. Their purpose is to put decision-makers in that situation where they will be able to make a choice between the results of the consistency of the value of the subject.

The principle of rationality requires that economic and political decisions be formulated globally as much as possible. But, at the same time, some difficulties related to the preparation of decisions should be taken into consideration, especially when dealing with this uncertainty. All important variables of economic policy are not operationalizable to that size in order to prepare decisions to that level that would allow us to assess the validity of the global problem.

The evaluation function along with the decision rules determines which option of instruments should be given preference. Such functions and rules, first of all, are oriented

to the possibilities of problem solving for decision-making. Unlike practical situations of decisions preparation they take only one decision-maker into account.

Generally we lack the practical methods for decisions preparation which are necessary for planning economic and political actions in the conditions of uncertainty. On the one hand, the reason for this is that we do not have sufficient knowledge about the interactions existing in the field of decisions. On the other hand, we do not know either quantity or types of the expected assessed outcomes. So, there is a certain mismatch between the complexity of decision preparation problem and real possibilities of its analytical and in-depth access.

Keywords: Economic and political decisions, economic policy implementers, interest groups, preparation of decisions, obstacles in decisions-making.

JEL Codes: D70, D78, D80, D81

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

მინა უფლის მიერ მთავარეზული ფასდაუდებელი
ღირებულსიმდიდრეა

პატა კოლუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებება ეს ტერიტორია (მინა) გამოიყენოს თავისი არსებობა-განვითარებისათვის, საზოგადოებრივი აღმშენებლობისათვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

მინა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებული და გაშინაარსებულია მინასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური და ემოციური სანყისებით. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მინასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

საკვანძო სიტყვები – უფალი; მინა; წმინდა წერილი; საქართველო; ერი.

მიწაზე საკუთრების უფლება საღვთო გაგებით

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები მრავალმხრივ საინტერესოა. ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, არის მიწასთან დამოკიდებულება, მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწის გასხვისება.

მიწის რესურსებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანის ცხოვრებაში. მიწას (მიწის რესურსს) განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილავს წმინდა წერილი. ღმერთმა შექმნა მიწა და უბოძა იგი ადამიანებს, რათა დაუფლებოდნენ და ეპატრონათ მისთვის (დაბ. 1:28). „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეებს – ადამიანის მსახურებისთვის, რათა გამოიღოს საკვები მიწიდან“ (ფს. 103:14).

ადამიანი ედემის ბაღიდან გამოაძევა უფალმა მიწის დასამუშავებლად, იმ მიწისა, რომლიდანაც თვით ადამიანი შეიქმნა. ეს შრომა პრინციპულად განსხვავდებოდა ედემის ბაღში შრომისაგან. მიწა დაინყველა ადამიანის გადაცდომის გამო და მას ტანჯვა-წვალება მოუტანა. მისი მოკვდავი სხეული კი მიწას დაემორჩილა: „და ადამს უთხრა: „რაკი შენს დედაკაცს დაუჭერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამაც მე ავიკრძალე, მიწა დაინყველოს შენს გამო: ტანჯვით ღებულობდე მისგან საზრდოს მთელი შენი სიცოცხლე! და ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს მან და მიწდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო! პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი!“ (დაბ. 3:17-19).

თუმცა, მოწყალეა უფალი და ის არასდროს მიატოვებს განსაცდელში ადამის მოდგმას, ოღონდ, კაცობრიობას უკვე გრძელი შემეცნების გზის გავლა უწევს, მან არსებობისთვის უნდა ისწავლოს და დაიცვას უფლის კანონები, კანონები, რომლებიც ისევ ჩვენს საკეთილდღეოდ არის დაწესებული. „შეასრულეთ ჩემი წესები და ჩემი სამართალი დაიცავით. შეასრულეთ ისინი და მშვიდად იცხოვრებთ ქვეყანაში. მოგცემთ მიწა თავის ნაყოფს, მაძღრისად შეჭამთ და მშვიდად იცხოვრებთ იქ“ (ლევ. 25, 18-19).

მიწიერ ცხოვრებაში „კერძო საკუთრება“ განისაზღვრება საკუთრებისადმი ჩვეულებრივი, მიწიერი მიდგომით. საღვთო გაგებით, საკუთრებაზე უფლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრის გარკვეულ ნაწილზე ადამიანთა მართვის დაშვება განსაზღვრული პერიოდით [1, გვ. 117].

ადამიანი თვითნებურად შემოსაზღვრავს მიწის ნაკვეთს და მას საკუთარ სახელს არქმევს („ეს ჩემია“). ძველი აღთქმის მიხედვით, ვხვდებით მიწასთან დამოკიდებულების თეოკრატიულ პრინციპს, რომლის თანახმადაც ადამიანი ამ რესურსის ღრობებითი მფლობელია: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ლევ. 25: 23).

მინა, უპირველესად ღმერთისაა: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მკვიდრნი მისნი“ (ფს. 23.1) და მინისადმი განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ: „მინა არ გაიყიდოს სამუდამოდ, რადგან მინა ჩემია. თქვენ ხომ ჩემი ხიზნები ხართ. თქვენს სამკვიდრებელ მინაზე მინის გამოსყიდვის ნება დართეთ. თუ გალარიბდება შენი ძმა და გაყიდის თავის სამკვიდრებელს, მივიდეს მისი ახლო ნათესავი მასთან და გამოისყიდოს მისი ძმის მიერ გაყიდული. თუ მას გამომსყიდველი არა ჰყავს, მაგრამ შემდეგ მიეცემა შესაძლებლობა და თვით ჰპოვებს გამოსყიდვის საშუალებას, გამოითვალოს გაყიდვიდან გასული წლები და დაუბრუნოს ნამეტი იმას, ვისაც მიჰყიდა, და თავისი სამკვიდრებელი ჩაიბაროს“ (ლევ. 23:27).

მინის რესურსთან დაკავშირებით ადამიანის შრომისმოყვარეობის მიმართების შესახებ იობის წიგნში ფასდაუდებელ ცნობებს ვხვდებით, რაც უშუალოდ მინასთან, ტექნოლოგიების გამოყენებასთან, შრომის დანაწილებასთან არის დაკავშირებული. ადამიანს უფალმა უბოძა მინა არა მარტო ნაყოფიერებით (როგორც სახნავ-სათესი სავარგული), არამედ მთელი თავისი სიმდიდრით, მადნებით, წიაღისეულით, რომლის გამოყენება შესაძლებელია წარმოების პროცესში, ადამიანის სასიკეთოდ: „ვერცხლს საბადო აქვს და ოქროს ადგილი, სადაც წმენდენ მას. რკინას მიწიდან იღებენ, სპილენძს კი მადნიდან აღნობენ. ზღვარი დაუდო ადამიანმა ბნელს და ქვეყნის კიდემდე ეძებს მადანს წყვლიადსა და ბნელში. გათხარა მადაროები ხეობაში, შორს, უკაცრიელ, მივიწყებულ ადგილებში. ხოლო მინა – მისგან აღმოცენდება პური, მისი ქვეშეთი კი ამობრუნებულია, თითქოს ცეცხლისგან. მისი ქვები საფირონის ადგილია და მისი მტვერი ოქროს შემცველია. ადამიანი კაჟზე იწვდის ხელს, მთლიანად აყირავებს მთებს. კლდეებში არხები გაჰყავს და ყოველივე ძვირფასს სჭვრეტს მისი თვალი. მდინარეთა დინებას აკავებს, და დამალული სინათლეზე გამოაქვს“ (იობ. 28:1-11).

წმინდა წერილი საკუთარი მინის მომვლელს, ყაირათიან და მეურნე ადამიანს დაუმაღლებელ ლუკმაპურს ჰპირდება: „თავისი მინის მხვენელ-მთესველი მადლარი იქნება; ამაო საქმეთა მადევარი კი სიღარიბით აივსება“ (იგავ. 28:19). სოლომონ ბრძენი გვმოდგერავს: „ვინც თავისას ხნავს და თესავს, არ დაიმშვეა; უაზრო მიზნების მადევარი კი უგუნურია. უკეთურის წადილია უკეთური ნადავლი; მართალთა ფესვი კი ნაყოფს გამოიღებს“ (იგავ. 12:11-12). დიდად მონყალეა უფალი, მაგრამ როდესაც მეტისმეტად განარისხებს მას ადამიანი, უპირველესად უფლის მცნებების დაუცველობის გამო, განსაცდელებს უვლენს მას. წმინდა წერილიდან მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მათ შორის აღსანიშნავია განსაცდელები, რომელიც ადამიანის მინასთან ურთიერთობას უკავშირდება.

წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმამდე შეუზღუდა რესურსი ადამიანს, თუმცა, ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი. დაუკვირდეთ იმ გარემოებას, რომ უპირველესად მინის რესურსი შეზღუდა და ამით თითქმის ყველაფერი შეიზღუდა. მნიშვნელოვანი იყო შედეგი ამ ქმედებისა: ქვეყანა განიწმინდა

კაცობრიობის ცოდვებისაგან და მადლიერების ნიშნად ნოემ ღმერთს საკურთხეველი აუგო.

წმინდა წერილში ასევე მრავალი მაგალითია იმისა, რომ უფალი მატერიალურს, მათთვის ძვირფასს ართმევს ადამიანებს მათივე სასიკეთოდ, რათა გაეღვიძოთ, დაფიქრდნენ და სულიერი შეიძინონ (ფს. 37:1-2).

უფლის მუქარას იგზავნილთაზე ვხვდებით: „და უთხარი ამ ქვეყნის ხალხს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმისა და ისრაელის ქვეყნის მკვიდრებზე: თავის პურს ტკივილით შეჭამენ და თავის წყალს ჭირითა და ტანჯვით შესვამენ, რადგან დაცარიელდება მათი ქვეყანა მისი სისავსისაგან მის მცხოვრებთა ძალადობის გამო. დასახლებული ქალაქები დაინგრევა და გაუდაბურდება ქვეყანა; და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი“ (ეზ. 12:19-20).

უფალი შეაგონებს ადამიანს, რომ არ გადაწიოს საზღვარი (სამანი), რომელიც წინაპრებმა დააწესეს მინის – ღვთისგან ბოძებული სიმდიდრის გაცოფისას: „არ გადაწიო შენი მოყვასის მიწა, წინაპრებმა რომ დასვეს შენს სამკვიდროში, რომელსაც დაიმკვიდრებ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს“ (II რჯ. 19:14).

წმინდა წერილში ვხვდებით მინის განაწილების პრობლემის მოგვარების მცდელობას. მაგალითად, მოსეს კანონმდებლობით, ამისათვის პირადი საკუთრების შეზღუდვის დანერგვა ხდება. ბიბლიის აღიარებული მკვლევარები მიიჩნევენ, რომ რესურსების, მათ შორის მინის რესურსების არანორმალურ და არამართლზომიერ გადანაწილებას მოაქვს სოციალური ბოროტება და შეიძლება სახელმწიფოს დაშლაც გამოიწვიოს.

საზოგადოდ, რესურსების შეზღუდულობა ეკონომიკის, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოფიერების ძირეული პრობლემაა, საიდანაც ფაქტობრივად, ყველა სხვა პრობლემა გამომდინარეობს. „იშვიათობის“ კონცეფცია რესურსების შეზღუდულობასაც ნიშნავს. მინა, ანუ ბუნებრივი რესურსებია ყოველივე, რასაც უფალი უბოძებს ადამიანს, ხოლო ეს უკანასკნელი იყენებს მას წარმოებაში – დამუშავებაში მყოფი მინები, საძოვრები, ხე-ტყე, წყალი, მადნები, წიაღისეული, ნავთობი, ანუ რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა.

რაც უფრო მცირეა რაოდენობრივად რესურსი, ანუ მეტია შეზღუდულობის ხარისხი, მით მეტია მისი ფასი. იგი ძირითადად მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით ყალიბდება. შეზღუდულობის (დეფიციტის) ზრდას კი უცვლელი მიწოდების პირობებში ფასის ზრდა მოჰყვება (საქონლის დეფიციტი ზრდის ფასს, ფულის დეფიციტი საპროცენტო განაკვეთს, სამუშაო ძალის შეზღუდვა ხელფასს და ა.შ.).

ქართული მიწა როგორც ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფასეულობა

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც

სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები აქვს:

1. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა, მის მეზობლობაში კი – ყველაზე საუკეთესო. ეს ქართველს ანიჭებს იმის განცდას (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწის შესანარჩუნებლად უაზრო არ არის: იგი თავის შთამომავლობას დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით (ღვთის წყალობით, თითქოსდა) უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, ასეთი მონარული ფრანგები, როგორცაა „მშვენიერი საქართველო“, „ტურთა საქართველო“, „ცა-ფიურუმ-ხმელეთ-ზურ-მუხტო ჩემო სამშობლო მხარეო“, „ქართულზე უკეთეს ხილს ვერსად შეჭამ“, „აქაურზე უკეთეს წყალს ვერსად დაღევ“, „ჩვენზე უკეთესი საღვინე ყურძენი არსად მოდის“ და ა.შ. მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ქართველმა კაცმა ისტორიულად იცის, რომ საქართველოს მიწის დაკარგვით იგი და მისი შთამომავლობა მომავალს კარგავს.

ისტორიულად, სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვებით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის – თავისი სახელმწიფოს – დაცვის სახით იცავდა – და იცავს. ეს ბუნებისა და საზოგადოების უწყვეტი კანონია. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

2. ქართველმა კაცმა იცის, რომ საქართველოს – სამხედრო თვალსაზრისით, კულტურული თვალსაზრისით, მორალური თვალსაზრისით, ზოგადად – მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისით, აგრეთვე, საკუთარი ცხოვრების მოწყობის ნიჭის თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს. ამაში მას ეგულება ერთ-ერთი უპირატესობა, რომელსაც იგი თავის შთამომავლობას უტოვებს. ქართველმა იცის (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მისი ერის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლებით (მაგალითად, ყველას ესმის, რომ ადამიანი, რომელსაც თვეში ერთხელ მაინც მთაზე შედგომა და ქვეყნის გადახედვა უწევს, უფრო მეტად არის აღჭურვილი წარმოსახვითა და აქტიური აზროვნების უნარით, ვიდრე ის, ვინც ტრამპალში ცხოვრობს).

აზროვნების აქტიურობა, რაც ადამიანს ბავშვობიდან უწვითარდება, როგორც ცნობილია, დიდი ფაქტორია მისი შემოქმედებითი აქტიურობისთვის, შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში.

3. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მა-

საც და მის მოდგმასაც უნარი აქვს სრულფასოვნად იშრომოს და იზრძოლოს ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში, სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც, ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა - საქართველოს ბუნება ადამიანს არც ანაზღაურებს, არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრაფს. იგი მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის.

საქართველოს კანონმდებელს არ აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს, თუნდაც ერთი გოჭი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰანმონიზებული ერთიანი სისტემა, ვერ იფუნქციონირებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინა ერისთვის არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან, არც მისდამი საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მინა გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

მინა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამონურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობის ზრდასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის გადიდებასთან ერთად, მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც.

დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა (დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით). სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება ისტორიას ბარდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენსამე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწის გასხვისებაზე სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემაფერხებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვებიც.

საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება იმის რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტე-

რიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდეს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

სოფელი, პირველ ყოვლისა, არის სახლომის ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობისასთან (ანუ სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება), რასაც სოფლად აღადგინათ რესურსების შენარჩუნებისა და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსასურსათო წარმოების განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მინის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა (და არა მისი თვითმართვის აპარატის – სახელმწიფოსი, როგორც ინსტიტუტის). ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალმემკვიდრე სამართალსუბიექტად მიიჩნევა ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ, არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას. ეს არის ერის ზოგადი და მართლმართლი ფუნქცია, რომლიდანაც მცირეოდენი გადახვევა კი ერის არც ერთ თაობას არ ეპატიება. არ ეპატიება, ცხადია, არც რომელსამე ხელისუფლებას. რიგითი ადამიანი ყველა ან თითქმის ყველა ეპოქისა გუმანით გრძნობს, რომ მიწა ღვთის ბოძებულია და მას მიწის წინაშე მიწიწების გრძნობა აქვს. ყოველი ნაბიჯი, რომელიც მიწის სტატუსს მიახლოებებს ჩვეულებრივი საქონლის სტატუსთან, ჯამში, საზოგადოებრივი მონალის სიღრმისეულ რღვევას უწყობს ხელს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი მოქალაქის წინაშე, უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს. სწორედ სახელმწიფომ უზრუნველყოს იმიგრაციის ზომიერი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრედიტული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

ბოლოთქმა

დღეს მთელმა ქართველმა ერმა იცის, რომ მოცემულ პირობებში მინის უცხოელებზე განუკითხავი გასხვისება ჩვენი ქვეყნისთვის არა თუ მავნე, არამედ – დამლუპველია. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტიდან არ ჩანს გარკვეულობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის საჭირო, რომ მცირემიწიანი საქართველო თავის მიწას უცხოელებზე ყიდდეს. ნათელია, რომ ამისთვის კანონმდებლის ცნობიერებაში ან ქვეცნობიერებაში ერთადერთი მოტივი არსებობს: „ამას მოითხოვს დემოკრატიული ზრდილობა“. უკიდურესად არადემოკრატი კანონმდებელი ამით იმშვიდებს „სინდის“ და ამავე დროს მომგებიან იმიჯს იქმნის მსოფლიოში, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ უცხოელებზე მინის განუკითხავი გასხვისება (თუ არ არსებობს ამის საზოგადოებრივი და სოციალური აუცილებლობა) სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით მიუღებელია (ამას მეტყველებს მაღალდემოკრატიული დასავლეთის მთელი საკანონმდებლო პრაქტიკა).

დასასრულ, მიწა არ არის საჩუქარი. მიწა არის უფლის მიერ მოზარებული ალუდგენადი, შეუნაცვლებადი და ამდენად, ფასდაუდებელი ღირებულისმიდირეა, რომელსაც დავალება აქვს დართული. ეს დავალება იმაში მდგომარეობს, რომ ეს საგანი ადამიანმა სიცოცხლის მანძილზე გამოიყენოს იმ ფუნქციით, რომელიც თვით ღმერთმა დაუწესა (ეს ფუნქცია, რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო ფუნქციაა), შეუნარჩუნოს იმასვე, ვინაც ეს ადამიანი თავის წარმომადგენლად ჩათვალა, და შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყოს ამ საგნის მანადიულოფას ამავე ფუნქციაში და ამათივე სამართლიანი მემკვიდრეების ხელში – ბიზლიური თვალსაზრისი მიწის თემაზე ეს არის. იგი რეალისტურია და განჭვრეტად მომავალში უალტერნატივოა. ის მრავლობითი სუბიექტი, რომლის წარმომადგენლადაც ეს ადამიანი ნაკულისხმევი, არის, უპირველეს ყოვლისა, მისი მოდგმა, მისი ერი.

ლიტერატურა:

1. ჩიხლაძე ნ. მინა, როგორც „გზა ხსნისა“. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2014, №4, გვ. 117.
2. Лопухина А., Земля и собственность по законам Моисея. Изд. СПбДА, Санкт-Петербург, 2010. с. 164.
3. ჩიხლაძე ნ. რესურსების შეზღუდულობა მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლებების მიხედვით. ჟურნ. <ბიზნესი და კანონმდებლობა>, 2011, №1, გვ. 68.
4. კოლუაშვილი პ. კანონმდებლობა ნათლად უნდა აყალიბებდეს თამაშის წესებს. <http://gnnews.ge/?p=3933>
5. კოლუაშვილი პ. გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია. <http://commerciant.ge/old1/?menuid=96&id=13931&lang=1>
6. მინას „დემოკრატიული ზრდილობის“ გამო ნუ გავასხვისებთ!!! (მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართვა პარლამენტს). <http://iverioni.com.ge/print:page,1,11833-mitsas-demokratiuli-zrdilobis-gamo-nu-gavaskhviseth.html>

Land - the Invaluable Asset Granted by the Lord

Paata Koguashvili

Professor, Georgian Technical University

Niko Chikhladze

Kutaisi State University

The land for the nation is its existence area, both physically and psychologically. It is vital base for living, which essentially determines the independence of the country's level. One particularly important issue, which raises a high public interest, is relation with the ground and its legal provision of national interests.

The land resources have always been taken an important place in human life. The land (land resources) is particularly discussed in the Holly letter. God created the earth and gave it to the people to take possession of and looking after it.

People arbitrarily limit the land area and call them names. According to the Old Testament, we see the destruction of addiction theocratic principles people of this resource become temporary owners.

The state territory of Georgia is organic socio-economic, demographic, ethno-psychological and ethno-cultural development of the laws of the land, where the state was

created with Georgian nationality and national consciousness. It is inseparable from the life of the nation's land.

We consider that state should owe its citizens, to provide guaranteed conditions in order to not to reduced the necessary resources for living. The government has to provide a moderate immigration control, Georgia that the pace of growth is estimated to have come in the foreseeable future of the offspring of the food, environmental, growingly, economic, demographic, social and other serious challenges.

Land is not a gift. The land is non-retrievable, irreplaceable and therefore, invaluable asset granted by the Lord, which has its function. The function of the land states in that the human life must use it in the way the God has imposed to land.

Keywords: Lord, land, holy letter, Georgia, nation.

JEL Codes: R14, R52, Q15

მინოდების ჯაჭვის ეფექტიანობის შეფასება ქართულ კომპანიებში

გიორგი დობორჯინიძე

*საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
g.doborjginidze@gtu.ge*

ბოლო ათწლეულში მინოდების ჯაჭვის მენეჯმენტი (SCM-Supply Chain Management) ჩამოყალიბდა როგორც ბიზნესის მართვის უმნიშვნელოვანესი დისციპლინა, რომელიც ეხმარება კომპანიებს გაუმკლავდნენ მათ წინაშე მდგარ ლოგისტიკურ გამოწვევებს და გაზარდონ მათი კონკურენტუნარიანობა. SCM-ის სწრაფმა განვითარებამ როგორც მეცნიერები, ასევე პრაქტიკოსები დააყენა გამოწვევის წინაშე. ეს გამოწვევა დაკავშირებულია მინოდების ჯაჭვის ანალიზისა და შეფასების ეფექტიანი ინსტრუმენტების ძიებესა და დანერგვასთან.

ბოლო წლებში მინოდების ჯაჭვის ეფექტურობის შეფასება ჩამოყალიბდა როგორც კომპანიებში მინოდების ჯაჭვის სტრატეგიული მართვისა და მისი მუდმივი კონტროლის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება კომპანიებს მიაღწიონ დასახულ მიზნებს. იგი საშუალებას იძლევა მოხდეს მინოდების ჯაჭვის ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება, რაც პირდაპირ დაკავშირებულია კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია 2014 წლის ბოლოს საქართველოში ჩატარებული მინოდების ჯაჭვის კვლევის შედეგები და წარმოდგენილია საქართველოს მინოდების ჯაჭვის სექტორის ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლები. აღნიშნული კვლევა ჩატარდა აშშ-ის დელოიტ კონსალტინგის, საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტის ერთობლივი თანამშრომლობით.

საკუანძო სიტყვები: მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი; მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების სარეფერენციო მოდელი; SCOR-ის მეტრიკები; მეტრიკების მიზნობრივი მაჩვენებლები; შედარებითი ანალიზი; ბიზნესპროცესების სტანდარტიზაცია; სტანდარტული საოპერაციო პროცედურა; აუთსორსინგი.

კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს მიწოდების ჯაჭვის სექტორის კვლევა განხორციელდა ყოფილი აშშ-ის მიწოდების ჯაჭვის საბჭოს (Supply Chain Council, SCC¹) მიერ შექმნილი მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების სარეფერენციო მოდელით (Supply Chain Operations Reference Model, SCOR). SCOR-ი წარმოადგენს სარეფერენციო მოდელს, რომელიც მოიცავს მიწოდების ჯაჭვის ორასზე მეტ სტანდარტიზირებულ პროცესს და ამ პროცესების ეფექტურობის განმსაზღვრელ ხუთასზე მეტ მეტრიკს², რომელთა შეფასების საფუძველზე კომპანიები ახდენენ მათი ეფექტურობის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ანალოგიური ხასიათის კვლევა პირველად საქართველოში განხორციელდა. კვლევის დროს კომპანიებში შესწავლილი იქნა მიწოდების ჯაჭვის ხუთი პროცესი: დაგეგმარება, შესყიდვა, წარმოება, მიწოდება, დაბრუნება. კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი მოიცავდა კომპანიებში ზემოაღნიშნული პროცესების ხარისხობრივ შეფასებას, რომელმაც აჩვენა თუ რამდენად შეესაბამება ამ კომპანიებში ბიზნეს-პროცესების მართვის ინსტრუმენტები და მეთოდები მსოფლიოში არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას. კვლევის მეორე ნაწილი დაკავშირებული იყო უშუალოდ ბიზნეს-პროცესების ეფექტურობის გაზომვასთან SCOR-ის მოდელის მეტრიკების მეშვეობით. კომპანიებს მიენოდათ 70-მდე მეტრიკი და გაანგარიშების მოდელები ზემოაღნიშნული ხუთი პროცესის მიხედვით. ქვემოთ სქემაში წარმოდგენილია კვლევაში გამოყენებული რამდენიმე ძირითადი მეტრიკი.

- 1 2015 წლის დასაწყისში განხორციელდა SCC-ის შერწყმა აშშ-ის ორგანიზაციასთან-APICS, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში მსოფლიოში ყველაზე მსხვილი კვლევითი ორგანიზაცია - APICS Supply Chain Council.
- 2 მეტრიკი წარმოადგენს გაზომვის ინსტრუმენტს, რომლის საშუალებით ხდება გარკვეული ბიზნეს-პროცესის ეფექტურობის შეფასება. მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის ლიტერატურაში მეტრიკის ნაცვლად ხშირად იყენებენ ტერმინს - KPI (Key Performance Indicator).

კვლევაში გამოყენებული SCOR-ის მოდელის მეტრიკების მაგალითი

დაგეგმარება	შესყიდვები	წარმოება	მიწოდება	დაბრუნება
პროცნობის სიზუსტის %-ული მაჩვენებელი	შესყიდვების ციკლის ხანგრძლივობა	წარმოების სიმძლავრის გამოყენების %-ული მაჩვენებელი	პროდუქტის მიწოდების ციკლის ხანგრძლივობა	კლიენტის მიერ დაბრუნებული პროდუქციის %-ული მაჩვენებელი მლიანი ბრუნვიდან
სასაწყობო მარაგების აქტიური პოზიციების რაოდენობა	კონტრაქტის ციკლის ხანგრძლივობა	წარმოების გრაფიკის დაცვის %-ული მაჩვენებელი	ტრანსპორტის დანახარჯის % მთლიანი შემოსავლიდან	დაბრუნების ციკლის ხანგრძლივობა
MTS პროდუქტების შემოსავლის პროცენტულობა	შესყიდვის ორდერის (PO) ციკლის ხანგრძლივობა	წარმოებული წუნის %-ული მაჩვენებელი	აუთორსირებული ტრანსპორტის %	
	პირდაპირი მატერიალური დანახარჯების %-ული მაჩვენებელი		საავტომობილო პარკის გამოყენების ეფექტურობა	
	დაოქმულ დროში მიღებული შეკვეთების %-ული მაჩვენებელი		შეკვეთის შესრულების %-ული მაჩვენებელი	
	მიმწოდებლისგან მიღებული ვარგისიანი პროდუქციის %-ული მაჩვენებელი		უშეცდომოდ მიწოდებული შეკვეთების %-ული მაჩვენებელი	

კვლევის მეორე ეტაპის შედეგია კომპანიების მიერ მოწოდებული მეტრიკების შედარებითი ანალიზი (ბენჩმარკინგი) და მათი შედარება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მეტრიკების მაჩვენებლებთან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედი 30-მა კომპანიამ შემდეგი სექტორებიდან: კვების მრეწველობა, საცალო ვაჭრობა და ფარმაცევტიკა. სექტორები შერჩეული იყო ორი ძირითადი კრიტერიუმით: სექტორის მნიშვნელობა საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში და შედარებითი ანალიზის განხორციელების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ თი-

თოეულ სექტორში მონაწილეობა უნდა მიეღოს მინიმუმ ხუთ კომპანიას, იმისათვის, რომ განხორციელდეს ეფექტურობის მონაცემების შედარება.

კვლევაში მონაწილე თითოეულ კომპანიას განსაზღვრული სექტორის მიხედვით წარედგინა მინოდების ჯაჭვისა და ლოგისტიკის პროცესების შედარებითი ანალიზი კონკურენტებთან მიმართებით. კვლევაში გამოქვეყნებული შედეგები იყო ანონიმური და არ იძლეოდა მონაცემების მიხედვით მონაწილე კომპანიების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. კვლევაში მონაწილეთათვის ხელმისაწვდომი იყო თითოეული მეტრიკის მიხედვით საკუთარი მონაცემი, ასევე სექტორში არსებული საუკეთესო და უარესი მონაცემები, რაც საშუალებას აძლევდათ მათ შეეფასებინათ საკუთარი ბიზნეს-პროცესები კონკურენტებთან მიმართებით და განესაზღვრათ მიზნობრივი მაჩვენებლები მათ გასაუმჯობესებლად. კვლევამ ასევე საშუალება მისცა კომპანიებს შეედარებინათ მათი მეტრიკების მონაცემები საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ სტანდარტებს.

ჩატარებულმა კვლევამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მინოდების ჯაჭვის მართვის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას და რაც მთავარია, მოხდა SCOR-ის მოდელის მიხედვით მინოდების ჯაჭვის ეფექტურობის განმსაზღვრელი ძირითადი მეტრიკების საბაზისო მონაცემების დადგენა (National Level Baseline), რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მოქმედ კომპანიებს დასახონ მეტრიკების მიზნობრივი მაჩვენებლები და მოახდინონ მათი პროცესების ეფექტურობის მონიტორინგი და მუდმივი გაუმჯობესება.

კვლევის შედეგების მოკლე ანალიზი

კვლევის შედეგების ანალიზით ვლინდება საქართველოს მინოდების ჯაჭვის სექტორში არსებული შემდეგი ძირითადი საჭიროებები:

1. მიწოდების ჯაჭვის სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტრენინგები:

- საჭიროა კომპანიებში დაინერგოს მინოდების ჯაჭვში და ლოგისტიკაში დასაქმებულთა გადამზადების გრძელვადიანი პროგრამები, რათა ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია და უნარჩვევები;

2. მიწოდების ჯაჭვის პროცესების ავტომატიზაცია:

- დგინდება, რომ საქართველოში უმეტეს კომპანიებში მინოდების ჯაჭვის პროცესები იმართება მანუალურად, რაც წარმოშობს ადამიანური ფაქტორის გავლენის მაღალ რისკებს და ზრდის შეცდომების რაოდენობებს;

- აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს ისეთი პროცესების ნაწილობრივი ან სრული ავტომატიზაცია როგორებიცაა: მარაგებისა და საწყობის მართვა, მარშრუტიზაცია/დისპეჩერიზაცია, მატერიალური რესურსების დაგეგმარება;

3. დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება და პროგნოზების სიზუსტე:

- კვლევის შედეგებმა აჩვენა საქართველოში მოქმედი კომპანიების დაგეგმვისა და პროგნოზირების სიზუსტის შედარებით დაბალი მაჩვენებელი, რაც ხელს უშლის მათ სანარმო რესურსების რაციონალიზაციასა და დანახარჯების ოპტიმიზაციაში;

- საჭიროა დაინერგოს მიწოდების ჯაჭვის მართვის კროს-ფუნქციონალური პროცესი, ასევე გაყიდვებისა და ოპერირების დაგეგმვის (Sales and Operations Planning) პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს დაგეგმვის პროცესის მკვეთრ გაუმჯობესებას და კომპანიების მიწოდების დანახარჯების შემცირებას;

4. მიმწოდებლების შეფასება და მონიტორინგი:

- კვლევაში მონაწილე კომპანიების ძირითადი ნაწილი არ ახორციელებს ან არარეგულარულად ახორციელებს მათი მიმწოდებლების შეფასებას და მონიტორინგს, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ნედლეულისა და მარაგების მიწოდების ხარისხის დაქვეითებას და წარმოებისა თუ სხვა პროცესების მაღალი რისკის ქვეშ დაყენებას;

- აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს კომპანიებში მიმწოდებელთა შეფასების და მათთან ურთიერთობის მართვის (Supplier Relationship Management) საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა, შესყიდვების ორგანიზაციულ ერთეულებში კონტრაქტების მართვის ფუნქციის ინტეგრაცია და მიმწოდებლებთან კონტრაქტების მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესება;

5. სატრანსპორტო და ლოგისტიკური დანახარჯების შემცირება:

- საქართველოში მოქმედი კომპანიები ხასიათდება საშუალოზე მაღალი სატრანსპორტო და ლოგისტიკური დანახარჯებით, რაც ხელს უშლის მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;

- დანახარჯების სიდიდე პირველ რიგში დაკავშირებულია: იმპორტ-ექსპორტის დისბალანსთან, ტვირთის კონსოლიდაციისა და კროს-დოკინგის ოპერაციების დაბალეფექტურობასთან, ტრანსპორტისა და დისტრიბუციის აუტოსორსინგთან, სატრანსპორტო საშუალებების ათვისების დაბალ მაჩვენებელთან (იხილეთ ფიგურა 6), მარშრუტების არაოპტიმალურ დაგეგმარებასთან, სასაწყობო ოპერაციების დაბალეფექტურობასთან;

- საჭიროა დაჩქარდეს ტრანსპორტისა და დისტრიბუციის პროცესების აუტოსორსინგი, განხორციელდეს ტრანსპორტის, საავტომობილო პარკისა და მარშრუტების დაგეგმვის პროცესების ავტომატიზაცია, განვითარდეს ტვირთის კონსოლიდაციისა და კროს-დოკინგის ოპერირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

6. მარაგების მართვის გაუმჯობესება:

- მარაგების დაგეგმვის არაეფექტურობის შედეგად წარმოქმნილი მაღალი დანახარჯები წარმოადგენს ქართული კომპანიების ერთერთ ძირითად გამოწვევას. გამოკითხული კომპანიების ძირითადი ნაწილი არ იცნობს მარაგების მართვის თანამედროვე მეთოდებს, არ აწარმოებს მარაგების კლასიფიკაციას

(ABC/XYZ) და არ აქვს ჩამოყალიბებული მარაგების მართვისა და მინოდების სტრატეგიები;

- ძირითადად მაღალია კომპანიების მარაგების რაოდენობა, რაც ზრდის მარაგების შენახვის დანახარჯებს;

- საჭიროა ქართულ კომპანიებში დაინერგოს მარაგების მართვის საერთაშორისო პრაქტიკა და მოხდეს დაგეგმვის პროცესის ნაწილობრივი ან სრული ავტომატიზაცია;

7. SCM-ის საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება და ბიზნეს-პროცესების სტანდარტიზაცია:

- დაბალია მინოდების ჯაჭვის ეფექტურობის მეტრიკების გამოყენების პრაქტიკა;

- ასევე დაბალია მინოდების ჯაჭვის პროცესების სტანდარტიზაციის დონე, რაც ხელს უშლის აღნიშნული პროცესების გაუჯობესებას, ზრდის ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ზრდის შეკვეთების შესრულებისა და სხვა ბიზნეს-ოპერაციების წარმოებაში შეცდომების რისკებს;


- ქართულ კომპანიებში საჭიროა მოხდეს SCM-ის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა და სტანდარტული საოპერაციო პრეცედურების (SOP) გამოყენება.

აღნიშნულთან ერთად წარმოდგენილია კვლევის მაჩვენებლები მინოდების ჯაჭვის შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- მინოდების ჯაჭვის პროცესების ავტომატიზაცია;
- დაგეგმვისა და პროგნოზირების სიზუსტე;
- შესყიდვების პროცესის ეფექტურობა;
- წარმოების დაგეგმვა;
- მინოდების ხარისხი;
- მეორადი ტრანსპორტირება;
- მარაგების მართვა;
- საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება და პროცესების სტანდარტიზაცია.

დაგეგმვისა და პროგნოზირების სიზუსტე

გამოკითხული კომპანიების 80%-მა აღნიშნა, რომ ისინი მონიტორინგს უწევენ დაგეგმვისა და პროგნოზირების სიზუსტის მაჩვენებელს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიები ამ კუთხით იყენებენ გარკვეულ საერთაშორისო პრაქტიკას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზირების სიზუსტის საერთო მაჩვენებელი 80%-ზე დაბალია, რაც საერთაშორისო სტანდარტით საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. შემდეგ ფიგურაში წარმოდგენილია გამოკითხული კომპანიების პროგნოზის სიზუსტის მაჩვენებელი.



ფიგურა 1: პროგნოზირების სიზუსტის მაჩვენებელი %-ში

შესყიდვების პროცესის ეფექტურობა


ფიგურა 2-ში წარმოდგენილია შესყიდვების ეფექტურობის შეფასების ის კრიტიკული მეტრიკები, რომელთა გაუმჯობესება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კომპანიებისთვის. ესენია: შესყიდვების საერთო დანახარჯების პროცენტულობა ძირითად მიმწოდებლებზე (მლიანი მიმწოდებლების რიცხვის 20%) და მიმწოდებლების მიერ შეთანხმებული გრაფიკით განხორციელებული მიწოდებები. აღსანიშნავია, რომ პირველი მეტრიკის მიხედვით ყველაზე კრიტიკული მაჩვენებელი ფიქსირდება ფარმაცევტიკის სექტორში, რომელიც მითლიანი შესყიდვების საშუალოდ 47%-ს ხარჯავს მისი მიმწოდებლების 20%-ზე. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მიმწოდებლების რიცხვი მეტად მაღალია, რაც როგორც წესი შესყიდვების შედარებით მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. შესყიდვებისა და მიმწოდებლების კონსოლიდაცია იწვევს დანახარჯების შემცირებას, თუმცა ატარებს მიმწოდებლებზე დამოკიდებულების რისკებსაც.

მეორე მეტრიკის მიხედვით, რომელიც ასახავს მიმწოდებლების მიერ დროულად განხორციელებულ მიწოდებებს, კვების მრეწველობა და საცალო ვაჭრობა საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მაჩვენებლებს (95%-97%) უტოლდება (იხ. ფიგურა 2). რაც შეეხება ფარმაცევტიკის სექტორს, მისი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 70%-ს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიმწოდებელთა სანდოობა მიწოდების გრაფიკის დაცულობის თვალსაზრისით შედარებით დაბალია ვიდრე დანარჩენ ორ სექტორში.


წარმოების დაგეგმვა

გამოკითხული კომპანიების წარმოების პროცესში შეიმჩნევა გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმარების დეფიციტი. კომპანიების დიდი რაოდენობა მხოლოდ სპონტანურ დაგეგმარებას ახორციელებს, რომლის დროსაც არ ითვალისწინებს წარმოების პარამეტრებსა და შეზღუდვებს. საქართველოში მოქმედი მულტინაციონალური კომპანიების 71% ხელმძღვანელობს წარმოების ყოველკვირეული გრაფიკებით, რომელიც მათ საშუალებას აძლევს მოახ-

დინონ სწრაფი ადაპტირება მოთხოვნის ცვლილებებზე. მულტინაციონალების მიერ ასევე აქტიურად გამოიყენება წარმოების აუტოსორსინგი, რაც მათ ანიჭებს მოქნილობისა და დანახარჯების შემცირების მკვეთრ უპირატესობას.



ფიგურა 2: შესყიდვებისა და მიწოდებლების ეფექტურობის მაჩვენებლები %-ში საერთაშორისო სტანდარტის მაჩვენებლის წყარო: WERC Measures Study, 2014




ფიგურა 3: წარმოების დაგეგმვის ეფექტურობის შეფასება

მიწოდების ხარისხი

კომპანიების მიწოდების ხარისხის შეფასება განხორციელდა ფიგურები 4 და 5-ში წარმოდგენილი მეტრიკების მეშვეობით: შეკვეთების შესრულების მაჩვენებელი (Fill Rate), რომელიც განსაზღვრავს თუ:

- რამდენი პროცენტი შეკვეთილი სასაწყობო ერთეულიდან (Stock Keeping Unit, SKU) იქნა მიწოდებული;

- სრულად მიწოდებული შეკვეთები, რომელიც აღნიშნავს, თუ რამდენი პროცენტი შემოსული შეკვეთებიდან შესრულდა სრულად;
- დროულად მიწოდებული შეკვეთები, რომელიც აჩვენებს თუ შესრულებული შეკვეთებიდან რამდენი შეკვეთა იქნა მიწოდებული დათქმულ დროში.



ფიგურა 4: შეკვეთების შესრულების მაჩვენებელი %-ში
საერთაშორისო სტანდარტის მაჩვენებლის წყარო: WERC Measures Study, 2014

კვლევის შედეგად დგინდება, რომ შეკვეთების შესრულების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 80-85%, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული სტანდარტისგან (97%) და საუკეთესო პრაქტიკიდან (99,7%). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე დაბალია საცალო ვაჭრობაში (საშუალოდ 85%), ხოლო მონივნავე მაჩვენებლით ფარმაცევტიკა ხასიათდება. შემდეგ ფიგურაში წარმოდგენილია გამოკითხული კომპანიების შეკვეთების შესრულების მაჩვენებელი.


რაც შეეხება მიწოდებული შეკვეთების ხარისხის მაჩვენებლებს, აქ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, თუმცა აქაც აშკარაა სხვაობა საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული მაჩვენებლებთან. საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიწოდებული შეკვეთების საშუალოდ 93% სრულდება სრულად და 92% დროულად (იხ. ფიგურა 5). საერთაშორისო სტანდარტები მერყეობს 96%-დან 99,9%-მდე. აღსანიშნავია რომ მიწოდებული შეკვეთების ხარისხის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა კვების მრეწველობა (საშუალოდ 96%).

მეორადი ტრანსპორტირება

მეორადი ტრანსპორტირების¹ ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ საქართველოს ბაზარზე არსებული მეორადი ტრანსპორტირების აუთ-

1 საქონლის ტრანსპორტირება სანარმოებიდან ან სანყოფიდან კლიენტამდე/კლიენტის სანყოფამდე.

სორსინგის მზარდი ტენდენცია. გამოკითხვების მიხედვით კვების მრეწველობა-სა და საცალო ვაჭრობაში აუტოსორსინგი საშუალოდ 50%-ს შეადგენს, ხოლო ფარმაცევტიკაში მხოლოდ 25%-ს. აღსანიშნავია, რომ საცალო ვაჭრობასა და კვების მრეწველობაში აუტოსორსინგული ტრანსპორტის დანახარჯების პროცენტი მთლიანი შემოსავლებიდან ახლოა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ საუკეთესო მაჩვენებლებთან (იხ. გიგურა 6). მაგალითად, საცალო ვაჭრობაში საშუალო მაჩვენებელი 2%-ს შეადგენს, ხოლო კვების მრეწველობაში- 4%-ს. განსხვავებული სიტუაციაა ფარმაცევტიკაში, სადაც აუტოსორსინგული ტრანსპორტის საშუალო დანახარჯი მთლიანი შემოსავლიდან 7%-ია. აღსანიშნავია რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 3-დან 5%-მდე მერყეობს.





ფიგურა 5: მინოდებული შეკვეთების ხარისხის მაჩვენებლები %-ში: სრულად და დროულად მიწოდებული შეკვეთები

საერთაშორისო სტანდარტის მაჩვენებლის წყარო: WERC Measures Study, 2014

საავტომობილო პარკის დაბალი შევსება წარმოადგენს საქართველოში მაღალი სატრანსპორტო დანახარჯების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. გამოკითხული კომპანიების მთლიანი მაჩვენებლის მიხედვით აუტოსორსინგული საავტომობილო პარკის ათვისების კოეფიციენტი (Fleet Utilization Rate) საშუალოდ 80%-ს შეადგენს, რაც საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. საუკეთესო მაჩვენებლები 90-დან 92%-მდე მერყეობს, რაც უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს. ყველაზე უმდაბლესმა მონაცემმა 40%-ი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიებში, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი საავტომობილო პარკი, ზემოაღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ერთის მხრივ საჭიროა დაჩქარდეს ამ მიმართულებით აუტოსორსინგის პროცესი და მეორეს მხრივ მოხდეს მარშრუტების დაგეგმვისა და საავტომობილო პარკის მართვის პროცესების გაუმჯობესება.



ფიგურა 6: მეორადი ტრანსპორტირების ეფექტურობის მაჩვენებლები %-ში


მარაგების მართვა

ისევე როგორც ტრანსპორტირება, მარაგების მართვის დაბალ ეფექტურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყანაში არსებულ მაღალ ლოგისტიკურ დანახარჯებზე. გამოკითხული ქართული კომპანიების მხოლოდ 30%-40% მიწოდებას აწარმოებენ ევრეთნოდებული “Pull” პრინციპით, რაც დადებითი მოვლენაა და იმის მიმანიშნებელია, რომ კომპანიები იყენებენ მიწოდების მიერ მართული მარაგების პრინციპს (Vendor Managed Inventory, VMI). ის ფაქტი, რომ მულტინაციონალურ კომპანიებს ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 80%-ს აღწევს იმით აიხსნება, რომ ეს კომპანიები ძირითად შემთხვევაში მოქმედებენ, როგორც მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების ფილიალები/წარმომადგენლები საქართველოში და აწარმოებენ მიწოდებას ძირითადად კლიენტების მოთხოვნის საფუძველზე.


მარაგების მართვაში საკმაოდ დაბალია საერთაშორისო მართვის პრაქტიკის გამოყენება: როგორც მულტინაციონალური ასევე ქართული კომპანიების მხოლოდ 30-43% აწარმოებს მარაგების დაგეგმვასა და კონტროლს ABC კლასიფიკაციის მიხედვით. ასევე დაბალია მიწოდების ჯაჭვის მარაგებთან დაკავშირებული ინორმაციის გაცვლის მაჩვენებელი (ქართული კომპანიები-40%, მულტინაციონალური-57%) და მარაგების ერთობლივი დაგეგმარების პრაქტიკა, რაც დისტრიბუციაში და განაწილებაში თავისთავად იწვევს ევრეთნოდებული მათრახის ეფექტს (Bullwhip Effect) და შესაბამისად ჭარბი მარაგებისა და მარაგების ამონერვის მაღალ რისკებს. ფიგურა 7-ში წარმოდგენილია მარაგების საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც ასახავს თუ რამდენი გამოკითხული კომპანიებიდან იყენებს აღნიშნულ პრაქტიკებს.

გამოკითხული მეტრიკების მიხედვით ქართულ კომპანიებში მარაგ-დღეების საშუალო რაოდენობამ საშუალოთ 55 დღე შეადგინა, რაც 10 დღით მეტია საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მარაგ-დღეების სტანდარტზე (შეადარეთ წყვეტილს ფიგურა 8). საქართველოში მოქმედ მულტინაციონალური კომპანიე-


ბის მარაგ-დღეების რაოდენობა საშუალოდ 40 დღეს შეადგენს, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. შემდეგი ფიგურა ასახავს მარაგ-დღეებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის ხანგრძლივობის მაჩვენებლებს.



ფიგურა 7: მარაგებს მართვის პრაქტიკა



ფიგურა 8: მარაგ-დღეების რაოდენობა



ფიგურა 9: ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის ხანგრძლივობა

საერთაშორისო სტანდარტის მაჩვენებლის წყარო: WERC Measures Study, 2014

აღსანიშნავია ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის ხანგრძლივობის (Cash-to-Cash Cycle Time¹) დადებითი მაჩვენებელი ქართულ კომპანიებში, რომელიც 40 დღეს შეადგენს და შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკის სტან-

1 Cash-to-Cash Cycle Time: დრო, რომელიც სჭირდება კომპანიის მიერ ნედლეულის შესაძენად განხორციელებული ინვესტიციის უკან დაბრუნებას/ამოღებას. მომსახურების შემთხვევაში ეს წარმოადგენს დროის პერიოდს, კომპანიის მიერ მომსახურების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შექმნიდან, მომხმარებლის გადახდამდე, რომელიც განხორციელდა მინოდებული მომსახურეობის საფუძველზე. გამოთვლა: ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის ხანგრძლივობა = [არსებული მარაგ-დღეები] + [დებიტორული დავალიანება დღეებში] – [კრედიტორული დავალიანება დღეებში].


დარტს. მულტინაციონალურ კომპანიებში საშუალო მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (20 დღე), რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული კომპანიები მეტად ეფექტურად მართავენ ფულად სახსრებს, რაც შესაბამისად მათი მარაგების ბრუნვის სისწრაფეზეც და მარაგების დანახარჯებზეც დადებითად აისახება.

საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება და პროცესების სტანდარტიზაცია


ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოში საკმაოდ დაბალია მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის მეტრიკების გამოყენების პრაქტიკა. გამონაკლისს წარმოადგენენ ქვეყანაში მოქმედი მულტინაციონალური კომპანიები, რომელთაც გლობალურად აქვთ დანერგილი აღნიშნული პრაქტიკა. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი (30%) შეინიშნება საცალო ვაჭრობაში (იხ. ფიგურა 10). ხოლო ფარმაცევტიკაში მეტად კრიტიკული მდგომარეობაა. აღნიშნულ სექტორში პრაქტიკულად არ მიმდინარეობს მიწოდების ჯაჭვის პროცესების შეფასება მეტრიკების საშუალებით.

რაც შეეხება მიწოდების ჯაჭვის პროცესებში პროდუქტის ხარისხის შეფასებას და კონტროლს მეტრიკების საშუალებით (მაგ: ტრანსპორტით გამოწვეული დაზიანება, წუნდებული პროდუქციის %-ი, დოკუმენტაციისა და პროდუქტის ხარისხის შესაბამისობა დ.ა.შ.), აქ ფარმაცევტიკა მოწინავეა, რაც ლოგიკურია ფარმაცევტული პროდუქციის კრიტიკული მნიშვნელობიდან და ამ დარგში არსებული ხარისხის კონტროლის მკაცრი ნორმებიდან გამომდინარე, რასაც ვერ ვიტყვით საცალო ვაჭრობასა და კვების მრეწველობასთან მიმართებაში. აღნიშნულ სექტორებში პროდუქციის ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული მეტრიკების გამოყენების პრაქტიკა მხოლოდ 33%-დან 40%-მდეა (იხ. ფიგურა 10).

ხაზგასასმელია ასევე სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) პრაქტიკაში გამოყენების დაბალი მაჩვენებელი. SOP-ების გამოყენება საქართველოში ხდება ძირითადად შემდეგ პროცესებში: ტვირთის მიღება-გაცემის ოპერაციები, სასაწყობო ოპერაციები, შესყიდვები და კონტრაქტინგი. აღსანიშნავია, რომ ტვირთის მიღება-გაცემის ოპერაციების სტანდარტიზაციას კვების მრეწველობასა და საცალო ვაჭრობაში შედარებით მაღალი მნიშვნელობა ენიჭება (შესაბამისად გამოკითხული კომპანიების 57-დან 71%-მდე იყენებენ SOP-ებს). ასევე შესამჩნევია სასაწყობო ოპერაციების სტანდარტიზაციის დაბალი დონე განსაკუთრებით ფარმაცევტიკასა და საცალო ვაჭრობაში (შესაბამისად 20% და 30%). რაც შეეხება შესყიდვებსა და კონტრაქტინგს, ფარმაცევტიკაში საერთოდ არ გამოიყენება სტანდარტული პროცედურები, ხოლო კვების მრეწველობაში მისი გამოყენება მხოლოდ 40%-ს შეადგენს. ფიგურა 11 წარმოგვიდგენს სტანდარტული საოპერაციო პროცედურების გამოყენების პრაქტიკას, რომელიც ასახავს, თუ რამდენი პროცენტი გამოკითხული კომპანიებიდან იყენებს აღნიშნულ პროცედურებს.



ფიგურა 10: საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული მეტრიკების გამოყენება



ფიგურა 11: სტადარტული საოპერაციო პროცესების გამოყენება

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მინოდების ჯაჭვის სექტორში გახორციელებული პროცესების ეფექტურობა. წარმოდგენილი მონაცემების აგრეგირება მოხდა SCOR-ის მოდელის მიხედვით შემუშავებული კვლევის მეთოდოლოგიით, რომელიც მოიცავს კომპანიების მინოდების ჯაჭვის პროცესების ეფექტურობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. კვლევის ფარგლებში განხორციელდა 70-მდე მეტრიკის გაანგარიშება და მათი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი, როგორც კვლევის მონაწილეთა შორის, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ მეტრიკების მაჩვენებლებთან.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა საქართველოში მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის განმსაზღვრელი ძირითადი მეტრიკების საბაზისო მონაცემები. საქართველოში მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის შეფასების პრაქტიკის დანერგვისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ხასიათის კვლევის რეგულარულად ჩატარება, რათა:

Investment attractiveness may be a subjective term, but the inflow of investments is hard data. These data show that in 2012, Poland has attracted significantly less foreign investment than a year earlier. According to preliminary data of the National Bank of Poland, the inflow of foreign direct investment to Poland last year amounted to 2.9 millions of Euros, while in 2011 reached 13.6 millions of Euros. These data seem to be confirmed by the estimated calculations presented at the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), which show that in 2012 inflow of FDI of amounted to 4.1 millions of USD and a year earlier to 18.9 millions of dollars.

In the most recent ranking of Global Free Zones of the Year 2014, developed by “fDi Magazine” of “Financial Times” group, four Special Economic Zones were given a recommendation: Łódzka, Katowicka, Pomorska and Wałbrzyska. It indicates that Poland is in the top three most attractive Economical Zones in Europe. A great role in the attractiveness of polish Special Economic Zones play tax exemptions. According to information provided by the Ministry of Finances, the income of companies and partnerships which manage the Economic Zones that are exempted from tax in a period of the last 15 years have exceeded 14,6 milliards of zlotys. The total national aid granted to entrepreneurs who conduct their activity in the zones amounted to next 14,4 milliards of zlotys. This was the main reason, among other things, of attracting the capital from Germany, USA, Holland, Japan and Italy to Poland.

Leading investors in Special Economic Zones [15, , p.54]

Table 2.

Zone	Entrepreneur	Type of business	Capital country of origin
Katowicka	General Motors Manufacturing Poland	Automotive industry (car manufacture)	USA
	NGK Ceramics Polska	Automotive industry (ceramic filters for diesel engines)	Japan
	Fiat Powertrain Technologies Polska	Automotive industry (engines)	Italy
Wałbrzyska	Toyota Motor Manufacturing Poland	Automotive industry (gearshifts)	Japan
	MondelezPolska Production	Food industry	Holland
	Toyota Motor Industries Poland	Automotive industry (diesel engines)	Japan
Legnicka	Volkswagen Motor Polska	Automotive industry (engines)	Holland
	Sitech	Automotive industry (car seats)	Holland
Warmińsko- Mazurska	Michelin Polska	Tyre manufacture	Switzerland
Tarnobrzaska	LG Display Poland	LCD panels manufacture	South Korea
Łódzka	Gillette Poland International	Electric shavers manufacture	Holland
WałbrzyskaiKostrzyńsko-Słubicka	Volkswagen Poznań	Automotive industry (car manufacture)	Germany
WałbrzyskaiKatowicka	Electrolux Poland	Household equipment	Sweden
Pomorska	Mondi Świecie	Paper industry	Holland

A major role in the attractiveness of Polish Economical Zones play tax exemptions. According to information provided by the Ministry of Finances, the income of companies and partnerships which manage the Economic Zones that are exempted from tax in a period of the last 15 years have exceeded 14,6 milliards of zlotys. The total national aid granted to entrepreneurs who conduct their activity in the zones amounted to next 14,4 milliards of zlotys. This was the main reason, among other things, of attracting the capital from Germany, USA, Holland, Japan and Italy to Poland as was presented in the table above [16, p.92]. According to a report of the Ministry of Economy each year in Special Economic Zones the automotive industry plays the leading role, next modern business services and research and development centres.

Conclusion

The size of the global FDI are growing much more rapidly than world trade or production, which in turn causes a rapid increase in the role of FDI as a “binding agent” of global economy. With increasing globalisation, FDI are increasingly used to minimize the possible adverse effects of globalisation and enhance its positive effects. Over the course of liberalization of restrictions on FDI it is important not to cause a situation where national regulations and restrictions could be replaced by a restrictions put forward by private companies. Those countries that fail to attract foreign investors and use them as a catalyst in the process of modernization of the domestic industry, are at greater risk of being on the verge of globalisation of the world economy.

The basic accusation against special economic zones is an interference with free competition between companies operating in the zone and outside it. A question should be answered whether the development of only particular areas of the zones would attract investments to the same extent as it attracts today. A decision about an investment is conditioned by benefits from running a particular business activity, among other things, tax exemptions. The costs of conducting an economic activity in the zone are lower than conducting it outside the zone. The limitations in granting public aid would definitely be reflected in reducing the number of worksites in the region. A high percentage of unemployment was minimalized by creating special economic zones. The lack of their development would result in a smaller number of the employed and a decrease in the present number of worksites. The characteristic feature of special economic zones in Poland is the fact that the area of one zone may cover the area of a few voivodeships. Each zone is a tool that is able to greatly improve the dynamics of the development of a given region through creating new worksites or locating foreign capital. Moreover, they are a chance to overcome the economic stagnation for many local communities.

Bibliography:

1. M. Typa, Special economic zones as growth poles of the Lower Silesia region [in]: Regional aspects of the development of selected economic activities in Poland, I. Fierla (ed.), Monographs and Research Studies No. 506, Publishing House School of Economics, Warsaw, 2003.
2. Hnatyszyn-Dzikowska, Low Taxes: Special Economic Zones in Poland, "European Funds", No 5, p. 33-34, 2005.
3. D. Golik, J. Kałnik-Prokop, The functioning of special economic zones in Poland, „Economic Studies”, no 166, the University of Economics in Katowice, 2014.
4. Tax incentives in SEZ, <http://www.paiz.gov.pl>, access 7.08.2015.
5. Ernst & Young -Special Economic Zones after 2020, <http://www.mg.gov.pl>
6. Ministry of Economy, Information on the implementation of the law on special economic zones, State as of 31 December, Warsaw, p.9-10, 2014.
7. KPMG report in Poland „20 years of special economic zones in Poland - przewodnikpo SSE”, Warsaw , 2014.
8. <http://eurofundsnews.eu/wazne/nowe-perspektywy-dla-specjalnych-stref-ekonomicznych-sse/>, access 8.08.2015.
9. NBP- National Bank of Poland <http://www.nbp.pl/> .
10. J. Bossak, E. Kawecka – Wyrzykowska, Modern world economy. Structure and development tendencies. Warsaw, 1984.
11. A. Rzepka, Globalisation and global economy in theory and practise, LAP LAMBERT Academic Publication, Saarbrucken, 2013.
12. E. Czarny, K. Śledziewska, Changes in the world trade for years 1950 -2004, [In:] Bank and Credit, April, 2007.
13. A. Rzepka, FDI and international trade in globalisation aspects in economy. The case of Poland, Actual problems of development of economy and economic science, TSU, Tbilisi, 2015.
14. Budnikowski, Globalisation and Integration, Warsaw, 2000.
15. Global Free Zones of the Year 2014.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სპეციალური ეკონომიკური ზონების ანალიზი (პოლონეთის გამოცდილება)

აგნეშკა რზეპკა,

იოსებ მასურაშვილი

სპეციალური ეკონომიკური ზონების (სეზ) შექმნის მიზანია მოცემული ტერიტორიის სწრაფვა ეკონომიკური განვითარებისკენ - ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული სფეროების და ახალი ტექნოლოგიების განვითარების გზით, გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდით, ინფრას-

ტრუქტურის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით და სხვ.

ეკონომიკური ზონების მიზნები, რაც აღწერილია შესაბამის კანონში, ადასტურებს მისი შექმნის კანონიერებას, რაც აისახება ეკონომიკის მოდერნიზებასა და მისი განვითარების სტიმულირებაში. იმის გამო, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები პოლონეთის ხელისუფლების მიერ აღქმული იყო, როგორც რეგიონული პოლიტიკის კარგი ინსტრუმენტი, რომელიც იზიდავს ახალ ინვესტიციებს და ზრდის შანსებს რეგიონების ეკონომიკური განვითარებისთვის, ასეთი ზონების შექმნა განპირობებული იყო შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმებით:

- რეგიონის მოთხოვნილებათა რესტრუქტურირაცია ზონების ტერიტორიაზე კაპიტალის ნაკადის შესაძლებლობების მიხედვით;
- რეგიონში არსებული განვითარების დისპროპორციების რეგულირება;
- ზონის, როგორც სპეციალიზებული ტექნიკის დიფუზიური ინსტრუმენტის შედეგის შექმნა.

სეზ-ებში სავადასახადო სტიმულირების სისტემაა შემოღებული, რომელიც ეფუძნება პოლონეთის 1994 წლის 20 ოქტომბრის აქტს და რომლის ამოცანაცაა სტიმულირება მოახდინოს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების, რათა დააბანდონ სახსრები მრეწველობის ცალკეულ სფეროებში. აღნიშნული კანონის თანახმად, მენარმე მთლიანად თავისუფლდება მოგებაზე გადასახადისგან 10 წლის განმავლობაში და თავისუფლდება გადასახადის 50%-ისგან შემდგომი წლების განმავლობაში სეზ-ების არსებობამდე. გარდა ამისა, მენარმე თავისუფლდება ქონების გადასახადის გადახდისგანაც. ნაციონალური დახმარების პირობებში იმ მენარმეთათვის, რომელთა გაცემული ნებართვაც ძალაში იყო 1999 და 2000 წლამდე და იმ მენარმეთათვის, რომელთაც ნებართვები მიიღეს 2000 წლის შემდეგ, დივერსიფიცირება ხდებოდა იმ მიზეზით, რომ მენარმეთა ორი სხვადასხვა ჯგუფი ერთდროულად ითხოვდა ნაციონალურ დახმარებას სხვადასხვა პრინციპის და პროცედურების მიხედვით. მაგალითად, მცირე კომპანიები, რომელთაც ნებართვები მიღებული ჰქონდათ 2000 წლამდე, შეძენილი უფლებებით განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისგან 2011 წლამდე, მაშინ როცა საშუალო კომპანიები მხოლოდ 2010 წლამდე იყვნენ განთავისუფლებლნი გადასახადებისგან. პირიქით, მსხვილმა კომპანიებმა, რომელთაც ნებართვები აიღეს 1999 წლამდე, მიიღეს მაქსიმალური დახმარება - ინვესტიციების ღირებულების 75%, ხოლო მსხვილი კომპანიებმა, რომელთაც ნებართვები აიღეს 2000 წელს, შეძლეს მაქსიმალური დახმარების მიღება 50%-ის ფარგლებში.

2007 წლის იანვრის დასაწყისიდან მიღებული იქნა რეგიონული დახმარების რუკა განწერილი 2007-2013 წწ-ზე. ნაციონალური დახმარების მისაღებად საჭირო პროცედურები ასეთი იყო:

- მოგებაზე გადასახადის 40%-ისგან განთავისუფლება შეეძლოთ მიედლოთ შემდეგ ვოივოდინოს (voivodeship¹) ტერიტორიებზე: პომორსკი, ზაჩოდნი-პომორსკი, დოლნოსლასკი, ვიელკპოლსკი და სლასკი და 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდში ტერიტორიებ რომელიც ეკუთვნოდა მაზოვიეცკე ვოივოდშივს, გარდა დედაქალაქის - ვარშავისა.

- მოგებაზე გადასახადის 30%-ისგან განთავისუფლება შეიძლება მიედლოთ დედაქალაქ ვარშავის ტერიტორიაზე, ხოლო 2007 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, მთელ მაზოვიეცკეს ტერიტორიაზე.

სეზ-ები აღმოჩნდა ინსტრუმენტი, რომელსაც ადვილად შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ამასთან ინსტრუმენტი საგადასახადო შეღავათების სახით წარმოადგენს მოსახლეობისგან დახმარების ერთ-ერთ ფორმას ინვესტიციებისთვის ხელშეწყობასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში ინვესტიციების მეშვეობით.

პოლონეთში არის 14 სეზ-ი: კამინოგორსკის, კატოვიცის, კოსტრზინის-კო-სლეზიკას, კრაკოვსკას, ლეგნიცკის, ლოდზკას, მიელიცკას, პომორსკას, სლუჰსკას, სტარაჩოვიცკას, სუვალსკას, ტარნობრეგკას, ვალბრიგკას და ვარმინსკო-მაზურსკასი. თითოეულ ამ ვოივოდშიოს ტერიტორიაზე არის მინიმუმ ერთი სეზ-ი. სეზ-ის ტერიტორიები ფართოვდება. 2014 წლისთვის ყველა ამ 14 სეზ-ის ფართობი შეადგენდა 11,1 ათას ჰა-ს, ხოლო მთლიანი ნორმატიული ფართობი სპეციალური ეკონომიკური ზონებისა შეადგენს 18 ათას ჰა-ს. აღნიშნული ზონების მიერ გამოყენებული ფართობი შეადგენს 61,6%-ზე მეტს. ყველაზე დიდ ტერიტორიას ფლობს შემდეგი ეკონომიკური ზონები: ლოდზკა - (75,1%), სუვალსკა (74,8%) და კრაკოვსკა (74,2%), ყველაზე მცირე ტერიტორია აქვს ლეგნიცკას (26,1%). იმ პერიოდში, როდესაც იქმნებოდა ეს ზონები (1995-1997 წწ.), მიაჩნდათ, რომ ისინი იარსებებდნენ საქმიანობის დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში. თუმცა, 2008 წლის დეკემბერში, ყველა ეკონომიკური ზონის ფუნქციონირების პერიოდში მოხდა უნიფიცირება და ვადა გაგრძელდა 2020 წლის დეკემბრამდე.

2014 წელს გაცემული იქნა 436 ნებართვა სეზ-ების ტერიტორიებზე სამენარმეო საქმიანობისათვის, რამაც შეადგინა 21,2% მთელი არსებული ნებართვებისა. შედარებისთვის: 2013 წელს გაცემული ნებართვების რაოდენობა გაიზარდა 72,3%-ით. 2014 წელს ყველაზე მეტი ნებართვები მენარმეების მიერ მიღებული იყო ვალბრიგკას (64), კატოვიცას (58), კრაკოვსკას (44), მიელიცკას (42) და ტარნობრეგკას (39) ეკონომიკურ ზონებში. ხუთ ზემოთ ნახსენებ ზონაში მიღებულმა ნებართვებმა 2014 წელს შეადგინა თითქმის 56,7%. მაშინ, როცა წინა წლებში გაცილებით მეტი ნებართვები მენარმეების მიერ მიღებული იყო კატოვიცას ზონაში (302), შემდეგ ვალბრიგკას (261), მიელიცკას (207), ლოდზკას (200) და ტარნობრეგკას (184) ზონებში.

1 voivodeship – ტერიტორიული ერთეული პოლონეთში.

მოხსენების – „სპეციალური ეკონომიკური ზონების არსებობის 20 წელი – სახელმძღვანელო სეზონი შესახებ“ თანახმად, რომელიც მომზადებული იქნა საკონსულტაციო კომპანიის მიერ, და რომლის მიხედვითაც საინვესტიციო დანახარჯების ღირებულებას 2014 წლის ბოლოსთვის უნდა გადაეჭარბებინა 100 მლრდ ზლოტისთვის (80 მლრდ ზლოტის ღირებულების ინვესტიცია დაიკარგა პოლონეთის ევროკავშირში შესვლის შემდეგ). 2014 წელს მმართველობითი ორგანოების მიერ ჩატარებული შეფასების თანახმად, საინვესტიციო დანახარჯები ზონების ტერიტორიებზე უნდა გაზრდილიყო 7,5%-ით წინა წელთან (2013წ.) შედარებით და შეედგინა 7,8 მლრდ ზლოტი. საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაკეთებული პროგნოზი დადასტურებული იქნა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით. 2014 წელს ინვესტიციების დაგროვილმა (კრედიტმა) ღირებულებამ შეადგინა თითქმის 102 მლრდ ზლოტი, რაც ნიშნავს, რომ გაიზარდა 8,8 მლრდ ზლოტით (9,5%) წინა წელთან შედარებით.

მსგავსი პროგნოზები გაკეთებული იყო სეზონებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ. 2014 წლის ბოლოს ნებართვა გაცემულ ინვესტორებთან დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა მოსალოდნელი იყო რომ იქნებოდა 287 ათასი კაცი, ანუ 7,7%-ით ზრდა 2013 წელთან შედარებით. 14 ზონიდან არც ერთ მათგანში არ იყო უარყოფითი დინამიკა. 2013 წლის მიღწეული შედეგებისა და 2014 წლის პროგნოზით ნათელი იყო, რომ სეზონების თვალში აღნიშნული ზონები რჩებოდა მიმზიდველ ადგილად ინვესტიციების განსათავსებლად. საინვესტიციო დანახარჯების და დასაქმების დინამიკური ზრდა მიანიშნებდა იმ კარგ ალბათობაზე, რომ სეზონები იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დააჩქარებდა მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონის განვითარებას. 2014 წლის ბოლოსთვის ინვესტორებთან მომუშავეების რაოდენობამ შეადგინა დაახლოებით 296 ათასი კაცი. 2013 წელთან შედარებით მათი რაოდენობა გაიზარდა 28,9 ათასით (10,8%). ზრდა წინა წელთან შედარებით იყო 3,0 %-ით მეტი. თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა 9,1 %-ით, რამაც გადააჭარბა 2013 წლის მაჩვენებელს 3,8%-ით. ამავე დროს საშუალო დასაქმება ბიზნესის სფეროში გაიზარდა 1,1%-ით.

2014 წელს საქმიანი აქტიურობის ნებართვის მქონე ინვესტორების მიერ დამუშავებულ ყოველ ჰექტარ მიწაზე მოდიოდა 12,52 მლნ ზლოტის ინვესტიცია და 36 სამუშაო ადგილი. 2013 წელს საინვესტიციო დანახარჯების საშუალო ღირებულება 1 ჰა-ზე გაიზარდა 0,63 მლნ ზლოტით, მაშინ როცა საშუალო ადგილების საშუალო რიცხვი გაიზარდა 2-ით. 1 ჰა-ზე საინვესტიციო დანახარჯების გათვალისწინებით, ისევე როგორც წინა წლებში, 2014 წლის დასასრულისთვისაც, ლეგნიცკას ზონა (27,58 მლნ ზლოტი) და კატოვიცას ზონა (21,60 მლნ ზლოტი) საშუალოდ ყველა ზონაზე მაღლა იდგნენ. ლეგნიცკას ზონაში

ინვესტიციების ზრდა, 2013 წელთან შედარებით, იყო 2,25 მლნ ზლოტი. ყოველ 1 ჰა მიწაზე ნებართვის მქონე ინვესტორების ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა: ლოდზკას, სუვალსკას, ტარნობრეზკას და მიელიცკას ეკონომიკურ ზონებში (ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტი პირველში იყო და შეადგინა 1,14 მლნ ზლოტი, ხოლო ყველაზე დაბალი უკანასკნელში – 0,10 მლნ ზლოტი). ცხრა სეზ-ში დაბანდებული ინვესტიციების ღირებულება შემცირდა. შემცირება იყო 0,04 მლნ ზლოტიდან 1,96 მლნ ზლოტამდე და დაფიქსირდა კატოვიცას ზონაში (ეს კი ძირითადად იმიტომ მოხდა, რომ ამ ზონაში ერთმა წამყვანმა ინვესტორმა დაკარგა ნებართვა).

1 ჰა-ზე დასაქმებულთა რაოდენობით ყველაზე კარგი მაჩვენებელი იყო კატოვიცას ზონაში - 56 სამუშაო ადგილი, მიელიცკას ზონაში - 55 და კრაკოვის ზონაში - 46 სამუშაო ადგილი. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, სამუშაო ადგილების შედარებითი ზრდა 1 ჰა-ზე დაფიქსირდა კამიენეკორსკას ზონაში და შეადგინა 5 ადგილზე მეტი. სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა 1 ჰა-ზე აგრეთვე დაფიქსირდა სუვალსკას, ლეგნიცკას, მიელიცკას და ლოდზკას ეკონომიკურ ზონებში. სხვა მხრივ, შემცირება 0,5-დან 5 სამუშაო პოზიციაზე დაფიქსირდა 8 სეზ-ში, მაშინ როცა ერთ ზონაში (ვარმინსკო-მაზურსკას) ზემოთ ნახსენები მაჩვენებელი არ შეცვლილა.

2014 წლის ბოლოსთვის სეზ-ებში დაბანდებული კაპიტალის ღირებულების 74% მოდიოდა ექვს ქვეყანაზე: პოლონეთი, გერმანია, აშშ, ნიდერლანდები, იაპონია და იტალია. წინა წლებშიც ლიდერობდნენ ინვესტორები ამ ქვეყნებიდან. მათი წილი საინვესტიციო დანახარჯების საერთო ღირებულებაში 2009 წლიდან 2013 წლამდე იმყოფებოდა 69-75%-ის ფარგლებში.

სეზ-ების სამეურნეო საქმიანობის შედეგებმა მნიშვნელოვნად აამაღლა პოლონეთის ეკონომიკური პოტენციალი. ამიტომაც კვლავაც დიდი ყურადღება დაეთმო მათ საქმიანობას, რისთვისაც 2015 წლის ბოლომდე გაცემული იქნება ახალი სეზ-ების შექმნის 217 ნებართვა, რომელთა საერთო საინვესტიციო ვალდებულება იქნება 7,7 მლრდ ზლოტი. ამის შედეგად კი გათვლილია 11 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა.

პოლონეთის ამ გამოცდილების გათვალისწინება ფრიად სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, რომელიც კაპიტალიზაციის ნაკლებობას განიცდის. სწორედ ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უფრო სიღრმისეულად გავანალიზოთ პოლონეთის სეზ-ების ეკონომიკური ეფექტიანობა და საქართველოსთვის სასარგებლო პრაქტიკული ღონისძიებები დავსახოთ.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; სპეციალური ეკონომიკური ზონები; ტრანსნაციონალური კორპორაციები.

უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი (თბილისის მაგალითზე)

ნინო ბერაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
MRICS აუდიტორ-შემფასებელი

მარინე ნაცვალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი მეტად აქტუალურია, რადგან მისი საშუალებით ხდება ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იმ პირთათვის, რომლებიც ამ ბაზარზე იღებენ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ოპერაციის განხორციელების შესახებ.

კვლევის მიზანია უძრავი ქონების ღირებულების ცვლილების საერთო ტენდენციების ანალიზი, კერძოდ, მისი ციკლურობა თბილისის საცხოვრებელი საბინაო ფართების ბაზრის მაგალითზე. ანალიზის ობიექტს წარმოადგენს უძრავი ქონების ბაზარი. ანალიზის საგანია ბაზრის ფუნქციონირების პროცესები, მახასიათებლები და კანონზომიერებები. უძრავი ქონების ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპია სოციო-ეკონომიკური სისტემების კვლევისადმი სისტემური მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების ბაზარი; უძრავი ქონების ეკონომიკა; უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობა; ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრი.

დღემდე საქართველოში ძირითადად განხორციელებულია საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ციკლების ფორმალური აღწერა, აღწერითი სტატისტიკური კვლევები და ფაქტობრივად არ არსებობს ციკლურობის კვლევები ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით. სტატიაში გაანალიზებულია თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობა ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის გამოყენებით, რითაც განხორციელდა დროითი მწკრივების ტრენდისაგან განთავისუფლება და ციკლური კომპონენტის გამოყოფა. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ თბილისის უძრავი ქონების ბაზარი ორ-ორნახევარწლიანი ციკლების პირობებში ფუნქციონირებს.

ცნობილია, რომ უძრავი ქონების ბაზარზე ღირებულებას გააჩნია ციკლები, რაც რამდენიმე ფაზას გადის: 1. აღმავლობა, ანუ გამოცოცხლება; 2. ჭარბწარმოება; 3. ვარდნა, ანუ რეცესია.

უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობა წარმოადგენს გარკვეულ დროში ბაზრის მოცულობისა და ფასების მოძრაობის ცვლილებას. სხვადასხვა ქვეყანაში ციკლის ხანგრძლიობა სხვადასხვაა. მაგალითად, განვითარებული ბაზრების ქვეყნებში შეიძლება 2-3 წლიდან 20-30 წლამდე გაგრძელდეს.

აღმავლობის ფაზის დროს თავისუფალი ფართის პოვნა გაძნელებულია, სწრაფად იზრდება ქირის განაკვეთი, ასევე ახალი მშენებლობების რიცხვი, ხოლო ფასები განაგრძობს ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, ვაკანტური ფართების პროცენტული წილი მაინც ნორმალურ დონეზე ან მასზე დაბალია. ეს ფაზა შეიძლება რამდენიმე თვეს ან წელს გაგრძელდეს და დამოკიდებულია სახელმწიფო სისტემის აქტივობაზე, ეკონომიკისა და საფინანსო ტენდენციების ცვლილებებზე, მოსახლეობის დასაქმების დონეზე, სოციალური სტრუქტურის ცვლილებებზე (მაგალითად, ოჯახის წევრთა რიცხოვნობაზე, ერთ მომუშავე ადამიანზე საჭირო ფართის ოდენობაზე და ა.შ.)

აღმავლობის ფაზის გარკვეულ მომენტში ბაზარი იწყებს გაჭერებას. მშენებლები და კრედიტორები ჯერ ვერ გრძნობენ, რომ ბაზარი გაჭერებულია. ისინი აგრძელებენ ფულადი ნაკადების გადადინებას მშენებლობაში და იწყებენ ჭარბწარმოებას. ამ ფაზის დროს ფასები და მისი ზრდის ტემპი იწყებს ზომიერად შემცირებას, გაყიდვების აქტივობა ნელდება, ხოლო თავისუფალი ფართების რაოდენობა იზრდება. ეს პროცესები რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში გრძელდება. ამ პერიოდში ფასებიც და გაყიდვების აქტივობა უფრო და უფრო მცირდება. ახალი მშენებლობები ამ ფაზის დროს, როგორც წესი, გრძელდება და მშენებლები, დეველოპერები ან კრედიტორები, ან ვერ გრძნობენ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს, ან არ შეუძლიათ უკვე დაწყებული პროექტების გაჩერება. როდესაც ეს პროექტები დასრულდება, ახალი მშენებლობა და განვითარება სწრაფად შეჩერდება.

ვარდნის ფაზის დროს გაყიდვების აქტივობა ძალიან მცირეა, ფასები და ქირის განაკვეთი განაგრძობს შემცირებას. ქონების ღირებულების შემცირება

ვარირებს ქონების ტიპისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. ზოგი რაიონი შეიძლება ძლიერ დაზარალდეს მაშინ, როცა ზოგიერთს ეს ძალიან მცირედ თუ შეეხება. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ეს ზეგავლენა, ვარდნის ტემპები მცირდება და საბოლოოდ ქვედა ზღვარს, ეგრეთ წოდებულ „საფასო ფსკერს“ აღწევს. ამ დროს ახალი მშენებლობები ფაქტობრივად არ მიმდინარეობს.

ვარდნისა და კრიზისის შემდეგ ბაზარი ყოველთვის სტაბილიზდება და იწყება აღდგენის (გააქტიურების) ფაზა. ფასები იწყებს აღდგენას, ხოლო ჭარბი ფართები იტვირთება. ეს პროცესი გრძელდება და მთლიან ფართების მოცულობაში ვაკანტური ფართების წილი წონასწორულ დონეს უახლოვდება, როდესაც მოთხოვნის რაოდენობა უდრის მიწოდების რაოდენობას. აღდგენა, როგორც წესი, ხდება გარე ფაქტორების გავლენით (მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, საფინანსო-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა და სხვ), ან დროის გავლენით. ვარდნისა და კრიზისის შემდეგ ახალი მშენებლობების მოცულობები რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში შეიძლება ძალიან დაბალ დონეზე შენარჩუნდეს, ან ახალიმშენებლობები საერთოდ შეჩერდეს. ეკონომიკის აქტივობა, ზოგადად, იწყება ფართებზე მოთხოვნის ზრდით, ჭარბი ფართების დაკავებით და ფინანსირება უფრო ხელმისაწვდომი და ხელსაყრელი ხდება.

მიზლიოგრაფიული მიმოხილვა

უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის კვლევები პირველად გერმანელი მეცნიერების [9; 18] ნაშრომებში გამოჩნდა. მოგვიანებით, XX ს. ოცდაათიან წლებში აშშ-ში განახლდა ამ მიმართულებით კვლევა [14] ჩიკაგოს მაგალითზე. სამოციან წლებში ბრიტანეთში [17] გამოქვეყნდა მასშტაბური ეკონომიკური განვითარების ისტორიული კვლევა, რომელიც 1700 წლიდან 1950 წლის ჩათვლით პერიოდს მოიცავდა. XX და XXI საუკუნეების გასაყარზე მრავალი მეცნიერი მუშაობდა უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის საკითხზე [2; 11]. ამავე პერიოდში RICS-მა (Royal Institution of Chartered Surveyors) გამოაქვეყნა გაერთიანებული სამეფოს უძრავი ქონების ბაზრის ციკლების ძირითადი კომპონენტების კვლევა (1994 და 1999 წლებში) [25] [26]. აღსანიშნავია ასევე XX ს. ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში აშშ-ის ბაზრების საოფისე ბაზრის ფუნდამენტური კვლევები [6; 8; 31].

1999 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა [24] უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის წინამორბედი კვლევების ანალიზის საფუძველზე შექმნეს მათემატიკური მოდელი, სახელები მიანიჭეს ციკლის ყოველ სტადიას და ამავე დროს თავისი სტრატეგიული რეკომენდაციები წარუდგინეს უძრავი ქონების ბაზარზე მომუშავე ინვესტორებსა და პორტფოლიო მენეჯერებს. უძრავი ქონების ბაზ-

რის ციკლების კვლევაში შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბრიტანეთში, როცა მეცნიერებმა [19] ეკონომეტრიკის მეთოდები გამოიყენეს და დააკვირდნენ სხვადასხვა ცვლადის ამპლიტუდებს, პროციკლურობასა და კონტრაციკლურობას. სწორედ მათ გამოიყენეს პირველებმა ჰოდრიკ-პრესკოტის (HP) ტექნიკა. ავტორებმა აღნიშნული მოდელით სცადეს დაედგინათ, ჰქონდა თუ არა ბრიტანეთის უძრავი ქონების ბაზარს ციკლური ხასიათი, ასევე სცადეს ციკლურობის გამომწვევი მთავარი ფაქტორების იდენტიფიცირება. სტრუქტურულმა მოდელმა აჩვენა, რომ დროითი მწკრივები, ფაქტობრივად, სამი კომპონენტის დაჯამებით მიიღება: ტრენდის, ციკლური კომპონენტისა და არარეგულარული კომპონენტის.

მეცნიერებმა [16] დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის მთავარი ინდიკატორების დროითი მწკრივები გამოიყენეს კომერციული უძრავი ქონების ბაზრის ქვევის ციკლური ხასიათის პროგნოზირებისათვის. ბაზრის ცვლილების სიხშირისა და ვოლატილურობის ანალიზისათვის მათ დროითი მწკრივების პიკები და ყველაზე დაბალი წერტილები მოძებნეს. მსგავს ტექნიკას ასევე ვხვდებით სხვა მეცნიერების [1; 3; 22; 23; 28; 29; 32] ნაშრომებში.

ლიტვის საცხოვრებელი ბაზრის ციკლების ემპირიული ანალიზისას, მეცნიერებმა [15] გამოიყენეს ჰოდრიკ-პრესკოტის მოდელი, რათა ობერ-ჰაუსის ნომინალური საფასო ინდექსის დროითი მწკრივებიდან ციკლური კომპონენტი გამოეყო.

2013 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა [30] აშშ-ის ბაზრის მაგალითზე განახორციელეს უძრავი ქონების ბაზრის ინდიკატორების პროგნოზირება პრობიტ მოდელისა და მარკოვის მოდელის მეშვეობით. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე მოდელი კარგ შედეგს იძლევა ორწლიანი პროგნოზირების პერიოდის ფარგლებში.

საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობა ფორმალური სახით იქნა აღწერილი მეცნიერთა [27] ნაშრომში, სადაც ავტორებმა სცადეს გამოეკვეთათ თბილისის უძრავი ქონების ბუმის მიზეზები და წარმმართავი ფაქტორები. ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციის Colliers CRE [5] კვლევა, სადაც შედარებითი ანალიზი გაკეთდა საქართველოს და სხვა აღმოსავლეთის ევროპის განვითარებადი ქვეყნების უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ტენდენციებზე.

საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის კვლევა ეკონომეტრიკული მოდელების მეშვეობით, ამ დრომდე არ ჩატარებულა. ჩვენს ნაშრომში, თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის დასადგენად, დროითი მწკრივების მიმართ ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრი გამოვიყენეთ, რომლის მეშვეობითაც მოხდა დროითი მწკრივების განთავისუფლება ტრენდისაგან და ციკლური კომპონენტის გამოყოფა და ციკლების საშუალო ხანგრძლიობის დადგენა. აღნიშნული კვლევა საინტერესო იქნება ბაზრის დი-

ნამიკის პროგნოზირებისათვის, დაეხმარება ინვესტორებსა და პორტფოლიოს მმართველი კომპანიებს თავიანთი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, უძრავი ქონების ტიპისა და გეოგრაფიული განლაგების შერჩევას. აღნიშნული კვლევის შედეგები ყურადსაღები იქნება სახელმწიფო პოლიტიკის წარმმართველი ორგანოებისათვის კონტრციკლური ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების დასაგეგმად.

კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ზაზა

სტატიაში, თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის გამოსაკვლევად, გამოყენებულია ჰოლრიკ-პრესკოტის ფილტრი. აღნიშნულ ტექნიკას მიმართავდა რიგი მეცნიერებისა [7; 10; 12] ბიზნეს-ციკლების კვლევებში, ასევე აღნიშნული ტექნიკა გამოიყენებოდა უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის კვლევებშიც [4; 19; 21]. მეცნიერებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ცვლადის ანალიზისას და ასევე, ისეთი დროითი მწკრივის ანალიზისათვის, რომელიც ცვალებადი მედიანის ზრდის ტემპით ხასიათდება.

ჰოლრიკ-პრესკოტის ფილტრის მოდელი წარმოადგენს დროითი მწკრივის დაგლეუების მეთოდს, რომელიც მწკრივის გრძელვადიანი ტენდენციების, ტრენდისა და ციკლური ცვალებადობების გამოსაყოფად გამოიყენება. იგი ეფუძნება შემდეგ პრინციპს: y_t დროითი მწკრივი წარმოადგენს ზრდის კომპონენტის g_t და ციკლური კომპონენტის c_t ჯამს [13]:

$$y_t = g_t + c_t$$

ფაქტობრივად, უნდა შესრულდეს შემდეგი ოპტიმიზაცია:

1. მინიმიზებული უნდა იყოს სანყის და დაგლეუებული დროითი მწკრივის მნიშვნელობათა შორის სხვაობების კვადრატების ჯამი, ანუ უნდა განხორციელდეს „მრუდის ზუსტი მორგება“:

$$\sum_{t=1}^n (y_t - g_t)^2 \rightarrow \min$$

$$\sum_{t=1}^{n-1} [(g_{t+1} - g_t) - (g_t - g_{t-1})]^2 \rightarrow \min$$

2. მეორე დამატებით პირობასწარმოადგენს მიღებული მრუდის (ანუ ტრენდის) „გაგლეუების“ ამოცანა:

ამრიგად, ფილტრი ორმხრივ წრფივ ფილტრს წარმოადგენს, რომელიც გამოითვლის y_t დროითი მწკრივის გაგლუვებულ g_t მრუდს g_t -ის ელემენტების y_t -ს გარშემო გაბნევის მინიმიზებით, როდესაც სრულდება ორჯერ დიფერენცირებული g_t მწკრივის ელემენტების ჯამის მინიმუმის პირობებში.

საწყისი დროითი მწკრივის რეალურ მაჩვენებლებზე ფილტრის მეშვეობით მიღებული g_t მწკრივის (ტრენდის) გამოკლებით ვიღებთ ციკლურ კომპონენტს. სხვანაირად რომ ჩამოვაყალიბოთ, ციკლური c_t კომპონენტი არის დევიაცია g_t -საგან.

როგორც უძრავი ქონების ბაზრის მკვლევარები [20, გვ.11; 21, გვ. 6] აღნიშნავენ, ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრით მიიღება გლუვი ტრენდი, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ციკლური კომპონენტების ჯამი ნულს უდრის. ამრიგად, ტრენდის (ზრდის) კომპონენტი შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

$$\sum_{t=1}^n (y_t - g_t)^2 + \lambda \sum_{t=1}^{n-1} [(g_{t+1} - g_t) - (g_t - g_{t-1})]^2$$

სადაც λ არის დადებითი რიცხვი, რომელიც ექსპერტულად განისაზღვრება. როგორც მეთოდის ავტორები [13] აღნიშნავენ, რაც მეტია λ -ს მნიშვნელობა, მით უფრო გლუვია დროითი მწკრივი. λ -ს მცირე მნიშვნელობების დროს კი g_t ფაქტობრივად ემთხვევა საწყისს მრუდს, ხოლო ძალიან დიდი მნიშვნელობებისას, იგი წრფეს უახლოვდება.

აღნიშნულ კვლევაში λ მნიშვნელობა შემდეგი ფორმულით განისაზღვრება:

$$\lambda = (10 * n)^2,$$

სადაც:

n წლის განმავლობაში პერიოდების რაოდენობაა, ანუ

$\lambda = 100$ – წლიური მონაცემების შემთხვევაში;

$\lambda = 1600$ – კვარტალური მონაცემების შემთხვევაში;

$\lambda = 14400$ – ყოველთვიური მონაცემების შემთხვევაში.

ამრიგად, გაფილტვრის პროცედურის შემდეგ, დროითი მწკრივის ციკლური ელემენტი მიიღება საწყისი დროითი მწკრივიდან გაფილტვრით მიღებული მწკრივის გამოკლებით [21, გვ. 4,6]:

$$HP_{cycle} = y_t - HP_{trend}$$

სადაც, HP_{cycle} წარმოადგენს დროითი მწკრივის ციკლურ ელემენტს, y_t თავად დროითი მწკრივის მნიშვნელობაა და HP_{trend} გაფილტვრული დროითი მწკრივი.

ნაშრომისთვის მონაცემების შერჩევისას ვეყრდნობოდით საცხოვრებელი უძრავი ქონების ღირებულების ინდექსის (საერთო საქალაქო ღირებულების დონე საცხოვრებელ ფართებზე) გამოთვლის მეთოდოლოგიას [35].

ამ მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი პოსტულატი, კერძოდ:

1. რადგან უძრავი ქონების ბაზარი ინერტული სისტემაა, მას არ ახასიათებს თვიდან თვემდე ფასების მკვეთრი ცვლილების ტენდენცია. რადგან ინერციის პერიოდი 2-3 თვეს შეადგენს, პირდაპირი გამოთვლა საშუალო ფასის ცვლილებისათვის ან კვირების მასშტაბით ამ შემთხვევაში მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს, თუმცა, ეს მიდგომა ბევრი ანალიტიკოსისათვის ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს. ყოველთვიური ღირებულების დონის დადგენისას სტატისტიკური „ხმაური“ ფასის ცვლილებად შეიძლება იქნეს მიღებული;

2. საერთო-საბაზრო ტენდენციების ყველაზე ადეკვატური მახასიათებელია მეორადი საცხოვრებელი ბინების ბაზარი, რადგან იგი საკმაოდ კონკურენტუნარიანია და ბაზარზე დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი გამყიდველი და მყიდველი ოპერირებს. ახალაშენებული უძრავი ქონება (მიწოდების ფაქტორი), თუმცა გავლენას ახდენს უძრავი ქონების ბაზარზე, მაგრამ პირველადი ბაზრის მონაცემები ვერ ივარგებს საერთო-საბაზრო ტენდენციების გამოსავლენად. ახალაშენებული ფართების ფასი უფრო მეტად გაყიდვების მოცულობაზეა დამოკიდებული, რომელიც თავისთავად დეველოპერის მარკეტინგულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული;

3. რადგან ბაზარზე გამოდის სხვადასხვა საფასო სეგმენტის („საცხოვრებელი“, „სანარმოო-სასაწყობო“, „კომერციული“) უძრავი ქონება, სხვადასხვა სეგმენტის ღირებულებების მრუდებს თუმცა გააჩნიათ თავისი თავისებურებები, მაგრამ სინქრონულად იცვლებიან.

უძრავი ქონების ბაზარზე ფასწარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი ჰიპოთეზაა ის, რომ არსებობს გლუვი მრუდი, რომელიც ბაზარზე ფასების საერთო ცვლილებას აღწერს. ფაქტობრივად, უძრავი ქონების საფასო ინდექსი არის ფუნქცია, რომელიც მოცემულ ქალაქში საცხოვრებელი ფონდის ღირებულების დონისმახასიათებელია. საფასო ინდექსი საერთო საბაზრო მაჩვენებელია, რომელიც თავისი სტრუქტურით ასახავს ბაზრის საერთო ტენდენციებს ფასების მომატების ან კლების მიმართულებით. ერთი ქალაქის ფარგლებში ფასები ყველა ტიპის უძრავ ქონებაზე ან იზრდება, ან მცირდება, ან არის სტაბილური გარკვეული დონის დიაპაზონში. თანაც, ეს ცვლილებები პრაქტიკულად ერთმანეთის პროპორციულად ხორციელდება.

ფასების საერთო დონე (ღირებულების ინდექსი) ყოველი ობიექტის ფასის მუდმივი შემადგენელი ნაწილია მისი მახასიათებლებისა და პარამეტრების მიუხედავად.

ამრიგად, უძრავი ქონების ღირებულების დროითი საფასო მწკრივის ფორმირებისას გამოყენებულ იქნა საერთო საბაზრო მაჩვენებელი - ფასების ცვლილების ინდექსი, რომელიც გლუვი მრუდის სახითაა წარმოდგენილი და ასახავს ფასების საერთო დონის ცვლილების ტენდენციებს (ზრდის ან ვარდნის ინდექსს) საკვლევ რეგიონში, მაკროეკონომიკური ფაქტორების ცვლილების შესაბამისად.

კვლევის მოკლე აღწერა და შედეგები

პირველ ეტაპზე მოხდა მონაცემთა ბაზის შექმნა: მონაცემები საცხოვრებელი უძრავი ქონების შეთავაზების ფასებზე, კერძოდ: 2014 წლის მარტიდან -2015წლის სექტემბრის ჩათვლით მონაცემები შეგროვდა Data Scrapping ტექნიკის მეშვეობით ACCESS მონაცემთა ბაზაში ავტომატურად ინტერნეტ რესურსებიდან [33], ხოლო 2007 წლიდან 2014 წლის შეთავაზების ინფორმაცია კი, ბეჭდური გამოცემებიდან [34].


მეორე ეტაპზე უძრავი ქონების ფასების ცვლილების ინდექსის მრუდის აგებამდე (საერთო-საბაზრო ინდიკატორი) ჩატარდა გენერალური ერთობლიობის ვინზორირება მონაცემთა ბაზიდან. საშუალო ფასის ინდიკატორის გამოთვლისას მოცემული მახასიათებლის დინამიკას მოსცილდა „სტატისტიკური ხმაური“, რომელიც გენერალური ერთობლიობის სეზონურობის და ვარიაციულობის შედეგია. საბოლოო მონაცემებიდან ასევე წაიშალა ელიტური და არატიპური ბინების მონაცემები, ასევე დუბლირებული ჩანაწერები. მოხდა მონაცემების კორექტირება ქონების მდგომარეობისა და ადგილმდებარეობაზე, რათა ადეკვატურად ყოფილიყო განსაზღვრული ფასების საშუალო დონე.

მესამე ეტაპზე შეფასდა ერთობლიობის განაწილების პარამეტრები. გამოთვლილი იქნა ღირებულების ინდექსი (ფასების ცვალებადობა საბაზისო პერიოდთან შედარებით), გამოკვლეული იქნა ღირებულების ინდექსის დინამიკა როგორც ფასების ზრდის, ასევე ვარდნის ფაზაში.


მეოთხე ეტაპზე დამუშავდა ღირებულების ინდექსის დროითი მწკრივი ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრით და გამოეყო ტრენდისა და ციკლურობის კომპონენტები. განისაზღვრა ციკლურობის საშუალო ხანგრძლიობა საკვლევ პერიოდში.

გრაფიკი 1 გვიჩვენებს თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების საშუალო თვიურ დონეს 2007 იანვრიდან 2015 წლის სექტემბრამდე, ხოლო გრაფიკი 2 – თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების საშუალო-კვარტალურ დონეს 2007 წლის I კვარტლიდან 2015 წლის III კვარტლამდე.

გრაფიკი 1. თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების საშუალოთვიური დონე 2007 იანვრიდან 2015 წლის სექტემბრამდე



გრაფიკი 2. თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების საშუალოკვარტალური დონე 2007 წლის I კვარტლიდან 2015 წლის III კვარტლამდე




კვარტალური და თვიური მაჩვენებლის აღწერითი სტატისტიკა

ცხრილი 1

ფუნქცია	თვიური მაჩვენებელი	კვარტალური მაჩვენებელი
Mean	488	579
Median	589	605
Std. Dev.	88.67	80.06
Kurtosis	1.98	2.66
Skewness	1.01	1.18
Min.	409	469
Max.	927	875
Count	96	35

გრაფიკი 3. თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ღირებულების ინდექსის მრუდი, ტრენდი, ციკლური კომპონენტი, 2007-2015 წლები



როგორც გრაფიკი 3-დან ჩანს, ბაზარი საკმაოდ ვოლატილურია, ციკლური კომპონენტის გამოყოფის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ციკლის საშუალო ხანგრძლივობა 2-2.5 წელს შეადგენს.

დასკვნის სახით უნდა ავლნიშნოთ, რომ ამჟამად თბილისის უძრავი ქონების ციკლი ვარდნის სტადიაშია, რომელიც, სავარაუდოდ, კიდევ 3-4 კვარტალს გაგრძელდება.

ციკლურობის ანალიზი

ცხრილი 2

	კვარტალი	ციკლის ხანგრძლივობა (კვარტალების რაოდენობა)
მინიმუმი 1	I.2007	
მინიმუმი 2	I.2009	8
მინიმუმი 3	I.2011	8
მინიმუმი 4	IV.2013	11
მინიმუმი 5	III.2015	7
პიკი 1	III.2008	
პიკი 2	II.2010	7
პიკი 3	II.2012	8
პიკი 4	II.2015	12
ციკლის საშუალო ხანგრძლივობა (კვარტალების რაოდენობა)		8.7

ლიტერატურა:

1. Barras, R. Technical Change and the Urban Development Cycle. *Urban Studies*, 1987, 24:1, 5-30. . A Building Cycle Model for an Imperfect World. *Journal of Property Research*, 2005, 22:2, 63-96.
2. Barras, R. *Building Cycles: Growth and Instability (Real Estate Issues)*. London, U.K.: WileyBlackwell, 2009, 448.
3. Baum, A. Evidence of Cycles in European Commercial Real Estate Markets—and Some Hypotheses. *A Global Perspective on Real Estate Cycles*. First edition. Springer, 2001, 136.
4. Brooks, C, S. Tsolacos, and S. Lee. The Cyclical Relations between Traded Property Stock Prices and Aggregate Time-Series. *Journal of Property Investment & Finance*, 2000, 18:6, 540- 64.
5. Charlton Mark. Real Estate Trends in Emerging Markets – will Georgia Follow? *Colliers CRE*; 2008; available at: <http://www.economicforum.ge/history/2008/>
6. Clapp, J.M. *Dynamics of Office Markets: Empirical Findings and Research Issues*. AREUEA Monograph Series, No. 1, the Urban Institute Press, 1993, 198.
7. Cogley, T. and J.M. Nason. Effects of the Hodrick-Prescott Filter on Trend and Difference Stationary Time Series: Implications for Business Cycle Research. *Journal of Economic Dynamics and Control*, 1995, 19:1/2, 253-78.
8. DiPasquale, D. and W.C. Wheaton. The Markets for Real Estate Assets and Space: A Conceptual Framework. *Real Estate Economics*, 1992, 20:2, 181-98.
9. Eisenlohr, R. (1921) *Das Arbeiter-Siedlungswesen der Stadt Mannheim*. Karlsruhe, pp.564.

10. Guay, A. and P. St-Amant. Do the Hodrick-Prescott and Baxter-King Eilters Provide a Good Approximation of Business Cycles? Center for Research on Economic Fluctuations and Employment (CREFE), Working Paper No. 53, 1997, 36.
11. Hakfoort, J. Property Cycles: A Review of the Literature and Some Preliminary Results from the Dutch Office Market. Discussion Paper in Property Research No. 8., City University Business School, 1992, 14.
12. Harvey, A.C. and A. Jaeger. Detrending, Stylized Facts and the Business Cycle. *Journal of Applied Econometrics*, 1993, 8:3, 231-47.
13. Hodrick, R.J. and E.C. Prescott. Postwar U.S. Business Cycles: An Empirical Investigation. *Journal of Money, Credit and Banking*, 1997,29:1, 1-16.
14. Hoyt, H. (1933) One hundred years of land values in Chicago. The relationship of the growth of Chicago to the rise in its land values, 1830-1933. The University of Chicago, US, pp.452
15. Jadevicius A. , Parsa A. An Empirical Analysis of Real Estate Cycles in the Lithuanian Housing Market. *Journal of Real Estate Literature*: 2014, Vol. 22, No. 1, pp. 69-81.
16. Krystalogianni, A., G. Matysiak, and S. Tsolacos. Forecasting U.K. Commercial Real Estate Cycle Phases with Leading Indicators: A Probit Approach. *Applied Economics*, 2004, 36:20, 2347-56.
17. Lewis, R.J. *Building Cycles and Britain's Growth*. London, U.K.: Macmillan, 1965, 396.
18. Mangoldt, R.V. (1907) *Die Städtische Bodenfrage Eine Untersuchung über die Tatsachen, Ursachen, und Abhilfe*. Vanderhoeck & Ruprecht, pp.745
19. Matysiak, G. and S. Tsolacos. Identifying Short-term Leading Indicators for Real Estate Rental Performance. *Journal of Property Investment & Einance*, 2003, 21:3, 212-32.
20. McElroy, T. Exact Formulas for the Hodrick-Prescott Filter. *Society*, 2008, 11:1, 209-17.
21. McGough, T. and S. Tsolacos. Property Cycles in the U.K.: An Empirical Investigation of the Stylized Facts. *Journal of Property Einance*, 1995, 6:4, 45-62.
22. Pedregal, D.J. and P.C. Young. Some Comments on the Use and Abuse of the Hodrick-Prescott Filter. *Review on Economic Cycles*, 2001, 2:1, 1-21.
23. Pyhrr, S.A. and W.L. Born. Theory and Practice of Real Estate Cycle Analysis. Paper presented at the 19th Annual Conference of the European Real Estate Society (ERES), Dublin, Ireland, 2005.
24. Pyhrr, S.A., S.E. Roulac, and W.L. Bom. Real Estate Cycles and Their Strategic Implications for Investors and Portfolio Managers in the Global Economy. *Journal of Real Estate Research*, 1999, 181, 7-62.
25. RICS. *Understanding the Property Cycle: Economic Cycles and Property Cycles*. The Royal Institution of Chartered Surveyors, London, 1994, 97.
26. RICS. *The U.K. Property Cycle—A History from 1921 to 1997*. The Royal Institution of Chartered Surveyors, London, 1999, 57.
27. Rukhadze, Vasili and Moerschen Tobias. Analysis of Tbilisi's Real Estate Boom. National Bank of Georgia 2008. Available at <https://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/nbgwp01.08.pdf>
28. Rottke, N. and M. Wernecke. Real Estate Cycles in Germany—Causes, Empirical Analysis and Recommendations for the Management Decision Process. Paper presented at the 8th Annual Conference of the Pacific Rim Real Estate Society, Christchurch, New Zealand, 2002, 22.
29. Scott, P. and G. Judge. Cycles and Steps in British Commercial Property Values. *Applied Economics*, 2000, 32:10, 1287-97.
30. Tsolacos, Sotiris and Brooks, Chris and Nneji, Ogonna, On the Predictive Content of Leading Indicators: The Case of U.S. Real Estate Markets (September 2013). Available atSRN: <http://ssrn.com/abstract=2233085> or<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2233085>.
31. Wheaton, C.W. The Cyclical Behavior of the National Office Market. *Journal of American Real Estate and Urban Economics Association*, 1987, 15:4, 281-99.
32. Witkiewicz, W. The Use of the HP Eilter in Constructing Real Estate Cycle Indicators. *Journal of Real Estate Research*, 2002, 23:1/2, 65-88.

33. www.place.ge, www.myhome.ge
34. „სიტყვა და საქმე“, ალმანახი და გაზეთები -2007-2014 წლების გამოცემები.
35. Воронин В.А. Моделирование рынка недвижимости в условиях финансово-экономического кризиса /Воронин В.А./Практика Оценки/ под ред. Я.И. Маркуса. –М.: Экономика, 2009. - №10 (37), октябрь. – 66 с.

Analysis of the Real Estate Market Cycle (in the case of Tbilisi)

Nino Beraia

Doctoral student, TSU

Marine Natsvaladze,

Doctor of Economics, Associate Professor, TSU

In this paper there are summarized results of the research on real estate cycles conducted by foreign scientists. In Georgia the cyclical research is limited to formal descriptive statistics and until now there was not conducted the econometric analysis of the subject. The paper introduces the use of Hodric-Prescot Filter to assess the average length of real estate cycles by filtering the Tbilisi real estate index time series. The results of the research suggest that Tbilisi real estate market follows 2- 2.5 year cycle pattern. The findings of the study will be useful for the real estate market prognosis, will help the investors and portfolio manager companies in decision making regarding strategy, the type of the real estate and the location. A greater understanding of real estate cycles can help the policy makers in counter cyclical economic and social planning.

Keywords: Real Estate Market, Real Estate Economics, Real Estate Market Cycles, Hodric-Prescot Filter.

JEL Codes: R30, R31, R33

მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი
MENEGMENT ✧ MARCETING ✧ TOURISM

საქართველოს საქსპორტო პოტენციალის რეალიზაცია
ეკონომიკური ბაზარზე

გიორგი ლალანიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

სტატიაში განხილულია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის სრულად რეალიზაციის ასპექტები ეკონომიკური ბაზარზე. საექსპორტო პოტენციალის სრულად რეალიზაციის რაოდენობრივი დახასიათებისათვის გამოყენებულია: ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი, კინკერ-ფრენინის ინდექსი, ასევე შიგადარგობრივი ვაჭრობის შესაფასებლად გამოყენებულია გრუბელ-ლოიდის ინდექსი.

საკუანძო სიტყვები: საექსპორტო პოტენციალი; ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი; კინკერ-ფრენინის ინდექსი; გრუბელ-ლოიდის ინდექსი; საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია.

ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შეთანხმება ეკონომიკური და საქართველოს შორის წარმოადგენს საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მთავარ ორიენტირს საშუალო და ხანგრძლივადიან პერსპექტივაში. საქართველომ გააკეთა ისტორიული არჩევანი და ამით განსაზღვრა ქვეყნის განვითარების ძირითადი ვექტორები. ეკონომიკური, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტევადი ბაზარი ქართული კომპანიებისათვის, საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის გაიხსნა. როგორია საქართველოს მიერ ამ პოტენციალის ათვისება, რა პერსპექტივებია შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის. გავანალიზოთ საქართველოსა და ეკონომიკური სავაჭრო ურთიერთობები. ყურნალის წინა ნომერში

ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში [1] გაანალიზებული იქნა ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი. ეს ინდექსი გარკვეულწილად იძლევა შესაძლებლობას შევაფასოთ საექსპორტო პოტენციალი კონკრეტული ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის მიმართ: X_{ij} - I ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში; X_i I ქვეყნის მთლიანი ექსპორტი; M_j j ქვეყნის მთლიანი იმპორტი; მსოფლიო იმპორტი. $I_{ij} = (X_{ij}/X_i) / (M_j/M)$ მიღებული მაჩვენებელი I_{ij} თუ მეტია 1-ზე, მაშინ თქვენი სავაჭრო პარტნიორი თქვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, ვიდრე თქვენ მისთვის. თუ მიღებული მაჩვენებელი ერთის ტოლია, თქვენი საექსპორტო პოტენციალი ადეკვატურია თქვენი და იმპორტიორი ქვეყნის შესაძლებლობებისა, ხოლო თუ ის 1-ზე ნაკლებია, მაშინ თქვენს ექსპორტს აქვს გამოუყენებელი პოტენციალი. ამ შემთხვევაში გამოუყენებელი საექსპორტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა - რა იქნებოდა თქვენი ექსპორტის მაჩვენებელი რომ ყოფილიყო 1-ის ტოლი და რა არის რეალურად. ევროკავშირთან მიმართებით გამოუყენებელი საქართველოს საექსპორტო პოტენციალი (ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიით) წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2012 წელი - 400 მლნ დოლარი; 2013 - 310 მლნ დოლარი; 2014 - 285 მლნ დოლარი. ევროკავშირში საექსპორტო პოტენციალის ათვისების ზრდა ცალსახად უკავშირდება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის შექმნის შეთანხმების ამოქმედებას. მიუხედავად ამისა, აუცილებელია არა მხოლოდ საექსპორტო პოტენციალის არა ათვისებული ნაწილის რეალიზება, არამედ ექსპორტის მკვეთრი ზრდა. ევროკავშირში ექსპორტი უნდა გაიზარდოს დსთ-ში ექსპორტის შენარჩუნების პარალელურად. ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის სრული რეალიზაცია კი ვერ გადანყვეტს საქართველოს წინაშე მდგომ სავაჭრო დეფიციტის პრობლემას. ამ პრობლემის გადანყვეტის ძირითად გზად მიჩნეული უნდა იქნეს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნა. აუცილებელია გავანალიზოთ საქართველოს ვაჭრობის ინტენსივობა ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის მიმართ. ამისათვის აუცილებელია პირველ რიგში ვნახოთ საქართველოს ექსპორტის განაწილება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიხედვით (იხ. ცხრილი 1,2).

ცხრილების მონაცემების საფუძველზე მოხდა ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის დაანგარიშება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის, რაც შემდეგია (ცხადია ლუქსემბურგი აღარ განიხილება):

1. ბულგარეთი - 30; 2. იტალია - 1,2; 3. ესპანეთი - 1,05; 4. გერმანია - 0,3; 5. ბელგია - 0,42; 6. ლიტვა - 5; 7. ჰოლანდია - 0,37; 8. საფრანგეთი - 0,29; 9. გაერთ. სამეფო - 0,27;
10. ჩეხეთი -0,63; 11. საბერძნეთი - 1,7; 12.სლოვაკეთი - 1; 13. პოლონეთი -0,21; 14. ლატვია 3,75; 15.ავსტრია -0,11; 16.რუმინეთი -0,25; 17. ესტონეთი - 0,8; 18. პორტუგალია - 0,15; 19. დანია -0,08; 20. უნგრეთი -0,06; 21.

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (ათასი დოლარი)

ცხრილი 1 [2]

	2014		2014		2014		2014			
	აბსოლ.	%	აბსოლ.	%	აბსოლ.	%	აბსოლ.	%		
ექსპორტი სულ	2,861,189	100	2,861,189	100	ექსპორტი სულ	2,861,189	100	ექსპორტი სულ	2,861,189	100
ბულგარეთი	164,000	0,06	26882	0,01	საფრანგეთი	4,836	0,001	სლოვენია	0,596	0,0002
იტალია	86,193	0,03	24,671	0,01	გერმ. სამეფო	4,294	0,001	კვიპროსი	0,537	0,0002
ესპანეთი	70,314	0,02	14,165	0,005	ჩეხეთი	2,501	0,0008	შვედეთი	0,261	0,0001
გერმანია	69,142	0,02	13,752	0,005	საბერძნეთი	1,816	0,0006	ხორვატია	0,191	0,0001
ბელგია	41,675	0,01	11,198	0,004	სლოვაკეთი	1,053	0,0004	ირლანდია	0,155	0,0001
ლიტვა	31,764	0,01	10,091	0,004	პოლონეთი	0,777	0,0003	მალტა	0,053	0,0001
ჰოლანდია	31,169	0,01	8,047	0,003	ლატვია	0,659	0,0002	ლუქსემბურგი	0	0

ფინეთი – 0,05; 22. სლოვენია -0,1; 23. კვიპროსი – 0,5; 24. შვედეთი – 0,01; 25. ხორვატია -0,1; 26. ირლანდია – 0,03; 27. მალტა – 0,25.

იმპორტის განაწილება ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით (ათასი დოლარი)

ცხრილი 2. [3]

	2014			2014	
	აბსოლუტ.	%		აბსოლუტ.	%
იმპორტი მსოფლიო	18,740071,180	100	იმპორტი მსოფლიო	18,740071,180	100
ბულგარეთი	34,740,042	0,002	ავსტრია	172,447,474	0,009
იტალია	471,659,530	0,025	რუმინეთი	77,889,071	0,004
ესპანეთი	350,977,773	0,019	ესტონეთი	20,126,289	0,001
გერმანია	1,223836,593	0,065	პორტუგალია	78,132,909	0,004
ბელგია	452,772,541	0,024	დანია	99,027,581	0,005
ლიტვა	35,217,367	0,002	უნგრეთი	103,201,332	0,005
ჰოლანდია	508,438,214	0,027	ფინეთი	76,566,933	0,004
საფრანგეთი	659872076	0,035	სლოვენია	30,049,306	0,002
გერმ.სამეფო	694,823,238	0,037	კვიპროსი	6,812,795	0,0004
ჩეხეთი	152,004,089	0,008	შვედეთი	162,451,789	0,008
საბერძნეთი	62,180,636	0,003	ხორვატია	22,906,873	0,001
სლოვაკეთი	77,596,012	0,004	ირლანდია	71,049,043	0,003
პოლონეთი	216,687,292	0,012	მალტა	8,445,209	0,0004
ლატვია	16,798,359	0,0008	ლუქსემბურგი	-----	-----

ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსის მიხედვით: ბულგარეთი, იტალია, ესპანეთი, ლიტვა, საბერძნეთი, ლატვია წარმოადგენენ საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორებს. სლოვაკეთთან მიმართებით მიღწეულია ექსპორტის ადეკვატური მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში (20 ევროკავშირის წევრი ქვეყანა) აუცილებელია ექსპორტის შემდგომი ზრდა.

ექსპორტის ერთგვაროვნება (კინკერ-ფრეინინის ინდექსი)

კვლევის შემდეგ ეტაპზე განიხილება მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებთანაც ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი 1-ზე ნაკლებია და ამდენად საექსპორტო პოტენციალი ნაკლებად არის რეალიზებული. იმისათვის, რომ გავარკვიოთ

საქართველოს წამყვანი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების და ვეროკავშირის ქვეყნებში ამავე სასაქონლო ჯგუფების
ამსლურტური მაჩვენებლები (ათას დოლარში) და პრაქტიკული წილი მთლიან ექსპორტში

ცხრილი 3 [3]

	8703	7202	2603	0802	2204	3102	2201	2208	3004	7214
საქართველო	517,8-18%	285,8-10%	248,0-8,7%	183,4-6,4%	180,4-6,3%	137,5-4,8%	137,1-4,8%	95,2-3,3%	92,1-3,2%	63,7-2,2%
გერმანია	160,050,7-10,6%	409,0-0,02%	24,118-0,002%	531,578-0,03%	1,309,113,0-0,06%	813,960-0,05	117,676-0,007%	1,656,349,0-3,1%	51,595,499, -3,4%	819,793-0,05%
ბელგია	30,288,698-6,4%	705,342-0,14%	0,0008-0%	4,188,148-0,9%	0,1697-0,03%	1,143,482-0,2%	0,284162-0,006%	0,284158-0,006	30,345,870-6,4%	0,104600-0,02%
პოლანდია	4,464,903-0,9%	1,157,948-0,2%	0,139022-0%	0,347512-0,06%	0,301424-0,05%	1,552,174-0,3%	0,0318-0%	0,869340-0,15%	15,865,448-2,7%	0,067142-0,0%
საფრანგეთი	19,192,656-3,3%	0,315593-0,05%	0,0001-0%	0,231461-0,04%	10,262,285-1,8%	0,256576-0,04%	0,914465-0,16%	4,628,117-4,5%	25,725,384-4,5%	0,558828-0,09%
განთ.სამეფო	42,365,027- 8,2%	0,397391-0,07%	0,000002-0%	0,062362-0,01%	0,754,258-0,14%	0,071698-0,001%	0,060908-0,001%	8,352,224-1,6%	23,429,624-4,6%	0,290392-0,005%
ჩეხეთი	17,757,185-10,2%	0,145-0,08%	0-0%	0,0345-0,01%	0,0424-0,02%	0,1422-0,08%	0,0255-0,01%	0,098-0,005%	1,894,303-1,0%	0,2898-0,16%
პოლონეთი	6,554,666-3,0%	0,249-0,1%	0,051-0,02%	0,0197-0,009%	0,010-0,004%	0,533-0,24%	0,019-0,009%	0,210-0,098%	3,171,807-1,5%	0,501-0,2%
ავსტრია	5,625,546-3,3%	0,005-0%	0-0%	0,0329-0,02%	0,1937-0,1%	0,025-0,001%	0,0197-0,001%	0,100-0,05%	5,879,789-3,5%	0,1787-0,1%
რუმინეთი	3,974,008-5,7%	0,055-0,08%	0,047-0,07%	0,079-0,1%	0,023-0,03%	0,3197-0,5%	0,000008-0,001%	0,000004-0%	1,068,539-1,5%	0,0569-0,08%
ესტონეთი	0,363-2%	0,032-0,2%	0-0%	0,004-0,02%	0,020-0,1%	0,002-0,009%	0,002-0,001%	0,1907-1%	0,065-0,3%	0,012-0,07%
პორტუგალია	2,629,537-4%	0,085-0,001%	0,4305-0,6%	0,1057-0,2%	0,968-1,5%	0,069-0,1%	0,021-0,03%	0,056-0,08%	1,005,295-1,6%	0,604-0,9%
დანია	0,656-0,6%	0,000007-0%	0,00000001-0%	0,000001=0%	0,165-0,15%	0,04-0,03%	0,016-0,001%	0,142-0,1%	3,228,025-2,9%	0,066-0,06%
უნგრეთი	10,992,250-9,78%	0,0002-0%	0-0%	0,0291-0,002%	0,095-0,08	0,1668-0,14%	0,000007-0%	0,01-0,009%	3,710,492-3,3%	0,111-0,09%
ფინეთი	1,458,963-2%	0,285-0,4%	0-0%	0,000002-0%	0,0215-0,03%	0,002-0%	0,032-0%	0,146-0,2%	0,835-1,1%	0,031-0,4%
სლოვენია	2,610,522-8,5%	0,043-0,1%	0-0%	0,000001-0%	0,000017-0,05%	0,000003-0%	0,000002-0,06%	0,0000014-0,006	2,873,744-9,4%	0,000002-0,06%
კვიპრისი	0,022-1,2%	0-0%	0-0%	0,003-0,001%	0,0020,01%	0-0%	0,0003-0,001%	0,026-1,48	0,228-15,4%	0-0%
შვედეთი	4,926,089-3%	0,159-0,09%	0-0%	0,012-0,007%	0,031-0,02%	0,112-0,06%	0,00680,003%	0,581-0,35%	6,362,850-3,9%	0,045-0,02%
ხორვატია	0,088-0,6%	0,0002-0%	0-0%	0,0002-0,016%	0,0016-0,1%	0,223-1,6%	0,015-0,1%	0,018-0,13%	0,489-3,5%	0,0157-0,1%
ორლანდია	0,045-0,04%	0-0%	0,000003-0%	0,000001-0%	0,000003-0%	0,011-0,008%	0,01-0,007%	0,851-0,7%	19,662,219-16,7%	0,028-0,02%
მალტა	0,019-0,3%	0-0%	0-0%	0-0%	0,00011-0,002%	0-0%	0-0%	0-0%	0,328-6,6%	0-0%

საექსპორტო პოტენციალის შემდგომი ათვისების ძირითადი მიმართულებები, აუცილებელია შემდგომი კვლევის ჩატარება. პირველ რიგში უნდა განაწილოდეს ექსპორტის ერთგვაროვნება. ექსპორტის ერთგვაროვნების ინდექსის (კინკერ-ფრენინი) მიხედვით უნდა განისაზღვროს ამ ქვეყნებისა და საქართველოს ექსპორტის მიმართება. კინკერ-ფრენინის ინდექსი ზოგადი სახით ასე ჩაიწერება: $S = E_{imin}([Xia/EXia], [Xib/EXib])$, სადაც Xia წარმოადგენს I პროდუქციის ექსპორტის წილს a ქვეყნის საერთო ექსპორტში, ხოლო Xib იგივე მაჩვენებელია მეორე ქვეყნისათვის. ინდექსის არსია ის, რომ, თუ ქვეყნებს ეწებათ ერთი და იგივე საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების წილები საერთო ექსპორტში, მაშინ მათი ექსპორტი ერთგვაროვანია და ჯამი იქნება 1-ის ან 100-ის (თუ ვთლით პროცენტული გამოსახულებით) ტოლი, თუ მათი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების წილები იქნება განსხვავებული, მაშინ მათი ჯამი იქნება 0-თან მიახლოებული. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ აღებულია მხოლოდ 10 სასაქონლო ჯგუფი, რომელთა საერთო ჯამი საქართველოს მთლიან ექსპორტში შეადგენს 62,9%-ს. აქედან გამომდინარე, ჯამების დათვლისას, მაქსიმალურად შესაძლო სიდიდე შეიძლება იყოს 0,629 ან 62,9 (თუ ვთლით პროცენტებში), რაც ჩვენ შემთხვევაში მინიშნებს ექსპორტის სრულ ერთგვაროვნებაზე.

ექსპორტის ერთგვაროვნება შესაძლებლობას იძლევა თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მოხდეს შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაცია სპეციალიზაციის ხარჯზე. აღნიშნული სპეციალიზაცია კი, თავის მხრივ, აუმჯობესებს ეკონომიკური მდგომარეობას.

ინდექსის დათვლისათვის არჩეული იქნა საქართველოს ექსპორტის წამყვანი 10 სასაქონლო ჯგუფი, საქონლის ჰარმონიზებული სისტემის 4-ნიშნა დონეზე, 2014 წელს. ეს სასაქონლო ჯგუფებია: 8703;7202;2603;0802;2204;3102;2201;2208;3004;7214. (იხ. ცხრილი 3).

არსებული ინფორმაციის საფუძველზე ავტორის მიერ გაანგარიშებული იქნა კინკერ-ფრენინის ინდექსი ევროკავშირის წევრი 20 ქვეყნისათვის (ის ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი 1-ზე ნაკლები იყო), მიღებულია შემდეგი შედეგები:

საქართველო: 1. გერმანია – 14.139; 2. ბელგია – 11.102; 3. პოლანდია – 4,36; 4. საფრანგეთი – 9,28; 5. გაერთიანებული სამეფო – 13,23; 6. ჩეხეთი – 11,61; 7. პოლონეთი – 5,18; 8. ავსტრია – 6,79; 9. რუმინეთი – 8.07; 10. ესტონეთი – 3,7; 11. პორტუგალია- 9.0; 12. დანია – 3,8; 13. ირლანდია – 4; 14. მალტა – 3,5; 15. უნგრეთი-13,3; 16. ფინეთი – 4,17; 17. სლოვენია – 12; 18. კვიპროსი – 6; 19. შვედეთი – 6,75; 20. ხორვატია – 6. როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპორტის ერთგვაროვნება ძალიან დაბალია და ყველაზე კარგ შემთხვევაში ის უტოლდება 14.139-ს. ცხადია, რომ ასეთი მაჩვენებლების პირობებში ექსპორტის ერთგვაროვნებაზე დაფუძნებული უპირატესობების მიღწევა რთული იქნება.

შიგადარგობრივი ვაჭრობა (გრუბელ-ლოიდის ინდექსი)

კვლევის შემდგომ ეტაპზე, კინკერ-ფრეინინის ინდექსის მიხედვით, სამი ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანისათვის (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, უნგრეთი) მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შიგადარგობრივი ვაჭრობის მონაცემების შეფასება. ამ მიზნით არჩეულ იქნა გრუბელ-ლოიდის ინდექსი, რომელიც აღწერს შიგადარგობრივი ვაჭრობის დონეს. როგორც წესი, ის აღწერს შემდგომი კოოპერირების შესაძლებლობას სამი მიმართულებით: ა) ერთი და იმავე რაოდენობისა და ფასის მქონე პროდუქციის გაცვლა; ბ) განსხვავებული ხარისხისა და ფასის პროდუქციის გაცვლა (ჰორიზონტალური ინტეგრაცია); გ) ერთიანი მიწოდების ჯაჭვის ფორმირება (ვერტიკალური ინტეგრაცია). ინდექსი ავტორის მიერ დაანგარიშებულია როგორც:

$GLI=1-[(Xia-Mib)/(Xia+Mib)]$, სადაც Xia – პროდუქციის ექსპორტია a ქვეყნიდან b ქვეყანაში, ib - პროდუქციის იმპორტი a ქვეყნიდან b ქვეყანაში.

როგორც მოსალოდნელი იყო გრუბელ-ლოიდის ინდექსმა დაადასტურა ის, რაც ნაწილობრივ აღმოჩნდა კინკერ-ფრეინინის ინდექსის მიხედვით. კერძოდ ძალიან დაბალია შიგადარგობრივი ვაჭრობის მოცულობა. ინდექსი ჩვენ მიერ გაანგარიშებული იქნა საქართველოს 10 წამყვან საექსპორტო ჯგუფზე (იმავე ჯგუფებზე, რომლებსაც მოხდა კინკერ-ფრეინინის ინდექსის გაანგარიშება ავტორის მიერ) და მივიღეთ შემდეგი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 4).

გრუბელ-ლოიდის ინდექსის მიხედვით საქართველოს შიგადარგობრივი ვაჭრობა გერმანიასთან, გაერთიანებული სამეფოსა და უნგრეთთან

ცხრილი 4

	გერმანია	გაერთ. სამეფო	უნგრეთი
8703	0,003	0,001	0,0
7202	0,0	0,0	0,0
7214	0,0	0,0	0,0
2603	0,0	0,0	0,0
0802	0,03	0,0	0,0
2201	0,49	0,0	0,0
2204	0,007	0,17	0,0
2208	0,01	0,001	0,0
3004	0,0	0,0008	0,0
3102	0,0	0,0	0,0

მონაცემების ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ მხოლოდ ერთ საქონლო ჯგუფში (2201) და ერთ ქვეყანასთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) არსებობს გარკვეული შიგადარგობრივი ვაჭრობა და ამდენად შესაძლებელია შემდგომი კოოპერირება ამ მიმართულებით.

კვლევამ დაადასტურა, რომ ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზაციისათვის აუცილებელია

სრულიად ახლებური მიდგომები. არსებული საექსპორტო პროდუქცია ვერ უზრუნველყოფს ამ პოტენციალის რეალიზაციას. ამიტომ უნდა დაჩქარდეს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნა. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს იმ სასაქონლო ჯგუფებს, რომელთა იმპორტირება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ხდება დიდი მოცულობით არა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. პირველ რიგში აქცენტი უნდა გადავიდეს სამრეწველო პროდუქციაზე და ამ მიმართულებით შესაძლებელ შიგადარგობრივ კოოპერირებაზე. პრობლემა უნდა მოგვარდეს კომპლექსური მიდგომის საფუძველზე, კერძოდ, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფების მწარმოებლებს და ექსპორტიორებს უნდა მიეცეთ განსაკუთრებული საგადასახადო პრეფერენციები, რაც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად ავითვისოთ ევროკავშირის ბაზრის შესაძლებლობები.

ლიტერატურა:

1. გ. ლაღანიძე, საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა, უკრნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ 3, 2015.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
3. ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი

Realization of the Georgian Export Potential on the EU Market

G. Gaganidze

Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: giorgi.gaganidze@tsu.ge

In the article the author presents the research of the realization of export potential on the EU market. In order to research the quantitative measures the author explores the Trade Intensification Index, the Finger-Kreinin Index is used to review the export similarities, as well as the Grubel-Lloyd Index to measure the Intra Industry Trade.

Key words: export potential, Trade Intensification Index, Finger-Kreinin Index, Grubel-Lloyd Index, realization of export potential.

JEL Codes: F10, F40, P45

სამეწარმეო უნივერსიტეტი – განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის უნიშვნელოვანესი რგოლი

ინეზა გაგნიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ineza.gagnidze@tsu.ge*

ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოში დღეისათვის უნივერსიტეტების ყველაზე ეფექტიანი მოდელის – სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირების და განვითარების ფაქტორები უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2015 წწ. ანგარიშებზე დაყრდნობით მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის შეფასება. შემოთავაზებულია განათლებისა და მეცნიერების განვითარებისადმი სისტემური მოდგომა, რაც ემყარება საქართველოს რეგიონებში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში სამეწარმეო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების იდეას. დასაბუთებულია სამეწარმეო უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: განათლება, მეცნიერება, სამეწარმეო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, სამკურნალო მცენარეები.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ყველა მიმართულებით, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების ერთმანეთთან დაახლოვების კუთხითაც. შედეგად 12 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუერთდა ივ. ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 7 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, 14 – საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, 12 – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, 2 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, 2 – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 4 ინსტიტუტი დარჩა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსით. სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია სარგებლობენ ავტონომიის უფლებით და სრულად ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ [1].

ჩვენი აზრით, საქართველოში საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროების ერთ სივრცეში გაერთიანების მცდელობა მექნიკურად და გრძელვადიანი ხედვის არარსებობის პირობებში მოხდა. აღნიშნულის გამო, მრავალი კვლევითი ინსტიტუტი „ჩაიკარგა“ ბიუროკრატიულ ბარიერებში და ისინი სრულად ვერ ავლენენ თავის პოტენციალს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების ერთ სივრცეში ეფექტიანი გაერთიანების შეთავაზება სამეცნიერო უნივერსიტეტების შექმნით საქართველოს რეგიონებში, ახალციხის უნივერსიტეტის მაგალითზე.

„სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამომავლო საქმიანობის (სამოქმედო გეგმების) შესახებ“ /საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 4 მარტის N218 ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შექმნილი სამეცნიერო საბჭოს საქმიანობის სფეროდ და ძირითად ამოცანად განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის კონსულტაციის განევა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამომავლო საქმიანობის (სამოქმედო გეგმების) შეფასების, დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და დაფინანსების მექანიზმების დახვეწის საკითხებში. დოკუმენტში აღნიშნულია: „მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დიდი ნაწილი დღეისათვის ფუნქციონირებს უნივერსიტეტების ფარგლებში, დღეს არსებული ინსტიტუციური მონაცემების მოდელი და მეცნიერების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო სრულად ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტიან ინტეგრაციას. ინსტიტუტების პოტენციალი არ არის საკმარისად გამოყენებული საუნივერსიტეტო განათლების პროცესში, რაც ხელს უშლის კვლევისა და სწავლების ერთიანობის პრინციპის განხორციელებას“. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, „მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი ვერ ქმნის გრძელვადიანი კვლევითი პრიორიტეტების განხორციელების, წარმატების კლასტერების გაძლიერებისა და მდგრადი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობებს“ .

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემა საერთაშორისო შეფასებების მიხედვით

საქართველოში გატარებულ განათლებისა და მეცნიერების ზემოაღნიშნულ არაეფექტიან პოლიტიკას ასევე ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში მოცემული ინფორმაცია, რომელსაც ცხრილი მოიცავს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის შეფასების ზოგიერთი მაჩვენებელი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2015 წლების ანგარიშების მიხედვით

[2, გვ.168; 3, გვ.151; 4, გვ.163; 5, გვ. 183; 6, გვ.175; 7, გვ.193; 8, გვ.189; 9, გვ.177]

	მაჩვენებლები	წლები							
		2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014	2014-2015	2015-2016
1	გამოკვლევული ქვეყნების რაოდენობა, სულ	134	133	139	142	144	148	144	140
2	მათ შორის საქართველოს პოზიცია	90	90	93	88	77	72	69	66
3	განათლების სისტემის ხარისხი	83	97	119	116	114	105	98	101
4	კვლევასა და სატრენინგო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა	117	96	125	115	119	130	116	116
5	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	113	123	119	117	125	124	119	119
6	კვლევასა და განვითარებაში უნივერსიტეტი-წარმოება თანამშრომლობა	109	122	134	126	134	132	128	128
7	პატენტების, განაცხადების რაოდენობა/მლნ მოსახლეზე	44	65	72	65	60	62	65	60

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2008-2016 წლებში ზოგადად უმჯობესდება და საქართველოს მიერ დაკავებული პოზიცია გამოკვლევულ ქვეყნებს შორის (90-დან 66-მდე), მაგრამ ეს წინსვლა ძირითადად განპირობებული იყო ინფრასტრუქტურული ფაქტორებით. ამას ვერ ვიტყვით განათლებისა და მეცნიერების შეფასების მაჩვენებლებზე. 2015-2016 წლის ანგარიშის მიხედვით არასასურველი პოზიციები გვაქვს „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის“ მიხედვით (119 ადგილი, 140 ქვეყანას შორის), ასევე „კვლევასა და განვითარე-

ბაში უნივერსიტეტი-წარმოება თანამშრომლობის“ მაჩვენებლის მიხედვითაც (128 ადგილი, 140 ქვეყანას შორის). განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის, რომ ეს მაჩვენებლები ფორუმის მკვლევარებს ჩართული აქვთ მე-12 მდგენელში, „ინოვაციები“ და მათზე ორიენტირებასა და გაუმჯობესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 830-ე ადგილზეა, ხოლო ევროპის უნივერსიტეტებს შორის 349-ე ადგილზე. იგი პირველია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში [10, გვ.1].

ეს ფაქტები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის სათანადოდ ვერ ვიყენებთ საკუთარ სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალს და ამის მიზეზი „განათლება-მეცნიერება-ბიზნესი“ ეფექტიანი სისტემური კავშირების არქონაა. ასეთ სიტუაციაში, ვფიქრობთ, გამოსავალი სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირებაა. ასეთ უნივერსიტეტებში მეცნიერების გამოყენებით მიმართულებებში ინვესტირებული თანხები ეფექტიანია და მაღალი უკუგებით ხასიათდება. გავიხსენოთ, რომ მეცნიერების დაფინანსების ახალი პროგრამა “Horizon2020” აფინანსებს მხოლოდ ისეთ ინიციატივებს, სადაც უკვე შემდგარია ეფექტიანი დიალოგი მეცნიერებასა და ბიზნესს შორის.

სამეწარმეო უნივერსიტეტი – II აკადემიური რევოლუციის შედეგი

ეკონომიკურ ლიტერატურაში სამეწარმეო უნივერსიტეტებზე (Entrepreneurial University) მსჯელობა 1998 წლიდან დაიწყო [11, გვ.2]. ამ ხნის მანძილზე მათ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენებდნენ, კერძოდ, ტექნოლოგიის ტრანსფერის უნივერსიტეტი, ინოვაციური უნივერსიტეტი და საბაზრო უნივერსიტეტი. ზოგადად, უნივერსიტეტების განვითარების ისტორიაში გამოყოფენ ორ აკადემიურ რევოლუციას, რის შედეგადაც უნივერსიტეტის სასწავლო ფუნქცია ჯერ კვლევითი კონპონენტით გაფართოვდა (I რევოლუცია), ხოლო შემდგომ – სამეწარმეო უნივერსიტეტების ჩამოყალიბება მოხდა (II რევოლუცია) [12, გვ.451].

2012 წლის დეკემბერში ევროკომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის მიერ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის [13] ადგილობრივი ეკონომიკის და დასაქმების განვითარების პროგრამის [14] წარმომადგენლებისა და ამ საკითხებზე მომუშავე ექვსი ექსპერტის მონაწილეობით შემუშავდა სამეწარმეო უნივერსიტეტების ჩარჩო სახელმძღვანელო. იგი განკუთვნილია იმ უნივერსიტეტებისთვის, რომ-

ლებიც დაინტერესებული არიან ინსტიტუციური და კულტურული ცვლილებების ეფექტიანი განხორციელებისთვის მიიღონ რჩევები, იდეები და შთაგონება. მასში მოცემულია ის შვიდი მიმართულება, რაც უნდა გაითვალისწინონ ასეთმა უნივერსიტეტებმა [13]:


1. ლიდერობა და მართვა;
2. ორგანიზაციის შესაძლებლობები, ადამიანები და სტიმულირება;
3. მენარმეობის განვითარება სწავლებასა და ათვისებაში;
4. შესაძლებლობები მენარმეებისთვის;
5. უნივერსიტეტი-ბიზნესი/გარე ურთიერთობები ცოდნის გასაცვლელად;
6. სამენარმეო უნივერსიტეტი, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტი;
7. სამენარმეო უნივერსიტეტის გავლენის შეფასება.

აღნიშნული ჩარჩოს დახმარებით უნივერსიტეტებს შეუძლიათ გამოიკვლიონ თავისი პოზიცია, საქმიანობის პოტენციური არეალები და გაითვალისწინონ კონკრეტულ ქვეყანაში შექმნილი გარემოებები.

„აშშ-ში 1980-იანი წლების დასაწყისი უნივერსიტეტებმა ფართოდ გაშალეს თავისი სამენარმეო საქმიანობა მრავალი მიმართულებით: დაპატენტება და ლიცენზირება, ინკუბატორების გახსნა, სამეცნიერო პარკების დაარსება და სხვა“ [15, გვ.691]. უურნალ „ფორბსის“ 2014 წლის 18 აგვისტოს გამოშვებაში [16] მოცემულია აშშ-ს საუკეთესო სამენარმეო უნივერსიტეტების ჩამონათვალი შემდეგი თანმიმდევრობით: 1. სტენფორდის უნივერსიტეტი; 2. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტი; 3. კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი; 4. კორნელის უნივერსიტეტი და ა.შ. მსოფლიო რეიტინგში პირველი – ჰარვარდის უნივერსიტეტი ამ ჩამონათვალში მე-17 ადგილს იკავებს. როდესაც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო აღნიშნავს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტში რაიმე წამოწყების ეფექტიანი და სწრაფი შედეგების შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ სამენარმეო ელემენტები საგანმანათლებლო სისტემაში იქ წინა საუკუნის შუახანებამდე დაიწყეს. და დღეს 2-3 თვიანი პერიოდი ახალი იდეების ასათვისებლად მათთვის მარტივია, ვინაიდან ინსტიტუტში სამენარმეო კულტურა დიდი ხანია არსებობს.

სამენარმეო უნივერსიტეტის ფორმირებისა და განვითარების ფაქტორები

სამენარმეო უნივერსიტეტის ფორმირებისა და განვითარების ფაქტორები (მ. გუერერო, დ. კირბისა და დ. ურბანოს (2006) მიხედვით) [17, გვ.184] მოცემულია ნახაზზე, საიდანაც ჩანს, რომ სამენარმეო უნივერსიტეტის ფორმირებისა და განვითარების ფაქტორები ორი სახისაა: არაფორმალური და ფორმალური.



მეტი სიცხადისთვის განვიხილოთ თითოეული მათგანის მაჩვენებლები და გაზომვის მეთოდები ცალ-ცალკე. ფორმალურ ფაქტორებს შორისაა:

1. „ორგანიზაცია და მართვის სტრუქტურა“, რომლის ინდიკატორებია: მისია (გაზომვის მეთოდი: მკვეთრი ორიენტირება მე-2 საგანმანათლებლო რეგოლაციამზე; აკადემიური პერსონალის ტრანსმისია), ორგანიზაციული სტრუქტურა (იერარქიული დონეები; ორგანიზაციული გაერთიანებები), მართვის სტრუქტურა (სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა; სისტემები და პროცედურები), მენეჯერი (პირადი პროფილი, პროფესიული პროფილი);
2. „ახალი ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული ღონისძიებები“: არსებული (თანმდევრი მეთოდების სახეობები, მათზე დანახარჯები) და დიფუზია (საკომუნიკაციო არხები, მათზე დანახარჯები);
3. „სამეწარმეო განათლება“: პროგრამები, კურსები (სახეობები, დანახარჯები, მოთხოვნა);
4. „მეწარმეობისადმი საუნივერსიტეტო საზოგადოების დამოკიდებულება“: სტუდენტები, ფაკულტეტი, აკადემიური პერსონალი (განზრახვები, სასურველობა, ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობები);

5. „მეწარმეობის სწავლების მეთოდოლოგია“: მეთოდოლოგია (თეორია და პრაქტიკა, სწავლების რესურსები, ტრენინგების უზრუნველმყოფი პროფესურა);

6. “როლური მოდელები და აკადემიური დაჯილდოვების სისტემა”: როლური მოდელები (მეწარმეები, მნიშვნელოვანი სადოქტორო კვლევები) დაჯილდოვების სისტემა (ორიენტაცია და სახეობები).

მ. გუერო და დ. ურბანო ასევე დამატებით გამოყოფენ სამეწარმეო მოდელებზე გარდამავალი პერიოდისთვის საჭირო შიდა ფაქტორებს, როგორცაა: რესურსები (ადამიანთა, ფინანსური, ფიზიკური და კომერციული) და შესაძლებლობები (სტატუსი, ქსელი, ადგილმდებარეობა).

სამეწარმეო უნივერსიტეტის წარმატებული მოდელის ფორმირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სპეციალობაზე (და არამარტო ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით) სწავლების პროცესში “მეწარმეობის” სასწავლო კურსის ეფექტიან დანერგვას. საამისოდ გვსურს ვიმსჯელოთ ნოტინგემის უნივერსიტეტის მაგაითიტზე. აქ სამეწარმეო განათლება ინტეგრირებულია სხვადასხვა მიმართულებით [18] და ერთნაირი მაგისტრატურის საფეხურზე შეთავაზებულია შემდეგი პროგრამები:

- გამოყენებითი ბიოფარმაცევტული ბიოტექნოლოგია და მეწარმეობა;
- კომუნიკაციები და მეწარმეობა, კომპიუტერული მეცნიერებები და მეწარმეობა;
- კულტურის დარგები და მეწარმეობა;
- ელექტრონული ინჟინერია და მეწარმეობა;
- მდგრადი ენერჯია და მეწარმეობა [19].

სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირების შესაძლებლობები საქართველოში

საქართველოში მეღვინეობის მიმართულებით ცოდნის სამკუთხედის ფორმირების აუცილებლობაზე, თელავში სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირების გზით, ადრეც ვწერდით [20, გვ.77-80]. როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ირკვევა, 2014 წელს კახეთის რეგიონში ღვინოს 119 კომპანია აწარმოებდა [21]. მათი უმრავლესობა მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიებია და არ აქვთ შესაძლებლობა იქონიონ ძლიერი კვლევითი ლაბორატორიები. ღვინის მსოფლიო ბაზარზე არსებული კონკურენცია კი, მაღალ სტანდარტებს მოითხოვს, რაც სათანადო კვლევების გარეშე მიუღწეველია. არადა, ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მკვლევარები ლოზანის საერთაშორისო მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტ-

ში თვლიან, რომ ქვეყნის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა შორის, სხვათა გვერდითაა: ბიზნესის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, კვლევასა და განვითარებაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე ბიზნესში დასაქმებულთა შორის და სხვა [22]. აღნიშნულის მიხედვით საქართველოში სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. აქაც გამოსავალი, ჩვენი აზრით, ქვეყანაში სამენარმეო უნივერსიტეტების ფორმირებაა. ამჯერად, გვსურს ვიმსჯელოთ, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ახალი შესაძლო როლის შესახებ სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

ცნობილია, რომ სამკურნალო მცენარეების რაოდენობის მიხედვით საქართველოს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია, ვინაიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ხარობს 80 ენდემური ჯიშის. „ეს მცენარეები უდიდესწილად შესულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ მსოფლიო სამკურნალო მცენარეების სამტომეულში ქართული სახელწოდებებით. დღეისათვის გამოიყენება ამ მცენარეების მხოლოდ მეთათედი. სამცხე-ჯავახეთში ამ მცენარეების 55 ნაირსახეობაა“ [23, გვ. 31].

აღნიშნულის გარდა, საქართველოში 340 საკურორტო-გამაჯანსაღებელი ადგილი და მინერალური წყლების 2000-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავალი არსებობს. 1982 წელს წარმოებდა 16 დასახელების წყლის ჩამოსხმა [24, გვ.712-713]. ამ მიმართულებით მდიდარია სამცხე-ჯავახეთის მეზობელი ბორჯომის ხეობა. აქაც შესაძლებელია ძლიერი კვლევითი-სასწავლო ლაბორატორიის შექმნა, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ტრადიციული დარგების პარალელურად, უნდა მოხდეს მინერალური წყლებისა და სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეების შესწავლა, შემდგომ კი მათი წარმოება და გამოყენება მედიკამენტებისა და პარფიუმერული ნაწარმის დასამზადებლად, კერძოდ, საპნები, შამპუნები, გელები, საცხები, სუნამოები და სხვა, რაც საქართველოში ძირითადად იმპორტირებულია. ცნობილია, რომ „ბორჯომის“ მინერალური წყლის შემადგენლობა ფრანგული „ვიშის“ მინერალური წყლის ანალოგიურია, რომლის გამოყენებით ამავე სახელწოდებით მსოფლიოში აღიარებული ერთ-ერთი ძვირადღირებული პარფიუმერული პროდუქტები მზადდება. სათანადო კვლევების განხორციელების შედეგად წარმოების ამ მიმართულების განვითარების დიდი შესაძლებლობებია საქართველოში.

ამ მიზნის მისაღწევად, ვფიქრობთ, აუცილებელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაიქცეს რეგიონულ სამენარმეო უნივერსიტეტად, გაძლიერდეს ქიმიო-ბიოლოგიის, ფარმაცევტიკის სასწავლო და კვლევითი მიმართულებები, ჩამოყალიბდეს სამკურნალო მცენარეების კვლევითი ლაბო-

რატორია, გაიზარდოს მკვლევართა ახალი თაობა და შეიქმნას ბიზნეს-ინკუბატორები.

უნივერსიტეტში სამეწარმეო უნივერსიტეტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურების შექმნით, ხელს შევეწყობთ რეგიონში სამეცნიერო კვლევისა და განათლების დონის ამაღლებას, მოსახლეობაში არსებული არაფორმალური ცოდნის ფორმალიზებას, ხალხური სამკურნალო პრეპარატების/დანამატების დაპატენტებასა და კერძო სექტორის დაინტერესება-გაძლიერებას. სამთავრობო ინიციატივა სამკურნალო მცენარეების მოყვანის შესახებ უკვე არსებობს, მაგრამ რეგიონის ეკონომიკის ასაღორძინებლად საუნივერსიტეტო განათლებისა და კვლევის აქტიური ჩართვა ძალზედ საშურია.

ცნობილია, რომ თბილისში სამკურნალო მცენარეების შემსწავლელი სამი კვლევითი დაწესებულება სამ სხვადასხვა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს, კერძოდ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების პროექტი შესაძლებელია განხორციელდეს ამ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომელთა მონაწილეობით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფილისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების შემოთავაზებული წინადადების ეფექტიანობა ემყარება ბაზრის მიერ ისტორიულად გამოცდილ კონკურენტულ უპირატესობას (გავიხსენოთ: კოლხი მედეა და მედიცინა, ვარძიის და უფლისციხის აფთიაქები და სხვა), ხოლო დამზადებულ პროდუქტებზე (ბუნებრივი მედიკამენტები, ბიო-პარფიუმერული ნაწარმი და სხვა) მოთხოვნა არაელასტიკურია, რაც მოგების მაღალ ნორმას განაპირობებს.

ცნობილია, რომ პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“, ინიციატივების საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯი შეადგენს 20 000 ლარს [25]. ასეთი მიდგომა დასაწყისში აუცილებელია, მაგრამ სამომავლოდ ეს მომსახურება სამეწარმეო უნივერსიტეტმა უნდა აიღოს თავის თავზე. რაც ქვეყანას უფრო იაფი დაუჭრება და ეს თანხები არა მარტო ერთი ფირმის ინფორმირებას მოხმარდება, არამედ ქვეყნის განათლების სისტემის სამსახურშიც ჩაღდება.

ვფიქრობთ, აუცილებელია საკითხის გადასაჭრელად სისტემური მიდგომა, რომელიც ასე წარმოგვიდგენია – ერთდროულად, პარალელური რეჟიმით უნდა იმოქმედოს რამდენიმე სტრუქტურამ: რუსთაველის ფონდმა უნდა გამოაცხადოს მიზნობრივი კონკურსი რამდენიმე თემაზე, მაგალითად: საქართველოში შეუსწავლელი მინერალური წყლების შესწავლა რეგიონში, იმავე რეგიონში უკვე შესწავლილი მინერალური წყლების გამოყენებით მზა პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა. ასევე, ვფიქრობთ, სასურველია გამოცხადდეს ამავე რეგიონში არსებული სამკურნალო და სურნელოვანი მცენარეების თვისებების შესასწავლი მიზნობრივი საგრანტო კონკურსები, მათი

სამკურნალო საშუალებებში, ჰიგიენურ და პარაფიზიკურ ნაწარმში გამოყენების მიზნით და სხვა თანამდევნი პროდუქტების დასამზადებლად. აუცილებელია რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობაში, ტრადიციულად, საუკუნეების მანძილზე გამოცდილი <საგვარეულო> სამკურნალო წამლების მოძიება, შესწავლა და დაპატენტება, რაც საქართველოს ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს სამედიცინო უნივერსიტეტში შექმნილი საპატენტო სტრუქტურული ერთეულის შუამდგომლობით. შემდეგ კი უნდა მოხდეს ბიზნესის სტიმულირება ამ პრეპარატების საწარმოებლად. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაებას ადგილობრივი მმართველობისა და ბიზნესის წარმომადგენლები. შესწავლილი მცენარეების მოყვანა-განამუშავების თანამედროვე სისტემების შესწავლა-დანერგვაში თავისი როლი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომაც უნდა ითამაშოს.

ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი ენიჭება განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი უნივერსიტეტის თანამშრომლობას საჭირო კვალიფიკაციისა და სპეციალობის მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად. ეს მოითხოვს პროფესორის გადაზიდვას, ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვასა და სასწავლო ლიტერატურის თარგმან-მომზადებას (ფარმაცევტიკის, ქიმიის, მენარმეობის და სხვა მიმართულებით). აღნიშნული ექსპერიმენტების ჩატარებისა და იდეების განხორციელების ცენტრი უნდა იყოს ადგილობრივი სამედიცინო უნივერსიტეტის ინკუბატორები, ტექნოპარკები, საპატენტო და ცოდნის გადაცემის (ტრანსფერის) ოფისები, ლაბორატორიები და/ან სხვა მსგავსი სტრუქტურები.

რეგიონის უნივერსიტეტები ისტორიულად პედაგოგიური მიმართულების იყო, ამიტომ ადგილზე კადრების სიმწირის პირობებში შესაძლებელია სწავლებასა და კვლევებში დისტანციური ჩართვით სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერთა გამოყენება. ასეთი მიდგომით ძალები ეფექტიანად იქნება გადანაწილებული. სხვადასხვა უნივერსიტეტის ქუდქვეშ არსებული კვლევითი ინსტიტუტების მკვლევარებს უნდა მიეცეს პროექტებში ინდივიდუალურად ჩართვის უფლებაც ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. ეს უნდა იყოს ერთგვარი დიდი ექსპერიმენტი. ასე დაგეგმილი საქმიანობა უმოკლეს ვადებსა და უმცირესი დანახარჯებით მოგვცემს სასურველ შედეგებს, ხოლო მეცნიერების ეს მიმართულებები ფინანსურადაც მომგებიანი გახდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ უნივერსიტეტში ძლიერი სკოლის შექმნა, სხვა უნივერსიტეტებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში ცოდნის სწრაფად გაცვლას შეუწყობს ხელს. ცნობილია, რომ საქართველოს მთიანეთი მდიდარია სამკურნალო მცენარეებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ირკვევა, რომ 2014 წელს ფარმაცევტულ პროდუქტებს საქართველოში 80 კომპანია აწარმოებდა [21], რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეული სამედიცინო

გამოცდილება და ინტერესი ამ მიმართულებით უკვე არსებობს. მათი სამეურნეო საქმიანობა კი, სამენარმო უნივერსიტეტების კვლევით ლაბორატორიებთან თანამშრომლობით გაცილებით ეფექტიანი გახდება.

დასკვნები განსჯისთვის

ზემოაღწერილი კოორდინირებული და სისტემური მიდგომის შედეგად საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების მიხედვით ეფექტიანად და პროდუქტიულად იქნება გამოყენებული, ხოლო სამენარმო უნივერსიტეტების შექმნა ხელს შეუწყობს:

- სასურველი მიზნის მისაღწევად დანახარჯების მინიმიზაციას და შედეგების სწრაფად მიღებას;
- ჯანსაღი კონკურენციისა და ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების ეფექტიან სიმბიოზს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშესაწყობად;
- ადგილობრივი სამეცნიერო კადრების გაზრდას და ტვინების გადინების შემცირებას;
- ახალი პროდუქტების ბაზრებისთვის მიწოდებას და არსებულის გაუმჯობესებას;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას;
- მოსახლეობის რეგიონში დამაგრებას, უმუშევრობის შემცირებას და შემოსავლების ზრდას;
- ახალი ბიზნესის წარმოწყობისას ბარიერების შემცირებას;
- ეკონომიკის განვითარებისადმი სისტემურ მიდგომას;
- სამეცნიერო კვლევების მოგებიანობას.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამენარმო უნივერსიტეტი არის განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი რგოლი. ასეთი უნივერსიტეტების ფორმირება, ადგილობრივი ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენის ფონზე, სასურველია დაწყებულ იქნეს ახალციხეში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, თელავსა და ქუთაისში. ეს აუცილებლად მისცემს სტიმულს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოვლენას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი <http://www.mes.gov.ge/content.php?id=599&lang=geo>
2. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2008-2009, Country/Economy Profiles, Georgia. http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2008-09.pdf
3. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2009-2010, Country/Economy Profiles, Georgia. <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2009-2010>
4. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2010-2011, Country/Economy Profiles, Georgia. http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf
5. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2011-2012, Country/Economy Profiles, Georgia. <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2011-2012>
6. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2012-2013, Country/Economy Profiles, Georgia, http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf
7. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2013-2014, Country/Economy Profiles, Georgia. http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf
8. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2014-2015, Country/Economy Profiles, Georgia, <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015>
9. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2015-2016, Country/Economy Profiles, Georgia. <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2015-2016>
10. გაზეთი “თბილისის უნივერსიტეტი”, 14 სექტემბერი, №10, 2015.
11. Guerrero Maribel, Urbano David, The Development of an entrepreneurial university, Springer Science+Business Media, LLC 2010.
12. E. Martini, M. Rossi, The Transformation of University-industry Relations. The Case of Campania, University of Sannio, Italy, PDF, <http://www.academia.edu>.
13. <http://www.oecd.org/>
14. <http://www.oecd.org/employment/leed/>
15. Frank T. Rothaermel, Shanti D. Agung and Lin Jiang, University entrepreneurship: a taxonomy of the literature, *Industrial and Corporate Change*, Volume 16, Number 4, 2007, pp. 691–791.
16. <http://www.forbes.com/sites/liyanchen/2014/07/30/startup-schools-americas-most-entrepreneurial-universities/>
17. Latif Karimi Sooreh, Aidin Salamzadeh, Hossein Safarzadeh, Yashar Salamzadeh, Defining and Measuring Entrepreneurial Universities: A Study in Iranian Context Using Importance-Performance Analysis and TOPSIS Technique, *Intern. Journal. Global Business and Management Research*, Vol. 3.No.2. 2011, pp. 182-199.
18. http://ieec.co.uk/wp-content/uploads/2011/08/Kelly-Smith-UNI-OF-HUDDERSFIELD-IIEC_2013.pdf; SO WHAT IS AN ENTREPRENEURIAL UNIVERSITY?, PARMJIT DHUGGA, UNIVERSITY OF NOTTINGHAM DAVID GIBSON, QUEENS UNIVERSITY BELFAST, NIGEL CULKIN, UNIVERSITY OF HERTFORDSHIRE, TOM WILLIAMSON, COVENTRY UNIVERSITY, 2013.
19. <http://www.nottingham.ac.uk/index.aspx>
20. გაგნიძე ი. ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობები მეღვინეობის განვითარებაში საქართველოში, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”, შრომე-

- ბის კრებული, თსუ, თბ., 2013, გვ. 77-80.
21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, წერილი N6-2553; 07.09.2015.
 22. http://www.imd.org/uupload/imd.website/wcc/BE_list.pdf
 23. ამირეჯიბი ე., ბენაშვილი ც. ქრისტიანობა და ფიტომრეწველობის განვითარება საქართველოში, “ქრისტიანობა და ეკონომიკა”, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თსუ გამომცემლობა, თბ., 2009.
 24. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბ., 1983.
 25. <http://qartuli.ge/>

Entrepreneurial University – the Most Important Element of Education and Science Efficient Policy

Ineza Gagnidze

*Academic Doctor of Economics
Associate Professor, Tbilisi State University
Ineza.gagnidze@tsu.ge*

The given work analyzes the most efficient model of universities existing in the world today - entrepreneurial university's formation and development factors on the basis of foreign scientific literature review. The assessment of Georgia's education and science system is based on the World Economic Forum's Global Competitiveness Reports (2008-2015). There is proposed a systematic approach to the development of education and science, which is based on the idea of formation of entrepreneurial universities in Georgia's regions, particularly in Samtskhe-Javakheti. It is established that entrepreneurial universities play an important role in the development of local economy.

Substantiated entrepreneurial universities play an important role in the development of the local economy.

Keywords: Education, science, entrepreneurial university, Samtskhe-Javakheti University, medicinal plants.

JEL Codes: O31, O38, O39

აუთსორსინგი-ბიზნესპროცესების ხელშეწყობი ფაქტორი

ქრისტინა პლანჭლავა

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი*

ბიზნესტერმინი აუთსორსინგი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში აქტუალური შესწავლის საგანია. მოცემულ სტატიაში განსაზღვრულია აღნიშნული ცნება უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებსა და საერთაშორისო სუბკონტრაქტებთან მიმართებით. ამავდროულად, ის დაკავშირებულია ისეთ პროცესებთან, როგორცაა – წარმოების ფრაგმენტაცია, წარმოების საერთაშორისო გადაადგილება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დეინდუსტრიალიზაციის პროცესსა და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციასთან. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აუთსორსინგი გაცილებით სწრაფი ტემპით გაიზარდა, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობა. იგი წარმოადგენს ახალ გლობალურ სტრატეგიას, რომელსაც აქტიურად იყენებენ ტრანსეროვნული კომპანიები (ტეკ-ები) XX საუკუნის 80-იანი წლებიდან.

საკვანძო სიტყვები: აუთსორსინგი; ფრაგმენტაცია; უცხოური პირდაპირი ინვესტიციები; სუბ-კონტრაქტები

აუთსორსინგის წარმოშობა

აუთსორსინგი უძველესი პროცესია, რომლის განვითარებაც დაკავშირებულია გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებასთან. რაც შეეხება ცნება – „ოფშორულ აუთსორსინგს“, ტერმინს საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ტეკ-ებისა და საერთაშორისო სუბკონტრაქტების გამოჩენასთან ერთად. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში აუთსორსინგი

მჭიდროდაა დაკავშირებული მთლიან გლობალურ პროცესთან და განიხილება გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად. ტექნოლოგიები მზარდად იყენებენ აუთოსორსინგსა და ახალ სტრატეგიას, ამ უკანასკნელს კი განიხილავენ და მოიხსენიებენ გლობალურ სტრატეგიად [1]

ზოგადად, აუთოსორსინგი უკავშირდება კომპანიების მიერ ბიზნესმოდელის შეცვლას, იმ ოპერაციების გასხვისებას, რომელიც არ შეადგენს მათი ბიზნესის ძირითად კომპეტენციას, ამასთან, უფრო იათად შეუძლიათ შეისყიდონ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში [2].

თანამედროვე პერიოდში ბიზნესი ფუნქციონირებს მაღალკონკურენტულ გარემოში, რაც განაპირობებს სხვადასხვა საქმიანობის საზღვარგარეთ აუთოსორსინგს. აუთოსორსინგი – მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ფენომენია და წარმოადგენს თანამედროვე მენეჯმენტის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ტენდენციას ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. აუთოსორსინგი განიხილება, როგორც ახალი ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება მსოფლიო მასშტაბით, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. ის საშუალებას აძლევს კომპანიებს მინიმუმადე დაიყვანონ რისკფაქტორები და მიაღწიონ წარმატებას ბიზნესში..

თავდაპირველად აუთოსორსინგი განვითარდა ერთი და იმავე ქვეყნის ფარგლებში, როდესაც მშობელმა კომპანიებმა განახორციელეს ფილიალების გადაადგილება იმავე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამავალმა უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა და საერთაშორისო სუბკონტრაქტორებმა დაიწყეს აუთოსორსინგის ინსტრუმენტების გამოყენება. აღნიშნული პროცესი იმ პერიოდისთვის წარმოადგენდა ახალ ტენდენციას. მოგვიანებით, უკვე XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, აუთოსორსინგი გახდა ახალი გლობალური სტრატეგიის სისტემატური ელემენტი. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ აუთოსორსინგი არ ვრცელდება ერთი და იმავე ხარისხით ინდუსტრიის ყველა დარგში, რამდენადაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წარმოების პროცესის ფრაგმენტაცია. აქედან გამომდინარე, აუთოსორსინგის განხორციელება შედარებით მარტივია მომსახურების სფეროში, ხშირად სარგებლობენ გადამამუშავებელ ინდუსტრიაში და თითქმის შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს სოფლის მეურნეობაში.

აუთოსორსინგის ტიპები და განვითარების ტენდენციები

გამოყოფენ აუთოსორსინგის შემდეგ ოთხ ძირითად ტიპს:

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთოსორსინგი – გულისხმობს როგორც კომპიუტერულ პროგრამირებას, ასევე ტექნიკურ მომსახურებას (პრინტერები, მაუსები, სკანერები), საიტების შექმნასა და დიზაინს, რთული გამოთვლითი სისტემების დამუშავებას;

საწარმოო აუთსორსინგი – წარმოების ფუნქციათა ნაწილის გადაცემა მწარმოებლების მიერ. მაგალითად, სარეკლამო სააგენტოები, რომლებიც სარგებლობენ ტიპოგრაფიითა და ბეჭდვითი სიმძლავრეებით;

ბიზნესპროცესების აუთსორსინგი – გულისხმობს კლიენტების მომსახურებას სტანდარტული პროცესების შესრულებით. მაგალითად, ბუღალტრული გამოთვლები, პერსონალის მართვა, რეკლამა, ლოჯისტიკა, მარკეტინგი, ტექნიკური მხარდაჭერა და ა.შ.;

ცოდნის მართვის აუთსორსინგი – შედარებით ძველი ტიპია, ვიდრე ბიზნესპროცესების მართვის აუთსორსინგი. იგი მოითხოვს დასაქმებულთა მაღალ კვალიფიკაციურ დონეს. სამუშაო ძალა უნდა ფლობდეს ანალიტიკურ და ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, ამავდროულად შეეძლოს რთული გადანყვეტილებების მიღება. მაგალითად, ფარმაცევტული გამოკვლევები, პატენტებისა და ინტელექტუალური საკუთრების კვლევები, მონაცემთა ბაზის დამუშავების ანალიზი და ა.შ.

მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაცია ღია მსოფლიო ბაზარზე ამსუბუქებს პროცესს, რის შედეგადაც კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა განახორციელონ საზღვარგარეთ სამწარმოო საქმიანობის აუთსორსინგი. მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმები ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ აღნიშნული პროცესის უმნიშვნელოვანეს როლს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომპანიებისთვის პოზიციების გამაგრებას სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, რამდენადაც აღნიშნული ქვეყნები ინვესტორებისთვის მეტად მიმზიდველია [3]. აუთსორსინგის პრაქტიკა ხასითდება მაღალი დონის მობილობით, შედარებით ადვილად ხდება მათი მოზიდვა მასპინძელ ქვეყანაში, თუმცა ამავდროულად სწრაფად ტოვებს რეციფიენტ ქვეყანებს. ამჟამად, უამრავ ტეკ-ს გადააქვს ბიზნესსაქმიანობები ცენტრალური ევროპის ქვეყნიდან (მაგალითად, უნგრეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (სლოვაკეთში, რუმინეთში, ბულგარეთში უკრაინაში). აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს მაღალკონკურენტულ გარემოში, იმისათვის რომ ასტიმულირონ და მოიზიდონ გლობალურ ეკონომიკურ გარემოში უცხოელი ინვესტორები. ამრიგად, კომპანიები, რომელთა მიზანია ბიზნესპროცესების და მომსახურების სფეროს აუთსორსინგი, საქმიანობის წარმატებით ორგანიზებისთვის, ორიენტირებულნი არიან შედარებით ეფექტიან ალტერნატივებზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უდიდესი პოტენციალია ამგვარი ბიზნესთანამშრომლობის განვითარებისთვის. აუთსორსინგი პოზიტიური შედეგები კომპანიისთვის აისახება გრძელვადიანი სარგებლის მიღებაში, სუბ-კონტრაქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მონივნვე ტექნოლოგიების გადაცემის ხარჯზე. ყოვლივე აღნიშნული აქტუალურია ბიზნესპროცესების რესტრუქტურიზაციისა და რაციონალიზაციისთვის, განსაკუთ-

რებით კი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისთვის. მსოფლიოში უკანასკნელ წლებში აუთოსორსინგი საკმაოდ დინამიკურად ვითარდება. ამ მხრივ ლიდებენ ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები, სინგაპური, მალაიზია თუმცა, აღმოსავლეთი ევროპის რიგი ქვეყანა მსოფლიო აუთოსორსინგის ბაზარზე სისტემატურად აუმჯობესებს საკუთარ პოზიციებს. ამ მიმართულებით ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი და რუმინეთი სწრაფად ვითარდებიან. იაფ და კვალიფიციურ მუშახელთან ერთად აღნიშნული ქვეყნები ინვესტორებს სთავაზობენ განვითარებულ ინფრასტრუქტურას, ეკონომიკურ სტაბილურობას, გეოგრაფულ სიახლოვეს და ა.შ. [4].

ბოლო წლების განმავლობაში, აუთოსორსინგის ინდუსტრიაში დიდ წარმატებას მიაღწია ჩინეთმა. ქვეყანაში ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობა ხელს უწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა ბიზნეს-მომსახურების სფეროების განვითარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამავდროულად დაიწყო განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, კადრების პროფესიული მომზადება და სხვა ინფრასტრუქტურების სრულყოფა. აღნიშნულ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვა ძლიერი აუთოსორსინგის ინდუსტრიის შექმნა, ამჟამად, ჩინეთი წარმოადგენს საექსპორტო პლატფორმას, რომელზეც შესაძლებელია წარმატებული აუთოსორსინგის ინდუსტრიის შენება. ამავდროულად ქვეყანას შეუძლია შექმნას სრულყოფილი მომსახურების ბაზა და განამტკიცოს კავშირები იაპონიისა და სამხრეთ-კორეის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ამ სფეროში, ქვეყნის წინაშე კვლავინდებურად დგას ფრაგმენტული აუთოსორსინგის ინდუსტრიისა და სამუშაო ძალის დეფიციტი, რომელთაც ნაკლები გამოცდილება აქვთ საერთაშორისო ბიზნესის სფეროში. თანამედროვე ეტაპზე, ტეკ-ები აქტიურად ინტერესდებიან და იკვლევენ ჩინეთის სწრაფად მზარდ აუთოსორსინგის ინდუსტრიის შესაძლებლობებსა და სწავლობენ შესაძლო რისკების არსებობას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გლობალურ ბაზარზე, აუთოსორსინგის ინდუსტრიაში შემოსავლები სტაბილურად იზრდებოდა – 2000-2012 წლებში გაიზარდა 45,6 მლრდ დოლარიდან 99,1 მლრდ დოლარამდე. თუმცა, 2013 წელს ეს შემოსავლები შემცირდა 20%-ით და შეადგინა 82,9 მლრდ დოლარი. მომდევნო წელს ამ მიმართულებით შეინიშნა ზრდის ტენდენცია და შემოსავლებმა მიაღწია 104,6 მლრდ დოლარს. ინდუსტრიაში ყველაზე დიდი მოცულობით შემოსავლები შემოვიდა ევროპიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან. შემოსავლების შედარებით ნაკლები მოცულობა დაფიქსირდა აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში. 2014 წელს ბიზნესპროცესების აუთოსორსინგი ითვლიდა 72,1 მლრდ დოლარის შემოსავალს. აუთოსორსინგის სხვა სექტორები მოიცავს ბიზნესმომსახურებებს, ენერჯეტიკას, ჯანდაცვას, ფარმაცევტულ წარმოებას, საცალო ვაჭრობას, ტრანსპორტს, ტელეკომსა და მედიას. მათი წილი გლობალურ ბაზარზე შეადგენდა 35 მლრდ დოლარს [5].

აუთოსორსინგის განხორციელების ძირითადი ფაქტორები

ბიზნესლიტერატურაში გამოყოფენ აუთოსორსინგის მამოძრავებელ ფაქტორებს, როგორცაა – ხარჯების შემცირება და გლობალიზაცია. აღნიშნული პროცესი წარმოშობს მთელ რიგ სოციალურ პრობლემებს, მათ შორისაა განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ადგილების დაკარგვა. უარყოფით ზეგავლენასთან ერთად, უამრავი ავტორი განიხილავს აუთოსორსინგის დადებით მხარეებს. მაგალითად, უმსხვილეს კომპანიებში (პროკტარანგემბელი, ჯენერალ მოტორსი) მენეჯერულმა ანალიზმა განაპირობა საზღვარგარეთ ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთოსორსინგი [6].

ზოგადად, აუთოსორსინგის განხორციელების ძირითადი ფაქტორებია: ფინანსური დანაშოვნები, წვდომა მონიხავე ტექნოლოგიებზე, მომსახურების მაღალი ხარისხი, სპეციალიზებული კვლევების ჩატარების შესაძლებლობა და ორანიზაციული პოლიტიკა [7]. ტეკ-ები ძირითადად ახორციელებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთოსორსინგს სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, რაც მიმართულია ხარჯების შემცირებაზე. როგორც ნესი., აღნიშნული ეხება პროგრამული ოპერაციების განვითარებას იაფი დანხარჯების გარემოში, რაც წარმოდგენილია სპეციალიზებული პერსონალის მიერ.

საქართველოში აუთოსორსინგი ჯერჯერობით უცხო ხილია. როგორც ქართველი სპეციალისტების უმეტესობა აღნიშნავს, საქართველო ამ სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე დგას. ამ საქმით დღეს მხოლოდ ათამდე კერძო ფირმა და სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული სამეცნიერო ჯგუფი არის დაკავებული, თუმცა, ისინი უმეტესად გრანტებზე მუშაობენ. საქართველოში აუთოსორსინგის განვითარების რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს. ერთ-ერთი, ქართველი პროგრამისტების არაორგანიზებულობაა. სპეციალისტების აზრით, ქართველ პროგრამისტებს არა აქვთ შემუშავებული თანამედროვე ეტაპზე მუშაობის ისეთი კულტურა, როგორი მოთხოვნაც არის საზღვარგარეთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც შეკვეთა თავის დროზე არ სრულდება. აღნიშნული ყოველთვის წარმოშობს უთანხმოებას შემკვეთთან და უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ავტორიტეტზე. მეორე პრობლემა უკავშირდება იმას, რომ ჩვენთან ფაქტობრივად არ არსებობს დანესებულება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მაღალკვალიფიციურ პროგრამისტთა მომზადება. ქართველი პროგრამისტების უმეტესობა თვითნასწავლი სპეციალისტებია. აღნიშნული პრობლემა კი სასწრაფოდ მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევასა და მხარდაჭერას. ქვეყანაში პროგრამირების განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პოლიტიკას, დადებითი საინვესტიციო კლიმატისა და ქვეყნის მიმზიდველი იმიჯის შექმნას, საგანმანათლებლო სფეროში რეფორმების განხორციელება და გარკვეული ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება ხელს შეუწყობს საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორის განვითარება [8].

აუთსორსინგები სტრატეგიულად ფოკუსირებენ ძირითადი კომპეტენციების (მაგალითად, მომხმარებელთა მოთხოვნების დახვეწა, ტექნოლოგიური ინოვაციები) გაუმჯობესებაზე, ხოლო მეორეხარისხოვანი ფუნქციები, მაგალითად ტელემარკეტინგი, გადააქვთ საზღვარგარეთ. საბოლოო ანგარიშით, კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მნიშვნელოვანი წყარო არ არის მხოლოდ წარმოებული პროდუქტი, არამედ მენეჯერული თვისებაა, რომელიც აძლიერებს და აკავშირებს უნარებსა და ტექნოლოგიას, იმისათვის რომ მოხდეს ცვალებად ბიზნესგარემოში წარმატებული ადაპტირების პროცესი. მაგალითად, ძირითად უპირატესობა კომპანიისა „ნაიკი“ პროდუქციის დიზაინი და აუთსორსინგია, ვიდრე სხვა ბიზნესპროცესები.

მომსახურების ხარისხის დახვეწა საერთაშორისო აუთსორსინგის კიდევ ერთი უპირატესობაა. ამ მხრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, ხარჯების შემცირების და მომსახურების ღონის ამალღების მიმართულებით მსოფლიოში მიჩნეულია მიმზიდველ ადგილმდებარეობად. აღნიშნულ ქვეყნებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებამ საფუძველი ჩაუყარა ახალი საინოვაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებას, რაც აუმჯობესებს საერთაშორისო კვალიფიციური ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიან ფუნქციონირებას. საერთაშორისო აუთსორსინგის ბიზნესმოდელი დაკავშირებულია ამავდროულად რისკებთან, რაც ქმნის ფუნქციონირების პროცესში გარკვეულ გაუგებრობას. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული დაკავშირებულია ისეთ პოტენციურ პრობლემასთან როგორცაა ის, რომ გაფორმებისას უნდა აისახოს პარტნიორთა შესაძლო მოთხოვნები. თუმცა ადეკვატური ცვლილებები კონტრაქტებში ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რაც აუთსორსინგის განხორციელების შემთხვევებელი ფაქტორია.

სხვა ძირითადი რისკები დაკავშირებულია მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაურკვევლობასთან. ეკონომიკური რისკი აისახება ინფლაციასთან, გაცვლითი კურსის მერყეობებთან, რეპატირებული მოგების შემზღუდვასთან, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებებთან და ა.შ.,

პოლიტიკური რისკი კი მოიცავს რეციპიენტი ქვეყნის პოლიტიკურ არასტაბილურობას, რევიონულ და საერთაშორისო კონფლიქტებს, შრომის ბაზარზე წესების შეცვლას, ცვლილებებს გარემოს დაცვით კანონებში, საერთაშორისო ბიზნესისა და ვაჭრობის რეგულირებას და ა.შ. ზოგადად რეციპიენტი მთავრობებს სხვადასხვა ფორმით და ხარისხით შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ აუთსორსინგის პროცესებზე. მაგალითად, შექმნან ბარიერები, თუმცა, ამავე დროს აწესებენ საინვესტიციო სტიმულებს, საგადასახადო და ფისკალური ინსტრუმენტების და სუბსიდიების გამოყენებით [9]

* * *

საბოლოო ანგარიშით, წარმატებული აუთსორსინგის მისაღწევად კომპანიის მენეჯერები უნდა გაცდნენ მოკლევადიან მოლაპარაკებებს და

გადავიდნენ გრძელვადიანი ბიზნესმოდელების განვითარებაზე. აუთსორსინგი არის ბიზნეს-სტრატეგია, რომელიც აუმჯობესებს წარმოების ეფექტიანობას, ამცირებს წარმოების ხარჯებს, სწრაფად უწყობს ხელს პროდუქციის წარმოების განვითარებას. საქართველოში სანარმოო აუთსორსინგი პრაქტიკულად არ არსებობს, ამ მიმართულებით სახელმწიფომ აუცილებელია განახორციელოს ხელშემწყობი ღონისძიებები, რაც გაააქტიურებს ბიზნესპროცესებს საქართველოში და ურუნველყოფს ქვეყნისთვის მრავალ სარგებელს.

ლიტერატურა:

1. Dunning, J. H. (1993). Multinational enterprises and the global economy. Wokingham, Berkshire: Addison Wesley.
2. ასათიანი რ., თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 31, 2012 წ.
3. Ofreneo, Rene E. (2007): “Voice for the Voice Workers: Addressing the IR Concerns in the Call Center/BPO Industry of Asia”. In: The Indian Journal of Industrial Relations.
4. Schein, E. H. (2009). The corporate culture survival guide. San Francisco, CA: Jossey-Bass.
5. <http://www.statista.com/statistics/189788/global-outsourcing-market-size/>
6. M. Richmond, CISSP, The benefits of outsourcing, 2008.
7. T. L. Friedman, “The Silver Lining of Outsourcing Overseas,” New York Times, February 27, 2004.
8. IT- აუტსორსინგის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე. Journ. “biznes-inineri”, Tb., 2014, №2
9. Robbins, S. P. (2011). Organizational behavior. (14th ed.). Upper Saddle River, N.J.: Prentice Hall.

Outsourcing – Contributory Factor in Business Processes

Kristine Jganjgava

Doctoral student of Business Administration

Part-time lecturer at Iv. Javakishvili Tbilisi State University

Outsourcing is a good business strategy. It improves efficiency, cuts costs, speeds up product development, and allows companies to focus on their “core competencies”. Public stereotype of outsourcing may be to make financial savings by taking advantage of lower-cost labour in another country. Practically, in Georgia there is not production outsourcing. The government should encourage this business sector with supporting measures that will help business activities and provide multiple benefits for our country.

Keywords: Outsourcing, fragmentation, foreign direct investment, sub-contracts.

JEL Codes: J41, F01, F21, D44

ემპათიის გამოყენების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

გიორგი მორჩილაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
giorgi_mortshiladze@yahoo.com*

ემპათიის ხელოვნების ფლობა ძალიან ფასეულია როგორც ბიზნესში, ასევე პირად ცხოვრებაში. სხვა ადამიანების აზრებისა და ემოციების გაგების უნარის გამომუშავება, გააზრება იმისა, თუ რამ შეიძლება შეგვიშალოს ხელი აღნიშნულ პროცესში - დაეხმარება ნებისმიერ ადამიანს წარმატების მიღწევასა და ურთიერთობების დალაგებაში.

მოცემული სტატიის მიზანია როგორც მენეჯერების, ასევე ნებისმიერი ადამიანისთვის რეკომენდაციების მიცემა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ გაიგონ უკეთ სხვა ადამიანების აზრები და ემოციები, რაც დაეხმარება მათ საქმის უკეთესად კეთებაში და საერთოდ, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა მრავალი მონოგრაფია და სტატია, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ საკითხთან. ასევე ჩატარდა კვლევა პირდაპირი გამოკითხვის მეთოდით ორ კომპანიაში (შპს „ჯეჯილი“ - პურის ქარხანა და სს „წყალი მარგებელი“). რაც შეეხება ამონაკრებს, ის იყო მიზნობრივად შერჩეული, კომუნიკაცია დამყარდა ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენლებთან.

საკვანძო სიტყვები: პერსონალი; მართვა; მოტივაცია; სამუშაო პირობები.

ძირითადი პრობლემები სხვა ადამიანების აზრებისა და ემოციების გაგების პროცესში

ემპათია არის სხვა ადამიანის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების უნარი. ადამიანი არის სოციალური ცხოველი, ის ცხოვრობს, იბადება, იზრდება, სწავლობს, მუშაობს - სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების პროცესში. აბრაამ მასლოუს მიერ სოციალური მოთხოვნილებები, მის მოთხოვნილებების პირამიდაში, მესამე საფეხურზეა მოქცეული და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებად ითვლება.

ჩვენ, ადამიანებს არ შეგვიძლია მარტო ცხოვრება, პარადოქსი ის, რომ ძალიან ხშირად ვერ ან არ ვუვებთ ერთმანეთს, ვკამათობთ, ვჩხუბობთ, რასაც ძალიან ბევრი ნეგატიური შედეგი მოყვება, არადა ეს ხომ დროისა და ენერჯის აშკარა უაზრო, ზედმეტი ფლანგვაა, ამასთან ძალიან არასასიამოვნოც.

ქვემოთ მოყვანილია ჩიკაგოს ბიზნესსკოლის (University of Chicago Booth School of Business) პროფესორის ნიკოლას ეპლის წიგნიდან ციტატა: „ეს უნარი ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტს, რომელიც აგებულია თანამშრომლობაზე. ზუსტად ამ მიზეზით ადამიანებს, რომელთაც აქვთ ამაღლებული სოციალური მგრძობელობა, უფრო ძლიერი მეგობრული კავშირები და უფრო მყარი ქორწინებები გააჩნიათ, ზოგადად ისინი ცხოვრობენ უფრო ბედნიერად. ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ გრძობა, რომელიც აძლევს მათ უნარს იცოდნენ - იგებენ თუ არა მის ინსტრუქციებს ხელქვეითები, აღწევენ უფრო მეტ წარმატებას. მენეჯერები, რომლებიც "იჭერენ" მისი თანამშრომლების სურვილებსა და საჭიროებებს, არიან უნარიანი მოტივირება გაუკეთონ პერსონალს. ვაჭრები, რომელთაც აქვთ უნარი გაიგონ კლიენტების სურვილები, დებენ უფრო მეტ ხელშეკრულებას. უმეტესობა ჩვენგანი გაურბის მუშტიკრივს და არ სურს გამოიყურებოდეს როგორც უკანასკნელი იდიოტი, რადგანაც ჩვენ გვაქვს გააზრებული წარმოდგენა სხვა ადამიანების შეგრძნებების შესახებ, და ჩვენ მათი დახმარებით საკმაოდ წარმატებულად ვაგვარებთ საქმეებს. უნარი, გაუგო სხვა ადამიანებს, გვაძლევს საშუალებას ვიაროთ წინ ცხოვრებაში“. [5, გვ. 8]

არსებობს რიგი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ვუვებთ ადამიანები ერთმანეთს. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ადამიანებს ახასიათებთ გადამეტებული თვითდაჯერებულობა სხვა ადამიანების აზრების გაგებასთან დაკავშირებით, ანუ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძალიან კარგად გვესმის სხვა ადამიანის სურვილები და მიზეზები, თუმცა, რეალურად ეს ასე არ არის. არაერთხელ გვქონია შემთხვევა, როცა ადამიანის სერიოზული სახე მიგვიღია არამეგობრულ ტონად, ან სხვა ადამიანისთვის ნათქვამი ხუმრობა მას ვერ აღუქვია სწორად და მიუღია სანწყნად. ამ ყველაფრის მიზეზი იყოს ის, რომ ჩვენ გვკონია „ძალიან კარგად და ზუსტად“ გვესმის სხვა ადამიანების აზრები.

ადამიანი ემოციური არსებაა, ეყრდნობა საკუთარ აზროვნებას, რომელიც მისი დაგროვილი გამოცდილებისა და ინფორმაციული ბაზის შესაბამისად იძლევა დასკვნებს ამა თუ იმ ადამიანზე, რაც ხშირად არ არის სწორი.

ადამიანებს ხშირად ჰგონიათ რომ ძალიან კარგად ესმით სხვა ადამიანების. სინამდვილეში კი რა ხდება? - ხშირად ცოლ - ქმარს შორისაც, რომლებიც ერთმანეთს როგორც წესი საკმაოდ კარგად იცნობენ, არის გაუგებრობები - თითქმის ნებისმიერ მეუღლეს უფიქრია - რატომ არ ესმის რას ვამბობ? რატომ ჰგონია რომ „რალაც“ არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი? - ყოველივე ზემოთ თქმული მოგვიწოდებს თითოეულ ჩვენგანს უფრო ღრმა დაფიქრებისკენ, სანამ გამოვიტანთ დასკვნას სხვა ადამიანის აზრების შესახებ.

გადამეტებული თვითდაჯერებულობის პრობლემას ვაწყდებით კომპანიებშიც. ძალიან ხშირია, მენეჯმენტის მხრიდან თანამშრომელთა სურვილების არ გაგება, ამასთან, მმართველს მიაჩნია, რომ ძალიან კარგად ხვდება რა სურს თანამშრომლებს და რისკენ მიილტვიან, თუმცა, არც თუ იშვიათად ეს შეცდომაა. თვალის რომ გადავაგლოთ ჩვენს პირად ცხოვრებასა და ნაცნობების კომენტარებს მენეჯმენტზე, ვისთანაც მათ აქვთ ურთიერთობა, ამაში დავრწუნდებით. ეს კი, ცხადია, პერსონალის არასწორი მართვაა, რაც სამუშაო პირობებს აუარესებს მრავალი ნეგატიური შედეგით.

რეალურად, სიტუაცია რომ გავანალიზოთ, მდგომარეობა შემდეგნაირია: ჩვენ შეგვიძლია სხვა ადამიანის აზრის გაგება, მაგრამ არა ისე როგორც გვგონია და რომ მივხვდეთ სხვა ადამიანის აზრს, სრულყოფილად მაინც არ ვიციტ რას ფიქრობს ის. ასე, მაგალითად, თუ გამოცდიდან გამოსული გოგონა ტირის, ვხვდებით, რომ ის ჩაიჭრა გამოცდაზე, მაგრამ რეალურად რას ფიქრობს და რა აზრები უტრიალებს თავში, არ ვიციტ.

საკუთარი თავის შეცნობა არის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი სხვა ადამიანების აზრების გაგებისთვის. ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ „რალაცას“ არასდროს არ გააკეთებდა, მაშინ როდესაც კონკრეტულ სიტუაციაში სხვანაირად მოიქცა, ანუ რეალურად, ადამიანები არ იცნობენ კარგად საკუთარ თავს. ასე, მაგალითად, საინტერესოა გავიხსენოთ სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის - ფილიპ ზიმბარდოს 1971 წელს ჩატარებული სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის შედეგი, რომლის შესაბამისადაც ზედამხედველების სტატუსის მქონე სტუდენტებს გაუჩნდათ სადისტური მიდრეკილებები საკუთარი მოვალეობის შესრულებისას.


ეს საკითხი - საკუთარი თავის არცოდნა, მნიშვნელოვანია იმდენად რამდენად, ჩვენ გვინტერესებს სხვა ადამიანების აზრები, რათა დავუკავშიროთ ის მათ ქცევას და ვიმოქმედოთ ამის შესაბამისად. ამ დროს სხვა ადამიანების აზრები და ქცევა რეალურად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან სხვდასხვა სიტუაციაში და გარემოებაში. მოცემულ მსჯელობას საკმაოდ კარგად ეხმიანება გოეთეს სიტყვები: „საერთოდ კი ადამიანი ბნელი არსება

გახლავთ, არ იცის, საიდან მოდის, საით მიდის, ცოტა რამ გაეგება სამყაროსი და ყველაზე ნაკლებად საკუთარი თავისა“[2, გვ.110].

გადანწყვეტილება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, ხშირად საკმაოდ ზედაპირულია და რეალურად რომ დავფიქრდეთ, შეიძლება მნიშვნელოვნად გავგიჭირდეს იმის ახსნა, თუ რა იყო ამის ნამდვილი მიზეზი.

იმისათვის, რომ გავერკვეთ რამდენად შეზღუდულია საკუთარი თავის შეცნობის პროცესი, მოვიყვან ტვინის ერთი ფუნქციის - მხედველობის ანალიზს.

თვალი ხედავს მხედველობით ობიექტს, აქცევს მას ნერვულ სიგნალად. ნერვული სიგნალი გადის ტვინში და პროცესის ბოლოს - პროექცია ხდება მისი გონებაში ამოტრიალებული ფორმით ტვინის უკანა ნაწილზე, რომელიც პასუხს აგებს ტვინის მიერ პროცესის სწორ აღქმამზე. ის, რომ ჩვენ რაღაცას ვხედავთ არ ნიშნავს იმას რომ მას სწორედ აღვიქვამთ. ერთი და იმავე სურათში შეიძლება ორმა ადამიანმა სხვადასხვა რამ დაინახოს და სხვადასხვანაირად აღიქვას. ასე, მაგალითად, ადამიანების ნაწილი ქვემოთ მოყვანილ სურათზე ხედავენ თასს, ნაწილი კი - ორი ადამიანის სახეს.



ნახ.1. თასი თუ ორი სახე

საინტერესოა ჩვეულებრივ ადამიანების თვალსაზრისი: “მართალი ვარ, თქვენ კი სუბიექტური“. მოცემული მოვლენის ასახსნელად მოვიყვან შემდეგ მაგალითს.

თუ თქვენ გაქვთ კარგი მხედველობა, მაშინ გარემოს თვალიერებისას, ავტომატურად ხედავთ ძალიან ფართო სპექტრს ფერებისას - ცისფერ ცას, თეთრ ღრუბლებს, მუქი მწვანე ფერის ბალახს, თეთრი ფერის ხის ტოტებს, ჩაბნელებულ ლიფტს და სხვ. ფერის თითოეული თქვენი აღქმა, რომელსაც ტვინი იღებს, ხდება თქვენი ცნობიერისგან გაუაზრებლად. ფერი - ეს არ არის ობიექტურობა, ის ჩნდება ჩვენს ცნობიერებაში, ტვინის მიერ ფერადი ტალღების ინტერპრეტაციის პროცესში. მაგრამ ეს ფერი არსებობს თქვენს გონებაში. თქვენ დარწმუნებული ხართ - რომ თქვენს წინაშე დადებული ფოთოლი მწვანეა, მაგრამ იმას არ ფიქრობთ, რომ ის მწვანედ გეჩვენებათ ნეირონების საკმაოდ რთული და არაჩვეულებრივი მუშაობის შედეგად. ეს არის ის, რასაც ფსიქოლოგები არქემევენ გულუბრყვილო რეალიზმს, ანუ იმის ინტუიციურ შეგრძნება იმის შესახებ, რომ თქვენ ხედავთ გარე სამყაროს ისეთს როგორიც არის და არა ისეთს - როგორიც თქვენ წარმოგიდგენიათ.

საინტერესოა განვიხილოთ სტერეოტიპების საკითხი ემპათიის ხელოვნებასთან მიმართებით. სტერეოტიპი, ეს არის ადამიანების ან იდეების

ძალზე გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია [16].

ჩვენ ყველანი დავიბადეთ, გავიზარდეთ და ვცხოვრობთ გარკვეულ წრეში, სადაც დამკვიდრებულია გარკვეული წესები და დამოკიდებულებები სხვდასხვა საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, როგორ უნდა იქცეოდეს დაქვემდებარებული უფროსთან, როგორ უნდა იქცეოდნენ ქალები როგორც სამუშაოზე, ასევე სხვა ადგილებში, როგორი იმიჯი უნდა ჰქონდეს განყოფილების უფროსს და სხვ.

საკმაოდ ხშირად სტერეოტიპული წარმოდგენების გამო ვუშვებთ შეცდომას სხვა ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფების ქცევის ანალიზისას. სტერეოტიპული აზროვნების გამო შეცდომის დაშვების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იდეა ქალისა და კაცის განსხვავებულობის შესახებ.

ა.დიკმანის, ა. იგლისა და პ.კულესის მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნდა ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის ურნალში 2002 წელს, მოყვანილია საკმაოდ საინტერესო მონაცემები [8].

კვლევის პრცესში მონაწილეებს თხოვეს გამოეხატათ დამოკიდებულება ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: უნდა იყოს თუ არა ანაზღაურებადი შვებულება იმ წყვილებისთვის, რომლებიც ახლახან გახდნენ მშობლები, ასევე, კითხვები ეხებოდა სახლემწიფო რეგულრების საკითხებს და ხსვა მრავალ თემას. მოხალისეებმა განაცხადეს ვარაუდი იმის შესახებ, თუ ქალების და კაცების რა ნაწილი როგორ პასუხს გასცემდა მოცემულ შეკითხვებზე.

თუ მონაწილეთა სტერეოტიპები ქალისა და კაცის აზროვნების შესახებ იქნებოდა სრულყოფილი, მაშინ კორელაცია ვარაუდებსა და რეალურად გაცემულ პასუხებს შორის იქნებოდა ერთი, ხოლო თუ მონაწილეთა სტერეოტიპები ქალისა და კაცის აზროვნების შესახებ იქნებოდა სრულიად არასწორი, მაშინ კორელაციის კოეფიციენტი იქნებოდა 0. საბოლოო ანგარიშით, კვლევამ აჩვენა, რომ კორელაციის კოეფიციენტი მამაკაცებისთვის იყო 0.5, ხოლო ქალებისთვის კი – 0.58.

როგორც აღმოჩნდა, მამაკაცებისა და ქალებისთვის დამახსიათებელია გასცენ პასუხები, რომლებიც განპირობებულია სქესთა როლებით. ასე, მაგალითად, პასუხებში მამაკაცები უფრო მეტად ცხოვრებასთან მერიტოკრატიული დამოკიდებულების, ხოლო ქალები – თანამშრომლობაზე ორიენტაციისა და ეგალიტარიზმის დემონსტრირებას ახდენენ. სწორედ ამ სიზუსტეში იმალება სისტემური შეცდომა. მაგალითად, ქალები მიდრეკილნი არიან მამაკაცების ჩათვალონ უფრო მეტად სექსისტებად, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან.

ამგვარი წინააღმდეგობრივი სურათი, ტიპური შედეგია. სტერეოტიპები იშვიათად არიან სრულად სამართლიანნი ან სრულად არასწორნი. სტე-

რევოტიპების არსში დევს მრავალი რაკურსი, რომლის გათვალისწინებაც საჭიროა. სტერეოტიპებზე მსჯელობისას ძალაუწიებურად ჩნდება კითხვა: რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელ აღმიანს, რომლსაც აქვს საღი აზრი და შეუძლია ანალიზი, რა აიძულებს რომ შეცდომა დაუშვას სხვა ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის შეფასებისას? - ამის მიზეზია ის, რომ წარმოდგენა, რომელიც ადამიანს აქვს შექმნილი - ეყრდნობა არასრულ ინფორმაციას და საჭიროებს დამატებით ინფორმაციის მოძიებას.

იმისათვის რომ მივხვდეთ, სად არ მუშაობენ სწორად და კარგად ჩვენი სტერეოტიპები, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყველაზე დიდი პრობლემა იქნება იქ, სადაც გვაქვს ყველაზე მცირე ინფორმაცია, ამასთან, შესაძლოა - ცრუ და არახარისხიანიც.

სტერეოტიპებთან არის დაკავშირებული ჩვენი დამოკიდებულებები ადამიანების როლებთან. ასე მაგალითად, თუ ვხედავთ ქალს თეთრ ფატაში, ვიცით, რომ ის ქორწინდება, ან თუ ვხედავთ, რომ ადამიანს მდიდრულად აცვია და კარგ მანქანაში ზის, მდიდარია (სხვათაშორისი ძალიან ხშირად სწროედ ამ სტერეოტიპული წარმოდგენით საკმაოდ კარგად სარგებლობენ თაღლითები).

საკმაოდ საინტერესოა FREEDOM HOUSE-ს კვლევები, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მასშტაბით. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია ქვეყნებში მედიისა და პოლიტიკური თავისუფლების გაზომვა. მათი მეთოდოლოგიით, მედიის თავისუფლების გაზომვა ხდება ეკონომიკური გარემოს, პოლიტიკური გარემოსა და საკანონმდებლო გარემოს ანალიზის შესაბამისად.

ასე, მაგალითად, საქართველოში, 2014 წლის მონაცემებით, პრესის თავისუფლების ინდექსი უტოლდება 47-ს (100 არის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი), რუსეთში - 81-ს, აშშ-ში კი 21 -ს. როგორც ჩანს, მეტ-ნაკლები ზომით, სამივე ქვეყანაში ხდება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, იმ შემთხვევაში, როცა ის თანხმობაში არ მოდის რომელიმე „პოლიტიკური პარტიის“ აზრებთან. ცხოვრებაში, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე პირად ურთიერთობებში, ერთი ადამიანი ზღუდავს სხვა ადამიანის აზრის თავისუფლებას უბრალოდ იმის გამო, რომ ის თანხმობაში არაა მის აზრთან.

სხვა ადამიანების ემოციებისა და აზრების გაგების მეთოდები

სხვა ადამიანების აზრების წაკითხვისა და შეგრძნებების გაგებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მათ მიმართ დამოკიდებულების საკითხი. ასე, მაგალითად, ქუჩაში სიარულისას ჩვენ ხშირად ვხვდებით მათხოვრებს ან ძირს დაფარდნილ ლოთებს. შეიძლება მათ არ დავეხმაროთ, მაგრამ

საკუთარ თავს თუ წარმოვიდგენთ მათ მდგომარეობაში, მაშინ უკვე სხვანაირად მოვიქცევით - თითოეული დაუხმარებლობა ძალიან მწვავედ აისახება ფსიქიკაზე და გულგრილად ვერ ავუვლით გვერდს. მოცემული დასკვნა ძალიან მნიშვნელოვანია და მეტყველებს იმაზე, რომ სხვა ადამიანების აზრების ნაკითხვისა და ემოციების გაგებისთვის ხშირად საკმარისია კეთილი ნების გამოჩენა. სწორედ ამ კეთილი ნების არ არსებობა არის მიზეზი ადამიანებს შორის მრავალი გაუგებრობის და სწორედ ის ადამიანები ტოვებენ კეთილ მოგონებას ვინც ჩააყენა საკუთარი თავი სხვა ადამიანების მდგომარეობაში და გაუგო მათ.

მრავალი კომპანიის მენეჯმენტი, უბრალოდ კეთილი ნების გამოჩენით, გაიგოს თავისი თანამშრომლების სატკივარი და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, გაზრდის მათ მოტივაციას, პროდუქტიულობას და გააუმჯობესებს მათ სამუშაო პირობებს კომპანიაში.

ასე, მაგალითად, ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორის ლიზა ბერკმანისა მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიის თანამშრომელთა მართვის პოლიტიკა აისახება მათ ჯანმრთელობაზე. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ თანამშრომლებს, რომელთაც მენეჯერები ნაკლებად უგებდნენ და ხისტ პოლიტიკას ატარებდნენ - ურღვევდნენ ბალანსს დროის განაწილებაში - სამსახური/სახლი, ასევე ეძინათ ღლეჯ ღამის განმავლობაში უფრო ნაკლებ ხანს (29 წუთი), და იყვნენ გულ ჯისხლძარღვთა დაავადების ორჯერ უფრო მაღალი რისკფაქტორის ქვეშ [15].

ადამიანის გონებას აქვს იმგვარი უნარი, რაც არ აქვს სხვა არც ერთ ცოცხალ არსებას, ესაა სხვა ადამიანების აზრების გაგების უნარი. თუმცა, სწორედ ამ თვისების გამო ხშირად უშვებენ ადამიანები შეცდომებს სხვა ადამიანების ემოციებისა და აზრების გაგების პროცესში, კერძოდ კი, არასწორი აღქმის გამო ზოგჯერ ექმნებათ წარმოდგენა, რომ ესა თუ ის ადამიანი სულელია (ბევრჯერ გვქონია ყველას შემთხვევა, რომ გვითქვამს ადამიანზე რა სულელია ან რა უჭკუა), თუმცა როცა ასე ვფიქრობთ, საჭირო გვახსოვდეს წ ნებისმიერ ადამიანს აქვს აზროვნების უნარი, უბრალოდ, ჩვენ არ გვესმის მათი კარგად, ან კიდევ - არ გვინდა ან გვავიწყდება ხანდახან სხვა ადამიანების აზრებში გარკვევისკენ საკუთარი აზროვნების მომართვა.

ჩვენ ყველას გონება გვაძლევს საშუალებას ნავიკითხოთ სხვა ადამიანის აზრები. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი ეგოცენტრულია. ადამიანის ფიქრების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია საკუთარ თავზე ფიქრებთან - ამოსავალი წერტილი, ცენტრი არის “მე”. სწორედ ამ საკუთარი “მეობის” განცდის გამო ხშირად შეიძლება ვერ გავიგოთ სხვა ადამიანის ფიქრები და აზრები, ჩვენთვის უპირატესია ჩვენი თავიდან გამომდინარე. ასე, მაგალითად, ბევრი ადამიანი მხოლოდ იმისათვის, რომ გახდეს ცნობილი, ძალიან ბევრ სისაძაგლეს ამბობს და აკეთებს, ამ დროს მათ ამოძრავებთ ეგოიზმი.

ეგოცენტრიზმს მიეყვართ ორი სახის შეცდომასთან: ერთია „ყურადღების მიქცევის საკითხი“, ანუ ჩვენ ხშირად საკუთარ თავზე ზრუნვითა და ფიქრით, იმდენად ვერთობით, რომ გვაზიზღება სხვა ადამიანებისთვის ყურადღების დათმობა, და მეორეა - ინტერპრეტაციის პრობლემა. ერთი და იგივე მოვლენას, სხვადასხვა ადამიანმა შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაცია მისცეს, რასაც ხშირად ძალიან დიდი გაუგებრობები მოყვება ხოლმე.

2000 წელს, მეცნიერმა ერიკ კანდელმა მიიღო ნობელის პრემია იმის გამო, რომ მან დაამტკიცა - როდესაც ადამიანი რალაცას სწავლობს, ნეირონები და ნეირონებს შორის კავშირები ტვინში იცვლება. მან დემონსტრირება გააკეთა იმის, რომ უმნიშვნელო ინფორმაციაც კი იწვევს ნეირონებს შორის კავშირის და სტრუქტურის ცვლილებას. ასევე დამტკიცებულია ისიც, რომ ნეირონული კავშირების სტრუქტურა დამოკიდებულია კულტურასა და იმ წრეზე სადაც იზრდებოდა ადამიანი. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ერთი და იგივე მოვლენას ორი სხვადასხვა ადამიანი იგებს/აღიქვამს ერთმანეთისგან განსხვავებულად [6].

ადამიანების აზრების გაგების უმნიშვნელოვანესი მეთოდია დაკვირვება სხვა ადამიანის ქცევებზე, ლოგიკური ანალიზით მათი ქცევების, შესაძლო აზრების, ხედვების, დამოკიდებულებების გაგება. ეს შესანიშნავი სტრატეგიაა, მაგრამ ნებისმერი სხვა სტრატეგიის მსგავსად, მაშინაც შეიძლება შეცდომაში შეგიყვანოთ. სხვა ადამიანების აზრების გაგების პრობლემაა ის, რომ ამა თუ იმ ადამიანის ქცევები ნათელს ხდის სხვა ადამიანების ქცევების მიზეზს, ამასთან აუცილებელია ადამიანის ქცევას ვუყუროთ სწორი რაკურსიდან და გვახსოვდეს - შეიძლება ეს ადამიანი იქცეოდეს სპეციალურად „იმგვარად“, რომ მოგვაჩვენოს თავი და შეგვიქმნას გარკვეული წარმოდგენა თავის თავზე.

მოკლედ, სრული კონტექსტით თუ არ განიხილავ ადამიანს, თანამშრომელს, დიდია ალბათობა დაუშვა შეცდომა, ამიტომ საჭიროა გონების მომართვა, მისი პირობების გააზრება, მის ქცევებზე დაკვირვება, მისი არსის გაანალიზება.

სხვა ადამიანის აზრების წაკითხვის პრობლემა ხშირად წარმოჩნდება იმის გამო, რომ სრულად ვერ ხდება გათვითცნობიერება იმ გარემოსი, სადაც ეს ადამიანი არსებობს, ცხოვრობს. ამასთან, მნიშვნელოვანია ფსიქოტიპიც, როგორი ადამიანია, არის თუ არა ძლიერი ნებისყოფის, როგორი ტემპერამენტი აქვს, როგორია ის -ფლეგმატიკი, ქოლერიკი, მელანქოლიკი თუ სანგვინიკი. რადგან, სხვადასხვა ტიპის ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ერთი და იმავე მოვლენას რომელსაც ნათლად მოცემული სურათი წარმოაჩენს.

სურათზე მოცემულია სიტუაცია, როცა ადამიანი ზის სკამზე და გვერდით უდევს ქედი. შემდეგ მოდის მეორე ადამიანი და შემთხვევით აჯდება ქედს. საპასუხო რეაქცია კი კაცის, ვისი ქედიც დაჯდომით გააფუჭეს განსხვავებულია ოთხივე შემთხვევაში, მისი ტიპისა და შესაბამისად: პირველი ტიპის ადამიანი

ჩხუბობს, მეორე ტიპის საერთოდ არ განიცდის და უბრალოდ იხურავს თავზე “გაჭყლეტილ” ქუდს, მესამე ტიპის ძალიან განიცდის და დამწუხრებულია, მეოთხე ტიპის კი იუმორით უყურებს ამ ფაქტს და იცინის.

სხვა ადამიანის მდგომარეობაში შესვლა პრაქტიკულად თითქმის ყოველთვის გვაძლევს საშუალებას გადავწყვიტოთ სოციალური კონფლიქტები

- იყოს ეს ბავშვების კამათი, თუ იარაღით შეტაკება.



ნახ. 2. განსხვავებული ინტერპრეტაცია

ძალიან მნიშვნელოვანია მენეტერებმა ისწავლონ თავიანთი თანამშრომლების მდგომარეობაში შესვლა და „დანახვა მათი თვალით“, ანუ როგორც საქვეყნოდ ცნობილი წესი ამბობს - „მოექცეოთ სხვას ისე, როგორც თქვენ გინდათ რომ მოგექცნენ“. ჩვენი აზრით, ნებისმიერმა მენეტერმა კარგად უნდა გაიაზროს თუ როგორი ადამიანია თანამშრომელი, რა ფასეულობების მატარებელია, რა ამოძრავებს მას და როგორ შეიძლება მისი მოტივაცია. ამასთან, ქართველი მენეტერები ხშირად ამულავენებენ შემდეგნაირ დამოკიდებულებას

(განსაკუთრებით დაბალ პოზიციაზე მყოფი თანამშრომლების მიმართ): “არ მოსწონს ჩვენთან, წავიდეს, ახალ კადრს მოვიყვანოთ, რომელიც ამას აიტანს, პრობითი ბაზარი ისედაც გაჯერებულია უმუშევრებით“. ამგვარი მიდგომა პრინციპულად არასწორია, რადგან გრძელვადიან პერიოდში კომპანია “საუკეთესო” შედეგების ჩვენებას (თუ საერთოდ დარჩა ბაზარზე) ვერ მოახერხებს. საქმის უშუალო შემსრულებლები დაბალი დონის თანამშრომლებია და მათ ყოველთვის აქვთ საშუალება გააჭანჭლონ ახალი იდეის რეალიზაცია, ხელი შეუშალონ სიახლეებს, არ გამოიჩინონ ინიციატივა და სხვა მრავალი კომპანიისთვის ძალიან საზიანო ქმედება განახორციელონ. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ კადრების დენადობა, რაც ქართულ რეალობაში ძალიან ხშირია, იწვევს მნიშვნელოვან დროით დანახარჯებს. ასე მაგალითად, როდესაც მოდის ახალი კადრი, საჭიროა დრო მისი სწავლების, გამოცდილების მიღების, საშუალო გარემოში ადაპტაციისთვის და სხვ., რაც ერთჯერატი ყველაზე ძვირფასი და საფრთხილო რესურსია კომპანიისთვის.

სხვა ადამიანების აზრების გაგების მარტივი გზაა: მათი მოსმენა. ასევე, მნიშვნელოვანია სხეულის ენის ცოდნა და როდესაც ვერბალური და არავერბალური ენა ერთმანეთთან თანხვედრაშია, მაშინ ამბობს ადამიანი

სიმართლეს. დარვინი აზრით „გაბრაზებულ ან განრისხებულ ადამიანს შეუძლია სხეულის კონტროლი, მაგრამ სახის კუნთები, რაც ნაკლებად ექვემდებარება გონებას, გასცემს ძალიან მცირე ემოციასაც კი“ - ანუ სხეულის ენა ჩურჩულებს, საჭიროა ამის კარგად დაკვირვება და გააზრება [5].

* * *

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხვა ადამიანების აზრები და ემოციები, არ არის გამწვანებული ნივინი, თუმცა, არ არის შეუძლებელი მისი ნაკითხვა. ინსტრუმენტები, რომელიც არის ჩვენ ხელთ - ჩვენი გონება, სტერეოტიპული წარმოდგენები და დაკვირვება სხვა ადამიანებზე - ეს მხოლოდ ევრისტიკული გამარტივებაა, რომელიც გვაძლევს საშუალებას გარკვეული დოზით შევალწინოთ სხვა ადამიანების გონებაში. შეცდომები, რომლებამდეც მივყავართ ამ გამარტივებებს, არაა შემთხვევითი: თითოეული მათგანი ქმნის წინასწარ განსაზღვრად შეცდომებს, რომელიც გვიშლის ხელს კარგად გავეგოთ სხვებს. ევოლუციური ზრდის სხვა ადამიანების აზრების თანხვედრის აღბათობას საკუთართან. სტერეოტიპები ასაშუალოებს სხვა ადამიანების ქცევებს. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სხვა ადამიანების გონება, ბევრად რთულია ვიდრე შეიძლება მოეჩვენოს ჩვენს მეექვსე გრძნობას.

ასევე მნიშვნელოვანია გვაითვალისწინოთ ის, რომ დიდად იზრდება სხვა ადამიანების ემოციებისა და აზრების გაგების აღბათობა, თუ უბრალოდ გამოვიჩინოთ ამის კეთილ ნებას – მოვესმინოთ რას ამბობს, დავაკვირდებით მათ ვერბალურ და არა ვერბალურ ენას და ჩავაყენებთ საკუთარ თავს მათ მდგომარეობაში.

თანაც, უნდა გვახსოვდეს, რომ „ადამიანი ცოცხალი წინააღმდეგობრიობაა და ამ ხარისხში ცოცხალი გამოცანა“ – მ. ბულგაკოვი [1, გვ.3]

ლიტერატურა:

1. გ. კალანდაძე, სიბრძნის ენციკლოპედია, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, ნივინი 1, 2013, 199.
2. გ. კალანდაძე, სიბრძნის ენციკლოპედია, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, ნივინი 9, 2014, 207.
3. პაიჭაძე ნ. პროფესიული კომპეტენტურობა როგორც საჯარო მომსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი, ურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014, №3, გვ 35-48.
4. პაიჭაძე ნ. ზოგიერთი მოსაზრება პერსონალის მართვის სამსახურის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე, ურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №2, გვ 27-42.
5. Epley, N. “ Mindwise: Why We Misunderstand What Others Think, Believe, Feel, and Want“ , New York City, Knopf , 2014, 272.
6. Kandel E. “In Search of Memory: The Emergence of a New Science of Mind”, W. W. Norton & Company, New York City, 2007, 528.

7. Kruger, J., and J. Burrus, Egocentrism and focalism in unrealistic optimism (and pessimism). *Journal of Experimental Social Psychology* , 2004, 40: (332–340).
8. P. Kulesa, Diekman, A., and A. Eagly, Accuracy and bias in stereotypes about the social and political attitudes of women and men. *Journal of Experimental Social Psychology*, 2002, 38: (268–282).
9. Maslow, A. *Motivation and personality*. New York, NY: Harper. 1954. 411.
10. Pronin, E., and M. B. Kugler, People believe they have more free will than others. *Proceedings of the National Academy of Sciences* ,2010; 107: (22469–22474).
11. Ross, L., and A. Ward. *Naive realism: Implications for social conflict and misunderstanding*, Stanford Center on Conflict and Negotiation, Stanford University, 1996, (103–135).
12. Stepper, S., and F. Strack, Proprioceptive determinants of emotional and nonemotional feelings. *Journal of Personality and Social Psychology*, 1993, .64: (211–220).
13. Welsh, J. Why cars got angry. *Wall Street Journal*, pp. W1, W10. March 10, 2006.
14. <https://freedomhouse.org/report/freedom-net/2014/methodology>
15. <http://www.hsph.harvard.edu/news/features/work-family-policies-health-html/>
16. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4662>

Existing Problems and Their Solutions in Feeling Empathy

G. Morchiladze

Doctoral student,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

giorgi_mortshiladze@yahoo.com

Understanding other people's thoughts and emotions of any person is very important - in business and in personal life. But often people do not understand each other - and this is the reason of controversy and other negative consequences. The aim of this article is two things: first - to highlight the major mistakes that prevent us from understanding other people's thoughts and emotions, and second - description of methods and instruments, which will help in the process of Empathy. To achieve this goal, we studied many monographs and scientific articles from the field of psychology as well as business administration. The survey revealed that, the main mistakes are the following: The absence of desire, exaggerate self-confidence (as if we understand very well other people's thoughts), self-knowledge problem, egocentrism problem, the problem of different interpretations. And to understand other people's thoughts and emotions it will be helpful following methods and tools: define the attitude to the other person, behavior observation, verbal and non-verbal language understanding, value of individual approach and etc.

The research has big practical value for any human - in both – in business and personal life because to succeed in life is impossible without a strong social relationships.

Key words: Personell, management, motivation, working conditions.

JEL Codes: M 120, M1, M51, M54

ფინანსური ეკონომიკა MINANCIEL ECONOMICS

ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში

ციური თქრუაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ქეთევან ლუღუშაური

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

სტატიაში განალიზებულია ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. წარმოჩენილია ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების მნიშვნელობა. ყურადღება გამახვილებულია კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემაზე. დასაბუთებულია ფინანსური აქტივების შემოსავლიანობის და კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელის (CAPM-capital asset pricing model) გამოყენების აუცილებლობა საქართველოს პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსების კონტროლის ფუნქცია; ფინანსური აქტივები; ფინანსური კონტროლინგი; პორტფელის არჩევა.

საქართველოში გეგმიანი ეკონომიკის პირობებში ფინანსების ფუნქციების თეორიულ და მეთოდურ-ორგანიზაციულ საკითხებს იკვლევდნენ მეცნიერები ა.გოკიელი, ვ.ჩანტლაძე და სხვები [1, გვ. 214]. ფინანსების ფუნქციების კვლევას მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები მეცნიერებმა: დ.ალახვერდიანმა, ა.ალექსანდროვმა, ა.ბირმანმა, ვ.დიჩენკომ, ე.ვოზნესენსკიმ, ი.კირილოვმა, ნ.ლუბიმოვმა, ი.ზლობინმა, ფ.მასარიგინმა, პ.ჯეფტიაკმა, აგრეთვე, გ. გებხარტდმა და სხვ. გარკვეული თვალსაზრისით, მათ განსხვავებული აზრი ჰქონდათ ფინანსების

ფუნქციებზე. კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემის შესახებ სრულყოფილ განხილვებზე, საინტერესო კვლევას გვთავაზობს პროფესორი ზურაბ ლიპარტია სახელმძღვანელოში, სახელწოდებით: „კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგია“ [2, გვ. 291]. მისაღებია მისი შეხედულება, რომ ფინანსური კონტროლინგი უნდა ატარებდეს სტრატეგიულ ხასიათს, ანუ მან უნდა ასახოს კორპორაციის ფინანსური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. ეს განსაზღვრავს კონტროლინგის მიერ განხილული ფინანსური ოპერაციების მიზანმიმართულ შეზღუდვას. ყველა მიმდინარე ფინანსურ ოპერაციაზე გაფართოებულ კონტროლს აზრი არა აქვს, ვინაიდან ეს მოახდენს ფინანსური მენეჯერების ყურადღების ჩამოშორებას ფინანსური საქმიანობის მართვის უფრო მნიშვნელოვანი მიზნებიდან. მიგვაჩნია, რომ გარი მარკოვიცის 1952 წლის გამოქვეყნებული შრომა ითვლება თანამედროვე პორტფელური ინვესტიციების საფუძვლად. მხარდასაჭერია მარკოვიცის თეორია, რომლის მიხედვით, ეფექტური პორტფელის ნაკრებისათვის აუცილებელია განისაზღვროს მოსალოდნელი მომგებიანობა, თითოეული აქტივის დისპერსია და აქტივებს შორის კოვარიაცია. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს საკვლევი თემის აქტუალურობას.

ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების მნიშვნელობა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და ყველა დონის აღმასრულებელი ორგანოების, აგრეთვე, სპეციალურად შექმნილი დაწესებულებების მიერ ყველა ეკონომიკური სუბიექტის ფინანსურ საქმიანობაზე სპეციალური მეთოდების გამოყენებით განხორციელებული კონტროლი. იგი მოიცავს როგორც ფულადი სახსრების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების პროცესების, ასევე, სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების ეკონომიკური ეფექტიანობისა და საწარმოო ხარჯების მიზანშეწონილ კონტროლს. ფინანსური კონტროლი ღირებულების მოძრაობის კონტროლია. ამიტომ, სხვა კონტროლისგან განსხვავებით, იგი მოიცავს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროს, ფულადი ფონდების მოძრაობის მთელ პროცესს. [3, გვ. 374-390; 4, გვ. 91-100; 5, გვ. 265-286].

ფინანსური კონტროლი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ფინანსების მართვის ერთ-ერთ დამამთავრებელ სტადიას, ხოლო მეორე მხრივ, იგი გვევლინება ფინანსების მართვის აუცილებელ პირობად. ფინანსური კონტროლი ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელების ფორმაა, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური კონტროლის დანიშნულებასა და შინაარსს.

შესაბამისად, ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება ფინანსური კონტროლის სრულყოფილებაზე და მოკიდებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივად გაჩნდა ფინანსების სფეროში საზღვარგარეთული გამოყვლილების ანალიზის და მისი საქართველოს პრაქტიკაში დანერგვის სურვილი.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მიზანია სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. ეს უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ყველა დონის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების შემუშავების, დამტკიცებისა და აღსრულების, აგრეთვე, სახელმწიფო სანარმოებისა და დაწესებულებების, კომერციული ბანკებისა და ფინანსური კორპორაციების ფინანსურ კონტროლში. სახელმწიფოს მხრიდან არასახელმწიფო სფეროს კონტროლი მოიცავს სახელმწიფოს წინაშე მათი მხოლოდ ფულადი ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, ეს არის გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების სფეროში კანონმდებლობის დაცვა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე გამოყოფილი სუბსიდიების ხარჯვის მიზანშეწონილობა; აგრეთვე, ფულადი სახსრების მოძრაობის, აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესების დაცვა.

სანარმოთა საქმიანობაზე ფინანსური კონტროლი მოიცავს შიგა კონტროლს, აგრეთვე, აქციონერებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ კონტროლს. კერძოდ, იგი მოიცავს: საკუთარი, ნასესხები და მოზიდული ფულადი სახსრების გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შემოწმებას; ფაქტობრივი ფინანსური შედეგების ანალიზსა და მის პროგნოზულ დონეებთან შედარებას; საინვესტიციო პროექტების შედეგების ფინანსურ შემოწმებას; ფინანსური ანგარიშების სისწორისა და უტყუარობის შემოწმებას; ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდობის კონტროლს.

ფინანსების საკონტროლო ფუნქციის წარმატებით განხორციელება დიდადაა დამოკიდებული მენეჯმენტის მიღწეულ ღონეზე.

ვინაიდან, ფირმის მენეჯმენტის ძირითადი ნაწილებია - დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი, ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელებაც ფინანსური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

სამენარმეო საქმიანობის კონტროლი იყოფა გარე და შიგა კონტროლად. გარე კონტროლს ახორციელებენ გარე აუდიტორები, შიგა კონტროლის ორგანიზაცია ხდება თვით ფირმის მიერ. სწორედ შიდა კონტროლია ფირმის მენეჯმენტის ნაწილი. მის ფუნქციებს ახორციელებენ მენეჯერები, მათი დაქვემდებარების შესაბამისად, აგრეთვე, შიგა აუდიტის ორგანოები. შიგა საფირმო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ფირმის საქმიანობაში უარყოფითი ტენდენციების და ნაკლოვანებების გამოვლენის ოპერატიული სისტემის შექმნა, მათი აღმოფხვრის ღონისძიებების მიღების მიზნით. შიგა საფირმო კონტროლი უკავშირდება გარე კონტროლს და ფირმის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, შიგა საფირმო ინსტრუქციების და წესების, გარე მაკონტროლებელი ორგანოების მოწერილობების დაცვის შემოწმებას მოიცავს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფირმის მენეჯმენტის შინაარსი კონკრეტულ გამოხატულებას მართვის სფეროს მუშაობაში პოულობს.

კვლევით დადგინდა, რომ თუმცა ქართული კომერციული ფირმების და კორპორაციების გარკვეულმა ნაწილმა დაძლია კრიზისული მდგომარეობა, მაგრამ ჯერ კიდევ, ფუნქციონირებს ისეთი ფირმები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში უშვებენ სერიოზულ დარღვევებს და აქვთ არადაამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა. იმ მიზეზებს შორის, რომელიც ხელს უწყობს პრობლემური ფირმების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, პირველ რიგში, შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ მარკეტინგის სამსახური, რასაც ადასტურებს ის, რომ მოგება-ზარალის უწყისში არ ფიგურირებს ფირმის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯების მუხლი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს ფირმები აღნიშნულ ხარჯებს არ ეწევიან.

კონტროლის აუცილებლობა ნებისმიერ ორგანიზაციაში მენეჯმენტის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და მისი საჭიროება და მნიშვნელობა ეჭვს აღარ იწვევს. საკმაოთა მხოლოდ კონტროლის არსის და მისი ჩატარების პროცესის დაგეგმვა. კონტროლის განხორციელება ორგანიზაციაში ყოველთვის მენეჯერის მთავარი თავსატეხია. ხშირად კონტროლი იძულებასთან ასოცირდება, რაც სწორი არ არის. ის არც მუშაკთა შემოქმედებით თავისუფლებას ზღუდავს. კონტროლი ობიექტური აუცილებლობაა. მისი მემკვიდრით შეუძლია მენეჯერს აკონტროლოს ორგანიზაციის საქმიანობის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობა და სამუშაოს დამთავრებისთანავე მიიღოს ინფორმაცია საქმიანობის შედეგების გამომწვევი მიზეზების შესახებ.

კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემა

კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემის შესახებ საინტერესო კვლევას გვთავაზობს პროფესორი ზურაბ ლიპარტია სახელმძღვანელოში - სახელწოდებით: „კორპორაციული ფინანსები“ [2, გვ. 291]. მისაღებია მისი შეხედულება, რომ კორპორაციული ფინანსების ძირითადი ამოცანაა ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა. ასევე, მნიშვნელოვანია ვიპოვოთ ოპტიმალური ბალანსი ბიზნესის შემოსავლიანობასა და ფინანსურ რისკებს შორის.

თანამედროვე პირობებში აღნიშნულ პრობლემას აქვს დინამიკური ასპექტი, ამასთან, კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგება ემყარება გარკვეულ პრინციპებს, კერძოდ: ფინანსური კონტროლინგის სისტემის წარმართვა კორპორაციის მიერ შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციაზე; ფინანსური კონტროლინგის მრავალფუნქციონალურობა; ფინანსური კონტროლინგის ორიენტირებულობა რაოდენობრივ სტანდარტებზე; ფინანსური კონტროლინგის მეთოდების შესაბამისობა ფინანსური ანალიზისა და ფინანსური დაგეგმვის მეთოდების სპეციფიკასთან; კონტროლინგის ოპე-

რაციების დროულობა; კონტროლინგის აგების მოქნილობა; კონტროლინგის აგების სიმარტივე; კონტროლინგის ეკონომიკურობა.

ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით ეს მოდელი გულისხმობს შემდეგ ძირითად ეტაპებს: კონტროლინგის ობიექტის განსაზღვრა; კონტროლინგის სახეებისა და სფეროების განსაზღვრა; კონტროლირებული მაჩვენებლების პრიორიტეტების სისტემის ფორმირება; კონტროლის რაოდენობრივი სტანდარტების სისტემის შემუშავება; ფინანსურ კონტროლინგში ჩართული მაჩვენებლების მონიტორინგის სისტემის აგება.

მისაღებია პროფესორ ზურაბ ლიპარტიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში ნაკლებად პოპულარულია შიგა კონტროლის ისეთი ელემენტები, როგორცაა რისკის მართვა და საინფორმაციო სისტემები. ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ მათი გამოყენება საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ამ მსჯელობისას იგულისხმება, რომ ორგანიზაციების შიგა კონტროლინგს, როგორც ოპერაციული მენეჯმენტის ინსტრუმენტს, საქართველოში მხოლოდ თითქმის ჩამოსათვლელი უცხოური ორგანიზაციები თუ იყენებენ. შედარებით პოზიტიური ძვრები იგრძნობა შიგა აუდიტის ფუნქციისა და საქმიანობის პრაქტიკის მხრივ, რადგან ეს ფუნქცია საქართველოს თითქმის ყველა კომერციულ ბანკში არსებობს და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს. ამ სფეროში ეროვნულმა ბანკის ხელმძღვანელობამ 2003 წლის ბოლოს კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს გასაცნობად შესთავაზა ეუთოს პრინციპები, როგორც მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის შიგა კონტროლის სისტემის შესაფასებლად ყველაზე ძირითადი მახასიათებელი მისი ადეკვატურობაა, ანუ იმის ცოდნა, თუ რამდენად სრულად და ზუსტად უზრუნველყოფს შიგა კონტროლი ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციას, მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით.

ბიზნესის შიგა კონტროლისა და რისკის უკეთ შესწავლის მიზნით, აუდიტის და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს (ამსს-ს) მიერ შემუშავდა აუდიტის ახალი საერთაშორისო სტანდარტებიც (ასს: ასს 315 - სამეურნეო სუბიექტებისა და მისი გარემოს შესწავლა და არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება; ასს 330 – რისკზე რეაგირებისათვის შეფასებული აუდიტის პროცედურები).

აღსანიშნავია, რომ ასს 315 აუდიტორებს კლიენტის შიგა კონტროლის შესაფასებლად პირდაპირ სთავაზობს COSO-ზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, რაც გარე აუდიტორებისათვის არსებითად ახალ მიდგომას წარმოადგენს ბიზნესის კონტროლის გარემოსა და კონტროლის სისტემის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მხრივ. სახელმწიფო სფეროში შიგა კონტროლის სისტემა ძირითადად რეგულირდება უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო-

ების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების მიხედვით, რომელიც ასევე, არსებითადაა ორიენტირებული COSO მოდელზე. შიგა კონტროლის სისტემის, როგორც კონცეფცია-მოდელის წარმოშობა, პირდაპირ უკავშირდება 1985 წელს აშშ-ში „თრედვეის კომისიის მიერ შექმნილ ე.წ. სპონსორი ორგანიზაციების კომიტეტის საქმიანობას, რომელიც ძირითადად მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორების ინტერესების დაცვას ემსახურება. მათ მიერ 1944 წელს შემუშავებული COSO-მოდელის სახელწოდებით, რომელიც ყველაზე პოპულარულ მოდელად ითვლება.

ზოგიერთი ავტორი შეეცადა იმის დასაბუთებას, რომ COSO-მოდელის მიხედვით შიგა კონტროლის სისტემა პროცია, რომელსაც ახორციელებს დირექტორთა საბჭო, აღმასრულებელი მენეჯმენტი ან თანამშრომლები და რომელიც გამიზნულია იმისათვის, რომ მიღებული იქნეს დამატებითი გარანტია ორგანიზაციის შემდეგი მიზნების მიღწევაში: საქმიანობის ეფექტიანობა; ფინანსური ანგარიშების სანდოობა; შესაბამისობა კანონებსა და ნორმებთან. ამ სამგანზომილებიანი მოდელის პოპულარობა მის მოდიფიცირებადობაშია, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მთავრად მოდელი თავის სპეციფიკას.

COSO-მოდელის მიხედვით ორგანიზაციის შიგა კონტროლის სისტემა უნდა შეფასდეს ხუთი ელემენტის მიხედვით, ესენია: კონტროლისა და ადმინისტრირების გარემო; კონტროლისა და ადმინისტრირების პროცედურები; რისკის მართვა; ინფორმაცია და კომუნიკაცია; მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ COSO-ს შიგა კონტროლის წარმოდგენილი ხუთ-კომპონენტიანი სტრუქტურებიზებული მოდელი საკმაოდ წარმატებითაა აპრობირებული დღევანდელ პრაქტიკაში და მას ეფექტიანად იყენებენ ორგანიზაციები და აუდიტური ფირმები. ამასთან, ბოლო ათწლეულში რისკის ფაქტორის დომინირების გამო, წარმოიშვა რისკზე დაფუძნებული კონტროლის ისეთი მოდელის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც ყველა სახის რისკის ფაქტორს გააკონტროლებდა. ამ მიზნით, 2001 წელს COSO-ს დავალებით აუდიტორმა და საკონსულტაციო კომპანია PricewaterhouseCopers-მა შეიმუშავა და 2004 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა ახალი გავრცობილი ე.წ. ERM-მოდელი, რომლითაც COSO-ს აქამდე არსებულ სამ მიზანს და ხუთ ელემენტს დამატა ერთი მიზნობრივი (კერძოდ, სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია) და სამი შემდეგი კომპონენტი: მიზნის განსაზღვრა; მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება; რისკზე რეაქცია.

ვფიქრობთ, ამ მოდელის თავისებურება ისიცაა, რომ მისი შემქმნელები სტრატეგიულ და ოპერატიულ ღონისძიებებს შესაბამის რისკთან აკავშირებენ. ამ თავისების გამო ახალ მოდელს შეიძლება ეწოდოს რისკზე ორიენტირებული კონტროლის მოდელი.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული საქმიანობა ხელს უწყობს ამ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის სრულყო-

ფას და განვითარებას, რაც თავისთავად ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის, მისი ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდისა და ამაღლების საფუძველია [2, გვ. 303].

ფინანსური აქტივების შემოსავლიანობის შეფასების მოდელები: კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელი (CAPM-capital asset pricing model)

სამართლიანად მიგვაჩნია, რომ გარი მარკოვიცის 1952 წლის გამოქვეყნებული შრომა ითვლება თანამედროვე პორტფელური ინვესტიციების საფუძველად. მარკოვიცის თეორიის მიხედვით, ეფექტური პორტფელის ნაკრებისათვის აუცილებელია განისაზღვროს მოსალოდნელი მომგებიანობა, თითოეული აქტივის დისპერსია და აქტივებს შორის კოვარიაცია. ეფექტურია პორტფელი, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე დაბალ რისკს მოცემული მოსალოდნელი შემოსავლიანობის პირობებში.

აღნიშნულ პრობლემასაც აქვს დინამიკური ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია „ეფექტური საზღვრის ცნებასთან“. ეს ტერმინი შემოიტანა გ. მარკოვიცმა. მასზე განლაგდება ყველა ეფექტური პორტფელი. იმისათვის, რომ განისაზღვროს საზღვარი აუცილებელია გაითვალისწინოს პორტფელში შემავალი ყველა აქტივის ხვედრითი წონა, რომლის მიხედვითაც ხდება დისპერსიის მნიშვნელობის მინიმიზაცია, მომგებიანობის თითოეული მოცემული დონისათვის. [6]

ბოგიერთმა ავტორმა შეიმუშავა კაპიტალის ბაზრის მოდელი. ასე, მაგალითად, 1964 წლიდან გამოქვეყნდა ახალი შრომები, რომლებმაც შექმნა შემდგომი ეტაპი ინვესტიციების განვითარებაში, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. „კაპიტალური აქტივების შეფასების მოდელთან“ CAPM-capital asset pricing model - ინგლისურად c a p m. გ. მარკოვიცის მოსწავლემ უილიამ შარპმა შეიმუშავა კაპიტალის ბაზრის მოდელი. მისი შექმნისას ის მიხვდა, რომ სრულიად საიმედო აქციები და ობლიგაციები არ არსებობს. ყველა ისინი ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებულია კორპორაციის რისკთან: კორპორაციამ შეიძლება მიიღოს დიდი მოგება ან არაფერი. გ. მარკოვიცის მიდგომის განვითარებით უ. შარპმა ფასიანი ქაღალდების პორტფელური თეორია გაყო ორ ნაწილად: 1. სისტემური (ანუ საბაზრო) რისკი აქციების აქტივებისათვის, 2. არასისტემური. ჩვეულებრივი აქციისათვის სისტემური რისკი ყოველთვის დაკავშირებულია მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების ღირებულების ცვლილებასთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი აქციის შემოსავლიანობა სისტემატიურად მერყეობს ფასიანი ქაღალდების მთელი აქტივის საშუალო შემოსავლიანობის გარშემო. ამას ვერ გაექცევი, რამდენადაც მოქმედებს ბაზრის ბრმა მექანიზმი. არასისტემური რისკი დაკავშირებულია ყველა დანარჩენ ფაქტორთან, რომელიც სპეციფიკურია კორპორაციისათვის, რომელიც უშვებს მიმოქცევაში

ფასიან ქალაქდება. უ. შარჰმა განსაზღვრა საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე აქციების და ობლიგაციების ფასების რეაქციის კოეფიციენტები: ცნობილი „ალფა“ და „ბეტა“, რითაც შეიმუშავა ფორმულა ფასიანი ქალაქლების რისკის შედარებითი ზომის გაანგარიშების ფორმულა „მოზიდული კაპიტალი ბაზრის ეფექტურობის ხაზის“ საფუძველზე.

მისაღებია მოსაზრება სისტემური რისკის მთავარი მომენტის შესახებ, რომ აქციებისა და ობლიგაციების რაოდენობის ზრდას არ შეუძლია მისი ლიკვიდაცია, მაგრამ ფასიანი ქალაქლების მზარდმა შესყიდვამ შეიძლება იმოქმედოს არასისტემური რისკის აღმოფხვრაზე. ამ მსჯელობისას იგულისხმება, რომ შენაბრებს არ შეუძლია გაექცეს საფონდო ბირჟის კონიუნქტურის რყევასთან დაკავშირებულ რისკს. საბაზრო პორტფელის ფორმირების ამოცანაა რისკის შემცირება სხვადასხვა ფასიანი ქალაქლების შედენის გზით, ფაქტორები რომელიც დამახასიათებელია ცალკეული კორპორაციისათვის, აწონასწორებდეს ერთმანეთს. ამის წყალობით პორტფელის შემოსავლიანობა უახლოვდება მთელი ბაზრის საშუალო მაჩვენებელს. საბაზრო პორტფელსა და საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობას ეწოდება საბაზრო რისკის პრემია.

უ. შარჰის დასკვნები ცნობილი გახდა, როგორც გრძელვადიანი აქტივების შეფასების მოდელი, რომელიც ეფუძნება წინადადებას, რომ კონკურენტულ ბაზარზე რისკის მოსალოდნელი პრემია იცვლება „ბეტა“ კოეფიციენტის პირდაპირპროპორციულად.

ეს ნიშნავს, რომ თუ ინვესტიციებს წარმოვიდგინოთ სქემატურად ნახაზზე, მაშინ ყველა ინვესტიცია უნდა განლაგდეს დახრილ ხაზზე, რომელსაც ეწოდება ფასიანი ქალაქლების ბაზრის ხაზი. ინვესტიციების რისკზე მოსალოდნელი პრემია „ბეტა“, რომელიც ტოლია 0,5, შესაბამისად შეადგენს საბაზრო რისკზე პრემიის ნახევარს. ინვესტიციების რისკზე მოსალოდნელი პრემია „ბეტასთან“ ერთად, რომელიც ტოლია 2,0-ის, 2-ჯერ აღემატება საბაზრო რისკზე პრემიას. ეს ურთიერთკავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

აქციების რისკზე მოსალოდნელი პრემია = ბეტა X საბაზრო რისკზე მოსალოდნელ პრემიაზე.

$$r - r_f = \beta (r_m - r_f)$$

ინვესტორს ყოველთვის შეუძლია მიიღოს რისკზე მოსალოდნელი პრემია

$\beta (r_m - r_f)$, საბაზრო პორტფელის და ურისკო სესხების კომბინაციით. ასე, რომ კარგად ფუნქციონირებდა ბაზარზე არავის არა აქვს აქციები, რომელიც სთავაზობს მოსალოდნელ რისკზე $\beta (r_m - r_f)$ -ზე ნაკლებ პრემიას.

თუ ავიღებთ ყველა აქციას ერთობლივად, მივიღებთ საბაზრო პორტფელს. შესაბამისად აქციები საშუალოდ ლაგდება ხაზზე. ასე, რომ არცერთი არ თავსდება ხაზის ქვემოთ. ასევე, არცერთი აქცია არ შეიძლება იყოს ხაზის

ზემოთ. ამრიგად, თითოეული და ნებისმიერი აქცია განლაგებულია ფასიანი ქალაქების ბაზრის წრფეზე და უზრუნველყოფს მოსალოდნელ რისკზე პრემიას, რომელიც ტოლია: $r - r_f = \beta (r_m - r_f)$. [7]

• • •

სავსებით ნათელია, რომ თანამედროვე პირობებში ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელებას ახასიათებს რიგი თავისებურება როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, რაც განაპირობებს მისი შემდგომი კვლევის აუცილებლობას. რაც შეეხება COSO-ს შიგა კონტროლის ხუთ-კომპონენტიან სტრუქტურიზებულ მოდელს, შეიძლება მისი უფრო აქტიურად გამოყენება ფირმებსა ორგანიზაციებში. ამასთან, მისაღება მოსაზრება რისკზე დაფუძნებული კონტროლის ახალი გავრცობილი ე.წ. ERM-მოდელის გამოყენების შესახებ. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გ. მარკოვიცის ფინანსური აქტივების შემოსავლიანობის და მისი მონაფის უილიამ შარპის მიერ შემუშავებული კაპიტალის ბაზრის მოდელის პრაქტიკაში გამოყენება.

ლიტერატურა:

1. ჩანტლაძე ვ., ფინანსების თეორიის საკითხები, რუსულიდან თარგმნეს ც. ოქრუაშვილმა და მ. ჭირაქაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987.
2. ზურაბ ლიპარტია და სხვა, კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგია, ტომი 2, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.
3. კაკულია რ., ფინანსების თეორია, თბ., 2012.
4. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით, თბ., 2009.
5. ყირიმლიშვილი ნ., ფინანსები, თბ., 2005.
6. Т. В. Кушнарёв, Теория портфеля Гарри Марковица и модель оценки доходности финансовых активов, М., 2003.
7. П. Ю. Пасеков, Применение теорий Марковица к портфелю механических торговых систем, М., 2002.

Originality of the Realization of Finances Control Function in Georgia

Ts. Ogruashvili

Academic Doctor of Economics

Q. Gudushauri

Doctoral Student, TSU

The given article discusses the originality of the realization of finances control function in contemporary Georgia, regarding foreign countries experience. The introduction of the article is about: theme actuality, analysis of goal, object, methodological basis and novelty. In the first issue there is examined the importance of finances control function; in the second – corporation's financial controlling system; in the third – financial actives revenue's estimation models: capital asset pricing model's (CAPM) essence. The conclusion is about the results of investigation.

By the analysis of Georgian and foreign scientific articles, we have made conclusion, that financial control is the control made by state authorities legislative and all level executive organs, also, made by special making institutions, realized all economical subject's financial activities by special methods.

Finances control function's realization depends on management level. In our opinion, firm's management basic parts are: planning, analysis, regulation and control, finances control function's realization is part of financial management.

Entrepreneurship control is outside and inside control. Outside control is made by outside auditors. Inside control is made by firm. Inside control is part of firm's management. Its function is made by managers, also, by inside auditors. Inside firm's control's main point is to unmask negative tendencies in firm's activity in order to eradicate them. Inside firm control is related to outside control and firm's legislative and normative acts, inside firm's instructions.

There is an opinion about system risk's main moment that rising of shares and obligations quantity can't make its liquidation, but securities big purchasing must influence on non-system risk. It means, that owner of deposit can't rout out stock exchange conjecture's changing risk.

In contemporary conditions finances control function has some originalities both in Georgia and in foreign countries. It means that the countries government must pay attention to inside finances regulation to have a normal situation. In Georgia it's very important to normalize financial condition.

By analysis, we established that in spite of part of Georgian commercial firms and corporations overcame critical situation in country, today there are some firms which have important problems and unsatisfied financial condition.

Keywords: finances control's function, financial controlling, financial assets, choose of portfolio.

JEL Codes: G10, G18, G20, G21

**ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის
ადგილობრივი პრაქტიკა და მისი სრულყოფის საკითხები
ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში**

ნინო ლომიძე

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

სტატიაში შეფასებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი პრაქტიკა საქართველოს ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში. ამასთან, აქცენტი გაკეთებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებისა და გასაჯაროების მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე არა მხოლოდ დეველოპერულ სფეროში, არამედ, ზოგადად ბიზნესში.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში საწარმოთა მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მომხმარებელამდე მიწოდების პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ჩვენი მრავალმხრივი ძალისხმევის მიუხედავად, პრობლემატური აღმოჩნდა საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის უმსხვილესი დეველოპერული კომპანიებისგანაც კი ფინანსური ანგარიშგების მოწოდება.

ნაშრომში შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა იმ მრავალმხრივ სარგებლიანობასთან დაკავშირებით, რაც მოყვება ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადეკვატური კულტურის დანერგვას.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება; ფინანსური ანგარიშგების წარდგენა; ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანია; საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერული ბიზნესი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებისა და წარდგენის მნიშვნელობა

ფინანსური ანგარიშგება, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათია. ფინანსური ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას საწარმოს რესურსების, დაფინანსების წყაროების, საქმიანობის შედეგების, საკუთარ კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების და ფულადი ნაკადების გენერირებისა და ხარჯვის მიმართულებების შესახებ. შესაბამისად, ის წარმოადგენს საწარმოში მიმდინარე პროცესების შედეგების გაანალიზების, რისკების შეფასების, პროგნოზირების, რეკომენდაციებისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრის რეალურ საფუძველს.

საწარმოთა მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მომზადებისა და წარდგენის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში ხელი მოეწერა “საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას”. ამ შეთანხმებით, საქართველოს მიეცა ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობა, ერთი მხრივ, უცხოელი პარტნიორების მიერ ქართულ კომპანიებში ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, ქართული საწარმოების ევროპულ ბაზარზე შესვლისა და დამკვიდრების თვალსაზრისით. ორივე შემთხვევაში აუცილებელია ბიზნესი სრულად აკმაყოფილებდეს მის მიმართ საერთაშორისო დონეზე წაყენებულ მოთხოვნებს.

მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის (გამჭვირვალობის) საკითხი მეტად აქტუალურია ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში, რამდენადაც დეველოპერულ ბიზნესში ბრუნავს მოსახლეობის ფულადი დანაზოგების მნიშვნელოვანი ნაწილი. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერული ბიზნესი შეფასდეს როგორც ფინანსური ინსტიტუტი, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მომხარებელთათვის მიწოდება (გასაჯაროება) წარმოადგენს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შეფასების ინდიკატორს, რაც თავის მხრივ, კომპანიათა კორპორატიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობაა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი პრაქტიკა ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში

ზოგადად, ქართულ ბიზნესში ბუღალტრული აღრიცხვისა და მისი დანიშნულებისადმი ნაწილობრივ არასწორი დამოკიდებულების, ასევე, ხშირ შემთხვევაში, საწარმოთა დამფუძნებლებისა და მმართველების საბაზრო ეკო-

ნომიკასთან შეუსაბამო ეკონომიკური განათლების გამო, არ გვექონია იმის ილუზია, რომ ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში მოწესრიგებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხი. ამგვარი განწყობის საფუძველს ამყარებდა ის გარემოება, რომ გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ქართულ საწარმოთა უმრავლესობაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ძირითად მიზანს საგადასახადო დეკლარაციების სწორად შევსება და ჯარიმების თავიდან არიდება წარმოადგენს. ამ მხრივ გამოწვევას არც საცხოვრებელი უძრავი ქონების ბიზნესია. მეტიც, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიები არათუ ფინანსურ ანგარიშგებას არ ამზადებდნენ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, საგადასახადო დეკლარირების მიზნითაც არ იყენებდნენ ბუღალტრულ აღრიცხვას. მხედველობაში გვაქვს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების“ მიერ ამენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსები. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა“ არ წარმოადგენს მენარმე პირს და შესაბამისად, არ აქვს საგადასახადო დეკლარირების ვალდებულება. აქედან გამომდინარე, არც ბუღალტრულ აღრიცხვას საჭიროებს. მსგავსი დამახინჯებული პრაქტიკა თითქმის ყველა იმ დეველოპერული კომპანიის ისტორიის ნაწილია, რომელიც აქტიურ საქმიანობას ეწეოდა 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდეც და ახლაც ოპერირებს უძრავი ქონების ბაზარზე.

დღევანდელი მდგომარეობით, დეველოპერულ ბიზნესში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისადმი საწარმოთა დამოკიდებულების შესაფასებლად, მიზანშეწონილად მივიჩნით მოგვეთხოვა ფინანსური ანგარიშგება ყველა იმ კომპანიისგან, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ბინათმშენებელი დეველოპერული საწარმო.¹ აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა რესურსი – ელექტრონული ფოსტით მიმართვის წერილის გაგზავნიდან დაწყებული, პირადი კონტაქტების ჩართვით დამთავრებული. წერილზე არც ერთი კომპანიისგან პასუხი არ მივიღია. პირადი კომუნიკაციის შედეგად კი ვაირკვა, რომ საწარმოთა უმრავლესობაში ფინანსური ანგარიშგების ცნება გაიგივებულია საგადასახადო დეკლარაციებთან. შედარებით მოწესრიგებული მენეჯმენტის მქონე კომპანიების წარმომად-

1 ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიების იდენტიფიცირება მოვახდინეთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ინტერნეტ-საინფორმაციო პორტალებზე განთავსებული ინფორმაციის მრავალმხრივი დამუშავების საფუძველზე. შედეგად, შემუშავდა ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიების ნუსხა (71 საწარმო), რომელიც გამოყენებულ იქნა კვლევის პროცესში. ცხადია, ვერ დავიჩემებთ, რომ კომპანიათა ეს ჩამონათვალი უკლებლივ ყველა საწარმოს მოიცავს, თუმცა, ვფიქრობთ, ის საკმაოდ დეტალურად ახასიათებს საქართველოს საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერულ ბაზარს.

გენლებმა უარი განგვიცხადეს ფინანსური ანგარიშგების მონოღებაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

საყურადღებოა, რომ ბინათმშენებლობის დეველოპმენტში, ისევე როგორც ბინფის ყველა სხვა სფეროში, ბულალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები რეგულირდება საქართველოს კანონით – „ბულალტრულ აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“. კანონის თანახმად, ბულალტრული აღრიცხვა უნდა შეესაბამებოდეს ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის შემუშავება და გამოქვეყნება ხდება ბასს-ის საბჭოს (ბასს – IASB) მიერ. ქართულ ენაზე კი ითარგმნება იმ ადგილობრივი აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის მიერ, რომელიც ბულალტრული საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონში – „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, არაფერია ნათქვამი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის აუცილებლობაზე, არამედ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო ან საინიციატივო წესით აუდიტის ჩატარებაზე. დოკუმენტის გაცნობით რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი შემუშავების ძირითადი მიზანი აუდიტის განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტების განსაზღვრა უფროა, ვიდრე რეალურად ბულალტრული აღრიცხვის წარმოების და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის რეგულირება საქართველოში. კანონში მკაფიოდაა განმარტებული, თუ ვისთვისაა სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. თუმცა, ამის მიუხედავად მაინც ბუნდოვანია საკითხი იმასთან დაკავშირებით, ნიშნავს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი ავტომატურად ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებას. კანონის თანახმად, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა შემდეგი სუბიექტებისთვის (1, გვ. 24):

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისაღმი დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის;

ბ) იმ საწარმოებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სუბიექტებისა.

ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიების ჩვენ მიერ შემუშავებული ნუსხიდან, ამ კანონის რეგულირების თვალსაზრისით, ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ჩატარების თვალსაზრისით, ექცევა მხოლოდ სს „m² უძრავი ქონება“. ისიც იმიტომ, რომ „m² უძრავი ქონება“ წარმოადგენს სს საქართველოს ბანკის შვილობილ კომპანიას და შესაბამისად ეროვნული ბანკის ზედამხედველობისაღმი დაქვემდებარებულ საწარმოს. რაც შეეხება დანარჩენ კომპანიებს, მათი, როგორც მენარმე სუბიექტების წლიური ფი-

ნანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი, რეგულირდება კანონებით – „მენარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“.

კერძოდ, მენარმეთა შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ: „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ანგარიშვალდებულ საწარმოში, რომლის ფასიანი ქალაქები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქალაქების ბირჟაზე, ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ საწარმოში, ან საწარმოში, რომლის პარტნიორთა რაოდენობა აღემატება 100-ს, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა“. „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, „ანგარიშვალდებულ საწარმოდ“ მიიჩნევა მენარმეთა კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომლის მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქები განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით, ან/და დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე. ამავე კანონის მე-11 მუხლით, ყველა ანგარიშვალდებულ საწარმო ვალდებულია მოამზადოს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან ფასიანი ქალაქების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიანდოს: ა) წლიური ანგარიში; ბ) ნახევარი წლის ანგარიში; გ) მიმდინარე ანგარიში (3, გვ. 16-17).

ასევე საყურადღებოა, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოდ მხოლოდ ღია ტიპის სააქციო საზოგადოება მიიჩნევა და არა დახურული. ვფიქრობთ, ეს მოტივაცია ჰქონდა სს „ლისი დეველოპმენტს“, როცა უარი განგვიცხადა წლიური ფინანსური ანგარიშგების მონოდებაზე.

საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვის შედეგად ირკვევა, რომ რომ დღეს მოქმედი არცერთი კანონი არ ავალდებულებს მენარმე სუბიექტს (გარდასააქციო საზოგადოებისა და კონკრეტული რეგულირების ფარგლებში მოქცეული იურიდიული პირებისა), მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად არის აღიარებული, სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელია და არა ვალდებულებითი.

საყურადღებოა, რომ მენარმეთა კანონის მე-13 მუხლი – „ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“ თავდაპირველი რედაქციით (1996 წელი) ავალდებულებდა საწარმოთა ხელმძღვანელებს სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში შეედგინათ წლიური ანგარიშგება (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში). ასევე, საქმიანობის ანგარიში, რაც ინფორმაციულად დატვირთულ დოკუმენტს წარმოადგენდა. კანონს დანართის სახით თან უნდა დართვოდა ვრცელი დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა წლიური ბალანსის და მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სტრუქტურა და შინაარსი. ასევე, დეტალურად იქნებოდა პოზიციონირებული აქტივების და პასივების, შემოსავლების და ხარჯების ყველა მუხლი.

ვფიქრობთ, მენარმეთა შესახებ კანონის აღნიშნული მუხლის მოდიფიცირება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადას-

ვლამ განაპირობა, რადგან მე-13 მუხლის მოთხოვნები, ფაქტობრივად, იგივე შინაარსის იყო, რასაც ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადება ითვალისწინებს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით.

მოსაზრებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის მიმართულებით

კვლევის პროცესში ჩვენ არაერთი დეველოპერული კომპანიის დამფუძნებლებს, აღმასრულებელ და ფინანსურ დირექტორებს, ასევე, ბუღალტრებს გავესაუბრეთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებზე. ვიმსჯელებთ უძრავი ქონების სფეროს სპეციალისტებსა და აუდიტორებთან, რამაც გაამყარა ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიების უმრავლესობაში არათუ არ ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას, არამედ ფინანსურ ანგარიშგებას და საგადასახადო მოგების დეკლარაციასაც ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისგან. კვლევის შედეგად, ხაზგასმით შეგვიძლია დავაფიქსიროთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით, დეველოპერულ კომპანიებში ფუნქციონირებს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა და პროგრამულად ყველანაირი ინფორმაცია ტარდება ბუღალტერიაში, თუმცა ეს ინფორმაცია ძირითადად გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო დეკლარირების მიზნებისთვის და არა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მოუმზადებლობა, ერთი მხრივ, და მასზე ხელმიუწვდომლობა მეორე მხრივ, სერიოზულ პრობლემას ქმნის სხვადასხვა მიმართულებით, რაც ვფიქრობთ, საკანონმდებლო დონეზე მოგვარებას საჭიროებს.

ამასთანავე, ნაწილობრივ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბიზნესი საკუთარ საფუძველზე უნდა ვითარდებოდეს და სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ინტერვენცია ბიზნესისთვის გარკვეული წესების დაცვის მოთხოვნის თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საბაზისო პრინციპებს. დეველოპერული კომპანიებისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულების დაკისრებამ შესაძლოა შეწარმეთა პროტესტი გამოიწვიოს ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით (საჭირო გახდება კვალიფიციური კადრის დაქირავება). ბევრი მენარმე დასვამს კითხვას: რატომ მოამზადოს და წარადგინოს ანგარიშგება თავისი საქმიანობის შესახებ, თუ ამით ვერ ისარგებლებს და პირიქით, ხარჯები გაეზრდება?! ეს ლოგიკური კითხვაა, თუმცა ვფიქრობთ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხი უფრო გრძელვადიანი კონტექსტით მრავალმხრივი ეფექტიანობის გაზრდის კუთხით უნდა განვიხილოთ, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და შემდგომი გაანალიზება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებს (როგორც მმართველ რგოლს, ასევე მფლობელებს) წარსული საქმიანობის ობიექტურ შეფასებასა და მომავლის სწორ პროგნოზირებაში.

2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შესაძლებლობა, რის საფუძველსაც ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა წარმოადგენს, გაზრდის პოტენციური ინვესტორების ინტერესს კონკრეტულ კომპანიაში ინვესტირების განხორციელების თვალსაზრისით, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს დეველოპერულ კომპანიებს, კომერციული ბანკების გარდა, დაფინანსების ალტერნატიული წყაროს მოძიებაში;

3. ფინანსური ანგარიშგების ხელმისაწვდომობა საშუალებას მისცემს მკვლევარებს გაიანგარიშონ ამ კონკრეტული სფეროს საშუალოდარგობრივი, ეტალონური ან პირიქით, რისკის შემცველი სიდიდის მაჩვენებლები, რათა კომპანიებმა შეძლონ შედარებითი ანალიზის ჩატარება;

4. ფინანსური ანგარიშგების ხელმისაწვდომობით შესაძლებელი იქნება ასევე გარკვეული მოდელების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს გაკოტრების რისკის პროგნოზირებას დეველოპერულ კომპანიებში;

5. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხელს შეუწყობს ბიზნესის გამჭვირვალობას, რაც კორპორატიული პასუხისმგებლობის ნაწილია იმ ადამიანების მიმართ, ვინც ყიდულობს ბინის შეძენის უფლებას და არა დასრულებულ პროდუქტს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კულტურის დანერგვა ზოგადად ბიზნესში და არა მხოლოდ ბინათმშენებლობის დეველოპმენტის სფეროში, საწარმოთა ინფორმაციის გამჭვირვალობის საფუძველია, რაც თავის მხრივ, ბიზნესის რეალური განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური და თანამედროვე კონცეფციაა. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ეკონომიკური და ფინანსური განათლების ხარისხის ამაღლებასაც:

- მეცნიერება და პრაქტიკა დაუახლოვდება და შესაბამისობაში მოვა ერთმანეთთან, თუ ეკონომიკური და ფინანსური პროფილის კურსდამთავრებულებს რეალურ ბიზნესში იმის კეთება მოუწევთ, რაც ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და ფინანსური ანალიზის კურსების გავლის დროს ისწავლეს უმაღლეს სასწავლებლებში;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების შემთხვევაში (ეს კი საქართველოს ევროპისკენ მიმავალი კურსის მნიშვნელოვანი ორიენტირია), გაიზრდება მოთხოვნა პროფესიონალიზმზე, რაც თავის მხრივ მოითხოვს ეკონომიკური განათლების ხარისხის ამაღლებას და გაზრდის კონკურენციას საგანმანათლებლო სივრცეში.

ყველა იმ მოსალოდნელი სარგებლის შეფასებით, რაც ბინათმშენებელი დეველოპერული კომპანიების და ზოგადად საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და გასაჯაროებას მოჰყვება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი:

(1) საქართველოს კანონში „მენარმეთა შესახებ“, შევიდეს ცვლილება და ყველა ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამენარმეო სუბიექტს დაევალოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სპეციალურ განყოფილებაში. ამასთან, სააქციო საზოგადოებებს მოეთხოვოთ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. დანარჩენი ტიპის საწარმოები კი შემოიფარგლონ ხელმძღვანელის, მთავარი ბუღალტრისა და შიგა აუდიტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ ხელმოწერილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენით;

(2) გემოლნიშნულიდან გამომდინარე, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში შეიქმნას სპეციალური დეპარტამენტი, რომლის კომპეტენციაც იქნება საწარმოთა მიერ ყოველწლიურად მოწოდებული ფინანსური ანგარიშგების დამუშავება და დარგის საშუალო მაჩვენებლების (Industry Average) გაანგარიშება. ამასთან, ზოგადი ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ, დამატებითი, დეტალური ინფორმაციის გაცემაზე კი უნდა დაწესდეს გადასახადი;

(3) აღნიშნული ცვლილების შესახებ მოხდეს მენარმეთა სწორი ინფორმირება მათთვის სემინარებისა და ტრენინგების შეთავაზების გზით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ", თბ., 2012.
2. საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ", თბ., 1994.
3. საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", თბ., 1998.
4. Revsine L., Collins Daniel W., Johnson Bruce W., Mittelstaedt H. Fred. Financial Reporting and Analysis. 4th Edition. 2009.
5. Mackenzie B., Coetsee D., Njikizana T., Chamboko R., Colyvas B., Hanekom B., Selbst E. Interpretation and Application of International Financial Reporting Standards (IFRS). 2014.

Local Practice for Financial Accounting Preparation and Presentation and Its Improvement Issues in Housing Development Business

Nino Lomidze

Assistant Professor,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The scientific article is devoted to the local practice of preparation and presentation of financial statements in residential development companies. The paper focuses on the importance and necessity of financial statements' reporting under the international accounting standards (IAS) not only in residential real estate sector, but in general, in business.

The survey results show, that actually there is no practice of financial statements preparation and reporting by residential development companies in Georgia. This point of view is reinforced by the fact, that in spite of our multilateral effort, we were unable to receipt financial statements even from large development companies.

In this paper, there is proposed the author's view of the many-sided benefits, those could be achieved by preparation and disclosure of financial statements in residential real estate development field, as well as in profit oriented companies, in general.

Key Words: Financial accounting, financial statement disclosure, residential real estate, development company.

JEL Codes: R20, R21, R31

ანალიტიკური ინფორმაცია ANALYTICAL INFORMATION

მოტივაციის მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა

ნინო ხახუბია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

BA დოქტორანტი

n.khakhubia@gmail.com

მოტივაციის სისტემის ჩამოყალიბებისათვის უცხოურ კომპანიებში მიმართავენ მაჩვენებლების დაბალანსებულ სისტემას (Balanced Scorecard), რომელიც კაპლანისა და ნორტონის მიერ შემუშავდა XIX საუკუნის 90-იან წლებში [1, 76]. მათ სისტემას მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ ორგანიზაციის მიერ მიღწეული შედეგების გაზომვის მიზნით. მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა გამოიყენება არა მარტო ფინანსური მონაცემების შეფასებისა და გაზომვისათვის, არამედ იმ ერთეულებისთვისაც, რომლებიც ქმნიან ღირებულებას. მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემის მეშვეობით ორგანიზაციას შეუძლია მოახდინოს არა მარტო მიმდინარე მდგომარეობის (ფინანსები, მომხმარებელთა კმაყოფილება, ბიზნესშედეგები), არამედ პროცესების გაუმჯობესების, დასაქმებულთა განვითარებისა და მოტივირების, ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესების მონიტორინგი [2, გვ.7]. ეს სისტემა ასევე იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღვროს თუ როგორ უნდა მოხდეს ორგანიზაციის შესაძლებლობების გამოყენება და ინვესტირება ხალხში, ადამიანურ რესურსებში, სისტემებსა და პროცედურებში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. „Bain & Company“-ს ანალიტიკოსების, რიგებისა და ბილადოუს თანახმად, ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპის, აზიის, აფრიკის, შუა აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის ორგანიზაციათა 53% მართვის პროცესში იყენებს მაჩვენებლების დაბალანსებულ სისტემას [3, გვ.2].

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია; მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა; ბიზნესსტრატეგია.

დაბალანსებული სისტემის ძირითადი მაჩვენებელი

დღეისათვის არაერთი კომპანია მიმართავს ეფექტური საქმიანობის შეფასების სისტემას, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, მაგრამ „დაბალანსებული სისტემის“ განსაკუთრებულობა ისაა, რომ კომპანიის ყველა დონის თანამშრომელს მიუწვდება ხელი ინფორმაციასთან. „წინა პლანის“ პერსონალს კარგად უნდა ესმოდეს თუ რა შედეგი მოყვება მათ ქმედებასა თუ გადაწყვეტილებას, ხოლო ტოპ-მენეჯმენტს სრულად უნდა ჰქონდეს გათავისებული გრძელვადიანი ფინანსური წარმატების მისაღწევი გზები და მეთოდები. დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემის არსია, რომ კომპანიის მისია განაზოგადოს კონკრეტულ და მიღწევად ამოცანებად და მაჩვენებლებად. ეს მაჩვენებლები, თავის მხრივ, წარმოადგენენ აქციონერებისა და კლიენტებისათვის გარე ანგარიშგებას და ბიზნეს პროცესების, ინოვაციების, სწავლებისა და ზრდის შიგა მახასიათებლებს. ეს არის წონასწორობა შესრულებულ სამუშაოს შედეგებსა და მომავალ ზრდას შორის. დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემა წარმოადგენს არამხოლოდ ტაქტიკურ ან ოპერაციულ შეფასებით სისტემას, არამედ ის არის ინოვაციური კომპანიების გრძელვადიანი და სტრატეგიული მართვის საშუალება. აღნიშნული სისტემის შეფასებითი ფუნქცია შემდეგშია:

1. მოხდეს სტრატეგიის მკაფიო ფორმულირება და მისი გაშლა კონკრეტულ, სტრატეგიულ ამოცანებად – შეფასების დაბალანსებულ სისტემაზე მუშაობა იწყება ტოპ-მენეჯმენტის მხრიდან კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრით, თუ რაზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება;

2. დადგინდეს სტრატეგიული მიზნებისა და მათი მიღწევის მაჩვენებლების შესაბამისობა და ამის შესახებ ეცნობოს კომპანიის ყველა დონის თანამშრომელს – დაბალანსებული სისტემის მიერ განსაზღვრული ორგანიზაციის სტრატეგიული ამოცანები თანამშრომლებამდე ვრცელდება საინფორმაციო წერილების, ელექტრონული ფოსტისა და განცხადებების მეშვეობით. კომუნიკაციის ეს მაგალითი ეხმარება დასაქმებულებს პრიორიტეტული ამოცანების იდენტიფიცირებაში;

3. დაიგეგმოს (განისაზღვროს) მიზნები და სტრატეგიული ინიციატივები - მენეჯმენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ისეთი მიზნების დასახვა, რომელთა მიღწევა უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინსვლას. ამისათვის საჭიროა დაიგეგმოს როგორც პერსპექტიული, ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი მიზნები და შიგა ბიზნეს პროცესები, ასევე სწავლებისა და განვითარების ამოცანები;

4. გაფართოვდეს სტრატეგიული უკუკავშირისა და ინფორმაციის გავრცელების არეალი, რაც დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემის ნოვატორულ და ამ დროისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტად განიხილება, რომლის საშუა-

ლებითაც შესაძლებელი ხდება არა მარტო არსებული მდგომარეობის ანალიზის გაკეთება, არამედ მოლოდინისა და პროგნოზების შესაბამისობის დადგენა [4, გვ. 19-22].

დაბალანსებული სისტემა ეფუძნება სამუშაოს შესრულების 4 ძირითად მაჩვენებელს და ბიზნესის სტრატეგიის დაგეგმვის უმთავრეს კითხვებს:

- ფინანსები – „ფინანსური წარმატებისათვის, როგორ უნდა წარვსდგეთ აქციონერთა წინაშე?“. სახელმწიფო სექტორისაგან განსხვავებით, კერძო სექტორის ფინანსურ ამოცანას წარმოადგენს მკაფიო გრძელვადიანი მიზნების დასახვა მოგების მაძიებელი იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც წმინდა კომერციულ გარემოში საქმიანობენ;
- კლიენტები – „ჩვენი ხედვის მისაღწევად, როგორ უნდა წარვსდგეთ კლიენტთა წინაშე?“. ორგანიზაცია მაქსიმალურად უნდა აწვდიდეს თავის კლიენტებს ხარისხიან პროდუქციასა და მომსახურებას, რითაც უნდა უზრუნველყოფდეს მათ კმაყოფილებას;
- ბიზნესის შიგა პროცესები – „აქციონერთა და კლიენტთა დაკმაყოფილების მიზნით, ბიზნესის რომელ შიგა პროცესებში უნდა ვიყოთ სრულყოფილნი?“, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია ფინანსურ წარმატებასთან;
- სწავლა და განვითარება – „ჩვენი ხედვის მისაღწევად, როგორ უნდა შევინარჩუნოთ ცვლილებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობები?“. ეს პუნქტი ხაზს უსვამს დასაქმებულთა შესაძლებლობების, ინფორმაციული სისტემების ხარისხისა და ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად საჭირო დამხმარე აქტივობების მნიშვნელობას. რიგ შემთხვევაში, ცვლილების გატარებისა და კლიენტთა მოლოდინის დაკმაყოფილების მიზნით, საჭირო ხდება დასაქმებულთა მხრიდან ახალი უნარ-ჩვევების შექმნა და დამატებითი პასუხისმგებლობების აღება [5, გვ. 7-8].

ოთხი მნიშვნელოვანი პერსპექტივა ერთიანდება ორგანიზაციის მისიისა და ხედვის ირგვლივ, ვინაიდან სწორედ აქედან წარმოიშობა სამუშაოს შესრულების მაჩვენებლები, რაც განაპირობებს ორგანიზაციის სტრატეგიის დანერგვას. სამუშაოს შესრულების ზემოხსენებული ოთხი პერსპექტივიდან, ფინანსური პერსპექტივა ეხება ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას, მიღებული ზომებისა და გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას სტრატეგიის დანერგვისა და გატარების პროცესში [6, გვ. 83]. ფინანსურ პერსპექტივაში განიხილება წარსული მონაცემები, რომლებიც არ არის საკმარისი სრული სურათის მისაღებად.

ბიზნესის შიგა პროცესების პერსპექტივა ფოკუსირებულია იმათზე, რომლებსაც მომავალში ექნება ზეგავლენა კლიენტის კმაყოფილებასა და ორგანიზაციის ფინანსური მიზნების მიღწევაზე. ამ ჭრილით აუცილებელია იმ კრიტიკუ-

ლი პროცესების იდენტიფიცირება, რომლებიც უნდა სრულდეს ორგანიზაციაში მიზნობრივ ბაზარზე კლიენტთა მოზიდვისა და შენარჩუნების, ასევე აქციონერთა მოგების მოლოდინის გამართლების მიზნით.

სწავლისა და განვითარების პერსპექტივაში განიხილება ის ინფრასტრუქტურა, რომელსაც საჭიროებს ორგანიზაცია გრძელვადიანი ზრდისა და განვითარებისათვის. ორგანიზაციული სწავლის (ან ორგანიზაციაში სწავლის) წყარობად გვევლინება ადამიანი, სისტემები და ორგანიზაციული პროცედურები. დანარჩენი სამი პერსპექტივის იდენტიფიცირების პარალელურად ხორციელდება ადამიანურ, სისტემურ და პროცედურულ შესაძლებლობებში არსებული ხარვეზების გამოვლენა. სწავლისა და განვითარების პერსპექტივის როლი კი სწორედ ამ ხარვეზების ტრენინგების, გაუმჯობესებული სისტემებისა და განერილი პროცედურების მეშვეობით აღმოფხვრაში მდგომარეობს .

დაბოლოს, კლიენტების პერსპექტივა გულისხმობს იმ კლიენტისა და ბაზრის სეგმენტის განსაზღვრას, რომელშიც მოხდება ჩართვა და შესრულებული სამუშაოს შეფასება/გაზომვა. შეფასებისა და გაზომვისათვის მიმართავენ მიზნობრივ სეგმენტებში მომხმარებელთა კმაყოფილების, მომხმარებელთა შენარჩუნების, ახალი მომხმარებლის მოზიდვის, მომხმარებლის სარგებლიანობისა და ბაზრის წილის მონაცემებს. კლიენტის პერსპექტივა ეხმარება ორგანიზაციას კლიენტსა და ბაზრის პირობებზე მორგებული სტრატეგიის შემუშავებაში, რაც თავის მხრივ, განაპირობებს გაზრდილ ფინანსურ სარგებელს.

მოტივაციის ჭრილით თუ განვიხილავთ მაჩვენებლების დაბალანსებულ სისტემას, ვნახავთ, რომ ადგილი აქვს მაჩვენებლების დაჯგუფებას 4 შემადგენელ ნაწილად, ესენია: კონტროლი, შედეგების ვიზუალიზაცია, პერსონალის შეფასება და მოტივაცია. იმისათვის, რათა ვმართოთ პერსონალის მოტივაციის პროცესი, საჭიროა აუცილებლად ვფლობდეთ მოტივაციის ეფექტურად მართვის ინსტრუმენტებს, რომლებიც ეფუძნება შრომის პროცესში დაქირავებულ პირზე განეულ დანახარჯსა და ნახალისებაზე განეულ ხარჯებს შორის ბალანსს [7, გვ. 77]. სწორედ ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენს მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა (მდს). ორგანიზაციაში მდს-ის დანერგვამდე უნდა დადგინდეს, თუ რა გავლენას მოახდენს პერსონალის მოტივაციაზე ეს სისტემა, როგორ უნდა შედგეს მოტივაციის სისტემა მდს-ის საფუძველზე, რა მეთოდები და სტიმულები უნდა იქნეს გამოყენებული ამ სისტემაში პერსონალის მოტივირებისათვის. ამ ინფორმაციის შეგროვება დიდად გაამარტივებს მდს-ის დანერგვის პროცესს ორგანიზაციაში. მდს-ს გააჩნია რაოდენობრივი კრიტერიუმები, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ გავზომოთ არამართო ინდივიდუალური, ჯგუფური თუ ზოგადი მუშაობა ორგანიზაციაში, არამედ ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების გამოყენებით დადგინდეს ჯილდოც.

მოტივაციის დაბალანსებული სისტემის დანერგვის ეტაპები

მდს-ის დანერგვის ეტაპი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ხედვის ჩამოყალიბება;
- სტრატეგიული მიზნების დასახვა;
- SWOT ანალიზი და წარმატების ფაქტორების განსაზღვრა;
- მაჩვენებლებისა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა;
- მაჩვენებლების დათვლის/გაზომვის გზების დადგენა;
- სტრატეგიული მიზნების მიზნ-შედეგობრივი ჯაჭვის განსაზღვრა;
- სტრატეგიული მიზნების ეტაპობრივი დასახვა;
- სტრატეგიულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება;
- მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემის მხარდაჭერა, განახლება და განვითარება.

რაც შეეხება მდს-ის დანერგვის დადებით ეფექტებს, შემდეგია:

- ბიზნესსაქმიანობის შიგა და გარე პროცესების სიღრმისეული გაგება;
- ორგანიზაციის ყველა განყოფილებისა და თანამშრომლის მიერ სტრატეგიული საქმიანობის განხორციელება;
- სტრატეგიული მიზნების მიღწევის ტემპის ზრდა;
- ყველა რესურსის მიზანმიმართული და კონცენტრირებული განაწილება;
- ორგანიზაციის სტრატეგიებიდან გამომდინარე მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შეფასება;
- ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ სტრატეგიული მიზნების გათავისება და მის მისაღწევად საკუთარი ამოცანების დასახვა;
- განყოფილებათა და თანამშრომლების გაუმჯობესებული ურთიერთქმედება;
- განზოგადებული და სისტემატიზებული სახით ბიზნესინფორმაციის მიღება;
- როგორც მმართველი, ასევე რიგითი თანამშრომლების პასუხისმგებლობა დავალებული ამოცანებისა და დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;
- საკუთარი ამოცანებისა და მიზნების მკაფიოდ ფორმულირების საფუძველზე თანამშრომლებთან მოტივაციის ამაღლება.

როგორც ვხედავთ, მდს მოიცავს ორგანიზაციის მუშაობის მთლიან ციკლს აწმყოსა და მომავალში, ის წარმოადგენს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების საშუალებას. მდს არის სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის სისტემა, რომელსაც ფართოდ გამოიყენებენ ბიზნესისა და მრეწველობის სამთავრობო და არა-სამთავრობო ორგანიზაციები.

ლიტერატურა:

1. Robert S. Kaplan And David P. Norton, "Using The Balanced Scorecard As A Strategic Management System," Harvard Business Review (January-February 1996): P.76.
2. [Http://www.Statebuy.Inter.Net/Bsc.Htm](http://www.statebuy.inter.net/bsc.htm) , Procurement Executives' Association (PEA) „Guide To A Balanced Scorecard, Performance Management Methodology”. P:2.
3. Kubanychbek Almatov, Mujtaba Sabir „Balanced Scorecard & Incentive Compensation System, Factors Influencing The Linkage”, May 2011, P. 2.
4. Роберт С. Каплан, Дейвид П. Нортон „Сбалансированная Система Показателей, От Стратегии К Действию”, ЗАО Олимп-Бизнес, Москва, 2003, Pdf Ebook © Bigsun 2004. Стр: 19-22.
5. [Http://www.Statebuy.Inter.Net/Bsc.Htm](http://www.statebuy.inter.net/bsc.htm) , Procurement Executives' Association (PEA) „Guide To A Balanced Scorecard, Performance Management Methodology”. P:7-8.
6. Handbook Of Management Accounting Research: Volume 3 (Elsevier, 2009). P.83
7. Front, Pekka, „Work Motivation Through A Balanced Scorecard Approach – Motivational Leadership For The 21st Century. 2010. P. 77.
8. <http://balancedscorecard.org/Resources/About-the-Balanced-Scorecard>
9. https://en.wikipedia.org/wiki/Balanced_scorecard

Balanced Scorecard of Motivation

Nino Khakhubia

Doctoral Student

Batumi Shota Rustaveli State University

E-mail:n.khakhubia@gmail.com

Organizations have used systems consisting of a mix of financial and non-financial measures to track progress for quite some time. Among them can be mentioned the balanced scorecard which used a “4 perspective” approach to identify what measures to use to track the implementation of strategy: 1. Financial: encourages the identification of a few relevant high-level financial measures. In particular, designers were encouraged to choose measures that helped inform the answer to the question “How do we look to

shareholders?” Examples: cash flow, sales growth, operating income, return on equity; 2. Customer: encourages the identification of measures that answer the question “How do customers see us?” Examples: percent of sales from new products, on time delivery, share of important customers’ purchases, ranking by important customers; 3. Internal business processes: encourages the identification of measures that answer the question “What must we excel at?” Examples: cycle time, unit cost, yield, new product introductions; 4. Learning and growth: encourages the identification of measures that answer the question “How can we continue to improve, create value and innovate?”. The balanced scorecard is a strategic planning and management system that is used extensively in business and industry, government, and nonprofit organizations worldwide to align business activities to the vision and strategy of the organization, improve internal and external communications, and monitor organization performance against strategic goals.

Keywords: Motivation, balanced scorecard, business strategies.

JEL Codes: M10, M19, M40, L10, L21, L26

ეკონომიკური ზრდა და ენერგოუსაფრთხოება

დავით ასლანიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
d. aslanishvili@gmail.com

სტატიაში აღწერილია თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში მძლავრი და საიმედო ენერგოსისტემის არსებობა, მათი ურთიერთკავშირი, საქართველოში არსებული ენერგოპრობლემები, სემეკის, როგორც მარეგულირებლის ფუნქცია. ამასთანავე, შედარებული და ნაჩვენებია თუ რაოდენ დიდია სხვაობა მოსახლეობის ერთ სულზე ენერგომომხმარებლის მაჩვენებლები საქართველოს, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის. გამოკვლეულია, თუ რა გზით არის შესაძლებელი ამ ჩამორჩენის და ეკონომიკური ზრდის წახალისება საქართველოში.

საქართველოს ეკონომიკური წინსვლა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფაზე, რაშიც გადამწყვეტი როლი ენიჭება ენერჯის წყაროებს, მათ მოხმარებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; ეკონომიკური ზრდა; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ენერგომომხმარება

საქართველოს ენერგოსისტემის არსებული მდგომარეობა: შედარებითი ანალიზი

საქართველოს ტერიტორიაზე 26 ათასამდე მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველ ადგილს ფლობს მტკნარი წყლის საერთო მარაგი,

რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან (შეადგენს 96,5 კმ3-ს). მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 000 მეგავატის ეკვივალენტურია, ხოლო საშუალოწლიური ენერჯია – 50 მლრდ კილოვატ/საათის ეკვივალენტური [1].

სამწახაროდ, ეს დიდი პოტენციალი სრულიად არაადამაკმაყოფილებლადაა გამოყენებული, რაც საქართველოს ეკონომიკური სისუსტის ძირითადი მიზეზია. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი საშუალო შემოსავლის მქონე შვეიცარიელის თვიური ანაზღაურება უტოლდება საშუალო შემოსავლის საქართველოს მოქალაქის ორი წლის ჯამურ შემოსავალს [2].

საშუალო შემოსავლის მქონე ევროპელის ერთი თვის ანაზღაურება საქართველოს მოქალაქის ერთი წლის ჯამურ საშუალო შემოსავალს უტოლდება, რაც საგანგაშო ჩამორჩენაა და ასეთი ნეგატიური ვითარების გამოსწორების მსოფლიოში აპრობირებული გზაა ეკონომიკური ზრდის სტაბილური და მზარდი ტემპის უზრუნველყოფა, რაშიც დიდი როლი უკავია ინვესტიციების მოზიდვას.

მსოფლიო ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია ენერგომოხმარების ზრდისა და მისი მიწოდების ხელმისაწვდომი წყაროთა და ტარიფის გარეშე, რამეთუ მოზიდული ინვესტიციების და სამრეწველო პოტენციალის კონკურენტული უპირატესობა პირდაპირკავშირშია მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე განეული ენერგოდანახარჯების ეფექტიანობასთან. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ენერჯიის მოთხოვნასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს ენერჯიის ძირითად როლს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

ყურადსაღებია, რომ ევროპის წამყვან ქვეყნებში ენერგოეფექტიანობის ზრდამ გამოიწვია ენერგომოხმარების ზრდა. საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა პირდაპირკავშირშია ენერჯიის მოხმარების ზრდასთან. ამ მხრივ, საქართველოს ენერგოპოტენციალი დღეისათვის, ფაქტობრივად, უტოლდება მის არსებულ მოხმარებას და შემდგომი ეკონომიკური ზრდის პირობებში ქვეყნის წინაშე უცილობლად დადგება მწვავე პრობლემა ენერგორესურსებით სამრეწველო და საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების კუთხით (იხ. ცხრილი 1).

როგორც მონაცემები ცხადყოფს, ელექტროენერჯიის მოხმარება საქართველოში განუხრელად იზრდება, ხოლო ელექტროენერჯიის წარმოება ზრდის ტემპს არ აჩვენებს, რაც იმპორტის ზრდას იწვევს. ამ მხრივ, აუცილებელია ელექტროენერჯიის ახალი სიმძლავრეების მოძიება და წარმოება, რისი პოტენციალი საქართველოში არსებობს.

ელექტროენერჯის ბალანსი (მლნ.კვტ.სთ.)
(2003-2013 წწ.)

ცხრილი 1

წელი/ინდიკატორი	წარმოება	მოხმარება	იმპორტი	ექსპორტი
2003	7,132	6,649	1,080	236
2004	6,902	7,388	1,278	71
2005	7,061	7,842	1,399	122
2006	7,622	7,879	777	96
2007	8,346	7,815	433	626
2008	8,451	8,075	649	680
2009	8,408	7,642	255	749
2010	10,058	8,441	222	1,524
2011	10,105	9,257	471	931
2012	9,698	9,379	615	528
2013	10,059	9,690	484	450

ზაგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოში ძალიან დაბალია ელექტროენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე. თუ შევადარებთ საქართველოში ენერჯის მოხმარებას წამყვან განვითარებულ ქვეყნებთან, შედეგი საგანგაშოა:

- ერთ სულზე პირველადი ენერჯის საშუალო მოხმარება ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და იაპონიაში 3-5ტ.ნ.ე (ტონა ნავთობის ეკვივალენტი)

- ამერიკის შეერთებულ შტატებში – 7-8 ტ.ნ.ე.


- საქართველოში – 0,79 ტ.ნ.ე.

საქართველოში ენერჯის მოხმარება ერთ სულზე აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელზე 10 ჯერ, ხოლო საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან კი – 4,5 ჯერ ნაკლებია (იხ. ცხრილი 2).

მნიშვნელოვანია საქართველოში ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების დროში არათანმიმდევრობის (დისპროპორციის) დაძლევა/შემსუბუქება. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ელექტროსისტემა განიცდის დეფიციტს ზამთრისა და შემოდგომის პერიოდში, ხოლო გაზაფხული და ზაფხული ჭარბი ელექტროენერჯის გამოთქმევებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 3).

ელექტროენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე (კვტ.სთ.) [4]


ცხრილი 2



ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება (2013წ.) [5]

ცხრილი 3

- დეფიციტური თვეებია: იანვარი, თებერვალი, მარტი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.
- დეფიციტის დასაფარად იმპორტირებული ელ.ენერჯია გამოიყენება.
- დანარჩენ თვეებში ხორციელდება ექსპორტი.



ამ დეფიციტის აღმოფხვრა საკუთარი სიმძლავრეების უქონლობის გამო ხორციელდება იმპორტით, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ენერჯიაზე ცვალებად ფასებს, ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის ენერგოსტაბილურობას და, შესაბამისად, მის მაკროეკონომიკურ მდგრადობას.

ბოლო სამი წლის განმავლობაში უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციამ ენერჯეტიკის სექტორში 521,658 მლნ ამერიკული დოლარი შეადგინა. 2013-2015 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა 12 ჰიდროელექტროსადგური. მათი ჯამური სიმძლავრე – 170,7 მგვტ-ია, ხოლო ჯამურმა ინვესტიციამ 283 მლნ დოლარი შეადგინა. საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში ინვესტიციებს ახორციელებენ ისეთი უცხოური კომპანიები, როგორებიცაა: Tata Group, Clean Energy, K-Water, Translektrika, Anadolu, Calik, Hydrolea, რომელთა მასშტაბურ პროექტებს შორისაა: ხუდონი – 702 მგვტ., ნენსკრა – 280 მგვტ., ონის ჰესების კასკადი – 177 მგვტ. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განხორციელებული პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მიხედვით ენერჯეტიკის სექტორი მეორე ადგილს იკავებს [3].

სემეკის-ს როლი ეკონომიკური ზრდისა და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაში

საქართველოში ენერჯეტიკის ადგილობრივი, სწრაფი ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება სემეკის საქმიანობას, რამეთუ ამ დამოუკიდებელ ერთეულს, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან ერთად, შესწევს ძალა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

1. ხელი შეუწყოს ენერჯეტიკის სფეროში კონკურენტული ბაზრის საქმიანობას;
2. მოახდინოს როგორც სანარმოო, ასევე საზოგადოებრივი ტარიფის იოლად ახსნადი და მისი მდგენელი კომპონენტების ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა (წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, გატარება და განაწილება), რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდას და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას;
3. საინვესტიციო მიმზიდველობის მიზნით მთელი რიგი ღონისძიების დაგეგმვას და საინვესტიციო ინვესტპროექტების Road Show (როუდ შოუ - მსხვილი და მიზნობრივი კერძო და სახელმწიფო საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიების შეხვედრის ორგანიზება) ორგანიზებას;
4. დაადგინოს და გამართოს რიგი არსებული ნორმა თუ საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც ხელს უშლის ინვესტიციების დაბანდვას ენერჯის წარმოების რიგ მიმართულებაში და ა.შ.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მარეგულირებელი ერთეული ვერ შექმნის საინვესტიციო ამინდს და, ამ მხრივ, აუცილებელია ადგილობრივი საფინანსო ბაზრის მზაობა, სამთავრობო პოლიტიკის მიზანმიმართული ქმედება და კერძო კომპანიების წახალისების ხელშეწყობა, რომლის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს საპარტნიორო ფონდის საქმიანობა და წამოწყებული მასშტაბური პროექტების განხორციელება (ნენსკრაჰესი და ხუდონჰესის პროექტი).

დასასრულ, ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ პირდაპირ კავშირს ეკონომიკურ ზრდასა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი ენერგორესურსების წვდომას შორის, რაც კონკურენტული და საინვესტიციო ასპექტით მიმზიდველი პროდუქციის წარმოების საწინდარია.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, მისი წარმოებისა და ხელმისაწვდომობის ტარიფების კონკურენტული ფასებით მიწოდება, მარეგულირებელი კომისიის (სემევი) როლისა და ფუნქციის გამოკვეთა და სახელმწიფოს მხრიდან დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის ხარისხის ამაღლება.

ლიტერატურა:

1. დავით მირცხულავას მოხსენება – „ჰიდროენერჯის უპირატესი განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“, 2014 წელი, საქართველოს ბიზნესის პალატა.
2. International monetary fund: <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2015/01/weodata/weorept.aspx?sy=2014&ey=2014&ssd=1&sort=country>
3. კახა კალაძე, საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერჯეტის მინისტრის ანგარიში „ენერჯეტის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ“, 2015 წლის 18 დეკემბერი.
4. საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს – IEA 2011 წლის მონაცემები.
5. საქართველოს ენერჯეტის სამინისტროს 2013 და 2014 წლების ანგარიში.

Economic Growth and Energy Security

David Aslanishvili

Academic Doctor of Economics,

Assistant Professor,

Department of Finances and Banking, TSU

d.aslanishvili@gmail.com

The article, “Economic growth and energy supply” describes the importance of the existence of a strong and reliable energy system in economic growth, their interaction, the energy problems existing in Georgia, a regulatory function of the GNERC. At the same time, there is compared and shown a great difference in energy consumption rates per capita between Georgia, US and European countries. It is investigated, in what way is it possible to clear the backlog and encourage economic growth in Georgia.

Keywords: Georgia, economic growth, energy security, energy consumption.

JEL Codes: Q40, Q41, Q43,

საიუბილეო სხდომა THE MEETING

აკადემიკოსების – პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

2015 წლის 30 ოქტომბერს შესდგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საიუბილეო სხდომა მიძღვნილი აკადემიკოსების – პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სხდომა გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გიორგი კვესიტაძემ.

მოსმენილ იქნა მოხსენებები:

1. აკად. პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა – თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. რამაზ აბესაძე;

2. აკად. ვასილ ჩანტლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა – თსუ-ის პროფესორი გედევან ხელაია.

მოგონებებით გამოვიდნენ: აკად. ვლ. პაპავა, აკად. ა. სილაგაძე, პროფ. თ. ბერიძე, აკად. რ. მეტრეველი, პროფ. ა. სულაბერიძე.

ამასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ორი დიდი მეცნიერის მოღვაწეობის ამსახველ პუბლიკაციებს:

თაობიდან თაობას გადაეცემა...

(აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო)

დიდი ადამიანები მხოლოდ სიცოცხლეში გაკეთებული კარგი საქმეების გამო როდი არიან საზოგადოებისათვის სასარგებლონი. ისინი გარდაცვალების შემდეგაც თავიანთი ნამოღვაწარით სხვებს გზას უნათებენ და შთააგონებენ კეთილ საქმეთა კეთებას. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და

ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, უურნალისტიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური ტერმინოლოგიის და სხვ. პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს“, რომელშიც გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, რომ თართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის აქტუალურ პრობლემებს: „ქართული წიგნი 1629-1929.“; „ქართული უურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“; „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვა, რომელთაც ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პ. გუგუშვილს გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე (Honoriz Causa) ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს პაატა გუგუშვილიმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევერმა, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს - „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ - მაღალი შეფასება მისცეს უალრესად პრინციპულმა მომთხოვნმა მეცნიერებმა - ივანე ჯავახიშვილიმა, ნიკო ბერძენიშვილიმა და ფილიპე გოგიჩაიშვილიმა.

მნიშვნელოვანი ძვრები, რაც 70-იანი წლების შემდეგ განხორციელდა საქართველოში დემოგრაფიის კვლევის დარგში, ბატონი პაატა გუგუშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები - „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1960 წწ.)“, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, და სხვ.

ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პაატა გუგუშვილიმა განახორციელა, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილის დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. 1947 წელს გამოცემული

„ეკონომიკის ტერმინოლოგია“ შედგენილია მისი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის ბევრ ცნობილ მოღვაწესთან. კონსტანტინე გამსახურდია პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოყოფს მის მიერ კვლევის ობიექტის მიგნების და შერჩევის საოცარ უნარს. როგორც იგი აღნიშნავს, პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების თემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეულ პროცესებიდან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებული.

ბატონი პაატა 1960 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს - ნამდვილ ნევრად. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან წლებში – 1944წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, აქტიური ძალისხმევით და შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1976 წლამდე 32 წლის განმავლობაში, თვითონვე ედგა სათავეში. 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ბატონი პაატა იმავე ინსტიტუტის და დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემათა განყოფილების გამგე მისი ინიციატივით შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობას შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას. ბატონი პაატა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას ადამიანური თვისებები: ობიექტურობა, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფულობა, კეთილშობილება, ერთგულება და სხვ. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა.

ბატონ პაატას რთული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, შთამომავლობას დაუტოვა მაღალი ღირებულების სამეცნიერო ნაწარმოებები, შექმნა ქართული ოჯახი შესანიშნავ ქალბატონთან, ნინო მიქაბერიძესთან ერთად. მათ სამშობლოს აღზარდეს ორი მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მატარებელი შვილი - ბესარიონ გუგუშვილი და გულბაათ გუგუშვილი. ყველასათვის ცნობილია, რომ ბატონი ბესარიონი, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ბატონი პაატას სიცოცხლე მათ შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გრძელდება.

მადლიერი თაობა არ იფინყებს ბატონი პაატას ღვანლს. ამის დადასტურებაა ის, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თაოსნობით მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სახელობის აუდიტორა დაარსდა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელს დაფინყება არ უწერია, მისი სსახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

„მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი“

(აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო)

სათაურის ამ სამი სიტყვით შეიძლება დაუახასიათოთ ჩინებული მეცნიერი და პედაგოგი, შესანიშნავი მეგობარი და სამაგალითო მაშულიშვილი, აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე.

დიდი და ფასდაუდებელია ბატონი ვასილის მეცნიერული ღვანლი ფულის, კრედიტისა და ფინანსების გენგზისის განსაზღვრაში. მას ეკუთვნის ორიგინალური განმარტებები ფინანსური მეცნიერების საგნის მეთოდისა და ამოცანების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები - „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფინანსური თეორიის საკითხები“.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, სტატია თუ ზეპირი გამოსვლა, სიახლით სუნთქავს. ბატონმა ვასილმა, დიდმა პატრიოტმა, კვლევითი მუშაობის ძირითად საგნად გაიხადა ეროვნული აზროვნების უმდიდრეს და მრავალფეროვან ნიაღში ეკონომიკური სიბრძნის ელვარე მარგალიტების მოძებნა – გამომზეურება და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე წარმოდგენა. ჯერ კიდევ სადოქტორო დისერტაციაში, „ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში“, გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფინანსების, როგორც ქართული ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მეცნიერული ცოდნის დონე საკმაოდ მაღალი იყო. ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების პრობლემისადმი მიძღვნილი აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ნაშრომებიდან

ასევე არსანიშნავია „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. ამ შრომაში დასაბუთებულია, რომ სულხან-საბა ორბელიანი იმ დროისათვის პროგრესული შეხედულებებით 70 წლით წინ უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს – ფრანსუა კენეს. მისი კვლევის საფუძველზე პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი, თავისი ეკონომიკური შეხედულებებით. ეროვნული ეკონომიკური აზროვნების სიდიადისა და უკვდავების დიდი ჰიმნია ბატონი ვასილ ჩანტლაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი „მარგალიტი“ – „მთაა რუსთაველის ეკონომიკური იდეები“.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვასილმა ქართველი ხალხის უკვდავი შვილის, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური იდეების შესწავლა-გამომხეურებას. მოკრძალებული პატივისცემით და სიყვარულითაა გამსჭვაველი ასევე მისი შრომები, რომლებიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას.

აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების ხაზით. მიიღო მონაწილეობა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკის ტერმინოლოგიის შედგენაში, შეადგინა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ფინანსურ-საკრედიტო ტერმინოლოგია და აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სტატისტიკური ტერმინოლოგია. ბატონმა ვასილმა დიდი ცოდნა და ენერჯია მოახმარა ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობის სტუდენტებისათვის ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც ნათარგმნ და ქართულ ენაზე დანერილ სხვა სახელმძღვანელოებზე გაცილებით გამძლე და სტაბილური აღმოჩნდა. ამ სახელმძღვანელოთა რიგს მიეკუთვნება: „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“, „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფინანსები და კრედიტი“, „ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია“ და სხვა.

ვასილ ჩანტლაძე 70 წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში. ფართო და ყოვლისმომცველი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო და თვალსაზიერება. მან სამშობლოს აღუზარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მრავალი სპეციალისტი.

ვასილ ჩანტლაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვ.

ბოლო წლებში თავს დატეხილი ტრაგიკული განცდების გამო უსაშველო და უთქმელი სევდით გულამოვსებული მეცნიერი, მასწავლებელი და აღმზრდელი, 1995 წლის იანვარში განემორა ამქვეყნიურ ცხოვრებას.

მასთან ურთიერთობაში არ შეიძლება არ გვეგრძნო სითბო, სიკეთე, მაღალი კულტურა, უბრალოება, თავმდაბლობა, თანადგომა და პატივისცემა. მის პიროვნებაში პედანტობის ნატამალსაც ვერ აღმოაჩენდით. თავისუფალ დროს საოცრად უყვარდა თავის მეგობრებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთანაც კი ექსკურსიები, მოლხენა და პურობა. ვერ იტანდა ხელმოცარულთა ქედმაღლობას, ყოყოჩობას, ადამიანის უპირველეს ღირსებად თავმდაბლობა მიაჩნდა. ყველგან და ყველაფერში ამალღებულს, მშვენიერსა და ლამაზს ეძებდა. კაცურად იცხოვრა და დიდებულადაც შეასრულა თავისი მოვალეობა ხალხის წინაშე. დატოვა შესანიშნავი ნაშრომები. მეუღლესთან ელენე მდივანთან ერთად სამშობლოს აღუზარდა თეატრისა და კინოს თვალსაჩინო წარმომადგენელი თენგიზ ჩანტლაძე და ფილოლოგი ლია ჩანტლაძე. ამჟამად ბატონი ვასილის სიცოცხლე მის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გრძელდება.

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მომავალი თაობების მეხსიერებაში.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია CRITICS AND BIBLIOGRAPHY

პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოს ეკონომიკა რეფორმებისა და ფსევდორეფორმების სარკაში*

ტრანზიტოლოგიის დარგში საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მკვლევარის, აკადემიკოს ვლადიმერ (ლადო) პაპავას კალამს მრავალი ნაშრომი ეკუთვნის. ისინი უმეტესად პროფესიონალებზე, ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველზეა გათვლილი და, როგორც წესი, მონოგრაფიული ხასიათისაა. ამასთანავე, ყველა მათგანი ორიგინალური კვლევის შედეგებს გადმოგვცემს, რაც ოსტატურადაა შერწყმული შესაბამისი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვასთან. ამ ტრადიციას არ ღალატობს ა. გეგეშიძის და თ. თაფლაძის მონაწილეობით დაწერილი მისი წიგნი „საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაიბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტი“.

სარეცენზიო ნაშრომი პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ნაწილში, რომელიც I-III თავებს მოიცავს, გაანალიზებულია ეკონომიკური რეფორმების სანყისი ეტაპი. მეორე ნაწილში (IV-VIII თავები) ასახულია პოსტრეფორმული (იგულისხმება „ვარდების რეფორმის“ შემდგომი პერიოდი - რეცენზენტები) საქართველოში ჩატარებული რეფორმები, მესამე ნაწილში (IX თავი) კი ნაჩვენებია „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი გამოწვევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ნაშრომის კვლევის არეალი საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავს ეკონომიკური თეორიის, საქართველოს უახლესი ეკონომიკური ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხებს და მიეკუთვნება ისეთ სპეციფიკურ დარგს, როგორცაა ქვეყანათმცოდნეობა. ამასთანავე, მთელ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოს ეკონომიკის სიღრმისეული თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი. ჩატარებულ კვლევას განსაკუთრებულ დამატებლობას ანიჭებს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის და საქართველოს პარლამენტის საფი-

* ვლადიმერ (ლადო) პაპავა. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბ., 2015, 238 გვ.

ნანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრის თანამდებობებზე ავტორის მოღვაწეობის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება.

მეცნიერული ანალიზის მთავარი მიმართულება და სპეციფიკა წიგნის სათაურშია გამოტანილი. რეფორმა, რომელიც ლათინურად გარდაქმნას ნიშნავს, მაგისტრალური გზაა როგორც არსებული სისტემის შესაცვლელად, ასევე ახალი სისტემის დასამკვიდრებლად. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევაც, „როცა ნამდვილი რეფორმის გატარების ნაცვლად, რეფორმატორის იმიჯის მოსაპოვებლად, ან (და) შესანარჩუნებლად ესა თუ ის მთავრობა რეფორმის იმიტაციას ახორციელებს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა ადვილი არ იყოს რეფორმის გამორჩევა ფსევდორეფორმისაგან, ანუ ყალბი რეფორმისაგან“ - აღნიშნავს ავტორი.

ნაშრომის შესავალში დახასიათებულია პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზა - „შოკური თერაპია“ და „გრადუალისტური“ (თანდათანობითი) გადასვლა. ნაჩვენებია ამ ორი გზის მომხრე ეკონომისტების კონცეპტუალური დაპირისპირება. ავტორი გამოყოფს ორ პირობას, რაც, მისი აზრით, აუცილებელია გრადუალისტური მიმართულების წარმატებით რეალიზებისათვის: ა) მთავრობას უნდა ჰქონდეს ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც მას ნაწილობრივი ლიბერალიზაციის დანწყების შემდეგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლს შეანარჩუნებინებს; ბ) აუცილებელია ეკონომიკური რეფორმების საკუთარი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ამ პირობებიდან საქართველოს არცერთი არ გააჩნდა. შესაბამისად, მსჯელობა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გრადუალისტური გზით გატარების შესახებ რეალურ საფუძველს იყო მოკლებული. მკვლევარი ჩამოთვლის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ნ ფუნდამენტურ მიზანს, რომელთაგან სამის მიღწევა ჩქარა შეიძლება, დანარჩენი სამი კი შედარებით დიდ დროს მოითხოვს, ვინაიდან რთულ ინსტიტუციურ და სტრუქტურულ გარდაქმნებთანაა დაკავშირებული. ეს გარემოება პროფ. ლ. შაპავას მოსაზრებით, შოკური თერაპიის მომხრეთა და გრადუალისტთა შორის მწვავე დისკუსიის მეტ-ნაკლებად შერბილების საფუძველს იძლევა.

კვლევის ლოგიკა ბუნებრივად გვეკარნახობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასრულების საკითხის აქტუალურობას. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი საქართველოში უკვე დამთავრებულია, თუმცა, სამწუხაროდ, „საქართველო იმ აუტსაიდერი პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯგუფში შედის, რომელთაც ევროპული ტიპის კაპიტალიზმის ნაცვლად, ე.წ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი შექმნეს“. აქვე შევნიშნავთ, რომ „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის“ ტერმინის სამეცნიერო ბრუნვაში დამკვიდრება პროფ. ლ. შაპავას დამსახურებაა.

პირველი თაობის საბაზრო-ეკონომიკური რეფორმების საქართველოში დანწყების თარიღად წიგნში 1992 წელია მიჩნეული და ხაზგასმულია ქართული „შოკური თერაპიის“ პოლონური სცენარით წარმართვის ფაქტი, რომელსაც

ორი მეტ-ნაკლებად თანაბარი სირთულის ამოცანა ამძიმებდა: ა) სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისა და ბ) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა. აღნიშნულმა და რიგმა სხვა ობიექტურმა მიზეზებმა, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში დაშვებულმა შეცდომებმა, მთავრობაში ანტირეფორმისტული ძალების მომძლავრებამ, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, განაპირობა ქართული შოკური თერაპიის წარუმატებელი დასასრული. ქვეყანა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციული კრიზისის ღრმა ორმოში ჩავარდა. 1990-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა... 1993-1994 წლებში ინფლაცია თვეში 50-70%-ს აღწევდა. „ამ დროს კუპონით მხოლოდ კომუნალურ მომსახურებათა გადახდა და პურის ყიდვა შეიძლებოდა... 1994 წელს საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარი, ხოლო პენსია 10 აშშ ცენტის ეკვივალენტი იყო“.

ასეთი უმძიმესი კრიზისიდან თავის დაღწევა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის თვისებრივად ახალ დონეზე განახლების შემდეგ და შედეგად იყო შესაძლებელი. ამიტომ ლოგიკურია ის დიდი ყურადღება, რომელიც ნაშრომში ამ თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტს ეთმობა. პროფ. ლ. პაპავა ჩვეული პრინციპულობითა და ობიექტურობით ანალიზებს ამ ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლს საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების სხვადასხვა ეტაპზე. მიუთითებს რა ფონდის მიღწევებზე, ამასთანავე თვალს არ ხუჭავს მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. პირიქით, დეტალურადაა გაანალიზებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომების ფართო გაშლა: პოლიტიკური, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის, დაბნეულობით და ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეული, ლობირებითა და წაყრუებით დაშვებული და კომპეტენციის გადამეტებით განპირობებული შეცდომები. ჩვენ სრულად ვიზიარებთ ავტორის მთავარ დასკვნას, რომ „ცალკეული შეცდომის მიუხედავად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში ჯანსაღი საფინანსო ეკონომიკური სისტემის შექმნის რეალური ხელშემწყობი და საიმედო საფინანსო გარანტი იყო“. იმის მიუხედავად, რომ ეს ორგანიზაცია მომავალშიაც შეიძლება არ იყოს დაზღვეული ცალკეული შეცდომისაგან, იგი „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მაშინაც კი ასეთად უნდა დარჩეს, როცა საქართველოს აღარ დასჭირდება ფონდისაგან ფულის სესხება, რადგანაც ჩვენს ქვეყანას სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყოს, არ გააჩნია“. წიგნში ნათლადაა ნაჩვენები, რომ ეკონომიკური რეფორმების პროცესში სწორედ სავალუტო ფონდის აქტიურმა მონაწილეობამ, მისი მხრიდან მთავრობაში რეფორმატორთა ჯგუფისადმი დემონსტრატული მხარდაჭერამ გახადა შესაძლებელი საქართველოში 1995 წელს ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელება და პარლამენტის

მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნის ეკონომიკური ზრდით შეცვლა - „მთლიანი შიგა პროდუქტი 1995 წელს 3%-მდე გაიზარდა, ხოლო 1996-97 წლებში ეს მაჩვენებელი წელიწადში საშუალოდ 10-11%-ს შეადგენდა“.

განვითარების რაღაც ეტაპზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ძალისხმევა, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა საკმარისი ამ პირველი დადებითი ტენდენციების გასაძლიერებლად და შეუქცევად ეკონომიკურ კანონზომიერებად გარდასაქმნელად. პირიქით, ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულმა შეცდომებმა, არაკომპეტენტურობამ, ტოტალურმა კორუფციამ და უპასუხისმგებლობამ გამოიწვია ქვეყნის სრული ეკონომიკური სტაგნაცია, სახელწიფოს პოლიტიკური დისფუნქცია და სოციალური კოლაფსი. ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშით, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ პირდაპირი მიზეზი გახდა.

წიგნში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეკონომიკის პოსტრევოლუციური განვითარების ანალიზი საქართველოში. აქ ერთ მნიშვნელოვან კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. კერძოდ, იყო თუ არა „ვარდისფერი ხელისუფლება“ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მომხრე საქმით, და არა სიტყვით? ავტორის პასუხია, რომ - არა. შესაბამისად, ამ ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების დიდ ნაწილს პროფ. ლ. პაპავა ფსევდორეფორმებს უწოდებს და ხაზს უსვამს ნეობოლშევიკური მეთოდების სიჭარბეს.

საქართველოს, როგორც მცირე, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკურ სუბიექტს, საკმაოდ შეეხო გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დაემთხვა 2008 წლის აგვისტოს ომს. ამ ორი მოვლენის სიმბიოზმა წარმოშვა ე.წ. „ომის პარადოქსი“ - „საქართველოში ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტი ბევრად საგრძნობი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ფინანსური დახმარება საქართველოსთვის, როგორც რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მხარისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომი თავისი არსით უარყოფითი მოვლენაა, თუმცა საქართველოსთვის მას თავისი, თუ შეიძლება ითქვას, დადებითი მხარეც ჰქონდა, რაც ამ ფინანსური დახმარებით გამოიხატა“.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზს, რაც შემთხვევითი არ არის. რუსეთის ბაზარი ჩვენი მწარმოებლებისთვის კვლავ რჩება პროდუქციის რეალიზაციის მნიშვნელოვანი სფეროდ. არანაკლებ საგულისხმოა ფულადი გზავნილების თემაც, თუმცა მათი მოცულობა დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე. ამავე დროს, წიგნის ავტორი გვაფრთხილებს, რომ ეკონომიკურ ინტერესს ყოველთვის თან სდევს პოლიტიკური ინტერესი და ჩვენმა მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ ეს ფაქტორი.

წიგნის დასკვნით ნაწილში პროფ. ლ. პაპავა საქართველოს ეკონომიკური რეალობის გარკვეული მონაკვეთის (2013-2015 წწ.) ანალიზს გვთავაზობს.

მართალია, ისტორიისათვის ეს ძალიან მცირე პერიოდია, მაგრამ დაშვებული შეცდომების ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ ინარჩუნებს მკვეთრად გამოხატულ სამომხმარებლო ხასიათს და იმპორტი მკვეთრად აღემატება ექსპორტს. მოცემულის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია იმპორტმცველელი და საექსპორტო წარმოების განვითარება.

ნაშრომს თან ახლავს ორი დანართი – „ნეკროეკონომიკის არსი“ და „ეკონომიკის ზომბირების არსი“. პირველში ავტორი იძლევა ცენტრალიზებული ეკონომიკის აპრიორი არაეფექტიანობის დასაბუთებას, მეორეში კი მსჯელობს ეკონომიკის განვითარებაში მენტალობის მნიშვნელობაზე.

გამართული მეთოდოლოგია, რომელიც ისტორიული და ლოგიკური მეთოდების ერთიანობას ემყარება, მოვლენებისა და ფაქტების მიუკერძოებელი და ობიექტური გადმოცემა, მსჯელობის დახვეწილი სტილი, აზროვნების სისადავე და სიცხადე, ღრმა თეორიული განსწავლულობისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი განსაზღვრავს სარეცენზიო წიგნის მაღალ თეორიულ და პრაქტიკულ ფასეულობას. დარწმუნებული ვართ, რომ იგი სამაგიდო წიგნი გახდება საქართველოს ეკონომიკის აქტუალური პრობლემებით დაინტერესებული ადამიანთა ფართო წრისათვის. მას ასევე ინტერესით ნობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სანყისი და ყველაზე რთული ეტაპით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველი.

იური ანანიაშვილი
პროფესორი

თეიმურაზ ბერიძე
პროფესორი

ელგუზა მემვაბიშვილი
პროფესორი

ავთანდილ სილაგაძე
აკადემიკოსი

საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიისადმი მიძღვნილი საინტერესო წიგნი

(დავით შავლიაშვილი. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია.
საქართველო და მეზობელი სახელმწიფოები,
გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2015, გვ.
წიგნი გამოიცა კომპანია „მაკთიკომის“ თანადგომით).

ამას წინათ, ფართო საზოგადოებას მიეწოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე ნაკლებად ცნობილი ისტორიული ჟანრის აღნიშნული ნაშრომი, რომლის ავტორს პროფესორ დავით შავლიაშვილს სამეცნიერო წრეებში დღემდის ვიცნობდით უმთავრესად ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევებით, რომლებიც ძირითადად მიძღვნილია ქართლის შესწავლის მრავალნაზნაგოვანი პრობლემებისადმი. მაგრამ, წინამდებარე წიგნი სრულიად ახალ, განსხვავებულ თემატიკას ეხება და შესრულებულია საზოგადოების ყველა ფენისათვის მისაღებ პოპულარულ ენაზე.

მონოგრაფიის წინასიტყვაობასა და შესავალ ნაწილში ავტორი, მისთვის ჩვეული მოკრძალებით, მკითხველს აუწყებს პრობლემის გაშუქებას აქამდე ნაკლებად ცნობილი მიდგომით, ისტორიული პროცესების მეზობელ ქვეყნებთან შესაბამისობით და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ თემატიკა თავისი შინაარსით ერთობ ფაქიზი, ფართო მასშტაბურია და მისი განზოგადება-ანალიზი დიდ წინდახედულობას და სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ავტორი სამართლიანი პრეტენზიული მკითხველის მიმართაც თავმდაბლურია და აღნიშნავს, რომ მან სრულიად შეგნებულად აუარა გვერდი ისეთ, თუნდაც მტკივნეულ ერთობ საინტერესო და საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული მოვლენების მონოგრაფიაში წარმოჩენას, რომელიც საქართველოს წარსულს კიდევ უფრო მაღალ რანგში აიყვანდა. ამისათვის იგი იქვე განმარტავს კვლევის ძირითადი მიმართულებების თავისებურებებს, აქტუალურობას და ამ მხრივ არსებულ სირთულეებსაც, რამდენადაც მოვლენები უმთავრესად განხილულია უძველესი დროის ისტორიული წიაღსვლების ფონზე მეზობელ სახელმწიფოებთან ერთად და ამასთან, შემჭიდროებული მოცუ-

ლობით. აქვე უნდა ითქვას ავტორის მიერ კვლევისადმი განსხვავებულ მიდგომაზეც, მოვლენების გაბედულ, თავისუფალ და შეუფუთავად ასახვაზე, სადაც ძირითადად წარმოაჩენს ქვეყნის საშინაო და საგარეო, სასულიერო და საერო საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ერთობ რთული ლაბირინთებიდან თავის დაღწევისა და განვითარების გზებს, მის დროსა და ადგილს მსოფლიო ცივილიზაციათა სივრცეში და ა.შ. ასე, რომ ნაშრომის აქტუალურობა ერთობ ფართომასშტაბურია, რამდენადაც მასში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალებისა და ანალიზი ახლებურად გააზრება მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს საქართველოს შესაბამის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს თავიანთ საქმიანობაში, განსაკუთრებით უცხოეთის ქვეყნებთან მჭიდრო, მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარების მიმართულებით. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავტორი თანამედროვე გლობალურ სამყაროში საქართველოს სამომავლო განვითარებაში იდეურად წარმოაჩენს ისეთი პრიორიტეტული დარგებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სახმელეთო-საზღვაო და სამდინარო მარშუტების აღორძინების ადგილსა და მნიშვნელობას, როგორცაა: ქვეყნის, როგორც ისტორიული პროცესის-ევრაზიის დერეფნის თანამედროვე გააზრების დღის წესრიგი აბრეშუმის გზის აღდგენის სახით; საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეცნიერების, განათლების, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის, ბიზნესმენების, პოლიტიკურ და სასულიერო მოღვაწეთა კავშირურთიერთობის ისტორიულ ჭრილით შესწავლას და ა.შ.

დავით შავლიაშვილმა მეცნიერული გონებამახვილობით, მოკლედ, კონკრეტული ფაქტობრივი მასალებით წარმოაჩინა საქართველოს განვითარების ხანგრძლივი ისტორია, როგორც მაჰმადიანურ გარემოცვაში, ასევე ბიზანტიასთან ურთიერთობაში და ბოლოს – ჩრდილოეთით ისტორიულად ახლადწარმოქმნილ მზარდ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან – რუსეთთან დამოკიდებულებაში და სხვ. ასე რომ, საქართველოს განვითარების ისტორიულ საფეხურებში პერიოდიზაციის მიხედვით მიმდინარე პროცესების კვალობაზე გვიჩვენა ამ რთული გარემოცვის მოვლენების პროცესებიდან, როგორ, რა დიპლომატიური და გარკვეულწილად ძალისმიერი საშუალებით ქართველმა ხალხმა, როგორ შეძლო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება, რითაც თავისი წონადი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციათა ურთიერთგამდიდრებაში.

ვალერიან ითონიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევამ გოგობია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პროფესორ ლეო ჩიქავას განხილვა

2015 წლის აგვისტოს თვეში ამქვეყნიურ ცხოვრებას განემორა ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი ადამიანი ბატონი ლეო ჩიქავა – გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული აღმზრდელი პედაგოგი, მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი, ჭეშმარიტი კოლეგა და ორგანიზატორი.

ცხადია, 87 წელი სიცოცხლისათვის არ არის ცოტა, მაგრამ ბატონი ლეო ისე ჯამრთელად და მხნედ გეძნობდა თავს, რომ ახალგაზრდული ენერჯითა და შემართებით, გონიერებითა და საღი აზროვნებით გამოირჩეოდა, რომ მეტად მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაცვალებისათვის არ გვემეტებოდა. მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია განგების და ბედისწერის განჩინება. დასანანია, რომ ბევრი ჩანაფიქრი, გეგმები და ახალი წიგნების გამოცემა განხორციელებული დარჩა. ახლა იგი ცოცხლობს ჩვენს გულებში, ჩვენს სსოვნაში, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონდა ზიარებოდა მის თანადგომასა და დახმარებას. ბატონი ლეოს ბუნებიდან გამომდინარე, მისი ცხოვრების წესი სიკეთის ქნა და ბიროტთა ძლევა იყო, ღვთით ბოძებული. ამ უნარით იგი მუდამ კაცთმოსურნეობის გარემოს ქმნიდა გარშემომყოფთა შორის.

ლ. ჩიქავა იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორეპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორი, საერთაშორისო და ადგილობრივი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დემოგრაფიული სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პოლიტიკის თავმჯდომარე და სხვა.

ლ. ჩიქავამ არა მარტო დამოუკიდებელ საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის მაშტაბითაც თავისი ჯეროვნული სიტყვა თქვა როგორც მეცნიერ-ეკონომისტმა, სოციოლოგმა და დემოგრაფმა. ამის დასტურად, თუნდაც უბრალო თვალის გადავლებაც იკმარებს ყველაფერ იმაზე, რაც მას გაუკეთებია: 160-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომი, რომელთა საერთო მოცულობა 350-მდე ნაბეჭდი თაბახია. მათ შორის ცალკე წიგნად გა-

მოცემულია 20 მონოგრაფიული გამოკვლევა, დამხმარე სახელმძღვანელო და ბროშურა.

გამოკვლევებში ორიგინალურადაა გადმოცემული შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, წარმოების ტერიტორიული სპეციალიზაციის და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა განსაზღვრის, ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის რეგიონული თავისებურებების, საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში არამატერიალური წარმოების სფეროს ადგილისა და როლის ფრიად აქტუალური საკითხები.

1990-იან წლებში ინტენსიურად იკვლევს ეკონომიკური თეორიის ისეთ გლობალურ საკითხებს და დემოგრაფიის პრობლემებს, როგორცაა: ქვეყნის მოსახლეობის ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრა, მოკვდაობის შემცირების ეკონომიკური ეფექტიანობა, კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შობადობის მაჩვენებელთა ურთიერთდამოკიდებულება, მოსახლეობის შრომისუნარიან დასაქმებულთა დემოგრაფიული დატვირთვის გაზრდა, ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რაოდენობას შორის სხვაობის განსაზღვრული სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები და სხვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ლ. ჩიქავას 2006 წელს გამოცემული სქელტანიანი მონოგრაფიული გამოკვლევა – „ინოვაციური ეკონომიკა“, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ანალოგი არ მოეძებნება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამ ნაშრომში მალალმეცნიერულ დონეზეა განხილული ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, კანონზომიერებანი, თავისებურებები, მიზნები, გადაუჭრელი პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები. ნაშრომი საკმაოდ პრობლემური ხასიათისაა, ავტორი სადისკუსიო საკითხებზე ეკამათება უცხოელ ავტორებს და გვთავაზობს ორიგინალურ შეხედულებებს, რომლებიც მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

ლეო ჩიქავას მეცნიერული და საზოგადოებრივი სქმიანობის მრავალი უმნიშვნელოვანესი მომენტი უშუალოდ მის დიდებულ მასწავლებლებთან არის დაკავშირებული. მათ მიმართ ბატონი ლეო მუდამ უსაზღვრო ერთგულებას, პატივისცემასა და მადლობას გამოხატავდა. გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი აკად. პ. გუგუშვილთან და აკად. ვ. ჩანტლაძესთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ ბატონი პაატა გუგუშვილი და ბატონი ვასილ ჩანტლძე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ვარიანტზე. მაგრამ ისე გარდაიცვალნენ, რომ ამ ნაშრომის დასრულება ვერ მოასწრეს – ჯერ ბატონი პაატა გარდაიცვალა და მთელი სიმძიმე ბატონ ვასილზე გადავიდა, მაგრამ დიდი შრომატევადი სამუშაოს გამო მანაც დაწყებული ნაშრომის 50%-ზე მეტის დასრულება ვერ მოასწრო, ისე აღესრულა. გარდაცვალებამდე ორი-სამი დღით ადრე, იგრძნო რა აღსასრულის მოახლოება, ბატონ ვასოს თავისი

ოჯახის წევრებისთვის უთქვამს: „მაგიდაზე დევს ბატონ ჰაატასა და ჩემ მიერ მომზადებული „ეკონომიკური ტერმინოლოგიის“ დაუსრულებელი ტექსტის ხელნაწერი. ვფიქრობ, ყველაზე უკეთ ჩვენი მოწათე - ლეო ჩიქავა შეძლებს მის დასრულებასო. თუ ცოცხალს ვერ მომისწრო, ბატონ ლეოს გადაეცით ჩემი თხოვნა, რათა მიხედოს ამ ეროვნულ საქმეს“. ეს ხელნაწერი წამოიღო ბატონმა ლეომ და თითქმის დაძაბული შრომის 5 წელი მოანდომა მის შევსებას, ტექსტის ბოლომდე დასრულებას და გამოცემას(2001წ). ამ ტერმინოლოგიის დიდ მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბატონი ლეო უდიდეს სიხარულს და კმაყოფილებას განიცდიდა, რომ მან წარმატებით აღასრულა სასიქადულო მასწავლებლის დანაბარები თხოვნა.

ლ. ჩიქავას საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სიმ-პოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას (იტალია, გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, უნგრეთი, რუსეთი). იგი, როგორც მაღალკვალიფიციური ლექტორი, მიწვეული იყო გერმანიაში, სადაც ბერლინის, როსტოკისა და შვერინის უმაღლეს სასწავლებლებში ნაიკითხა ლექციების ციკლი ეკონომიკური თეორიის აქტუალურ საკითხებზე.

სამაგალითო და ყველასათვის მისაბაძია ლ.ჩიქავა, როგორც აღმზრდელი და მასწავლებელი. იგი შესაშური და გასაოცარი ჰარმონიულობით უხამებდა ერთმანეთს სტუდენტებისადმი მტკიცე პრინციპულ მომთხოვნელობას და უაღრესად გულთბილ, ყურადღებიან მამაშვილურ დამოკიდებულებას. მისი რჩევა-დარიგებებით და უშუალო ხელმძღვანელობით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზიარა ეკონომიკური მეცნიერების ძნელსა და რთულ გზას. მაგალითად, დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული აქვს 30 მეცნიერ მუშაკს. მისი ოპონენტობით დაცულია 80-მდე დისერტაცია.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოს სიყვარულის, ქართველი ერისადმი ერთგულების, ჭეშმარიტი მოქალაქეობისა და კაცურკაცობის შესანიშნავი ნიმუშია.

გელეგან ხელაია

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი*

15.08.15

გამოცემაზე მოშაობდნენ:

ნათია დვალი

ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge